

# რეტენატუნა და სეროვნება

N12

12/2006

1522/2  
2006

*აბოშის*

ტარიელ  
ხარხელაური

*ჩრდილონი*

ანა კალანდაძე  
გურამ  
დოჩანაშვილი

*თეატრი*

სესილია  
თაყაიშვილი

*აბოშის*

ზაირა  
არსენიშვილი

*მსგებობა*

კოკა ივანაძე

*თაყაიშვილი*

გივი  
შაჰნაზარი



*მუხიკა*

მარიკა  
კვალიაშვილი

*დაბრუნება*

თამარ  
ბართაია

*ესეიკა*

შაკლინ სირაძე





კოკა იგნატოვი



სერიიდან „თამაში ვაშლებით“







# ლიტერატურა და სეროენება

N12

12/2006

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორები

დავით შემოქმედელი  
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა

კოკა იგნატოვი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42


ტელ.: (+995 32) 93 18 69;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@posta.ge

Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

## ს ა რ რ ე ვ ი

*ქლოპა, ჯიქოპა*

- 3 ზაიხა ახსენიშვილი - ჯოღაფი მთვარის შექმნა
- 21 ტაიიედ ხახედაუხი - ლექსები
- 25 მანანა დანგაძე - მოთხრობები
- 30 დავით თედოსაძე - ლექსები
- 32 ნიკო ხეზვიაშვილი - ლექსები

*დრამატურგია*

- 35 თამაზ ბახთია - ჟაბა (პიესა)

*თარგმანი*

- 41 ნაჰაპეტ ქუჩაყი - ლექსები  
/თარგმნა გივი შაჰნაზაძემ/

*ქართული*

- 44 ლესო ოთახაშვილი - ლექსები

*ქსე*

- 46 ვაჟინ სიხაძე - სიტყვა დიდოსტატზე

## რეკლამის განცხადება - 80

- 51 ანა კლანდაძე - ცამდე მახთარი ჟაჟი
- 52 გუგამ დონანაშვილი - ჩემი უფროსი მეგობარი
- 55 ჯემბუხ თითოშვილი - ინტერვიუ ხ.ინანიშვილთან
- 59 გიორგი ხოხიაშვილი - სიყვარულის მახეობები

*იუნიონი*

- 62 ნათელა ურუშაძე - სომხების სახეობა (სებელია თავაშვილი)

*მუსიკა*

- 68 დოდო გოგუა - მუსიკალური გენის მახეობა (მანიკა ჯვარციანი)


*მხატვრობა*

- 72 ქეთევან ჯინუხაშვილი - ჟოჟა იგნატოვი (პოსტმოდერნიზმის პასუხი მოდერნიზმს)

*ფოტოგრაფია*

- 79 ვინაი ჯვარციანი - ფოტოგრაფიის პიესა

- 84 დოკოშვილი - ფოტოგრაფიები





საქონნუდაფაცით სწავლა:

ქაზის ამიერიზი, ზახინა ზრუჟაძე, ნანი ზრუჟაძე,  
პეტრე ზრუჟანიშვილი, მანუა ზრუჟაძე, პაყადას ვინაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, თემურ ჩხეიძე, თამარ ჩხეიძე, ვაჟა ერეკლეი.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება





შათრა  
არქენიშვილი

აქტიური მთვანის მუხა

ჩოქანი\*

/დასასრული/

... კაბინეტის კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. თერთმეტი საათი ხდებოდა, მაგრამ ნიკო ჯერ კიდევ სახლში იყო, დარეკა საავადმყოფოში, თორმეტამდე ვერ მოვალო. კარი გამოალო და უცებ ვერც კი იცნო მზემოკიდებული და განითლებული ოთარი. მაშინვე იგრძნო, რომ ცუდი ამბის მაცნედ იყო მოსული, ერთ-ორ წამს უბრალოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს, მერე კი ოთარმა სწორედ ასე უთხრა: ცუდი ამბავი უნდა გითხრათო...

გამტკნარებული ნიკო იქვე სავარძელში მონყევით ჩაემხო, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა... ოთარმა დააცადა, მერე იფიქრა, დრო არ იცდისო: „ძია ნიკო... ძია ნიკო...“

მაპატიეთ და უნდა ავჩქარდეთ...“

ნიკომ თავი ასწია, წამოდგა, მაგიდაზე დაგდებული ბინტი აიღო, დაშალა, გრძლად მოხია, სახე მოინმინდა, ბორჯომი დაისხა, დალია, ოთარსაც ბოთლი მიანოდა... „დრო არ იცდის, ძია ნიკო, უნდა ჩამოვასვენოთ, საკაცე არის საჭირო...“

ნიკო ჩაფიქრდა, მერე ღრმად ამოიოხრა: „ლეელიკო... დეპეშის გაგზავნაა საჭირო... მე მიწერია ტურისტული მარშრუტის ნომერი, ირკუტსკში უნდა გაიგზავნოს, ალჟირი კი გამორიცხულია!“ ტელეფონი აიღო და აეროდრომზე დარეკა, უფროსი ნიკოს კარგი ნაცნობი იყო, და ასე და ასე, უთხრა, ორი საათით ვერტმფრენი დაგვჭირდებაო.“ აეროდრომის უფროსმა კიდეც: „ნახევარ საათში დაბრუნდება ვერტმფრენი ომალოდან, საწვავს აიღებს, ცოტას შეიქაქანებს და წაგიყვანთო, ასე ერთ საათში ჩამოდით აეროდრომზეო.“


ნიკო დედასთან შევიდა, მძიმე ავადმყოფთან მივდივარ პანკისისკენო, შეიძლება თიკოც წამოვიყვანოვო, შენ ნუ დაგველოდები, ალბათ, გვიანობამდე ვერ მოვალთო. ხომ არაფერი მივუმატო სადილსო, თინათინმა, რაკი თიკოც ჩამოვავო. ნიკო ერთ წამს შეეყოყმანდა. „არა, დედა, შენ არაფრისთვის თავი არ შეინუხო...“

„რა თავ-პირი ჩამოგტირის, ჩემო ბიჭო?“ შეფიქრიანდა თინათინი. „არაფერია, არაფერი, მე წავედი, დედა, საავადმყოფოში შევალ ცოტა ხნით, ავადმყოფებს დავხედავ და...“ კაბინეტში რომ გამოვიდა, ოთარს ჰკითხა თიკო როგორ არისო, ნულარ იტყვითო, თიკოც, ლიზიკოც ცხარე ცრემლით დასტირიაო.“ საათნახევრის შემდეგ ისინი უკვე მიფრინავდნენ კახეთის მთებისკენ.

მოხუცი ელო დარბაზში მაგიდასთან იჯდა და თავის გარდაცვლილ შვილს წერილს წერდა:

„ვახტანგ ბიჭო, ჩემო ბიჭანჭურო, გენაცვალოს დედა, თავს შემოგველოს, უნდა მაპატიო, რომ ამდენი ხანი ვერ გამოგიგზავნე სიმები, სანდო ვერავინ შევიგულე და იმიტომ დაგიგვიანე... ჩვენიანები ხომ სულ წამოვიდნენ, დიდი ხანია... როცა მგზავრები მყავდა, შენ ჩემთვის სიმები არ გითხოვია, რაც სიმებსა მთხოვ კიდეც, სანდო ველარავინ ვნახე, არადა, როგორ დამიძახე ნუხელაც, სწორედ ჩვენი ბურჯიდან ჩამომესმა შენი ხმა, „დედი, ძალიან მომწყინდა ჩემი მანდოლინის გარეშეო, სიმები სულ დაუნყვდაო, მედიატორებიც სულ დამემტვრაო, როცა წამოხვალ, წამომიღე სიმებიო, მეძახდი, მედიატორებიც გამომიყოლე, თორემ ველარ დავუტკავ და რალა მეშველებაო...“ მოხუცმა ელომ მწუხა-

\*დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.





რედ გაარაცრავა თავი, თავისმავე დაწერილ-  
მა სიტყვებმა იმოქმედა, ფანქარი დადო, წა-  
მოდგა, ტახტიდან მუთაქა აიღო, მოიტანა და  
სკამის საზურგესთან ააყუდა. დაჯდომისას  
პირდაპირ მიეყრდნო მუთაქას და ზურგსა და  
მხრებს შვება მისცა, ადვილად ეღლებოდა  
ზურგიცა და მხრებიც; მით უმეტეს, წერის  
დროს, ფანქარს წვერი გაუსინჯა, გადადო,  
მეორე აიღო, კოხინორის შავი, უფრო რბილი  
ფანქარი, და თავის დაუვინყარ ვახტანგთან  
წერილის წერა განაგრძო: „მუხლის ჩოქითა  
გთხოვ პატივას, გენაცვალოს დედა, რომ მე  
ჯერ ვერ წამოვალ, ჯერჯერობით აქა ვარ  
საჭირო, მეტად საჭირო, მით უმეტეს, ძა-  
ლიან კარგი მგზავრი მოდის და იმას უნდა  
გამოვცათანო შენთან წერილიცა და რასაცა  
მთხოვდი, ისიც. მერე რა საუკეთესო სიმები,  
ვთხოვე თუ არა, ზაურმა იყიდა და მომიტანა,  
ავსტრიულიაო, და თავის დღეში აღარ და-  
უწყდებაო, ისეთი ხარისხისააო, თქვენ არხეი-  
ნად იყავითო, თან სიცილით დაამატა: გული  
მიგრძნობს, მგზავრიც კარგი გამოვიჩნდება-  
თო. მართლა კი უგრძნო გულმა, ჩემო ტა-  
ტო, შალვა მოდის, ჩვენი შალვა, ჰოდა, დიდ  
კონვერტში ჩავდებ წერილთან ერთად სიმებს  
და სოსლანს გავატან, რა ექნა, მუხლებმა მიმ-  
ტყუნა და ვერც პანაშვიდზე წავალ, ვერც  
დასაფლავებაზე. სახლში კიდევ არა მიშავს  
და გავცდები თუ არა ჩვენი ალყაფის კარს,  
შემეხუთება, შემეხუთება, მაშინათვე შემე-  
ბორკება მოძრაობა. თორემ ვის ეკუთვნის  
ჩვენგან პატივის მიგება, თუ არა შალვას. რა  
ვიცი, სალსალამათი კაცი რა სულელურად გა-  
მოესალმა ნუთისოფელს, თავის სიცოცხლეში  
არ უნადირნია და რალა ეხლა მოინდომა წა-  
დრობა, ამ ასაკში, ვერ გამიგია, თოფი გა-  
უვარდა და იქვე მოკლაო, წელან ბიჭია იყო  
აქა, ზაურის ნახვა უნდოდა და იმან მითხრა,..  
ეჰ, ყველაფერი ხდება... რა ვუყოთ, ნეტავ  
შენც აქამდე გეცოცხლა და ეგ მოურჩენელი  
არ შეგყროდა, ეხლა წასულიყავი სანადიროდ  
და ვაი, შენს დედას... შალვამ კი, ღმერთმა  
აპატიოს, ამ გაზაფხულზე ძალიან მანყენინა,  
რო გაჯიქდა და სახლის განახლებაზე ზაურს  
ქალაღდზე ხელი არ მოუწერა. სახლი კიდევ  
ხომ სულიერი არსებასავით არის, სულ მი-  
ხედვას საჭიროებს, ამას გააკეთებ, ის გაფუჭ-  
დება. ეს კრამიტებიო, ეს კავებიო, ეს კოჭე-  
ბიო, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო,  
შენც ხომ იცი; რო დამიძახებდი ხოლმე: შენ-  
მა დარდმა სამარიდან წამომავდოვო, აღარა  
გაქვს სადარდებელი, ჩემო ვატატუნა, აღარ,  
შემოგველოს დედაშენი, აღარც ანვიმს ჩვენს  
სახლს, აღარც ათოვს, და ქარებიც ასერიგად  
ვეღარ მაშინებს. ზაურმა მახარა დღესა, დეი-  
და ელო, თქვენი სახლი სასახლედ უნდა ვაქ-  
ციოვო. ვისაც ულოცია, თქვენი სახლისთვის  
ულოციაო. ყოჩაღია, ყოჩაღია, მეტი რომ არ

შეიძლება, რა სანიმუშო მარმარილო დაგადაო,  
რისი ღირსიც იყავი ჩემო ბიჭო, ისეთი დი-  
დი ლოდი, და შენს გვერდით ჩემი საფლავიც  
ასევე გამიკეთა, რომ იცოდე, წარწერითაც;  
გვარი, სახელი და დაბადების წელი, გარდაც-  
ვლებისა კი ჩემს შემდეგ დაინერება. მაგ-  
რამ, როგორც ვითხარი, ჩემო ტატო, მე ჯერ  
ვერ წამოვალ, პატარა ბიჭი მყავს მისახედი,  
შენი სახისა და შენი სახელისა, მე ბებიად  
ჩამწერეს და მართლა, ისე ვუყვარვარ, თით-  
ქოს შენი შვილი იყოს, აღარ ამოვიფშრუკე-  
ბით, აღარ აღმოვიფხვრებთ, აღარ! ვაიმე,  
როგორ მეტანჯებოდა გული, ეგრე როგორ  
უნდა გადავშენდეთ მეთქი, ყველა უბედურე-  
ბამ რად მოიცალა ჩვენი სახლისათვის მეთ-  
ქი, რუსების ჩამოხინცვამაცა და, ლეკებმაცა  
და, აჯანყებებმაცა და... ბოლშევიკებმა ხომ  
სულ გადაგვითავეს... ომები, ომები, ომები...  
რა შენი საქმე იყო ფინელები და გერმანე-  
ლები, ცოტა იბრძოლეს ჩვენმა მამა-პაპამ,  
ცოტა სისხლი დაღვარეს, რომ შენთვისაც,  
ჩემო სულისდგამავ, ცუდუბრალოდ თოფი არ  
მოეჩრჩებინათ და ცხრა მთას იქით არ გაეგ-  
დე საბრძოლველად. მე შენ გეტყვი, ჩვენს  
მინა-წყალს იცავდი; შეენ, ასეთი მუსიკოსი,  
საფლავიდანაც სიმებს რო მთხოვ, რა შენი  
საქმე იყო თოფის სროლა, და აკი არც იყო,  
მე არავინ მომიკლავს, დედიო, მეუბნებოდი,  
სულ ჰაერში ვისროდიო... ამას წინებზე, მთვა-  
რიანი ღამით რომ გამომეცხადე, შენისთანა  
კეთილ სულებს თურმე მთვარიანი ღამე უყ-  
ვართ... ჩვენი ბურჯის თავზე იყო დაბრძა-  
ნებული ბადრი მთვარე... ძილი გამიკრთა...  
დღისით ვთვლემ ხოლმე სავარძელში, ღამე  
ხშირად მიკრთება ძილი... ჰოდა, მთვარის შუ-  
ქით იყო განათებული აივნის ფილაქანი, მთვა-  
რის ათინათი თითქოს რალაც იღუმალებითა  
და მოლოდინით იყო სავსე, და, სწორედ ამ  
დროს ჩრდილივით რალაც მოადგა სწორედ  
ჩემი ფანჯრების პირდაპირ, დიდ სვეტს...  
ლოგინში წამოვჯექი, გავითანგე, მაშინვე ვიგ-  
რძენი, რომ შენი ჩრდილი იყო და გიხილე  
კიდევ, შენი ჭირიმე,.. ღმერთო, რა ბედნიერი  
ვიქნებოდი, გამომშრალი პატრურქივით ცეცხ-  
ლი მომიკიდებოდა და შენს წინ დავნთებული-  
ყავი... ისე შემოგყურებდი, ისე, ვერ გაშორებ-  
დი თვალსა, ნეტა თუ შევირხეოდი, ნეტა თუ  
გადავიღლებოდი ასე მოკუნტული ჯდომითა  
და შენი ყურებით... აგრე მგონია, შემეძლო  
სიკვდილამდე ვმჯდარიყავი გაუნძრევლად და  
შენთვის მეყურებინა... შენ ისევ ის კოსტუმი  
გეცვა, ისევ ის თეთრი პერანგი... გიყურებ-  
დი და სიხარულის ცრემლები ჩამომდიოდა  
ლაპალუპით... ჩემს გამომშრალსა და გამოფი-  
ტულ სულსა, ხმელი ფოთოლივით რომ შარი-  
ტურობს ჩემში, იზზარება და იფშვნება, და  
გამხმარ ყუნწზე გამომშრული ძლივსლა იჭერს  
თავსა, სადაცაა ჩამომწყდება, გაფრინდება,



დამტოვებს... იმ ღამეს კი სიხარულის ცრემლები ალტობდა და ანედლებდა, ჩემო ტატო, მაპატიე, ხელები აღარ მემორჩილება, ხომ გახსოვს, ისე გავასწორებდი ას რვეულს, სამი კლასისას, ხელი არ დამეღლებოდა, შენც ხო გვერდით მეჯექი ხოლმე და ან გაკვეთილებს სწავლობდი, ან კითხულობდი... ეხლა კი რამდენი ხანი ვუნდები ერთი გვერდის დაწერას... უნდა მოგიბოდიშო, რომ მელნით ველარა ვწერ, ხელი რო ამიკანკალდება, დამედლაბნება ხოლმე, ფანქრით კი თითქოს ცოტა ვაჩერებ კანკალსა, მაგრამ მაჯა ისე მელდება, ბევრის წერა, თუ არ დავასვენე, არ შემიძლიან, რას ვიზამ, старость не радость, а большая гадость..."

მოსუცმა ელომ ფანქარი დადო, მაგიდის კიდეს დაეყრდნო და წამოდგა, მუხლი გაშალა, ვახტანგის პორტრეტთან მივიდა, მალალი, ვინრო დასადგარიდან ლარნაკი აიღო ჩამოქცნარი წამბახებით, აივნის ბოლოს, სამზარეულოში გავიდა, დამქცნარი ყვავილები სანაგვე ყუთში ჩაყარა, ლარნაკი გამორეცხა, წყალი ჩაასხა, გამოიტანა აივანზე, დარბაზის წინ, ტახტზე დადგა და ეზოში ჩავიდა... იქვე, კიბესთან ჩაის ვარდი ყვაოდა... ბურჯთან მივიდა და ბაღს გახედა: „იგნატ! იგნატ!“ დაიძახა.

ბაღის ბილიკზე იგნატი მოდიოდა, ცალ ხელში მომცრო კალათა ეჭირა, მეორეში კი ხილით თავაბმული ბადია. „Елена Евстафьевна, посмотрите, какие помидоры, сколько набрал“. და პამიდვრით სავსე კალათა ელოს ფეხებთან დადგა. ბადია კი გულაბითა და ხომარდულით აეგსო. „Игнат дорогой, ты просто молодец... пожалуйста, отрежь мне три бутона“. — ჩაის ვარდზე მიუთითა. მერე დიდებული ბუტონები, მოვარდისფრო, ოდნავ გაშლილი, ლარნაკში ჩადო, ვახტანგის პორტრეტთან დადგა და თვითონ ისევ წერილს მიუბრუნდა: „ჩემო ბიჭო, ცოტა შევისვენე, ქვევით, ბაღში ჩავედი... ბალი და რა ბალი? ჩემი მამამთილის შემდეგ, ის ხომ იყო ученый агроном, მონპელიეში ჰქონდა სწავლა გათავებული, ყოველ ხესა და ბუჩქს დაჰკანკალებდა, ხეივანს ხომ ნულარ იტყვი, სამწუხაროდ შენ არ მოგსწრებია, ჩვენი ხეივნის სანახავად მოდიოდნენ, — ჩვენი ბალი, ასეთი მოვლილი და წარმტაცი, აღარ ყოფილა... ეს იგნატი, ზაურის სიმამრი, აუნწონავი ოქროს, მთელი დღე რომ ბაღში იტრიალოს, არც დაიღლება, არც მოსწყინდება, ისეთი ხელგამომავალია, მეტი რომ არ შეიძლება, აქაურობა ნაირფრადა ღალანებს... შენ რომ ხომარდული გიყვარდა, გენაცვალოს დედა, აღარ ინახებოდა, ისეთი დაჩიავებული და ტოტებშემხმარი იყო, ამ იგნატმა კიდევ ტყის მიწა ჩამოიტანა, ძირი გაუფხვიერა და დააყარა, კარგად გასხლა, რწყვა არ დააკლო და ააღორძინა, ისე ასხია, ისე გაიგიჟა თავი,

გეგონება ქვიშა შეაყარესო. პატარა ბიჭსაც ძალიან უყვარს, ეხლა თეთრწყლებში ჰყავს ელას წაყვანილი ჰაერის გამოსაცვლელად და უთუოდ უნდა გავუგზავნო. დაე შენც წინ დაგხვდეს, შენ შემოგველე. ამ პატარა ბიჭმა, შენმა ფერულამ, ნეტავ იცოდე, როგორ გამომაკეთა, როგორ გადამახალისა, თითქოს ძალიან მომემატა, და შენ გამოგებ. შენ ხომ ყოველთვის ყველაფერი გესმოდა, შენ ხომ გაგებული იყავი ბავშვობიდან, მინდა ახელი კბილით დავიჭირო, ცოტა კიდევ ვცოცნდო, ერთი რომ ჩემნაირად ვინდა მოგიფორმებს, ვინდა გიტირებს, ვინდა ილოცებს შენა სულისთვის, ვინდა აგინთებს სანთელს... ღოღო! ზაურმა ყური რომ მოჰკრა ჩემს ჩვილს, მთელი გულით დამამიედა, როცა დრო შოვა, ჩვენ ყველაფერს გაგიკეთებთ თქვენც და თქვენს გარდაცვლილ შვილსაცო, მაგრამ ჯერ ჩვენგან წასვლის უფლებას არ გაძლევთო; დეიდა ელო, ხომ ხედავთო, ელაცა და იგნატიც უბრალო, კარგი ადამიანები არიანო, მაგრამ თქვენამდე ბევრი უკლიათო, და მე მინდა ჩემს პატარა ბიჭს ამავე დასდოთო, თქვენი ოჯახისა მოეცხოსო, აგერ როგორ უყვარხართო, თეთრწყლებში რო ავალ, სულ იმას მეუბნება, ბებო ელო მომენატრაო... მეც მინდა შენ შემოგვევლოს დედაშენი და სანთლად დაგედოს, ამ პატარა ბიჭს შენი სული ჩავბერო, შენ დაგამსგავსო, შენი მანდოლინა დავაჭერიწო ხელში... გონიერი ბავშვია, გულისყურიაწნი, თუ რაიმეს უამბობ, მაშინვე დასცქვიტავს ყურებს და მოგაპყრობს თავის მშვენიერ თავლებს, თან რა მოსიყვარულე, საკვირველიც კია ასეთი პატარა ბავშვისაგან“.

„...ტატო, ჩემო სანატრელო, რომ იცოდე, რა დამემართა, თვალები ამიჭრელდა, თავი ჩამომივარდა, ფანქარი ხელიდან გამივარდა და არ ვიცი გაბრუებული ვიყავი თუ ჩაჭთვლიმა, ხმა შემომესმა... ღმერთო ჩემო, შალვას ხმა... ისეთი მყლერი... პირდაპირ ყურში შემესმოდა Мне ведомы начала и концы... И жизнь после конца... როდინდელი ამომიტოვებდა, შენ რომ გიკითხავდა შალვა ამ ელკვას, და იმ სიტყვებზე Меня, как реку, Суровая эпоха повернула, შენ ამბობდი, ეს ჩემზე ნათქვამიო... შალვა კი რა სანიმუშოდ კითხულობდა... სწორედ ის კილო ჩამესმა... თქვ, შალვა, შალვა, არ ვიცი ღმერთმანი რა წერამ აიტანა! რამდენი სიკეთე მახსოვს მაგათვან?! მეფე ერეკლეს გრაფიკული პორტრეტი რომ გექონდა, ძველთაძველი, ბებიაჩემის ნამზიითვი, შენ გაემაცებოდა ის სურათი, ბავშვობიდან იყავი შეთვისებული და ვინმე თუ შეგეკითხებოდა, ვისი სურათიაო, იმავე წუთს შესძახებდი შენი მოჭიკჭიკე ხმითა, მეფე ერეკლესიო. შენ ავად რომ მყავდი და გაგვიჭირდა,



ხომ გახსოვს, შალვამ მუზეუმისთვის იყიდა, კარგი ფასიც გადაგვიხადა, მერეღა გავიგე, თურმე თავისი ფულით უყიდა, თანაც, რომ წარმოიდგინა შენ გული დაგწყებოდა, სულ ის იძახა: იყოს და მერე წავიღებო, მუზეუმში ჯერ ადგილი არა გვაქვსო. შენს შემდეგ-ღა გავუგზავნე. მერე კიდევ, დიდ-ფირუზიანი გულსაბნევი რომ მქონდა, бeдный Вамex из Тавриза привeз большую бирюзу, окантованную золотом, არ მინდა უცხო ხელში ჩავარდეს და შენ იყიდე მეთქი, ლელიკოს ვთხოვე, იყიდა კიი, მაგრამ ელენობა რომ მოვიდა, შალვამა და ლელიკომ იმ ჩემეული ფირუზით მომილოცეს. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი გითხრა, გენაცვალოს დედა, შენ თქმა კი არ გჭირდება, მაგრამ... უნდა კარგად შეეგებო მანდ შალვას, როგორი გულითაც იყავი, ისე... წელან ზაურიც მოვიდა და დამპირდა: „დეიდა ელო, თქვენი სახელით შევუკვეთავ ძვირფას გვირგვინსო და წერილთანა და სიმებთან ერთად გაატანეთ ან სოსლანს, ან ბორიასო. ის კარგი კაცი ნამდვილად იმსახურებს სათანადო პატივისცემასო“, ისე რომ, სამ-ოთხ დღეში შენი სურვილი ასრულდება, მე კი ისევ დავუნყებ ცდას მთვარის ავსებას, შენისთანა კეთილ სულებს ხომ მთვარიანი ლამეები უყვართ... ჩემო მუდმივად საფიქრებლო შვილო, ტატო, ტატო, ტატო... შემოგვევლოს დედაშენი.

ნიკომ თუმცა კი დაუბარა დედას, დაისვენე და არაფერი გააკეთოო, ლამის სახლს არ იყო გაცილებული, რომ თინათინი ქადის თადარიგს შეუდგა: ერბო და ფქვილი აფშრუჟა, მარილი მოაყარა და ტაფით ჩანეულ გაზზე დადგა მოსაშუშად. თიკოს უყვარდა უტკბილო ქადა, ცოტა მარილითა და მიხაკით, მერე თავლს შეატანდა და ამაზე გემრიელი არაფერიო, იტყოდა. გახარებული იყო თინათინი, თიკო დაბრუნდება დღეს მთიდან და ვასიამოვნებო. მერე კვერცხები გატეხა, გოგლიმოგლი გააკეთა, მანონი დაუმატა და საქადე ცომის მოხელას შეუდგა. სპილენძის ავანდასტაში მიხაკი დანაყა, ქადისგულს მოაყარა, გაზი გამოთიშა, ცომი მაცივარში შედგა და თიკოს ოთახისკენ გასწია, ქვეშაგებს გავუმზეურებო... პლედი და ბალიში დიდ აივანზე გაიტანა, მოაჯირზე, მზის გულზე გადაფინა, ბალიშიც იქვე სვეტთან მიაყუდა და ნაალის გამოსატანად შებრუნდა,.. სავარძელსა და სანოლს შორის, იატაკზე რაღაც ქალღდეები შენიშნა, მარაოსავით გაშლილი, რამდენიმე რვეულის ფურცელი იდო, თავში, კიდებზე სამაგრით,.. თინათინი სავარძელში ჩაჯდა,

ქალღდეებს გადასწვდა, აილო და დახედა... „ჩემი თიკოს ნანერი... ეტყობა ლოგინში კითხულობდა და დაუვარდაო...“ გაიფიქრა და ახლომხედველების დარად თვალებთან მიიტანა ნანერი, ნაიკითხა თუ არა სათაური „მეფე ერეკლეს სიკვდილი და დატირება“, მაშინვე დაინტერესდა, ხუსხუსით გაიტანა ნაალი, ისიც მოაჯირზე გადაფინა, მაშინვე დაბრუნდა, ჩაჯდა სავარძელში და დიდი გულმოდგინებით შეუდგა კითხვას...

„ყრუ გუგუნი ისმოდა... მეფის სენაკამდე აღწევდა... ბატონის ციხის წინ, მოედანზე დაჩოქილი ხალხი ლოცულობდა, მსუბუქი ყოფილიყო მეფის უკანასკნელი ბრძოლა საკუთარ სულთან... მეფის ყურთასმენას კი სწვდებოდა ეს გუგუნი და ბრძოლისთვის შეკრებილი ჯარის ხმად ესმოდა... იკრიბებოდა ჯარი, იკრიბებოდა ყოველი მხრიდან... სადაც არის გამოაბრძანებდნენ დიდ ჯვარს და კათალიკოსი ბრძოლის წინ დალოცავდა მებრძოლებს... ოოო, როგორ უნდა დააჯილდოვოს თავისი მკურნალები, კობიაშვილიცა და თურმანიძეც, მოიკლეს თავი, რალა არ გაუკეთეს, რა ნაყენი აღარ ასვეს, რა მალამოთი აღარ დაზილეს და დაუცხრეს სტომაქი... გაუყურეს ტკივილები... სწორედ გუშინდელი ზიარების შემდეგ, მას შემდეგ, რაც გამოეთხოვა მზეს... გამოეთხოვა წყალს... გამოეთხოვა პურს... გამოეთხოვა თავისიანებს... და ვერ გამოეთხოვა ქვეყანას... რადგან არც უნდა გამოსთხოვებოდა... იმიტომ რომ უნდა იბრძოლოს... როგორც მთელი სიცოცხლე იბრძოდა... არა აქვს უფლება არ იბრძოლოს... ის უმონყალო ტკივილები, ის მტანჯველი მარნუხები, გულ-ღვიძლს რომ უგლეჯდნენ, დღედაღამ ევედრებოდა უფალს: დაე, ეს იყოს ჩემი ქვეყნის სატკივარი, და მაშინ მომივლინე კიდევ მეტი ტანჯვა, რომ თან წავიღო, რომ ჩემი ტანჯვითაც ვუშველო ჩემს ქვეყანასო... და აი, აღარც არაფერი სტკივა და ჯარიც იკრიბება... წუხელ ლამისმთევლად არავინ ისურვა თედოს მეტი, კუთხეში მთელი ლამე ჩოქზე იდგა, ადგებოდა, დიდ ბატონს ტილოთი ოფლს მოსწმენდდა, ჭირის ოფლს, და ისევ დაიწყებდა ლოცვას ღვთისმშობლის ხატთან: „მამაო ზეცათაო, ღმერთო შეგვიწყალებ ჩვენ... ძეო მაცხოვარო უფლისაო, შეგვიწყალებ ჩვენ... სულო წმიდაო, ღმერთო, შეგვიწყალებ ჩვენ...“ ჩუმად, ჩუმად პუტუნებდა, ხმამ არ შეაწუხოს მომაკვდავიო, პირიქით კი იყო, თედოს პუტუნი და უზარმაზარი, კრიალა მთვარე, თვალს რომ გაახელდა და სანოლის მოპირდაპირე სარკმლიდან დაინახავდა, თითქოს შვებას გვრიდა, ერთი თალია კიდევაც ჩასთვლიმა, და კიდევ კარგი,



დედა ნახა,.. ახალგაზრდა და მშვენიერი იყო, და თვითონაც პატარა ბიჭი იყო, მოკლე ქულაჯა ეცვა და პატარა ხანჯალი ეკიდა, ალავერდში იყვნენ და დედა ეუბნებოდა „შესთხოვე ირაკლი, ალავერდის წმინდა გიორგი მორჩმული და ძლიერია, შეგისრულებს თხოვნას, უთუოდ შეგისრულებს...“ და ლოცულობდა, ლოცულობდა, ააპყრობდა თვალს წმინდანს, რომელსაც თავზე დიდი მთვარე ედგა შარავანდედივით, მერე დახრიდა თავს, გულზე მიიჭობდა ხელებს და ჩუმად, ჩუმად, რომ არ გაბნეულიყო მისი ხმა და მისი ვედრება, ლოცულობდა“. რა შესთხოვე წმინდა გიორგის, ირაკლი?“ ეკითხება დედა. „ბატონო დედა, შევთხოვე, როგორც მეფე დავითს „მოსცა ჟამი ღმერთმან“, ასევე მეც მომცეს ჟამი გადამწყვეტი ბრძოლისთვის“. შენ ხომ ჯერ ყმანვილი ხარ, ჩემო ირაკლი“, ეუბნება დედა, მხრებზე ხვევს ხელს და გულზე მიიკრავს... და ეღვიძება, და ისევ ესმის „ჭურო ზემთა აღმადგინებელთაო, მეოხ გვეყავ ჩვენ“... მთვარე კი გადასულა, აღარ ჩანს, თენდება და ჯარის გუგუნიც ძლიერდება... მოუხმობენ, მოუხმობენ საბრძოლად... ხმა სულ აღარ ჰქონდა და ხმაც დაუბრუნდა, „თედო, შემოსეთ ბრძოლისთვის... ხომ გესმის, ჯარი უკვე შეიყარა, ჩემს გასვლას ელიან“...

„დიდო ბატონო, თქვენი ჭირიმე, ცოტა მოიცადეთ, გამომჯობინდით და ისე“...

„წვრილთვალა რკინის პერანგი, თედო!“

თედოს მოაქვს წვრილთვალა რკინის პერანგი, გულში კი კენესის: ვაიმე, ვაიმეო, როგორ დაეხინდა დიდ ბატონს გონებაო...

„ჩემი ხმალი, თედო, და ხანჯალიც, თედო!!“

თედოს მოქვს ხმალი და ხანჯალი და სანოლის კიდეზე, გვერდით დაუდებს.

„ჩემი საბრძოლო ცხენი შემეკაზმონ, თედო!“

„თქვენი ცხენი დიდი ხანია შეკაზმულია, დიდო ბატონო...“

მეფე ხმალს მოკიდებს ხელს, წამოიწევს ქვეშაგებში, ძალას მოიკრებს, უკანასკნელ ძალას, მთელი ხმით შესძახებს: „გვეკვეთოთ მტერსა!!“ იქვე გადაეშვება სასათუმალზე და სულს დაღვეს.

... აქუსხეს ზარბაზანი საზარბაზნე ბურჯიდან. რეკდნენ მწუხრის ზარები, რიგრიგობით და შეუნყვეტლად ყველა ეკლესიიდან, დაგზავნეს გზირები და მაცნეები და ყოველი მხრიდან ხალხმა იწყო დენა, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ბატონის ციხისაკენ. მოდიოდნენ გაღმიდან, გამოღმიდან, ქვემო სოფლებიდან, ზემო სოფლებიდან, სხვა კუთხეებიდან,

ტირილით და ქუხილით, მთელი ქვეყანა იყო ერეკლე მეფის ჭირისუფალი, ისმოდა ხმა გოდებისა მეფის გამო და ქვეყნის გამო, რომ ერეკლეს სიკვდილით ჩაესვენა მზე საქართველოსი და ვინ იცის როდის აღმოხდებოდა.

ამ გულისთქმით იყო სავსე ყველა და კიდევ იმიტომ განსაკუთრებით იგლოვდნენ ერეკლეს სიკვდილს, ქვეყანა დარდმა და ვაებამ მოიცვა, საითაც გაიხედავდით, ყველას ცრემლი სდიოდა, და უმტირალს ვერავის ნახავდით.

ეკლესია-მონასტრის წინამძღვრები გარდაცვლილ მეფეს პანაშვიდებს პანაშვიდებზე უხდიდნენ, მგალობელთა გუნდები უგალობდნენ სულთათანას, მედავითნეები კი მთელი ღამეები უკითხავდნენ ფსალუმნებს... მგლოვიარე ხმით იგრავინა სოლომონ ლიონიძემ, ცის ქუხილს ჰგავდა იმის შეცხადება... დაიჩოქებდა კუბოს წინ, წამოდგებოდა, ეამბორებოდა სუდარას, ხელებს ალაპყრობდა ეკლესიის გუმბათისკენ და იწყებდა გულმდღუღარე მოთქმას, ცას სწვდებოდა მისი ტირილი, და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ექო ამ მჭევრი დატირებისა გადასწვდებოდა მომავალ თაობებს, მომავალ საქართველოს...

წაიკითხეს სამძიმრის წერილი გაენათელი მიტროპოლიტის ევთიმესი: „მლოცველი მარად თქვენისა სიმაღლისა, გაენათელი მიტროპოლიტი ევთიმე... მდღუღარითა ცრემლითა ტახტისა თქვენისა იატაკს დავალტობ და საღმობიერსა საზარსა ხმასა შიშით წინაშე თქვენსა განვაცხადებ: პოიმე, სად მიგვეფარა დიდება ყოვლისა ეკლესიისა? ჰოიმე, ვინ მიგვეტაცა კრებულთა ეკლესიისათა შემოსეული, მზრდელი, მსწავლული, და მონყალე? ვაშა ვაიმე, სად დაჭნა სიბრძნე და მეცნიერება მისი, რომლითაც აქამდე ყოველი ქვეყანა იცვებოდა? სად დასრულდა ეკლესიისა ებან-ქნარი? სად დახდა უნუგემოთა ნუგეში, ობოლთა მამა, უსასოოთა სასო, მწუხარეთა შემნე და ჭირვეულთა ხელის ამპყრობი?... ამისთვის ცეცხლი მიაღებს გონებასა და აღტყინებულთა გონებითა იესოს ღმერთსა ვევედრები ყოველს ლოცვასა შინა, უკეთუ ჩვენ მისითა მიცილებითა დავგლახაკდით, მას მაშინც მისცეს სუფევა დაუღვენელი...“

დედოფალმა დარეჯანმა მოისურვა თავისი ძვირფასი ერეკლესთვის მეგრული ნანა ეგალობათ, „ჩემს ირაკლის ძალიან უყვარდა მეგრული ნანა, მე ვუმღერებდი ხოლმე, მეტადრე მძიმე ჭრილობების დროს და სულ იმას მეუბნებოდა, თურმანიძის მალამოებზე ნაკლებად კი არ მიშუშებს ჭრილობებს შენი ნანაო. ჰოდა, ჩემო თედო,“ მიუბრუნდა დედოფალი



თედოს, ერეკლეს თანშეზრდილ მსახურს, ვის ხელშიაც მეფემ სული დალია, „გადაეცი შენს შვილიშვილს, ირაკლის საყვარელ ნათლულს, ციურის, უბნის ქალებს, როსტომიანთ რძალს ირინეს, თავისი თამთათი, პაატანთ ნინოს, ზაალიანთ მარიამს, გაისარჯნენ, კარგად შემღერდნენ და სანამ სამეგრელოდან ჩემიანები მოვლენ, უგალობონ თავის მეფეს მეგრული ნანა. შენ ხომ იცი, თედო, ისე წავიდოდა ჩემი ირაკლი ბრძოლასა და შეტაკებებში, და მობრუნდებოდა უმეტესწილად გამარჯვებული, ლხინს არც როდის არ მოისურვებდა, მე თუ ყოველ ბრძოლას ლხინი დავურთე, სად არის ამდენი ლხინის დრო ან სახსარიო... ამ წლინახევრის წინ კი, საბუიდან რო მობრუნდით, ვინ იცის, გრძობდა, ეს მზაკვარი ავადობა ეპარებოდა, ლხინი ინება, მაშინ ხომ ყველანი იყვნენ და ხომ გახსოვს, ციურიმაცა და უბნის ქალებმაც რა დიდებულად იგალობეს, მომღერალ კაცებს ტოლი არ დაუდეს, მომბრუნდა ირაკლი და მთხოვა, ასწავლე, დარეჯან, ამ კარგ ქალებს მეგრული ნანაო... ეხლა მეტად მსურს, რომ ის ნასწავლი კარგად გაიმეორონ და სხვა საგალობლებთან ერთად უპირველესად მეგრული ნანა უგალობონ ჩემს ირაკლის...“

„უგალობებენ მაშ, როგორ არ უგალობენ...“ ტირილის ხმაზე თქვა თედომ, „გალობა კი არა, სიცოცხლის თხოვნა რო შეიძლება, ბატონო დარეჯან, მთელ ქვეყანას შემოვივლიდნენ და კალთით ჩამოითხოვდნენ სიცოცხლეს თავისი მეფისთვის...“ და თედომ დიდი ხელსახოცით მოინმინდა თვალს მომდგარი ცრემლი.

ირინემ კი, როსტომიანთ რძალმა, მთავარმა მგალობელმა, ქალებს მოუწოდა: „გული უნდა გავიმაგროთ, ქალებო, ჩვენი გლოვა ჩვენს სიმღერაში უნდა იყოს ჩაბუდებული, და არა ტირილსა და ოხვრაში, ნამეტნავად შენა, გენაცვალოს დედა, თამთა, წარამარა გული რო ამოგიჯდება და მოსთქვამ, შენ იწყებ მეგრულ ნანასა და იცოდე, უზადო უნდა იყოს შენი ხმა, ცრემლმა არ უნდა აგვიკანკალოს, არ უნდა აგითროლოს...“ ციურიმაც ჩაურთო გონიერი სიტყვა: „ქალებო, რაც ჩვენი დიდი ბატონი შეუძლოდ შეიქმნა, ჩემი პაპა თედო, ცრემლებჩამომდინარე, თავში ცემით ამბობდა: ეს დარდი და ვარამია ქვეყნისა, ავადობად რომ ჩაუვარდა ჯანში ჩემს დიდ ბატონს, აგრეც მითხრაო: მივდივარ და ჩემი გაგლეჯილი ქვეყნის დარდი იმ სოფელსაც არ მომასვენებსო... ჰოდა, ქალებო, იმგვარი სულისკვეთებით უნდა ვუგალობოთ ჩვენს დიდ ბატონს მეგრული ნანა, რომ თუ

მისწვდა მის ყურთასმენას, და აგრეთვე ტაძარში მყოფთ დიდსაც და პატარასაც, გულში ჩამწვდომად ვაგრძობინოთ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და განუყოფელი, ამერ-იმერნი!“ — და იგალობეს... ისეთი წმინდა ხმებით... და მართლაც, გულში ჩამწვდომად... და მეგრულ სიტყვებსაც ისეთი უტყუარი კილოთი წარმოთქვამდნენ, თითქოს ენა მეგრულად აუდგამთო... დედოფალს უხმოდ ჩამოსდიოდა ცრემლი... და ყველა უხმოდ იმდულრებოდა... ტიროდა, ტიროდა ცრემლად იღვრებოდა ტირინეც... და სხვათ შორის თვალზე ცრემლი მოადგა თინათინსაც, რომელმაც კითხვას თავი ანება, ჩითის ხალათის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი შეიმშრალა, თან ფიქრობდა: ენაცვალოს ბებო, როგორ ჩაუნერია ჩვენიანებიო, ციურიც, ირაც, მერიცა და ნინოცო, რა იქნებოდა, მეც ჩავენერეო, ბებიდაჩემი სასეირნოდ რომ წამომიყვანდა მოედანზე, ერეკლეს ბურჯებს მოვუახლოვდებოდი თუ არა, მეტყოდა: მიესალმე დიდ პაპასაო, და მეც უთუოდ შევძახებდი: სალამო მშვიდობისა, დიდო პაპა, გვახსოვხარ და გვიყვარხარო! მაგრამ ეს ტირინე ნეტა ვინლააო? ჩვენს წინაპრებში ყოფილა თურმე ეკატერინე, იმპერიის დედოფლისა და ეკატერინე ჭაჭავაძის სამახსოვროდ დაურქმევიათ ეს სახელი და თურმე ტირინეს ეძახდნენ, და, ალბათ, ის თუ არისო... და თინათინი ისევ მიუბრუნდა თავისი შვილიშვილის ნაწერს: „ტიროდა, ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა ტირინეც, ტაძრის კართან ახლოს, ხალხის უკან, კედელთან მიყუყუული ტიტიასთან ერთად... რამდენი ილოცა, მთელი ღამე ჩოქზე იდგა, მუხლები გადაიტყავა, როგორ არ ევედრა ღვთისმშობელ დედას, ჩემი სული მიიბარე, ოღონდ დიდი ბატონი აცოცხლეო, და განა მარტო ღვთისმშობელს? ყველა წმინდანის ხატი მოიარა ჩოქით, იქნებ რომელიმე მათგანმა მაინც შეისმინოს ჩემი მუდარაო, მაგრამ არავინ ინება ცამეტი წლის ტირინეს დაშამათება... ჰოდა, ტიროდა, ტიროდა და ვერ იოხებდა გულსა, როგორც უმრავლესობას მოსამძიმრე ქალებისას, მასაც დატირება ენადა, დიდი ბატონის ხმით დატირება. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ცნობილი მოტირლები, შილდა-საბუის ბანით მოტირალი ქალები, ქვემო სოფლებიდან, ზემო სოფლებიდან, საიდან აღარ, მთელი ქვეყანა დაძრულიყო ერეკლეს დასატირებლად... „ვაიმე, ვაიმე,“ თავის გულს ასკდებოდა ტირინე, „სიცოცხლე ვერ შევწირე და აღარც დავიტოვო, გულამოგლეჯითა და თავში ცემითო, როგორც ჩვენ დიდ ბატონს ეკადრებაო.“ ხოლო, როცა მოისმინა სოლომონ ლიონიდის დატირება, როცა ჩაეჭრა გულში ის



დაუვინყარი ბოლო შეძახილი: „ხელმწიფე, მფლობელო, საზოგადოე მამაე, მეფე ერეკლე! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველისა ტანისა უზომო ტრფიალება? ვის დრომას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკვდე? ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საძრახავად გამწარებულმან!!!“ როცა მოისმინა მეგრული ნანა უზნის ქალებისაგან ისე სანიმუშოდ ნამღერი... როცა მოისმინა და მოისმინა ვისი დატირება აღარ, და განსაკუთრებით ბრძოლებში დაღუპული ბიჭების დედებისა, აიტანა სურვილმა, აიტანა, თვითონაც ხმა გამოეღო... სწორედაც ჩემი მოვალეობაც არის დავიტიროვო, მოუნოდებდა თავსა, არ უნდა შევდრკეთ, ჩვენ ხომ ეხლა ერთნი ვართ, გლოვით გაერთსულებულიო... და ბოლოს ამ სურვილმა და მოვალეობამ გაბედულება შემატა, და ერთი წამით დატირებასა და დატირებას, თუ გალობასა და გალობას შორის სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ხალხში გზა გაიკვლია, მარჯვედ და ყოჩაღად, ჭირისუფლებს, დარეჯან დედოფალსა და ბატონიშვილებს მიუახლოვდა, დაიჩოქა მათ წინ, გულზე მიიჭდო ხელები და ვედრებით უთხრა: „ბატონო დედოფალო, ბატონიშვილებო, მეე ობოლი გლახის გოგო ვარ, იყალთოელი ტირინე, მამა ლეკებმა ამიკუნეს, დედა სახადით მომიკვდა, პაპა ელიზბარაღა მყავს... დიდ ბატონთან იბრძოდა, სანამ ძალა შესწევდა... გული მიდულს, მინდოდა თავი შემეწინინა ჩემი მეფისთვის, მაგრამ ღვთისმშობელმა არ ინება ჩემი სიკვდილი და გთხოვთ ნება მაინც დამართოთ დავიტირო ჩემი დიდი ბატონი.“ და თავისი დაცრემილილი ნორჩი სახე და დაჭყეტილი თვალები მიაპყრო დარეჯან დედოფალს. დედოფალმა ხელი გაუნოდა ტირინეს, დატირებას როგორ დავიშლიო, კარგი გოგო ჩანხარ და უნდა დავასაჩუქროვო, და მეორე ხელი კალთისკენ წაიღო, ტირინემ კი ხელი გაიქნია, რასა ბრძანებთ, დედოფალო, ამაზე დიდი დასაჩუქრება რაღაა, უფლება რომ მომეცით დატირებისაო, წამოდგა მაშინვე, ჭირისუფალს თავი დაუკრა და მეფის კუბოსკენ გაემართა... ბიჭი ტიტია წინმდგომთა შორის გაჰყურებდა ტირინეს და გულაჩუყებული შეჰხაროდა: „ღმერთო, რა კარგია ეს ტირინე და თან რა ვირთამამააო, ნეტავი კი ვიცოდე, ვინ იმსგავსაო.“ ტირინე კი მიუახლოვდა კუბოს, დახედა მეფის გამხდარ, გაყვითლებულ სახეს, ჩონჩხადქცეულ, დაკრეფილ ხელებს, რომელთა შორის ანდერძი იყო ჩადებული, და ისე ამოუჯდა გული, ისე აიტანა შეცხადების გულისთქმამ, თითქოს ახლაღა დაიჯერა ერეკლეს გარდაცვალებაო... ორივე ხელით კუბოს ნაპირს დაეყრდნო, ოდ-

ნავ გადაიხარა მიცვალებულისკენ და დატირება დაიწყო... ყველამ უმატა ტირილს, ყველა ჰკვირვობდა ეს რა ტირილი სცოდნია ამ პატარა გოგოსო, მოტირლებმა ბანი მისცეს ტირინეს და მთელი ტაძარი გლოვის გრგვინვამ მოიცვა... მერე რომ ეკითხებოდნენ ტირინეს, გოგო, ვინ გასწავლა ეგეთი ტირილიო, ჩემი ქვეყნის უბედურებამაო, ასე პასუხობდა ტირინე. ერთი არსად არაფერი შეშლია, არც ხმის კილო, არც სიტყვის მიმოქცევა, არც ესა და არც ისა... და მე, თელავის მუზეუმის თანამშრომელმა თიკომ, ტირინეს დატირება ასე გავლექსე: „ვაიი, რად დააგდე უპატრონოდ შენი მთაბარიი, ნახანჯლარი დაა სისხლით ნაბანი... ვაიი, რად განირე სატიალოოდ ველი ვრცელი, ჭალა და ახოო, ვაიი, რად მოგვიძულე... რად დავგაობლე, რად დავგტოვე ღვთის ანაბარად... ვაი და ვაიი, დიდო ბატონოო, პატარა კახოო..“

ვინ რა პასუხი გასცეს მტერსა, დუშმანსა ჩვენსა, ვაიი... ჯაჭვის პერანგი ვინღა ჩაიცვას, ვაიი... თავს მუზარადი ვინღა დაიდგას ვაიი... თოფ-იარაღი ვინღა აისხას, ვაი... საბრძოლო ცეცხლი ვინღა აღანთოს, ვაიი... დიდების დროშით ვინ გვინინამძღვროს, ვაი ჩვენს თავსა... მეფობაზე ხელი აგიღია, ვაი ჩვენს თავსა... სამეფო კაბა გაგიხდია, ვაი ჩვენს თავსა... ბერის ფლასებით შემოსილხარ, ვაი ჩვენს თავსა... მეფის გვირგვინი დაგიგდია, ვაი ჩვენს თავსა... სამეფო კვერთხი მგზავრის ხელჯოხზე გაგიცვლია, ვაი და ვაი, ვაი, ჩვენს თავსა... და დასდგომიხარ გზას გრძელსა დაუსაბამოს...“

„11 იანვარს 1798 წელს თელავს გარდაიცვალა 80 წლის ერეკლე, — ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავისი დროის მონინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისთვის.“ ნიკო ბერძენიშვილი.

„ჩემი გოგო, ჩემი კარგი გოგო.“ ჩაილაპარაკა თინათინმა და ფურცლები სანერ მაგიდაზე დადო, „წავალ ეხლა ქადას მივხედავო.“ და გაჩქარებული სამზარეულოსკენ გაემურა. თინათინის „კარგი გოგო“ კი თავის მამასთან, ლიზიკოსა და ოთართან ერთად კახეთის მთებიდან მოფრინავდა, მათ სანყალი შალვას ცხედარი მოჰქონდათ. ერთი ფეხით გამოასწრეს, მათი გამოფრენა იყო და ამინდიც ერთბაშად შეიცვალა, ქვევით, ხევში, აქა-იქ ნისლის ფთილები გამოჩნდა... ფთილები გაიშალა და გამთლიანდა, ჯერ ლეჩაქივით შემოევლო ხეებსა და ბუჩქნარს... ერთხანს გაცრიატებული და უცნაური სილუეტები ილანდებოდა... მერე კი ნისლი გასქელდა, ზევითკენ დაიძრა და სულ მალე ცა და ბარი გააერთიანა...“



ორ ნაბიჯზეც აღარ ჩანდა აღარაფერი... ცამ პირი მოხსნა, ხშირი წვიმა წამოვიდა... გადა-  
ულეზლად, გულდაგულ წვიმდა.. თქორმა აავ-  
სო მთა-ბარი... ქისტები ამბობდნენ, შეიძლება  
ხვალვე გამოიდაროს და შეიძლება ორი კვი-  
რაც არ გადაილოსო.

P.S.

„რა შორეული ხარ შენს  
მდუმარებაში, უფალო.“

ნეტარი ავგუსტინე.

1993 წლის დეკემბრის ბოლოს, იმ ტრაგი-  
კული დროისა და იმ სასტიკი გაჭირვების  
ჟამს... როცა ვერაზე, ჩვენს უბანში, სამფეხა  
ძალი დარბოდა, შეიძლება ითქვას, დაგლი-  
ჯინებდა, შიმშილით აწრიალებული, ლუკმის  
ძიებით აბორგებული, ალბათ, გაჭირვებული  
პატრონების მიერ გამოგდებული, დიდი, შავი,  
გრძელბენვა, უმშვენიერესი ძალი, მხოლოდ  
ნაგვის დიდ კასრებთან მოსხლეტით შეჩერდე-  
ბოდა და წინა ორი თათით აებლოტებოდა... ხან-  
დახან კი შორიდანვე იგრძნობდა ამ თავჩაქინ-  
დულ, ერთი ხელის დაკვრით გალატაკებულ  
აღამიანებში ვინ გაიკითხავდა, იგრძნობდა და  
მყისვე შეანელებდა სვლას, თავს ასწევდა, —  
თავის ლამაზ დრუნჩს, და თხოვნიდა და მო-  
ლოდინით სავსე ყავისფერ თვალებს მოგაპყ-  
რობდათ... მეც, ზოგჯერ, წვითა და დავით  
აღებული პური მისთვისაც მომიტეხია.. დავი-  
ნახავდი როგორ მოჰქროდა სოფლის შარად  
ქცეულ, დადუმებულ მელიქიშვილის ქუჩაზე  
და გული შემეკუმშებოდა, ჩვენი თბილისის  
სიმბოლოდ განვიცდიდი, გაციებული და ჩაბ-  
ნელებული, ამ ძალივით აწრიალებული და  
მანც მშვენიერი ჩვენი ქალაქის სიმბოლოდ...  
ჰოდა, როცა... ო, რომ იცოდეთ, რამდენჯერ  
მომინევს წინადადების დაწყება ამ სიტყვით  
„როცა“, სანამ მივალნე უკანასკნელ „როცამ-  
დე“... ჰოდა, როცა ცირამ, ჩემმა საყვარელმა  
რძალმა და მეგობარმა, რაც კი რამ გააჩნდა  
ბრჭყვიალა და მოელვარე, ყველაფერი გაყი-  
და, ანუ ჩალის ფასად მისცა ოჯახის დაპუ-  
რებისთვის, ზურია კი ხვნა-თესვას მიჰყო ხე-  
ლი, და მათი ერთ-ერთი ჩამოსვლისას გულის  
კანკალით ვიკითხე: თელავში რა ხდება-მეთ-  
ქი, და მათ მითხრეს: „რა უნდა ხდებოდეს,  
ხალხი იუყუებო...“ ჰოდა, დეკემბრის ბოლოს,  
ახალი წლის წინა დღეებში, როცა მხოლოდ  
ჰუმანიტარული დახმარების წყალობით, სოი-  
ოს კატლეტის მშრალი, ფხვიერი მასისა და  
ზეთზე შემწვარი კვრების იმედად ვიყავით,  
და ტატანოს ქოთქოთს, ასეთ ახალ წელსაც  
რა ვუთხარიო, სოფიკო ჩვეული სიმშვიდით  
ხვდებოდა და ცდილობდა დაერწმუნებინა,  
რომ სოიოს კატლეტებზე გემრიელი ლამის  
არაფერია დედამინის ზურგზე, იმ უტყუარი

არგუმენტის მოშველიებით, აი, ხომ ხედავ მე  
და ჩერიკოს, ანუ ჩვენს პუდელს, როგორ მოგ-  
ვწონსო, და მოუწოდებდა შეებრალეხინა ის  
აღამიანები, ვისაც ესეც არ ჰქონდა... როცა  
იმ დილასაც, ახალწლის წინა დღეს, ტატანოს  
ოთახში შეყუყულები, ცირას ძენკვის საფასუ-  
რად შეძენილ, საოცნებო მწვანე ნავთქურის  
სიახლოვეს, სითბოთი და პიტნის ჩაით გულ-  
მოცემულები, ჩვენს მწირ საუზმეს შევექცეო-  
დით, ჩერიკომ შეყეფა და კარზეც ზარი დაი-  
რეკა. „მათხოვარი იქნება...“ თქვა ტატანომ,  
და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ნამდვილი  
შემოსევა იყო მათხოვრებისა და ამ დილითაც  
სხვა ვინ უნდა მოსულიყო, ჩვენი ოდინდელი  
მერძევე დიდი ხანია ჩვენთან აღარ დაიარე-  
ბოდა, რძეს ჩვენ აღარ ვღებულობდით და  
მანონს, სოფიკოს გოგოების მოსვლისთვის,  
— სასესიოდ მეცადინებოდნენ, — ადრე იყო,  
და მე და სოფიკოსაც მათხოვარი გვეგონა...  
„გაუტანე ეს ერთი კატლეტი, გაუკითხავს ნუ  
გავუშვებთ ამ ახალწლის წინა დღეს,“ და ტა-  
ტანომ, ორად გაკეცილ ქალაღზე, ჩემი ქა-  
ლადის მარაგიდან, რომელსაც ახლა ხშირად  
ხელსანმენდად ვხმარობდით, კატლეტი დამი-  
დო. ჰოლში გავედი, კარი ცოტა შემოვადე,  
კატლეტიანი ხელი გავიწოდე და... თავი რომ  
ავიღე, სახტად დავრჩი, ჩემს წინ ახალგაზ-  
რდა კაცი იდგა, ლამაზი და მშვენიერი, მუქი  
მწვანე ფულეს გრძელი პალტო ეცვა, მოდის  
მიხედვით, ბენვის საყელოიანი, და ბენვისა-  
ვე ქუდი ეხურა, თავში გამიელვა ცნობილ-  
მა ფრაზამ: „Морозной пылью серебрится его  
нижний воротник“ მერე ხომ ტატანოც ამ-  
ბობდა: კარგადაც ეცვა და სახეზეც ნათელი  
გადასდიოდაო... ახალგაზრდას ორივე ხელში  
დიდი პარკები ეჭირა ცელოფნისა, დაბლაც,  
ფეხებთან მოგრძო, ვინრო ყუთი ედგა.

მე დაბნეული მივაჩერდი ამ ახალგაზრდა  
კაცს, დარწმუნებული იმაში, რომ საახალწლო  
ნობათით რომელიღაც მეზობელთან იყო მო-  
სული და კარი აერია. ახალგაზრდა კი თავს  
მიკრავდა, „გამარჯობათო,“ თქვა ბოლოს,  
„მე თელავიდან გახლავართ, ტატო ორბელიშ-  
ვილი, მამამ გამოგიგზავნათ საახალწლო ნო-  
ბათი...“ და როგორღაც დარცხვენით შემომ-  
ხედა და უხერხულად გაიღიმა. მეც არ ვიცი  
რატომ, ალბათ, სრულიად შეუსაბამოდაც.  
ჩვენი უბნის ძალი გამახსენდა, თითქოს ასე  
შემომხედავდა ხოლმე, პურს რომ მოვუტეხავ-  
დი. თან ეს სიტყვა „გახლავართ“ მომხვდა  
ყურში, თითქოს გარდასული სიტყვა, ახალ-  
გაზრდა კაცისთვის მითუმეტეს. ბავშვობაში,  
ჩვენი თელაველი მეზობელი, პაპა სანდრო,  
ვახვანიშვილი რომ დამინახავდა ჩვენს სა-  
დარბაზოსთან, თავის ბოხოსს მომიხდიდა და





შემომძახებდა: „პატარა ქალს ვახლავართ...“  
 აშკარად ვიგრძენი, რომ ამ „გახლავართ-ვახლავართ“ საიტოვებდაც უნდოდა გავეტყუებინე, მაგრამ მე ნობათთან მქონდა საქმე, რაც იმდენად მოულოდნელი და უცნაური იყო, არ შემეძლო არ მივითხა, და თანაც, გაჭირვების მიუხედავად, აბა, იხტიბარს ხომ არ გავიტყვავდი?!

„მამათქვენმა ჩვენ გამოგვიგზავნა?“

„ღიას, სწორედ თქვენ, პირადად თქვენ... დაა, საქმეც მაქვს თქვენთან...“

„მოზრდანი... მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რატომ უნდა გამოგზავნა?“

„მამამ წესად დაიღო, ამ გაჭირვებაში თელაველ საპატივსაცემო ადამიანებს ახალი წელი მცირეოდენი ნობათით მაინც აღუნიშნოს.“

გუნებაში გამეცინა ჩემი და ჩემისთანების „საპატივცემობის“ გამო, გადატაკებული, ძველმანებში გამობეჭული, თავში ჩაკრული ადამიანები... არ მეგონა, თუ ახალ ქართველებს შეიძლებოდა ჩვენ რაიმედ მივეჩინეთ, მით უმეტეს, ჩვენდა ბედად, ჯერ არ იყო ფეხმოკიდებული და დამკვიდრებული მეორადი ტანსაცმლით იაფი ვაჭრობა, მერე და მერე, შემდეგში ასე რომ დაგვხატა და დაგვამშვენა, მართლა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე.

„მძიმა ეს პარკები და სად გირჩევნიათ მოვათავსო? კარს ნუ დაკეტავთ, ყუთსაც შემოვიტან.“ მე სამზარეულოსკენ გავუძეხი და სამზარეულოს მაგიდა მთლიანად დაფარა ამ პარკებმა. ტატანო და სოფიკო გამოვიდნენ ამბის გასაგებად. მე ბევრჯერ შემიმჩნევია, სიხარული და მწუხარება შეიძლება ერთნაირად იყოს გამოხატული, გამტკნარებითა და მღუმარებით. და სწორედ ასე გამტკნარებული და დაღუმებული მიაჩერდა ტატანო სამზარეულოს მაგიდას და მხოლოდ ერთ-ერთი პარკიდან ამოყოფილი შოთის ნვერების დანახვაზე გზა მისცა უღრმესი ნიალიდან აღმომხდარ სანუკვარ სიტყვას: „შოთის პურები...“ მაგრამ, ცხადია, ხელი არ წაუტანებია, ისევ ისე იდგა და თავის ქნევით დაჰყურებდა დაზვიანულ მაგიდას...

ახალგაზრდამ ყუთიც შემოიტანა, ტატანოს და სოფიკოს ღიმილით მიესალმა, რაღაც თითქოს შინაურულად, და ამის მიზეზი მალეც გავიგეთ...

„აქ სამარკო ღვინოებია,“ თქვა ახალგაზრდამ, „ექვსი ბოთლია, ორი ახაშენი, ორი ქინძმარაული და ორიც თელიანი.“ სასიამოვნო კილო ჰქონდა, ფრაზის დაბოლებებს კახურად არ აგრძელებდა, თავის დაჭერაზეც, მიხრამოხრაზეც ეტყობოდა ზრდილი ახალგაზრდა იყო. მე და სოფიკომ ბურთი და მოედანი ტატანოს დავუთმეთ, ამ მოულოდნელ სიამოვნებას — მას ამოელაგებინა და დაებინავებინა

ნა ყველაფერი, ვერა, ვერ გამოვწირავდით, სოფიკო ტატანოს ოთახში დაბრუნდა, თავისი ებრაულის შტუდირებისთვის, მე და ახალგაზრდა კი დარბაზში გავედით.

„პალტოს გახდას არ გთავაზობთ, რადგან აქ უფრო ცივა, ვიდრე გარეთ.“ ვუთხარი, საპატარაოდ მივუთითე და ჰოლისკენ გავეშურე პალტოს მოსასხმელად. შემოვედი, მის პირდაპირ დავჯექი და შევხედე, მაინტერესებდა რა ჰქონდა სათქმელი... შუქი სახეში სცემდა, მკაფიოდ ვხედავდი გაზიდულ თვალებსა და ძალიან შავ თმას, ფერი შავ-ყვითელი ჰქონდა და გავიფიქრე მეტისს ჰგავს-მეთქი, ჯიშინა და ლამაზ მეტისს... პალტო გაიხსნა და გადინა, მოხალვათდა, შავი ჯინისის შარვალი ეცვა და შავი მოხერის მბალაყელიანი პულოვერი, რაც ძალიან შვენიოდა.

„არც კი ვიცი, საიდან დავინყო,“ თქვა ღიმილით ახალგაზრდამ, „რადგან თელავში, ასე ვთქვათ, სამი ღონისძიება ჩასატარებელი და მამასაცა და მეც გულით გესურს თქვენ აუცილებლად დაესწროთ სამივეს, და მონაწილეობაც მიიღო.“

„მაინცდამაინც ამ ცივ ზამთარში?“

„არა, ზამთარი თქვენ ნუ შეგაშინებთ, და ნურც ტატანოსა და სოფიკოს, მე ჩამოვალ მანქანით და ისევე დაგაბრუნებთ, დარწმუნებული ვარ, თქვენს ძველ სახლში ბუხარი გექნებათ, კუნძებითაც მოგამარაგებთ და გაგიგიზგიზებთ კიდევ.“

მე გაცეცხითა და დაეჭვებით შევხედე, მითუმეტეს ტატანოსი და სოფიკოს ასე შინაურულად ხსენების გამო: „მადლობთ, მაგრამ მე სამუშაო მაქვს და დიდი ხნით არ შემიძლია აქაურობას მოვწყდე. ჩვენ საკმარის დროს ვატარებთ თელავში, ზაფხულსა და შემოდგომას...“ „ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ მდგომარეობამ მოიტანა... მხოლოდ სამი დღით, ჩვენ ვეცადეთ ყველაფერი მიყოლებით ჩატარდეს, ერთი რომ არ გვინდა საპატიო სტუმრების შეწახება... და თანაც, ჩემი საცოლვე გერმანისტია, თხუთმეტ იანვარს ტიუბინგენში უნდა იყოს და მინდა ერთი კვირა მაინც მის გვერდით გავატარო, ახლა არც ერთს დრო არა გვაქვს საქორწინო მოგზაურობისთვის და გადავდეთ ზაფხულისთვის, მამამ თელავში ბანკი გახსნა, მე ვარ ბანკის საქმიანობაში ჩაბმული და ძალიან ვარ დაკავებული.“ „ესე იგი, ერთი ღონისძიება თქვენი ქორწილია?“ „ღიას, და სხვათა შორის, თქვენს ნათესავზე ვქორწინდები, არცთუ ისე შორეულ ნათესავზე.“

„დაიცადეთ, დაიცადეთ, არ მითხრათ, მე მონათესავე ადამიანი ვარ და მინდა თვითონ მივხვდე,“ ვთქვი და ჩემი სიყმანვილიდან თვალწინ დამიდგა პაპაჩემის მომდევო ძმა შიო. პაპაჩემის ძმებიდან ორნი გამოირჩეოდნენ, უფროსი სანდრო, თავისი შესანიშნავი



ხმითა და საუცხოო სიმღერით და შიო, თავისი ჭკუითა და სილამაზით. მასხოვს ვამბობდით ხოლმე „პაპა შიომ ეს თქვა, პაპა შიომ ის თქვაო,“ და სხვათა შორის, სტალინის გარდაცვალებისას ჩვენ, გახარებულებს, პაპა შიომ ცივი წყალი გადაგვასხა, ძალიანაც ნუ დაჰკრავთ დაფა-ზურნასო, „გენაცვათ, რა მიკვირს და გამკვირვებია, მთელ ქვეყანაზე სტალინის მადლიერი კაცი კი არა, ქვა არა გორავდა და აგრე მგონია, ქვასაც კი ცრემლები სცვივაო, ნეტავ კი გამაგებინა, ამოდენა ხალხის ბლავილი რა არის და რისი ნიშანიაო?! აგრე მგონია, კარგს არაფერს მოასწავებს და ამათ როგორც უნირნიათ, ისევე სწირავენო, შეიძლება ალვირი პატარაზე მოუშვანო...“

ჰოდა, პაპა შიოს ოთხი შვილთაშვილი ჰყავდა, დიდად სანდომიანი, კობტა და ნიჭიერი გოგოები. ზაფხულობით, ჩვენი ჩასვლისთვის, ნინუცა, პაპა შიოს ქალიშვილი, ტატანოს ბიძაშვილი და გოგოების საყვარელი პაპიდა, გამოაცხობდა თავისი განთქმულ, ხვეულ ქადას და ამოლაღავდა გოგოებს... ნინუცა და დათა, ნინუცას ძმა, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ პაპა შიოს აშენებულ მშვენიერ სახლში. ნინუცამ დათას ოჯახს, მის შვილსა და შვილიშვილებს შეალია თავისი წუთისოფელი და გოგოები მის მზეს ფიცულობდნენ. მერე და მერე, რომ წამოიზარდნენ და თავისი გზა ნახეს, აქა-იქ შემოგვირბენდნენ, სალამს გვეტყობდნენ, ან თუ შემხვდებოდნენ ნადიკვარზე, ხანაც სტადიონზე, მსუბუქი ვარჯიშისა და სირბილის დროს, ნათესაურად შემომაფრინდებოდნენ და ყოველთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებით მტოვებდნენ.

„რომელია თქვენი საცოლენ?“

„მე ქეთინოზე ვქორწინდები, მეორე დაზე, ჯერ კიდევ შარშან ვაპირებდით, მაგრამ ამერიკაში ვიყავი და სანამ ჩამოვიდოდი, ქეთინომაც გაიმარჯვა კონკურსში და გერმანიაში წავიდა. მე და ნინუცა, უფროსი და, ვიყავით კლასელები, ქეთინო უკან იყო ორი წლით, ერთად ვიყავით შეზრდილები... ჩვენებსაც ერთი სული აქვთ, სხვა მდგომარეობაში გადავიდეს ეს ჩვენი გაგრძელებული ურთიერთობა.“ და გაიცინა, სახე-გაუნათდა, „ახლა კი, თუ ნებას მომცემთ, გავალ და ტატანოსა და სოფიკოს დავპატიყებ ქორწილში, მაპატიეთ, რომ „ტატანოს“ ვამბობ, მაგრამ იმდენად ყველა ამ სახელით იხსენიებს...“ „ეს მე დავარქვი დიდი ხნის წინ ტანო-ტატანოს ანალოგიით, ისე კი ანეტა ჰქვია... არა, თქვენ ნუ შეწუხდებით, მე გავალ და მე ვეტყვი ქორწილის შესახებ...“ ვიფიქრე, შეიძლება ნობათიდან რაიმე ნუგბარს შეექცვიან-მეთქი, და არც შევმცდარვარ, შოთის პურსა და თუშურ ყველს მიირთმევდნენ... სოფიკოს თან ჩარგული ჰქონდა თავი ებრაულ ბიბლიაში და კარებშივე გავიგონე „ქეთონეთ ჰაფასიმ“ — იოსების ჭრელი პე-

რანგი, ეს ცხადია, სოფიკოსგან ვიცოდი რამდენიმე ებრაულ გამოთქმასთან ერთად, და მეც შესვლისთანავე შევძახე „ჰავანა გილა!“ — მოდი, ვიმხიარულოთ. სოფიკომ სიცილით შემომხედა და მანაც შემომძახა: „ჰავანა გილა ურუახიმ ბელევ სა-მეახ.“

„რომ იცოდეთ, ქორწილში ხართ დაპატიყებული, ეს ყმანვილი ქეთინოს ირთავს.“ ტატანომ ჰაი-ჰუთი შეიცხადა, ორივენი გამოვიდნენ დარბაზში მისალოცად. მაგრამ ქორწილსა და თელავზე კი უარი თქვეს, დიდი მადლობაო, სოფიკომ უთხრა მოპატიყეს, რა სიამოვნებით წამოვიდოდით, მაგრამ სესიებია და ძალიან ბევრი სამეცადინო მაქვსო, ტატანომაც „აფსუს აფსუსო?! ზაფხული რომ იყოს და თელავში ვიყოთ, რას მოვილხენდითო?! და კარგ სიმღერებსაც შემოგანევედითო, მაგრამ ახლა კი ვერ შევძლებო და თან სოფიკომ იმდენს მეცადინეობს, ისეთი ხელის შეწყობა უნდაო...“ მერე კი ნობათისთვის დიდი მადლობა გადაუხადა, რა ამბავია ასეთი ნობათიო, თუმცა ჩვენი მოყვრობა გინებებიათ, ამნაირი ძღვენი, თუნდაც საახალწლო, მეტისმეტიაო... სოფიკომ მაშინვე გავიდა სამეცადინო, ტატანომ კი ერთი წუთით განზე გამიხმოდ და ვითომ მორიდებითა და თავმოკატუნებით მითხრა: „დავურეკო? ლუბასა და ციციშვილებს, ახალი წელი ერთად გავატაროთ? რა ვიცი, აბა, შენ რას აპირებ?“

ჩემი მომღერალი და მოქეიფე ტატანო! თავის მეგობრებთან, ადრეულ ახალგაზრდობაში სწორედ სიმღერის ნიშნით დამეგობრებულბთან, და აგერ ახლაც, ოთხმოცს გადაცილებულბს, მწირ სუფრასთანაც, ბოლოკსა და ხახვზე, უსიმღეროდ, უშესანიშნავსიმღეროდ გაძლება რომ არ შეეძლოთ, ადვილი წარმოსადგენია ახალ წელს შემწვარ-მოხრაკულებზე რა ქეიფს გასწევდნენ, „თამარ ქალოსა“ და მრავალჟამიერს, და აგრეთვე გულში ჩამწვდომ ქალაქურ სიმღერებს როგორ ჩაახვევდნენ... და კიდევ, რატილის ჰანგებს, თუ „ლაჟვარდ ცაზე“, თუ „ჩუხჩუხით ჩამორბოდა,“ და რაც მთავარია, დიდებულ „გაზაფხულ იყო მაშინა“-ს, მეორე ხმა რომ იწყებს სოლოდ, პირველი გაეპასუხება: „ახლად ყოოდნენ იანიო...“ შემდეგ შეერთდებიან, ბანიც შემოვა და გაძვრილდება ეს საუცხოო სიმღერა, რომელიც ოდესღაც, დამეგობრების გარიჟრაჟზე ციციშვილებისგან უსწავლია ტატანოს და მერე არც ერთი დაბადების დღე, თუ სხვა ზეიმი უამსიმღეროდ არ ჩატარდებოდა... ტატანო დაჰხაროდა თავისი და თავისი უახლოესი მეგობრების მოლხენას, იტყოდა ხოლმე: „რა კარგია, რომ ჩვენ ხმები შეგვრჩა, ზოგიერთებს, არ დავასახელებ და საწყლებს, ხმა ტრაკში წაუვიდათ, და რაკი ჩვენ შეგვრჩა, ხანდახან მაინც ხომ უნდა ვიმღეროთ, არაა?“



„რა თქმა უნდა, ტატანო, ახლავე უნდა დაურეკო და გააფრთხილო, სთხოვე ძალიან, ხომ იცი, ზოგს სახლში უყვარს ახალწლის გატარება.“ ტატანომ დამცინავად შემომხედა: „მართალია, მათ სახლში ნახუქის სუნი დაახრჩობთ, მაგრამ მაინც ჩვენთან მოვლენ!“ და გაჩქარებული გაეშურა თავისი ოთახისკენ.

„რა სამწუხაროა, რომ მამიდათქვენი და სოფიკო ქორწილში არ იქნებიან, ბოლოს-ბოლოს ტატანო ჩემს მომავალ მეუღლეს პაპი-დად ეკუთვნის.“ მითხრა ახალგაზრდამ ჩემი მობრუნების შემდეგ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, ზაურისთან შორეული დამოყვრებაც თუ გამახარებდა, იმდენი რამ მქონდა გაგებული გამდიდრების ნარეკლიან გზაზე მისი კაიკაცობის შესახებ, ამ ყმანვილის ნახვა რომ არა. მართლაც, თუმცა დიდია წვლილი მშობლებისა, ყოველი ადამიანი ხომ თავისი ღირსების მიხედვით უნდა დაფასდეს?! მით უმეტეს, ისიც მაშინვე გავიგე, თურმე ბავშვობაში ამ მშვენიერ ახალგაზრდას ვის კალთაში უყვარდა ჩაბუდება და ვის გავლენას განიცდიდა.

„ჩვენი დამოყვრების გამო ქორწილით დავინწყე... თორემ... როგორც ჩემი დაუფინყარი ბებო ელო ჩამაგონებდა, ყველაფერი ამ ქვეყნად სიტყვით იწყებო...“ და ახალგაზრდამ როგორღაც, თითქოს მორცხვად გამიღიმა.

„ოჰო, ჩვენი რუსული ლიტერატურის პედაგოგი ხომ არა?! სიტყვა მეცნო...“

„ღიახ, თან თქვენც ბევრჯერ უხსენებიხართ სიყვარულით...“

„Как тесен мир“ იტყოდა, ალბათ, ელენა ევსტაფიენა... შესანიშნავი პედაგოგი იყო, პოეზიასა და ლიტერატურაზე შეყვარებული, წარმოიდგინეთ, მერვე კლასში რომ ვიყავით, საბავშვო ოპერაც დაგვადგმევინა „Кот и лиса“, და პოეზიის საღამოებს ხომ თვლა არა ჰქონდა...“ „მე არავინ მყვარებია ისე, როგორც ბებო ელო მიყვარდა, ზაფხულში სოფელში რომ წამიყვანდნენ, სულ ვტიროდი, ბებო ელო მომენატრა მეთქი, თვითონაც ძალიან ვუყვარდი, შენ მაცოცხლებო, მეუბნებოდა, მოხუცი იყო უკვე, ჩვენ რომ დავსახლდით მასთან, მე კი სულ პატარა, და იმის შემდეგ კიდევ თორმეტი წელი იცოცხლა, ოთხმოცდაათობით გარდაიცვალა, მაგრამ წარმოიდგინეთ, სკლეროზი არ ჰქონია, ერთი ეგ არის, საცხე მთვარის დროს თავის მკვდარ შვილს ელაპარაკებოდა ხოლმე, ეჩვენებოდა, რომ მთვარის სხივებს მოჰყვებოდა ტატო, და ხან აივნის სვეტთან აიტუზებოდა, ხან ბურჯზე ჩამოჯდებოდა და იქიდან ფრთხილად გაეპასუხებოდა დედას... მე ღამითაც მიყვარდა ბებო ელოსთან დარჩენა... ბავშვობიდან პოეზია შემყვარა, მთელი ლექსები და პოემები პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის... ზეპირად იცოდა, ხან მიყვებოდა, შიგადაშიგ ზიპირად მეუბ-

ნებოდა, და ეს იყო წარმტაცი ძილისპირულე-ბი, ჰოდა, მთვარის ღამით მეც მჯეროდა, რომ ტატო მართლა მოჰყვებოდა მთვარის სხივებს, ასე მეგონა, მისი ხმაც მესმოდა... ჩემი თავი გაცნო კიდევ, შენი მოსახელეაო, შენი მოგვარეო, და სულ შენ გგავსო. ტატოს უხაროდა, როგორ მიხარიაო, მანდა ხარ და პატარა ტატო გყავსო, აქ მოხვალ და დიდი ტატო დაგხვდებაო... მხოლოდო, მანდოლინაზე დაკვრა ასწავლეო, დედასა სთხოვდა, და მე მჯეროდა.“

„და... ისწავლეთ?“

„ღიახ, გიტარის დაკვრის შემსწავლელ წრეში დავდიოდი და მანდოლინაზე დაკვრაც ვისწავლე, ქორწილში მოგასმენინებთ... აუცილებლად.“

„სხვათა შორის, თელავში ძალიან მოდაში იყო მანდოლინაზე დაკვრა, ბევრიც უკრავდა, თქვენც სიამოვნებით მოგისმენთ, რატომღაც მგონია, რომ კარგად დაუკრავთ, და საერთოდ, კარგია რომ გაგიცანით.“

„მე მით უმეტეს მახარებს თქვენი გაცნობა...“

არ ვიცი რათა, იქნებ ხმა ჰქონდა ღრმა და სევდიანი, ან იქნებ ჩემი რუსულის მასწავლებლის უდროოდ გარდაცვლილ შვილთან, — რომელიც მე ცოცხლად და მკაფიოდ მახსოვდა და ყურშიც მედგა მისი მანდოლინის წკრიალი, — დანყვილებამ აღმიძრა ეს უეცარი განცდა, რომ ეს ლამაზი, განათლებული და მიდღარი ახალგაზრდა, თანაც ქეთინოს საქმრო, უნდა შემბრალეობოდა. და ეს უეცარი განცდა იქვე ჩაახშო თვითონ ამ ტატომ, მან პალტოს ჯიბიდან წიგნი ამოიღო და გამოიმნოდა: „აი, ეს არის ჩვენი მეორე ღონისძიება, მამას დაფინანსებით გამოიცა და ავტორის წარწერით თქვენ მოგართვით.“

ოო, თიკო აბელიშვილის „ისტორიული ქრონიკები“ აი, თურმე რა წიგნი ყოფილა?! მშვენივრადაც იყო გამოცემული, მაგარი, ლამაზი ყდით, და ყდაზე მოდილიანის „მარგარიტას“ პორტრეტით. თუმცა თიკო დიდი ხანია არ მენახა, ასე მომეჩვენა, ამ ყელყარყარა მარგარიტას რალაცით ჰგავდა. წიგნი გადავშალე, ავტორი მადლობას უხდის ბოტონ ზაურ ორბელიშვილს წიგნის გამოსაცემად განუული ფინანსური დახმარებისათვის.

„როგორ მიხარია,“ ვთქვი მე, „ამ გაჭირვების დროს წიგნის ასე გამოცემა... თუ ეს ქრონიკებიც საინტერესოა?..“

„ქეთინო იყო რედაქტორი და ძალიან მოსწონდა, მეც ვკითხულობდი და მე მგონი, საინტერესოა.“ „თიკო, ალბათ, მეცხრე ცაზეა.“ „იქნებოდა, ცხადია, მაგრამ ჩაშხამდა, წიგნის გამოცემას მაინცდამაინც დედის სიკვდილი დაემთხვა. ჩვენ გამოცემისთანავე ვაპირებდით პრეზენტაციის მოწყობას, თქვენც მაშინ გიპირებდით დაპატიჟებას, მაგრამ თიკომ



თქვა, სანამ ორმოცი არ გაივლის, გარეთ გამოსვლა არ შემძლიაო, სწორედ ათ დღეში ორმოციც გაივლის და გთხოვთ, ნუ დაგვზარდებით ნურც ჩვენ, ნურც თიკოს, მამას სურს პირველი გამოსვლა თქვენი იყოს, და წიგნის შესახებ ორიოდ სიტყვა ბრძანოთ... წარმოიდგინეთ, მამამ გამაოცა, და მაშინაც გამახსენდა ბებო ელო, გამუდმებით რომ ჩამაგონებდა ამ ქვეყნად უპირველესი სიტყვააო... თიკო რომ მოვიდა ჩვენთან წიგნით ხელში მადლობის სათქმელად, ისე იმოქმედა მამაზე წიგნის ნახვამ, და თავისი გვარის ამოკითხვამაც, არ დამჯდარა, ფეხზე იდგა და ისე უსმენდა თიკოს, და მაშინვე გადაწყვიტა ყველაფერი დაუფინანსოს, რასაც დაწერს და თვითონ მიიჩნევს გამოცემის ღირსად, და თქვენც შემოგიტვალათ, შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთო, რადგან მსურს ნიჭიერ თელაველებს ხელი შევეწყო და გზა მივცეო.“

ყურებს არ ვუჯერებდი, ამ ცამონმენდილზე ეს ვინ მომეწვინა, ეს რა წყალობის მთოველი ახალგაზრდა გამომეცხადა-მეთქი, და აშკარად ვიგრძენი, ერთი ხელის დაკვრით გაღარბებული ადამიანის ამაყი შემართება და გამდიდრებულია მიმართ კრიტიკული პათოსი ერთბაშად ჩაინავლა, ლამის მათი სავარაუდო ცოდვებიც კი გაფერმკრთალდა და კინალამ წაიშალა. ისიც კი ლამის დამავიწყდა რას მთხოვდნენ და რატომ მეპატიჟებოდნენ.

„მამათქვენს მადლობა გადაეცით, აუცილებლად მივიღებ პრეზენტაციასში მონაწილეობას. მინდა გითხრაო, ელენა ევსტაფიენასი არ იყოს, თიკოს დედაც ჩემი მასწავლებელი იყო, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ შესანიშნავი პედაგოგი, მან ჩვენ მთელი ქვეყანა შეგვაცვარა და მასაც ეკუთვნის ჩემგან მადლობა. წარმოიდგინეთ, ახლა საბჭოთა სკოლებს ხელალებით რომ აგინებენ, ჩვენი საუცხოო მასწავლებლები დამიდგებიან ყოველთვის თვალწინ და მინდა ხოლმე მათ მადლობა ვუთხრა და ბოდიში მოვუხადო... თიკოს დედა... თან რა მოსაწონი ქალი იყო...“

„კიბოთი გარდაიცვალა, და ძალიან სწრაფადაც, შარშან ხომ ქმარი მოუკვდა, ჩვენი შესანიშნავი ქირურგი, და ზოგი ფიქრობს, დარდმა და ვარამმაც იცის ამ საშინელი სენის გაღვივებო, ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა, წარმოიდგინეთ, სამ კვირაში, ვითომ გრიპი ყოფილიყოს.“ „ოო, მეცოდება თიკო, ერთ წელიწადში მამაც, დედაც, მოასწრო მამაც წიგნის ნახვა? რამდენადაც ვიცი, თიკოს აქამდე არაფერი გამოუცია.“ „არასდროს არაფერი დამიბეჭდესო, გვეუბნებოდა, ერთხელ ვიჯექი ტელევიზორთან და მწარედ მეცინებოდაო, რადგან ეკრანიდან ერთი ცნობილი პოეტი დიდად თავმომწონედ გვაუწყებდა: საქართველოში არაფერი დაწერილა ისეთი, რომ არ დაბეჭდილიყოსო. ქალბატონმა მარი-

კომ კი მთელი კვირა იცოცხლა წიგნის გამოსვლის შემდეგ და წიგნი გვერდიდან არ მოუცილებია... თქვენც იცით, რა ლამაზი ქალი იყო, ავადმყოფობამ ასე მცირე დროში ვერ შესძლო მისი შეცვლა და მომაკვდავს სიხარული ისე შვენოდა, გაცისკროვნებული იწვა... სიკვდილ-სიცოცხლის ხატი გეგონებოდაო...“ მიკვირდა, რომ ახალგაზრდა კაცის კვალობაზე, ეს მშვენიერი ტატო, რომელიც თითქოს სრულიად უსაფუძვლოდ და შეუსაბამოდ, გაეღვებით და წამიერად, სიბრაულეს აღმიძრავდა, ასე ძველმოდურად, ანუ კარგი ქართულით მეტყველებდა, ყოველგვარი სლენგის, ჟარგონისა და „კაროჩების“ გარეშე და ვერ ვიტყვი, რომ მე ეს არ მსიამოვნებდა. რაც მართალია მართალია, ბებო ელოს კარგად გაეწვრთნა.

„და თიკო? სულ მარტო დარჩა?“ მართლა დამაინტერესა თიკოს ბედმა.

„კარგა ხანია დეიდა გადავიდა მათთან... მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ქალბატონი მარიკოს სიცოცხლეში ვიქირავებთ მათ სახლში სამი ოთახი ბანკისთვის, ოთხ ოთახში თვითონ დარჩნენ, და ქ-ნი მარიკო სიკვდილის წინ ამბობდა მშვიდად მივიღვარო, რომ თიკოს შეუძლია ლუკმა პურზე არ იფიქროს და თავისი საყვარელი საქმე აკეთოსო.“

მე კი უბრალოდ გავიფიჩხე, ზევითაც, პალტოს მიუხედავად კარგად შემცივდა და ფეხები ხომ, – თხელძირა ფეხსაცმელი მეცვა, – საშინლად დამაძრა. ერთი წუთით დაგტოვებთ, შალის წინდებს ამოვიცვამ-მეთქი, ვუთხარი ჩემს სტუმარს, თან ისიც კი სათქმელია, მინდოდა ჩვენი ნობათისთვის თვალი დამეკრა, ჯერ სამზარეულოში შევედი და რა ნახა ჩემმა თვალებმა?! ტატანოს პარკები დაცალა და მაგიდაცა და სამზარეულო ბუფეტის გრძელი დაფა თავაბმული სინებით იყო მოფენილი. ტატანოს ოთახში კი სასიამოვნო მყუდროება სუფევდა, მწვანე ნავთქურაც კი, შუაში თაიგულივით ჩამდგარი, ასე მეგონა ნამწვის კი არა, მყუდროების სურნელს აფრქვევდა, სოფიკო მოსეს ხუთნიგნეულიდან ახლა უკვე ფარაონისა და მოსეს დრამატულ შეპაექრებას საამოდ დუდუნებდა, ცხადია ებრაულად, ტატანო კი საგოზინაყედ ნიგოზს ფერფლავდა, ჩვენი პატარა პუდელი ჩერიკოც ტატანოს ფეხებთან იყო მოკალათებული. მოკლედ, ისეთი სურათი დამხვდა, თვალი მომცა და მაყურებინაო.

„დავურეკე ქალებს,“ მომახარა გაბადრულმა ტატანომ, „ხვალ სამი საათისთვის ხმები ჩაინმინდეთ-მეთქი“ „მეც მაიკო წივილა და სალომე მინდა მოვიდნენ,“ თქვა სოფიკომ, და თან ჩვენი სტუმარი იკითხა, რას ამბობსო. აი, ახლა რომ გავალ, გავიგებ მესამე ამბავი რას ეხება-მეთქი.

„შალომ ტოვ, მაზალ ტოვ.“ მომაძახა სოფიკომ.



და როცა ამ მშვენიერი ახალგაზრდისაგან გავიგე რაში მდგომარეობდა „მესამე ლონის-ძიება“, მე უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ჩვენი მომავალი მოყვრის მამა, მონაწილეა რა უამრავი ბანკის სეიფებთან მისი განშორებისა, დაუბრკოლებლად აათავებდა შვიდივე ცას და პირდაპირ ზესკნელის ნათელში დამკვირდებოდა. ოღონდაც! მას ხომ ავადმყოფ და ჩამორჩენილ ბავშვთათვის სოფლის აშენება გადაეწყვიტა! რისთვისაც დიდსა და საუკეთესო მინას თხოულობდა შუამთის ასახვევთან... და როცა წამოჭრა საკითხი და განაშენიანების გეგმაც წარმოადგინა, მაშინ აიშალა თურმე ყველა და ატყდა ერთი ამბავი. ხან უთხრეს: შეუძლებელია, რადგან ეს მინა ხელუხლებელი მინის ფონდებშია შეტანილი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გვერდით სოფელი დაობს და ამტკიცებს ეს ჩვენი გასადევარია და არავის დავანებებთო, იმასაც ამბობენ ქალაქის მესვეურებს სამოსახლოებად სურთ გაყიდონ და ასეთ დიდ ფულს რატომ გაუშვებენ ხელიდან ჩამორჩენილი ბავშვებისთვისო. ამ ტატოს მამას კი იმისთვის მიეღწია, რომ ჩატარებულიყო თათბირი და ემსჯელათ, დაფიქსირებულიყო მხარეთა არგუმენტები და ბოლოს კენჭიც ეყარათ; და სწორედ ამ თათბირსა და კენჭისყრაში სურდა მეტი მომხრე და ხმის მიმცემი ჰყოლოდა. თუმცა ასეთ სადაო ამბებში არასდროს მონაწილეობა არ მიმელო, მყისვე აღვინთე სურვილით მხარი დამეჭირა ჩამორჩენილი ბავშვებისათვის, აღვჭურვილიყავი როზა ლუქსემბურგისა და დოლორეს იბარურის პათოსით და ჩემი ჰუმანური სიტყვის მგზნებარებაში ჩამენვა და ჩამეფერფლა მონინალმდეგეთა, თუ ოპონენტთა ყველა არგუმენტი.

„მთელი ჩემი არსებით მხარს ვუჭერ მამათქვენის წამოწყებას, ამაზე კეთილშობილური წამოწყება არც ვიცი კიდევ რა შეიძლება იყოს.“

„მე ჩამოგაკითხავთ აუცილებლად.“

„რას ვფიქრობ, იცით, მირჩევნია ორი დღით ადრე ჩამოვიდე, წიგნიც იქ წავიკითხო და გამოსვლებისთვისაც იქ მოვემზადო, თქვენი ჩამოსვლა კი ნამდვილად არ არის საჭირო, ბარგი არაფერი მექნება, გავალ ისანთან და ორ საათში თელავში ვიქნები.“

„ქეთინო გამიჯავრდება...“ თქვა და გაიცინა, სახე გაუნათდა, „იცით, რა მონათესავეა, თქვენ ყველა ისე უყვარხართ.“

„აბა, იკერავს საქონინო კაბას?“

„არა, მამამ მიართვა... მაგრამ თეთრი არ მოინდომა, ახლა სხვადასხვა ფერის კაბებია მოდაშიო, ვისაც რომელი ფერი უხდებაო, და მწვანე მოისურვა, თუმცა მამამ, ყოველი შემთხვევისთვის, თეთრიც უყიდა, მძივებით მოქარგული, შლეიფიანი კაბა, მე ძალიან მინდა თეთრი ჩაიცვას, მაგრამ როგორც თვითონ

გადანყეცეს, ბატონი თავის ნებაა, მოგესხენებათ.“ და ისევ გაიცინა.

„დიდ ქორნილს აპირებთ?“ მაინტერესებდა კიდევ და თან შევატყვე ძალზე სიამოვნებდა თავისი მომავალი ქორნილისა და საცოლის ხსენება.

„ქეთინოს არ სურს ძალიან დიდი ქორნილი, თუმცა კი იმასაც ამბობს, ამ გაჭირვებაში კარგია თუ ბევრი ხალხი დაპურდება და დროს გაატარებსო, მაგრამ მაინც მირჩევნია ძია ზაური ისე დაეხმაროს, ვინც დასახმარებელიაო, რადგან ვერ ვიტან, როცა სტუმრები ერთმანეთს ვერ ხედავენ და ვერ ურთიერთობენო, ამიტომ მაქსიმუმ, ასი კაცი გვეყოლება.. ჯერ ალავერდში წავალთ, იქ დავინერტო ჯვარს, მერე ხელს მოვანერთ, დაახლოებით სამი საათისთვის მოვამთავრებთ ამ ამბავს და სტუმრებიც ამ დროისთვის მობრძანდებიან ჩვენი სასტუმროს საბანკეტო დარბაზში.“

„მომღერლებიც ხომ გეყოლებათ?“

„ოოო, წინანდლის გუნდიც და ჩვენი პატარა ორკესტრიც... ქეთინოს ისე უყვარს ცეკვა, ამბობს ჩვენს ქორნილში უნდა ვიცეკვო, ვიცეკვო და ყველა ვაცეკვოვო... ალბათ, — თქვენც ვერ გადაურჩებით ცეკვაზე მიპატიუებას...“

„რომ იცოდეთ, ახალგაზრდობაში არაფერი ისე არ მიყვარდა, როგორც ცეკვა, მოდაში იყო ახალწლის შეხვედრა ლამის თევით და წარმოიდგინეთ, მთელი ღამე მიცეკვია... არა ჭამა, არა სმა, მცირე შუალედებში რალაცის მოციცქნა, და ცეკვა და ცეკვა... ისე რომ, დიდი ხალისითაც მოვიგონებ ახალგაზრდობას...“

მართლაც, ამ ჩამოყამებულ გაჭირვებასა და სიცივეში, ლამის სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა, რომ წარმოვიდგინე გაჩირაღდებული დარბაზი, საცეკვაო რიტმებით სავსე და საქორნილო სუფრასთან სიმღერა და ცეკვა... მჯერა, მჯერა, არა მხოლოდ სიმღერით, ცეკვითაც „გაუმთელდება გულს მოტეხილი პირიო.“

„თქვენც ხომ ცეკვავთ?“

„რა თქმა უნდა, მე და ქეთინო ერთად დავდიოდით სამეჯლისო ცეკვებზეც და ქართულ ცეკვებზეც, და მგონი დამეთანხმებით, პირველი ცეკვა პატარაძალთან მე მეკუთვნის.“ და ისევ გაიცინა, ბედნიერებით გაიბადრა, ხშირი და ლამაზი, გაზნექილი წარბები სულ მალღამალღამალა მისდიოდა და განზე გაზიდული თვალებიდანაც სიხარულს აკვესებდა. აი, ასეთი შემორჩა ჩემს მეხსიერებას ეს ახალგაზრდა ყმაწვილი ტატო ორბელიშვილი.

ჩვენ როგორც შევთანხმდით, ისე მოვიქეცი და ათ იანვარს თელავში ადრიაანად წავედი. ჩვენი აივნის ერთი მხარე სავსე იყო კუნძებით და სასადილო ოთახშიც ბუხარი გუზგუზებდა. მაშინვე კარგ გუნებაზე დავდე-



ქი, გამოყინული სახლის მაგივრად ცეცხლი რომ დავინახე და სითბო ვიგრძენი. და არა მხოლოდ ცეცხლის ღუდღუდა კუნძებმა შემომცინა, მაგიდიდან დაბრანულმა, დახვეულმა ქადამაც და გოზინაყმა, რომელიც ქადის ირგვლივ, სინის კიდეზე იყო შემოლაგებული, იქვე ელაგა გრძელი სანთლები, ყვავილების ლარნაკზე კი წერილი იყო მიყუდებული, საგანგებოდ მსხვილი ასოებით დანერილი, ყურადღება რომ მიმექცია: „დეიდა ზაირა, გასაღები ძია ზურას გამოვართვით კუნძების შემოსატანად, ქადა პაპიდა ნინუცამ გამოგიცხოთ. საღამოს ჩვენები სუფრას შლიან, ძია ზაური, დეიდა ელა და პაპა იგნატი უნდა მოვიდნენ, ძია ზურა, ძალო ცირა და თქვენც აუცილებლად უნდა მობრძანდეთ; ნიგნის პრეზენტაცია თიკომ ხვალ ოთხი საათისთვის დანიშნა მუზეუმის დარბაზში, მაგ დროისთვის დამთვალეირებლები ზამთარში აღარ არიან ხოლმე, ჩვენი ქორწილი, როგორც შეგატყობინეთ კიდეც, ხვალზევით გვექნება, თათბირი კი ცამეტში შედგება. საღამომდე აღარ შეგანუხებთ. თქვენც ხომ უნდა დაისვენოთ და პრეზენტაციისთვის მოემზადოთ. ძალიან მიხარია, რომ ტატო გაიცანით, ვერ წარმოიდგენთ, რა კარგი ვინმეა, ვიცი, გაგიხარდებათ, მე ისეთი ბედნიერი ვარ! თქვენი ქეთინო.“

დავყურებდი ქეთინოს ბარათს და მიხაროდა, მიხაროდა, ძალიან მიხაროდა! ან ვის შეიძლება არ გაუხარდეს წესიერი ახალგაზრდების ბედნიერება?! თანაც ასეთი კარგი ახალგაზრდებისა. ერთი ეგ არის, გული მეთანაღრებოდა, თუმცა ტატო აქებდა თიკოს მოთხრობებს, ვაითუ არ მომეწონოს და რა ძნელი იქნება პრეზენტაციაზე საქებარი სიტყვის თქმა-მეთქი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სიამოვნება და სიხარული მელოდა.

ჩაი დავლიე ქადითა და გოზინაყით, ნაკვერჩხლებზე ადუღებული, ქაფქაფა და სურნელოვანი პიტნის ჩაი, ჩანთიდან თიკოს ქრონიკები ამოვიღე და ბუხართან სავარძელში მოვკალათდი. ვიფიქრე ორ მოთხრობას მაინც ახლა წავიკითხავ, დანარჩენებს კი ვახშმიდან დაბრუნების შემდეგ, ძილის წინ და აგრეთვე ხვალ, პრეზენტაციამდე-მეთქი. დავიწყე კითხვა და ისე გამიტაცა ამ ქრონიკებმა, დრო როგორ გავიდა ვერ გავიგე. პირველი იყო „ამბავი სიყვარულისა“. კახელი ბატონიშვილის, თეიმურაზ პირველის შვილიშვილის ნიკოლოზისა (შემდგომში ის ნაზარალი-ხანის სახელით შევიდა ჩვენს ისტორიაში), და ნატალია ნარიშკინასი, ანუ რუსეთის დედოფლის, მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის მეორე ცოლის, ანცი და გიჟმაჟი ქალის, არავითარ წესებს რომ არ დაგიდევდათ, და არც კარეტაში სარკმლებზე ჩამოფარებული ფარდები უყვარდა, — მისი მწყაზარი და ქორფა სახე დიასაც მთელ ქვეყანას უნდა დაენახა და დამტკბარიყო, და

თვითონაც თვალმახარას თვალისთვის წყალი დაეღვეინება, — და არც თავისი ასაკოვანი, ორმოცს გადაცილებული, ანუ მაშინდელი მენტალიტეტის კვალობაზე, ჩაბერებული ქმარი... იმ დროს, როცა მათ კარზე დაიარებოდა ახოვანი და თვალადი, მჩქეფარე, სიჩაუქით განთქმული, კოკობულვაშაშლილი, მარად სასიყვარულოდ შემართული და დაუცხრომელი ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზი, ვისაც ნორჩი დედოფალი ინტიმური შუშპრობის დროს კოლენკას ეძახდა. ადვილი წარმოსადგენია, რაც მოჰყვებოდა ამ შუშპრობას, და დედოფალიც დაორსულდა. ჰუმორით იყო გაჯერებული დედოფლის ორსულობის აღწერა, რუსი მეფისა და ქართველი ბატონიშვილის ციბრუტივით ტრიალი გუნებანაქცევი, გაჭირვებულებული დედოფლის ირგვლივ... რაიცა ბოლოს-ბოლოს შავტუხა უფლისწულის დაბადებით, — ეს უფლისწული შემდგომში, არც მეტი, არც ნაკლები, პეტრე პირველი გახლდათ, — და ქართველი ბატონიშვილის გამოძევებით დამთავრდა. და რუსეთის ტრამალებზე თავის ქვეყნისკენ კიბიტკით მოჩაქჩაქე ბატონიშვილი ნიკოლოზი გულს იქარვებდა სამიჯნურო ლექსების თხზვით და ჭმუნვით მოცული, თხუთმეტი წლის განშორების შემდეგ, ელოდა თავის ბედკრულ სამშობლოსთან შეხვედრას. ქრონიკას თან ახლდა ვითომ ნიკოლოზის შეთხზული „განშორების ელეგია“, რაიცა კატულუსის „ჩიტის სიკვდილის“ იმიტაციას წარმოადგენდა და უბრალოდ სიცილის მომგვრელი იყო.

ამ სასიყვარულო ისტორიის ხატოვანი და ფრივოლური სტილისაგან განსხვავებით, მეორე ქრონიკა მკაცრი და თავშეკავებული დოკუმენტურობით გამოირჩეოდა, და მიუხედავად ძუნწი და ლაკონური თხრობისა, თუ სწორედ ამის გამო, მეტად ამაღელვებელი იყო... დამაფიქრებელი... და მწუხარე ფიქრების აღმძვრელი... მეორე ქრონიკა კახეთის 1812 წლის აჯანყებას ეხებოდა, ხანგრძლივსა და სისხლიან აჯანყებას, რუსთა უსამართლო მმართველობის წინააღმდეგ ახმეტაში რომ დაიწყო, ჯერ ახლომახლო სოფლები ჩაითრია, მერე აბოპოქრდა, გავრცელდა, მთელ კახეთს მოედო, და თავისი მძვინვარებით, ჩახლართული პერიპეტეებით, აურაცხელი შეტაკებებით, სასტიკი ბრძოლებით, ალყით, ხანძრებითა და სისხლის გუბეებით ერთწლიან ომად იქცა, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა, — თუმცა კი რუსთა მხრიდან გარკვეული დათმობებით, — მაგრამ ამასთანავე დამთავრა სახრჩობელეებით, გაციმბირებებით, გადაბუგული სოფლებით და აჩეხლი ბაღ-ვენახით. გულსაკლავი კიდეც ის იყო, რომ რუსების მხარდამხარ ქართველები ებრძოდნენ თავის მოძმეებს, გენერალი დიმიტრი ორბელიანის წინამძღო-



ლობით, კახეთის თავადთა, აზნაურთა და სამღვდელთა ბოროტად და შეუწყალებლად დამსჯელი და სწორედ მას შეუძახა ლევან იულონის-ძე ბაგრატიონმა, ერეკლეს შვილიშვილმა, შესანიშნავმა ჭაბუკმა, ამ აჯანყების დროს დაღუპულმა: „დიმიტრი ორბელიანო, ბუნება თაღლითიანო, მოძმეთ მოძულევე, რუსთა ყმავე, ფუი, შე ჩინმენდლიანო!“ დიმიტრი ორბელიანი კი ჩიოდა: „მთელი ერი ჩვენს წინააღმდეგ არის აღმდგარიო“ და ძალღონეს არ იმურებდა სისხლის სათხევად და შილდა-საბუის გადასანვავად... ვკითხულობდი აჯანყების ქრონიკას და მიკვირდა, როგორ აამოძრავა ამდენი ხალხი ამ თიკო აბელიშვილმა-მეთქი, როგორ გაართვა თავი ასეთი გრანდიოზული აჯანყების ასე პირუთენელად აღწერას-მეთქი. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ მართლა მწერალთან მქონდა საქმე... თუ არა, ვის ძალუძს ექსტრემალურ სიტუაციათა მარნუხებში, სისხლიან გზანვრილზე, დაპირისპირებულ მოძმეთა დრამატიზმით აღბეჭდილი სახეები შექმნას... ვის ძალუძს ღრმად ჩანვდეს ხასიათთა წინააღმდეგობრივ მიმოქცევას და ადამიანის გულისთქმის ბნელ ხვეულებს?! ვის ხელენიფება დიდ გულისტიკოვლთან ერთად, ასევე ცხოვრებად ჩაგაფიქროთ მარადიულ კითხვაზე, დროდადრო, ისტორიული ქართველებისას განსაკუთრებული სიმწვავით რომ დადგება ხოლმე ქართველი კაცის წინაშე: რა ქნას და რა გზას დაადგეს, ათასგზისი ანონ-დანონით, ხერხითა და ფანდით როგორმე დაუძვრეს ზვიგენის დაღებულ ხახას, თუ იარაღზე იტაცოს ხელი, ჯავრითა და ბოღმით ყელამდე მოყრილს, მოთმინების ძაფი გაუნყდეს და ამბობდეს, თავს დაიტეხოს წყრომა და რისხვა, და აი, ახლა, ამ ჭარმაგი გლეხივით, მხნე ნაბიჯით, თითქოს თავისი ვენახისკენ მიაბიჯებდეს, გასწიოს თელავის მოედანზე აღმართული სახრჩობელისკენ... აგერ ის დაიხრება, თურმე ქალამნის თასმა შესწინა, წინდის ყელზე მაგრად დაიხვევს და გამოკრავს, მერე ახალუხის კალთებსაც ჩამოიბერტყავს, რომ ულაზათოდ არ შეეგებოს სიკვდილს... სანამ „ტუსალთა ქუაბიდან“ გამოიყვანდნენ, თავისავით სიკვდილმისჯილ თანამოძმეებს ამხნევებდა: „გამაგრდით და ნურაფერს ნუ ინანებთ, ძმებოვო, ძალიანაც კარგი, რო ავჯანყდითო, იგრე ხო ველარ დაგვჩაგრავენო... ეგზეკუციას ველარ ჩაგვიყენებენო, იგეთ უდიერ გადასახადებს ველარ შემოგვანერენო, რუსი ისპრავნიკების მაგივრად ქართველი მოურავები გვეყოლებათ...“ „ჩვენ ვილა გვეყოლებათ... ჩვენ რაღას მოვესწრებითო... სიკვდილისკენ პირმიქცეულებითო...“ კვნესოდა კუთხეში მიყუყული, მუხლებში თავჩარგული, მეტად დაზაფრული ახალგაზრდა კაცი. „თავი აიღე, კაცო, ნუ დალაჩრდიო!“ შეუძახა ჭარმაგმა, „ჩვენი ქვეყანა თუ კარგს რასმე მოესწრება,

განა ჩვენი მოსწრებაც არ არისოო!“ თავის ცრემლებჩამომდინარე ბიჭებსაც, — ქვემო სოფლიდან რო ირბინეს, ირბინეს, გული ამოიგდებინეს სირბილით, სიკვიდლის წინ მამის გვერდით ყოფილიყვენ, მერე კი, სახრჩობელიდან ჩამოხსნის შემდეგ, მოესყიდათ მცველები, და მკვდარი მამისთვის წესისამებრ მიეგოთ პატივი, — ისე მხნედ და შემართულად ეჩვენა, გეგონებათ ქორწილში მიდისო, და სიტყვაც ფხიანი დაუტოვა: „ნუ შედრკებით, გენაცვალოთ მამა, ნუ შეშინდებითო, სოფელი დიდა, ღმერთი კიდევე მოწყალე... ამათზე ბევრად ავი, ბოროტი და დაუნდობელი მტერი გვეყოლია, მაგრამ ჩვენ ისევაცა ვართ და ვიქნებით კიდეცა... თქვენ ვენახი წამოაყენეთ, დატრიალდით თქვენებურად, სამნი ხართ და ასად იქეცითო, თქვენი ჭირი წაიღოს მამათქვენმა, ჩემო ბიჭებო... მე მარტო ერთი სანთელი დამინთეთ, ერთი მუჭა ხორბალი მომიხარშეთ და შესანდობარი მითხარით, ეგ არის და ეგაო...“

ამასობასი ბუხარიც მუგუზლებით აივსო... ოთახში სასიამოვნო სითბო იფრქვეოდა... და ამასობაში ზურიამა და ცირამაც დარეკეს, რედაქციიდან ცოტა ხანში გავთავისუფლდებით, გამოვივლით და ვახშამზე წავიდეთო მე საჩხრეკი ავიღე, მუგუზლები მივნი-მოვნიე და ერთი დიდი რცხილის კუნძი შევაყუდე ბუხარში, რომ სანამ ვახშმიდან დავბრუნდებოდი, ცეცხლი არ ჩანავლულიყო, თან კი სულ ხვალინდელ პრეზენტაციასზე ვფიქრობდი, მინდოდა წრფელად გამომეთქვა ჩემი აღტაცება, ან კი როგორ, თიკო ამას ნამდვილად იმსახურებდა, მე კი მხოლოდ პირუთენელად შემიძლია გამოვთქვა საკუთარი აზრი, რადგან არც ამბიციურობის კვარცხლბეკიდან ჩამოვყურებ ჩემს თანამოძმეებს, რათა ჩემს „წონიან“ სიტყვას ისე გავუფრთხილდე, როგორც ძუნწი ოქროს უზალთუნებს, და არც ჩინოვნიკური მამამბლობით ვარ გამსჭვალული, ყურდაცქვეტილი და მიყურადებული, ნიდადა მავანთა აზრსა და შეფასებას ვწონიდე და ვითვალისწინებდე... ამიტომ სიამოვნებით ველოდი ხვალინდელ დღესაც და ცხადია, ამდამინდელ ვახშამსაც, თვალები უკვე კარებისკენ მრჩებოდა და ერთი სული მქონდა, ზურიასა და ცირას გამოველოთ და ნავსულიყავით... განა რა შეედრება „ახალ ყოილთა“ სიყვარულითა და ბედნიერების მოლოდინით გასხივოსნებული სახეების ხილვას, ნათესავებთან, ახალ მოყვრებთან ურთიერთობასა და დროსტარებას, ძვირფასი ღვინოებითა და შემწვარ-მოხრაკულებით განყობილ სუფრასთან.

გარეთ გავედი, შევხედო ერთი ეზო-ყურეს-მეთქი... ბალურ ზღმარტლს თუ რამე შერჩა, ჩამოვკრიფავდი, პირსაც გავისველებ-

საქართველო  
პარლამენტის  
ბიბლიოთეკა



დი და ტატანოსა და სოფოსაც წავუღებდი. ზღმარტლი ძირს იყო ჩამოსული და თოვლში ჩაჩუმქრული, მკვრივი თათარასავით უგემრიელესი... მოზრდილი თასი ავაესე, სახლში შემოვბრუნდი, და საჩუქრის ძიებაში ჩვენი დიდი ბუფეტის ყველა კარი გავაღე და ყველა თარო გულდასმით მოვათვალიერე, და მართლაც, ბებიაჩემის აკანკალეულ ხელებს გადარჩენილ ფინჯნებს მივაკვლიე, ფაქიზი ფაიფურის, ენძელბით მოფენილ გარდნერის ორ ფინჯანს, ფრთხილად ჩამოვიღე სულ ზედა შუა თაროდან, ის იყო, ტყვიის ქაღალდით შეფუთვას ვაპირებდი და ზურია და ცირაც მოვიდნენ...

„შეხედეთ, რა კარგი საჩუქარი მოვიპოვე ჩვენი ბუფეტიდან?!“ ვუთხარი გახარებულმა.

„მეც, კიდევ კარგი, გაუხსნელი, ძალიან ლამაზი ნესესერი მქონდა, ოდესღაც რიგაში ნაყიდი და ქეთინოსთვის ეს მომაქვს.“ თქვა ცირამ. ზურია კი ისე იყო ჩამოქრუშული, გეგონებათ საქეიფოდ კი არა, სადღაც უსიამოვნო ადგილას მიდისო. და ჩემს შეკითხვაზე რა იყო, რა დაგემართა-მეთქი, უხალისოდ მიპასუხა: „ნათესავები, თორემ მე მაგ ზაურისთან სუფრაზე არც დავჯდებოდიო.“ „რატომ ვითომ!“ გამტკნარებული შევაჩერდი ზურიას, „იმიტომ, რომ ასეთი შესანიშნავი წიგნი გამოუცა თიკო აბელაშვილს? თანაც ასეთ დონეზე?“

„და შენც უკვე ქისას ხედავ? შენსკენ გამოწვდილს?“ ამრეზით თქვა ზურია. ის არ დამჯდარა, ბუხართან იდგა და გაციებულ ხელებს ცეცხლს უფიცებდა.

„დიახაც რომ ვხედავ, აი, სწორედ ქისას, მაგრამ არა წითელი ხავერდისას, როგორც ბავშვობაში ვამბობდით, ძია სტალინის საჩიბუხე თუთუნით სავსეს, არამედ ჩემი წიგნის გამოსაცემი უხალთუნებით!“ გამოჯავრებით ვუთხარი ზურიას, „და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუფუცდი როდინობის კვირამდე შენს გამდიდრებას.“

„რაც მართალია, მართალია...“ გაიცინა ცირამ.

„ეგ ბნელი კაცია, ბნელი! და მე არ გირჩევ მაგასთან სამქმის დაჭერას, თუნდაც ეს წიგნის გამოცემა იყოს, და მითუმეტეს, სადაო მინების გამო. მგზნებარე სიტყვით გამოსვლას!“ მკაცრად თქვა ზურია. „მე არ ვიცი, ეგ ბნელია თუ ნათელი,“ შევძახე მღელვარედ, „მაგრამ ბნელიც რომ იყოს, ყოველთვის უნდა მისცე კაცს შანსი კარგი საქმის საკეთებლად, წიგნის გამოცემა იქნება ეს, თუ ჩამორჩენილი ბავშვებისთვის სოფლის აშენება, სასაცილოც კია, უანგაროდ დამხმარესა და სპონსორს ზნეობა უჩხრიკო! და სხვათა შორის, მაგისი გამოგზავნილი ნობათი ჯერ

არ შემოგვლევი, და მამიდაჩვენი ტატანო და შენი შვილი სოფიკო, ჩვენდა სასიხარულოდ, შემწვარ-მოხრაკულებს მიერთმევენ ამ გაჭირვების ყამს!“ „და მიუხედავად მაგისა!“ ხმას აუწია ზურია, „არავითარ შემთხვევაში, მაგ მინების თაობაზე მაგას მხარი არ უნდა აუბა, გეუბნები, არა-მეთქი! შენს პაციონებაში არავის ეჭვი არ ეპარება და მაგას სწორედ ეგ უნდა, შენ გამოგიყენოს, აქეთიქით მისასვლელი გზები გაკვალოს, რა შენი საქმეა ასეთ ამბებში ჩარევა!“ მე გავვიყდი, რას ქვია ჩამორჩენილ ბავშვებს ხელი არ გავუწოდოთ-მეთქი, რას ქვია კაცს სოფლის შენებაში ხელი შეეუშალოთ-მეთქი, შენ იცი, ვინ იყო განთქმული „ოპტინა პუსტინის“ დამაარსებელი, ოპტა, იგივე მაკარი-მეთქი, ოპტინა პუსტინში დადიოდნენ გოგოლი და დოსტოვესკი და ტოლსტოი ცნობილ სტარცებთან-მეთქი და ვინც გინდა ისა, ვინ იყო და შარაგზის ყაჩაღი-მეთქი, მეთოთხმეტე საუკუნეში, და თავისი ყაჩაღობა ასე მოინანია-მეთქი. ზურია კი ისევ თავისას გაიძახოდა, მე არ მჯერა მაგან სოფელი ააშენოსო, შენ ტყუილუბრალოდ ხალხს გადაიკიდებო, მაგას ისედაც ძალიან ბევრი მინები აქვს და თუ ასე გული ერჩის, ააშენოს თავის მინებზეო, არადა უნდა ყველაფერს გველემშაპივით გადააჯდესო, ჯერ კიდევ როდიდან დაიწყო მაგან უკეთურ გზაზე სიარულიო, ამ ოცდაათი წლის წინათ სრულიად ახალგაზრდამ, იმდენი მაყვალი, იმდენი ასკილი და სხვა კენკროვანი ბუნებაში რომ არ არსებობს, ეგ ფალსიფიცირებული წვენების გაკეთებაში იყო ჩაბმული და ციმბირსა და სხვაგან და სხვაგან ქვეყნის ხალხი დანამლა და გაამგზავრა საიქიოს... ზონიდან დაბრუნების შემდეგ ახლა მატყლის წარმოებას მოჰკიდა ხელი, იქაც რამდენი იპარა და იტაცა და იმდენი ეგრეთწოდებული მშრალი ოპერაციებით მოითბო ხელიო, დაგავინყდა, რამდენი ცხვარი იკარგებოდა, რამდენს იტაცებდნენო?! სულ მაგისი თაოსნობით იტაცებდნენ და იპარავდნენ... რატომ უნდა დავივიწყოთ წარსული, რატომო! რაღა წარსული, ამბობენ, რომ შარშანაც თავის ახლობელს მოაკვლევინა თავიო, ვალში გაუყიდა სახლ-კარი და ბაღ-ვენახი, და ნუთუ შენთვის ეს ყველაფერი არაფერს ნიშნავსო?! „რაც არ უნდა იყოს,“ თქვა ახლა უკვე ცირამ, „წიგნის გამოცემაზე უკან დახევა და უარის თქმა არაფრით არ შეიძლება... კარგი რაა, ზური, ავტორი უარს ვერ იტყვის წიგნის გამოცემაზე, ვერა! შენი განზე დგომით ნეტავ ვიცოდე, რა მოიგე და რას მიეჩიე!“ „აბა, რაა, აბა, რაა, სულ რომ ეშმაკი იყოს სპონსორი, სწორედაც უკან არ დავიხევ!“ დავიძახე მე ცირას გამოქომაგებით გულმოცემულმა.

ზურია აბობოქრდა, მე და ცირამ შევუტით და ვინ იცის, სადამდე გასტანდა ჩვენი



შერკინება, ტელეფონი რომ არა... მაშინვე არც აგვიღია ყურმილი, კამათში ჩართულებმა არც მივაქციეთ ყურადღება... მაგრამ ზარი არ წყდებოდა...

„ჩვენები იქნებიან და უთხარი მოვდივართ-თქო.“ დაადევნა ზურია ცირას.

„ზური, მოდი ერთი ეს ფინჯები შემიფუთე ლამაზად.“ ვთხოვე ზურიას.

ცირა მივიდა ტელეფონთან... აიღო ყურმილი... და ადგილზე გაშეშდა. მერე შემობრუნდა... შემოგვხედა და თავი გაიქნია: „საშინელი ამბავი,“ ჩავარდნილი ხმით თქვა, „ამოხოცეს... ზაური... ზაურის სიმამრი... ტატოც უგრძნობ მდგომარეობაში საავადმყოფოში წაიყვანეს... ნინუცა რეკავდა... საავადმყოფოდან...“

ჩვენ მაშინვე გავცივდით საავადმყოფოში. შესასვლელი ხალხით იყო სავსე, ჩვენი ნათესავები კი მეორე სართულზე, ქირურგიული განყოფილების წინ, გრძელ სკამზე, ზაურის ცოლის გვერდით, ჭირისუფლებივით იყვნენ ჩამომსხდარი, მხოლოდ ქეთინო იდგა, კედელს მიყრდნობილი, გახევებული და გამშრალი... მე ბევრჯერ მიგრძენია, რომ ხატოვანი სიტყვა უშუალოდ სინამდვილიდან არის ამოზრდილი, და თურმე ელდაზე ადამიანი თითქოს მართლა „შრება“ და საძრაობას კარგავს, „ხევდება“. აი, სწორედ ასე გამოიყურებოდა თავზარდაცემული ქეთინო. მას ნიკაპთან გამოეკრა მტევნები და დროდადრო ერთი და იგივე სიტყვები აღმოხდებოდა ხოლმე: „რა ვქნა... რა ვქნა... რა ვქნა...“

ტატოც უკვე გარდაცვლილი დაგვხვდა, ტრასირებული ტყვიით იყო დაჭრილი და ოპერაციის გაკეთება ვერც მოესწროთ, საოპერაციოში შეყვანისთანავე გარდაიცვალა თურმე. ზაური და ზაურის სიმამრი მაინც აეყვანათ საავადმყოფოში, და ახლა თურმე გაკვეთას უპირებდნენ. ზაურის ცოლს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, სანთლისგან გამოთლილს ჰგავდა, ოჯახის ამონყვევით თითქოს გაყრუებულიყო... მხოლოდ როცა ექთანმა პკითხა: „ტყვიით დაჭრილს ძნელად უკეთდება ბალზამი, თქვენი შვილი გავკვეთოთ თუ არაო, ძლივს გასძრა ყბა და თავიც გაიქნია, იყოს, როგორც არისო, ცეცხლს არ დავანთებ და ჩემს ტატოს ამაზე უარესი აღარაფერი დაემართებაო.“

ეს ამბავი კი თურმე ასე მოხდა, ასე გვიამბობდა ქეთინოს მამა ირაკლი, დათას შვილი, ტატო თურმე შეკვეთილი ტორტის მოსატანად წავიდა, თურმე ეს იქვე იყო, მაშინვე უნდა მობრუნებულიყო და ალაყაფში დატანებული პატარა კარი არ ჩაკეტა. ზაური და მისი ცოლი ელა საწოლ ოთახში ტანსაცმელს არჩევდნენ, მძახლებში წასასვლელად რა ჩაცვათ, მოხუცი კაცი კი, ელას მამა, ძაღლების ასაშვებად ჩავიდა თურმე ეზოში, საღამოობით ძაღლებს ყოველთვის აუშვებდნენ

ხოლმე, ავი ძაღლები ჰყავდათ თურმე, კავკასიური ნაგაზები. ჰოდა, სანამ იგნატი ძაღლებს აუშვებდა, ტატოც დაბრუნდა ტორტით ხელში. მკვლევლებიც სწორედ მას შეჰყვნენ. როგორც ჩანს, მკვლევლები სამნი იყვნენო, გვეუბნებოდა ირაკლი, ერთი, ეტყობა ზევით ავარდა, ხმაურზე კარისკენ წამოსული ზაური იქვე ჩაცხრილა. შეიძლება ელას მოკვლას არც აპირებდნენ და შეიძლება იმის გამო გადარჩა, რომ სააბაზანოში იყო შესული და სროლაზე როცა გამოვარდა, ზურგიდან დაინახა როგორ გარბოდნენ...

ჩვენი ბიძაშვილი ირაკლი გვეუბნებოდა: როგორც ჩანს ტატოს მოკვლას არ აპირებდნენ იმიტომ, რომ ფერდში იყო დაჭრილი — ი, მაგრამ რალას არ აპირებდნენ, თუ ყველა ტრასირებული იყო და სულ რაღაც საათნახევარში გარდაიცვალა. მოხუცი იგნატი მივარდა თურმე ერთ-ერთს, თმებში სწვდა და კარგა დიდი ბლუჯა ხელშიც შერჩა. ყველა იმას ამბობდა, კრიმინალურ ლაბორატორიაში თმის ერთი ლერითაც კი არკვევენ დამნაშავის ასაკსა და კიდევ რამდენ რამესო, და შეუძლებელია ამ ბლუჯა ქერა თმით ვერაფერს მიხვდნენ და ვერაფერი გამოიძიონ...

მაგრამ ვერაფერიც, თუ არაფერიც არ გამოუძიებიათ. ან შეიძლება გამოიძიეს და არ გააცხადეს, რადგან ვერავინ, ვერაფერი ვერ გაიგო.

ყველა შეძრული ვიყავით, მინდოდა ჩქარა გავცლოდი იქაურობას... ნახევარი ღამე დამგლოვიარებულ ნათესავებთან გავატარეთ... და მწუხარე იყო ჩვენი თავყრილობა.

მეორე დილითვე, ადრინადა, ზურია ჩამაცილა მარშრუტების სადგომამდე და პირველივე რეისს გამოვეყენე თბილისში. გზაში მახსენდებოდა ღმერთის მუდმივმოქმედი და სამწუხაროდ, ამოო იმპერატივი, ნოეს რომ აუნყა: „ვინც დაათხევს კაცის სისხლს, მისი სისხლიც კაცის ხელით დაითხევაო.“ მაგრამ ასე მგონია, იეჰოვამდეც, მოსემდეც, ალაჰამდეც და... შუმერებამდეც, პირველყოფილი ადამიანი, ენაბრველი, როგორც კი დანაწევრებულ სიტყვას გამოავნებდა, ამასვე იტყოდა: ვინც ქვას დამცემს, ქვითვე ჩაიქოლებაო! და რაა მერე?! უწყვეტი ჯაჭვი ჩაქოლილთა და, დალაზვრულთა და, დადაშნულთა და ტყვიით განგმირულთა... და მათ შორის რამდენი მართალი სისხლი, ტატოს სისხლივით და რამდენი ცრემლი, ქეთინოს ცრემლივით, ამ სისხლის მარადი თანმდევი.

ჩემს ფიქრებსა და განწყობილებას ამძაფრებდა მარშრუტის აწყვეტილი სისწრაფე. დიდი პაუზის შემდეგ ახლა გამოჩნდნენ ჩვენს გზებზე მარშრუტები და მძლოლები სწრაფი ქროლვით გვიმტკიცებდნენ ამ ტრანსპორტის სიკეთესა და უპირატესობას. მართლაც, თბილისამდე ლამის ორი საათიც არ დაგვჭირდა.



მძლოლმა შეგვიბრალა, ისანთან არ ჩამოგ-  
ვსვა და ავლაბრის მოედნამდე მოგვიყვანა.  
არავითარი ტრანსპორტი არ იყო. უშუქობის  
გამო მეტროც არ მუშაობდა, და რომც ყოფი-  
ლიყო, მაინც არ ვიფიქრებდი მეტროში ჩას-  
ვლას, რადგან ცოტა ხნის წინ, დეზერტირის  
ბაზრიდან მომავალი, დღის ბოლოს იაფად ნა-  
ყიდი წვრილი კარტოფილით სავსე ბადურით  
ხელში, სადგურის მეტროს რომ მივაშურე,  
ჩასვლა იყო და სინათლაც ჩაქრა, და თუმ-  
ცა კიდეც კარგი, მატარებელში ჩაჯდომა ვერ  
მოვასწარი, ხალხით გაჭედილი წყვდიადიდან  
მეტროს გრძელსა და აყუდებულ კიბეებზე  
ამოსვლა, წარმოუდგენელ ჭყლეტასა და მი-  
წვე-მონწვევაში, ისეთი შემადრწუნებელი იყო,  
ასე მეგონა, დღის სინათლეს ველარ დავინა-  
ხავდი და სულს გავაცხოვდი. ჰოდა, ავლაბ-  
რის მოედნიდან, ჩვეულებრივ ფეხით დავადე-  
ქი სახლისკენ და გამოუდმებით, აკვირებუ-  
ლად ქეთინოს საქორწილო კაბას ვხედავდი,  
ულამაზეს, მძივებით მორთულ შლეიფიან კა-  
ბას, ოხლად რომ იყო დივანზე გადაფენილი.  
ჩქარი ნაბიჯით მოვდიოდი და ორმოცდახუთ  
წუთში მოვალწიე კიდეც ვერამდე. მელიქიშ-  
ვილზე, ჩვენს ჩასახვევთან, უზარმაზარი რი-  
გი შევნიშნე შორიდანვე და ნიოკიც მომესმა.  
ცოტა რომ მივუახლოვდი, სოფიკო დავინახე,  
რომელიც ჯგროს გამოეყო და ჩემსკენ წამო-  
ვიდა. სიცივეზე ლოყები ვარდისფრად უღუო-  
და, თვალებიც ლურჯად უხასხასებდა, შევხე-  
დე და გულს მომეფონა...

„რატომ მოდიხარ, რა ამბავია?!“ გაკვირვე-  
ბულმა შემომძახა.

„ოჰ, რომ იცოდე...“ და მე ვუთხარი რაც  
მოხდა და რატომ დავბრუნდი ასე უეცრად.  
ვიდექით გამონაპირებულები და ვუამბობდი  
ამ საშინელი ტრაგედიის ამბავს...

სოფიკო შეძრწუნებული შემომჩერებოდა,  
„ვაიმე ქეთინოვო“ აღმოხდებოდა ხოლმე... მე-  
რელა მითხრა: დილიდანვე ვდგევარ პურის  
რიგში, მაგრამ თორმეტ საათზე აღმოსავლე-  
თის ისტორიის სესია მაქვს და სადაც არის  
ტატანო უნდა მოვიდეს და შემცვალოსო, მე-  
ცოდები, მაგრამ ნამგზავრობის მიუხედავად  
შენ მოგიხდება პურის აღება.

„მაჩვენე აბა, სად დგახარ და შენ ჩაირბი-  
ნე სახლში, ტატანო აღარ წამოვიდეს.“

ჯგროში შევერიეთ და საშინელი ჩხუბისა  
და ნიოკობის მონმეც გავხდით. ახმახი ქალი,  
შავ პალტოში გამოხვეული, აწურული მხრები-  
თა და გააფრთლებული სახით, წინ წაწვდილ  
ხელებს უფარჩხავდა ცხვირწინ იქვე მდგომ,  
ინტელიგენტური შესახედაობის მანდილოსანს  
და ხაფი ხმით დასძახოდა: „მე არ ვიდექი?!  
მე არ ვიდექი?! შე მაიმუნო შენა! მე ხო შენ-  
ზე წინ მოვედი, რას ქვია არ ვიდექი!“

„არ იდექი, არა, არა, არა, არა!!!“ გამწივა-  
ნი ხმით დაიყვირა მანდილოსანმა.


„არ იდგა, იდგა, შეჩხირვა უნდა, ჩვენ აქ  
სულელები ვართ რო საათობით ვდგევართ,  
რისა გეშინიათ, მოჰკიდეთ ხელი და გამოიყ-  
ვანეთ, გაინძერით კაცებო, წესიერად დაიკა-  
ვოს რიგი!“ ისმოდა აქეთ-იქიდან. შავპალტო-  
იანი კი გრგვინავდა: ერთი ხელი მოჰკიდეთ  
და მე-თქვენ გიჩვენებთ სეირსო, „თქვე მო-  
ლალატებო, თქვე გამყიდველებო, მაიმუნე-  
ბო, მაიმუნებო!“ ისეთი შემზარავი შესახედი  
იყო, გეგონებოდათ რალაც ნამარხი ცხოველი  
აღორძინდაო. ვილაცამ დაიძახა ეგ კარვის ქა-  
ლიაო... მე მთავრობის სასახლის წინ მყავს  
ნანახი, კარვებს შორის რო დააბოტებლაო...

ახმახმა ყური მოჰკრა და მთლად გადა-  
ირია, თქვენ სალანძღავი გგონიათ კარვის  
ქალობაო?? თქვე ქვეშაფსიებო, თქვენაო!  
შეშლილივით გაჰყვიროდა, „დაიხაც რო, კარ-  
ვის ქალი ვიყავი და ჩანთაში კაი მოზრდი-  
ლი ქვებიც მელაგა, რო თქვენისთანა მოლა-  
ლატეებისთვის თავში დამეთხლიშა!“ ყველას  
მუშტი მოგვიღერა, მიტრიალდა და ადლიანი  
ნაბიჯებით გაგვეცალა. მიდიოდა აწურული  
მხრების რხევით, მინაზე მოსიარულე დიდ  
ყვავს ჰგავდა, გეგონებოდათ ფრთებიდან ნამ-  
ქერს თუ წვიმის წვეთებს იბერტყავსო... სო-  
ფიკომ მაჩვენა თავისი რიგი, დალეულ, ხნიერ  
ქალსა და ჭარმაგ კაცს შორის. ქალმა მითხ-  
რა, მე დავთვალე, ორმოცდამეჩვიდმეტე ვა-  
რო, თქვენ ორმოცდამეთვრამეტე იქნებითო.  
სოფიკო კი მიტრიალდა და ის იყო ჩაუხვია  
ჩვენი ქუჩისკენ, უცბე შემოტრიალდა და ჩემ-  
თან მოვიდა: „იცი, ახლა, ყველაფრის გამო  
ერთი ებრაული ანდაზა გამახსენდა და მინდა  
გითხრა, გამხსენებებისთვის...“

„რა ანდაზა-მეთქი“ ვკითხე.

„გალგალ ხოხერ ბეოლამ,“ — „ბორბალი  
ყოველთვის გადაბრუნდება.“ მერე მიბრუნდა  
და ტატანოს გასაფრთხილებლად წავიდა. ოჰ,  
როგორ მომინდა ტატანოს ნახვა, აი, ვისი  
შეცხადება და ქოთქოთი მოუხდებოდა ახლა  
ჩემს დათრგუნულსა და უამურ გუნებას. თა-  
ნაც, მართალია, კარვის ქალი განდევნეს, რიგ-  
ში მაინც დრო და დრო ნიოკი და შეხლა-შე-  
მოხლა იფეთქებდა ხოლმე. ვიდექი აბუზული  
და მხრებში თავჩარგული. მაინც გავხედავდი  
ხოლმე ქუჩას, პური ხომ არ მოაქვთ-მეთქი.  
ერთხელაც თავი რომ მივატრიალე, შორს  
მოძრავი შავი წერტილი შევნიშნე... წერტილი  
გადიდდა და... ძალი... ჩვენი უბნის შავი,  
გრძელბეწვა, მშვენიერი სამფეხა ძალი...  
ჯერ შორს იყო, მაგრამ ეტყობოდა გეზი  
აქეთკენ ჰქონდა აღებული... ნეტავ ჩქარა მო-  
ეტანათ პური, ნამდვილად მოგუტეხავდი.





# ქართული ხარბელოა

\*\*\*

ჩემს ძმადნაფიცს  
(უძმოს ძმას — ვაჟა ოთარაშვილს)

ვაჟა, ძმაო, იმცვრევიან წლები,  
წარსულს ჩემსას ტანთ ნისლივით ვიცმევ,  
მე გავდივარ გამართული ფრთებით,  
და ამ ფრთებქვეშ იტორტმანებს სივრცე.  
აქ შემთხვევით მომიყოლა ქარმა  
და მივკივი-მზეს დაყოლილ ჩრდილებს,  
სულის საზრდოდ არც ეს სივრცე კმარა,  
არც არაფრის მიწა მაძლევს იმედს.  
ძმაო, მფლეთენ ტკივილები მძაფრი,  
ცვრიან თვალებს დავახვედრებ დილას,  
მენატრება შენნაირი კაცი  
გარინდებულს შემეშველოს ხშირად.  
და შევჩივი ჩამოღვენთილ სანთელს  
მარტო ვარ და ... ყორნის ყრანტალს ვისმენ,  
ღრუბელივით მოვხვევივარ ამ მთებს  
ჩემს წინაპრებს, ჩემს ბრძენ დარბაისლებს.  
იფერფლება, იწურება ჟამი,  
იღვავა და ინაცრება მთვარე,

გასვლა მინდა ღრუბლიანი ღამით,  
გავალ, ჩუმად გავიხურავ კარებს.  
არც სიკვდილი მეჩვენება ძნელი,  
კაცი ვარ და არ ვიკადრო კვნესა,  
ჭირისუფლად ტკივილის და ცრემლის,  
ვერ ივარგა, ვერა, ძმაო, ლექსმა,  
თვალებს ბინდი დაეფარა გლუვი,  
რალაც ჯავრმა შემოიპყრო და მტანჯავს,  
ახლოს მქონდეს შენი თბილი გული,  
ქედზე მედოს შენი მკვრივი მაჯა.  
ძმაო, შენგან,  
შენგან ვითხოვ შველას,  
სხვას არავის არც არაფერს არ ვთხოვ,  
უნდა დავრჩე შენი ცრემლის ხელა,  
ჩემს საფლავს რომ დაეცემა სათრთვლოდ!

\*\*\*

როგორც ეტყობა, გაზაფხულს  
ისევ უშენოდ მოვიღევ,  
ალბათ, სწორია, სამყარომ  
ერთად ვერ გვზიდა ორივე,  
მე ვერ შემბედა,  
სანუთრო ვერანაირად მიმოკლა,  
გარს მივლის, მეფოლორცება,  
ჩამოტეხილ მხარს მილოკავს,  
გულს ვერც ეს ფოლორცი ალბობს,  
ვერც მზის მალული ცინება,  
დღეს ან ხვალ ჩიცის ტიალმა  
უშენოდ მომენწყინება.  
ბარგს შევკრავ, ვიცი,  
გრიგალი მალულად გაიქილიკებს,  
ერთხელდა ამოვიბლავლებ,  
მერე შენს ნავალ ბილიკებს  
მოეძებნი, გულში ჩავიხვევ,  
ნისლივით დავენურები,  
ქარი ჩემს ნაფლავს წააყრის,  
მტვერს შენი საფეხურების,  
როგორც ეტყობა, გაზაფხულს  
ისევ უშენოდ მოვიღევ,  
ალბათ, სწორია სამყარო...  
ერთად ვერ გვზიდა ორივე!

\*\*\*

დილით გამაფხიზლა სიომ,  
დაშლილ ნასაყდრალზე მწოლი,  
კალთა დამაბერტყა სველი,  
ღამით ჩამოსული თოვლის...  
მძიმედ ჩამოანვა თვალებს  
ცათა მოყვითალო ზოლი,  
გულის მივანეჭი კარებს  
შავად გამოვარდა ბოლი...



\*\*\*

აიმღვრა ჩემი გონება, —  
ფიქრს გეზი შეეუცვალეო,  
ერთ ყაიდაზე ცხოვრება  
როგორ მომბეზრდა მთვარეო,  
შენ ერთნაირად დადიხარ,  
მე კი ფეხს ავუჩქარეო.

\*\*\*

მარადიული ქარის ლოდინში  
ბევრჯერ დაშლილი, ბევრჯერ გაემთელდი...  
ცაო მაღალო, დიდი ბოდიში,  
ამჯერადაც შენ შემოგათენდი!

\*\*\*

გაგცვითე სისხლო, ტვინო გაგცვითე,  
მზე დამწვარ შუბლზე მთვარეს მიტოლებს...  
მინაო, ყოფნას შენ არ მაცლიდი,  
შენსავით დაცლილ სხეულს გიტოვებ.

\*\*\*

ჯავრისგან გაოგნებული  
ცას მდუმარებით შეეყურებ,  
პური ვარ დაობებული,  
ვეკენკინები ბელურებს.  
ვბორგავ, ტორტმანებს ირგვლივი,  
ჩემს ფეხის ხმაზე ზანზარებს,  
ქარს მოაქვს ეკლის გვირგვინი,  
მომიფარდაგებს საძვალეს.  
იმ მინას მივეკრძალები,  
სად შენი ძვლები მარხია,  
მზეს მინთებს შენი თვალები,  
სამყარო შენი სახეა.  
ყველგან შენ გხედავ, ნისლშიც კი,  
ზღვის ნაპირზე რომ ფარფატებს,  
სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც  
იქაც, ახლა რომ დაბადეს,  
მგლის ლეკვში, ლომის ღრიალში,  
ორბის, არნივის მართვეში,  
კლდეებს რომ ქარი მიაშლის  
თოვლის ნვიმების ნათქვეში,  
ცრემლი თვალებზე რომ შემაშრა,  
სიო ბალახს რომ ათრთოლებს,  
ცა დაღრუბლული შენა ხარ,  
რომ ემზადება სათოვლედ.  
შენი ხმა უდუღს ყველა ხარს,  
ბუინობას რომ ბუბუნებს,  
მე რომ ვარ, ისიც შენა ხარ,  
მთვარეს რომ მისდევს ძუნძულით.

\*\*\*

(ჩემს ომარ ქუცნაშვილს)

მომბეზრდა ყოფნა, მინასთან ყოფნა  
და მეზიდება სული საუფლოდ,  
შემოდგომაა, ნეკერჩხლის ფოთლებს  
და ღრუბლებს მინდა გავესაუბრო.  
ივრის ჭალებით ჩამოდის მთვარე,  
სათიანეთოს მთვარე იღვრება,  
როგორ დამალა ამ სიფერმკრთალემ,  
ველარც სხვა ფერთა შევძელ მიგნება.  
თუ ვხატავ, თალხი ფერებით ვხატავ,  
დრომ მიაჩვია თალხ ფერებს ფუნჯი,  
მუხლებთან ხვრინავს ყელთეთრი კატა,  
თავი კი ებრძვის გაცვეთილ ხურჯინს.  
ალბათ, თენდება ირემი ბლავის,  
შემციულ ტყეთა ვიგრძენ ზმორება,  
მთებიდან ცივი მოვიდა ქარი,  
მთებივით ცივად მეამბორება.  
ბილიკზე ხმელი ფოთლების შრიალს  
ვისმენ და ... გული მკარნახობს ტკივილს,  
ო, სული კივის, ძალიან ძლიერ,  
ო, სული კივის, კივის და კივის!  
დავმშვიდდე, ვერსად ვპოულობ ადგილს,  
ვბორგავ, გაჭირბლულ კლდეებს ვეხლები,  
გაოფლილ შუბლზე მაფენენ ნაგრილს  
და მამშრალევენ ისევ ვერხვები.  
მომბეზრდა ყოფნა, მინასთან ყოფნა  
და მეზიდება სული საუფლოდ...  
შემოდგომაა, ნეკერჩხლის ფოთლებს  
და ღრუბლებს მინდა გავესაუბრო...

\*\*\*

ნუ შემადარებთ ყვავილის ფოთლებს,  
ნურც მთვარეს ცაზე დაგდებულს ზურგით,  
მე უფრო ვგავარ ნიადაგ მბრუნავს  
მთათა წვერებზე მიფენილ ღრუბელს.  
მე ბილიკი ვარ, რომელზეც მგზავრი,  
რალაც ფარული სიმშვიდით მიდის,  
ლანდი ვარ მინის, არ ვგავარ არვის,  
უზომოდ მცირე, საშინლად დიდი.  
ქარიშხალი ვარ, არ ვგავარ ქარებს,  
დიდება სიკვდილს... სიცოცხლე მიმძიმს,  
ცა რომ ტორტმანებს, ეს მე ვხარხარებ,  
ჩემი სისხლია მინა რო იძვრის!

\*\*\*

ჩამოვრჩი მგზავრებს, წყლის პირზე  
ჩამოვჯექე, ჩამოვისვენე...  
ვეჩურჩულები წყლის ტალღებს  
არაგულით რამ მისმენენ,



ზევიდან მოდგნენ ქარები  
 მზის სხივი ჩამომისვენეს,  
 აუსვეს ენა, ალოკეს,  
 თვალზე მომდგარი სისველე...

\*\*\*

აჰა, დავსრულდი,  
 ტკივილები გამიმთლიანდა,  
 დღე ფიქრად მექცა,  
 ღამე ტანჯვად,  
 დილა წყვილიადად...  
 თავად მთვარე ვარ,  
 მთვარე სრული  
 ღრუბლის სვეტებით...  
 მხოლოდ ჩემს ირგვლივ,  
 ჩემს გარშემო დავეხეტები...  
 აღარ მიზიდავს არც ყვავილი,  
 ხე, არც ბალახი,  
 არც ხმა ნიავის,  
 შორიახლოს ქედნის ღუღუნით...  
 ქარი ვიყავი, ქარიშხალიც,  
 ვიყავ გრიგალიც...  
 ცეცხლში დავსრულდი,  
 ცეცხლითა ვარ გადაბუგული!

\*\*\*

ღია მკერდზე თვალს ვასვენებ,  
 აგრემც თვალი დამიწდება,  
 მოდი, კოცნა გამახსენე,  
 თორემ გადამვიწყდება.  
 დრო ისედაც მიმალამებს,  
 არც შენ იტყვი უარს, ვატყობ,  
 ემაგ მკერდის სითამამე,  
 თვალებს რაღად მოვანატრო.

\*\*\*

და თუნდაც მთელი სამყარო  
 იად იქცეს და ვარდებად,  
 მზეო, შენ იცი, ტკივილი  
 რო აღარ დამიამდება,  
 არადა, ყურს ნუ დამიგდებ,  
 ჩემთვის შენითაც ღამდება...

\*\*\*

მზეს ზურგით უნდა დავუდგე,  
 კილო დავძაბო თხრობისა,  
 უნდა შევცვალო სხეული,  
 სუნნი რომ ასდის ობისა.

ვერავინ მიხვდეს, სად შევწყვეტ  
 საუბარს, ანდა როდისა,  
 მთელ სამყაროზე უიღრემდის  
 არ მნახავთ ჩამომზობილსა!

\*\*\*

საფლავებს მთვარე დაჰყურებს,  
 უცხო უცხოს რამ შურიითა,  
 ირწვევაროგორც საყურე,  
 ივსება სიბრაღულითა.  
 ღამაზად ბრწყინავს ლოდებზე  
 ცრემლი დაყრილი გულითა,  
 ჩამოდგა ცისკრის ვარსკვლავი  
 განაზებულის ტანითა,  
 აქ შეკრებილან ყველანი  
 ვინაცა ფხიზლობს ღამითა.  
 ამკობენ სამარის ლოდებს  
 ცით მოტანილი ნამითა,  
 მე შორიახლოს ვყუდივარ  
 დაძვრას ვერ ვბედავ ჩქამისას,  
 არ მინდა მალე დაღევა  
 ასეთის სანახავისა,  
 სხვისას რო ასე ტირიან,  
 როგორ იგლოვენ თავისას.  
 ნეტავ, თქვენ, ნეტა, ლოდებო,  
 ნაბანნო უფლის ცრემლითა,  
 ნეტა, იმ თვალებს, რომელნიც  
 დაღლილან თქვენი ცქერიითა!  
 გავდივარ შავი ნისლივით,  
 შავად ჩაქცეულ სერიითა,  
 ვიცლები კლდის გულისპირზე  
 პირქუში ცვარის ცვრევიითა.

\*\*\*

დარდი, ფიქრი და ტკივილი –  
 ჩემგან მოედო სამყაროს,  
 რას ამბობ, ნისლო, ტირილი  
 შენ როგორ უნდა მასწავლო!  
 მზე მე ვერაფერს დამაკლებს,  
 შენ უცბად დაგლევეს სანყალო!

\*\*\*

მეძახდი ნუხელ,  
 მიხმობდი ნუხელ,  
 ძილს ვერ დავუხსლტი,  
 ბევრი ვინვალე.  
 ბებერო მუხავ,  
 ძალიან ვწუხვარ,  
 შენ, ქარში მბორგავს  
 ვერ მოგისწარი...  
 ვერ ვნახე როგორ ტიროდა ზეცა



და ჭირისუფლად გეჯდა ვარსკვლავი...  
მადლობა მაინც  
შენს ბოლო კვნესას,  
შენს დამარცხებას რომ დამასწარი!

\*\*\*

ბუერავ, ნვიმის წვეთებით  
თავს ნულარ დაიმძიმებო,  
კარგს იქამ, თუ კი ეცდები –  
დასწვები, დაიძინებო.  
მაშინ მოვკვდები, მიტირე,  
შენ თუ ვერ გამიცინებო.

\*\*\*

მალლით ცის ცეცხლი მედება,  
დაბლიდან მიწა მინთია,  
კარგია? ვკვირუფალო...  
პასუხი დადებითია.  
შუბლს მთვარის ლანდი მიგრილებს,  
ქარი მიმშრალებს იარებს,  
ვინვები, ვრჩები იგივე,  
სამყაროსავით მტვრიანი.  
ვინვები, ცეცხლის ალებით  
დაფარულია სხეული,  
დაბალ ხმაზედა ვლილინებ,  
ასეთ წვასა ვარ ჩვეული.  
ვინვები, ჩემი მკერდიდან  
არ იბერტყება ნაცარი,  
ცრემლი ჩამომდის ირგვლივი,  
ამ ცრემლითაა ნაცვარი.  
მკრთალად ჩნდებიან ვარსკვლავნი  
ქარით სიბრალულს მითვლიან,  
ღმერთო, არ არის საკმარი?..  
პასუხი დადებითია.

\*\*\*

(მეუფე თადეოზს)

კლდედ გაუტეხლად მაქცია  
არ დასათმენის თმენამა,  
ვერ შემძრა, ვერ ჩამომშალა  
სულ მუდამ ქართა ფშვენამა.  
შიგნით ნახარში ტკივილის,  
გარეთ ცრემლებად დენამა.  
სიტყვა, წამცდარი გონებას,  
უკან აბრუნა ენამა.  
მოვედი, შენთან ვიუბნო,  
ასე მიბრძანა ზენამა.  
ის, რაც მძიმეა ერთისთვის,

ორმა იოლად ზიდოსა,  
თავი ფიქრისთვის გვჭირდება,  
არა ბალიშზე იდოსა.  
ფეხებზე დასაკიდები,  
ფეხებზე დაიკიდოსა.  
სხეულის მჭლედ ზიდვა გვმართებს,  
რო სულმა გაიმინდვროსა!  
ლოცვა არც უსანთლოდა მწამს,  
არც მარტო სანთლის წვის დროსა.  
გონების სულ რყევა გვმართებს,  
ობი არ მოიკიდოსა!  
ვინ გვკითხავს, სასუფეველი  
სად, როგორ დავიმკვიდროთა.  
შენს წინ ვარ, ღირსო მამაო,  
მდაბლად დახრილის თავითა,  
სიკვდილში გალალებული,  
ვერ შედრეკილი ავითა.  
სული ვერ ჩამოქცეული,  
ჩამოძენილი გვამითა,  
ვერ იქნა, სამყაროს რისხვა  
ვერ გავანელე ამითა!  
არც თავადა მთხოვს მშვიდობას,  
არც მე მივდივარ ზავითა,  
თუ რამეს ცოდვას ჩავდივარ,  
ეგებ შენ ამხსნა ჯვართა.  
ვიდრე მთებსა ვძრავ ბუბუნით,  
არ დავილევნი ჯავრითა.  
დღეს ან ხვალ გასვლა მომინევს  
ჩემზე წინ გასულთ გზებითა,  
ვალს გავუსტუმრებ, სამზეოს  
ჯავრისგან დახრულ ძვლებითა.  
სხვას ვერც რას მტრობით დავაკლებ,  
ვერც გაყრა-შერიგებითა.  
მცირის კარგის ქმნა გვანაყრებს,  
ბევრით, სისხლის სმით ვძლებითა.  
ხვალ უფალსა ვთხოვ შენდობას,  
დღეს თუ ავს რამეს ვშვრებითა.  
ვერც ვნახე კაცი, საფლავში  
ჩასული თავის ნებითა,  
ხდება განგების უფლის და  
ეშმაკთან გარიგებითა.  
ეგებ, ცოდვა, მამაო,  
შენ წინ რომ გიფენ ნუხილსა.  
კლდის ჩამოქცევაც მინახავს,  
მტვრად, ნაცრად ქცევა მუხისა,  
როცა ნაკლებად მჭირდება  
იქ ჩამობერტყვა მუხლისა,  
უნდა ბოლავდეს ნიადაგ,  
წესი ესაა ბუხრისა.  
მიწა მზადაა ავდრისთვის,  
ცა როცა იწყებს ქუხილსა.  
ვინ მკითხავს ან აბრძანებას,  
ანდა ჩამოსვლას მნუხრისას.  
არც ჭკვაში მომდის განვსაჯო  
საკეთებელი უფლისა.





# მანანა ფანგაძე

ასე, ვიხო!..

„აცე, ვირო, აცე, შე სამგლევე შენაა!“ — შეჰყვირა და გამეტებით მოუქნია სახრე. ორჯერ მის წონაგადაჭარბებულ, საპალნემოკიდებულ ვირს მერამდენედ აენვა ისედაც შიმშილისაგან ჩაცვენილი ფერდები. შეძლებისდაგვარად ნაბიჯს აუჩქარა, თვითონაც ერთი სული ჰქონდა ჩქარა მისულიყო სახლამდე, ეს ტყვიასავით მძიმე ტვირთი ჩამოეხსნა და დალილ-დაქანცულს, მთელი დღის მშვიერსა და ნაჯაფარს დაესვენა...

ვირი ფიქრებში წავიდა, გაახსენდა წინა პატრონი, აფსუს, რა კაცი იყო... პირველად რომ დაინახა პიჯაკში და ჰალსტუხში გამოწყობილი, იფიქრა — ამას ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდესო, მაგრამ სულ ჩქარა გაერკვა ყველაფერში, თურმე ქალაქიდან იყო ჩამოსული სოფლებში და ტყე-ღრეში გზების გასაყვანად. ყველას ეგონა რაღაცა მეცნიერულ ხელსაწყობებს გამოიყენებდა გზის გასაზომად, გამოსათვლელად, სად უნდა გაჭრილიყო გზა. კაცმა კი თქვა — ერთი კარგი ვირი მაყიდინეთო, აი მაშინ მიიყვანეს

მასთან. შეხედა თუ არა ვირს, ჩაუღიმა, ფაფარზე ხელი გადაუსვა და „აბა ჩემო ჩოკინავ, დღეის შემდეგ მე და შენ მეგობრები უნდა ვიყოთ, შენი დიდი იმედი მაქვს და არ მილაღატო“.

მართლაც, მეორე დილიდან მზე ჯერ არ იყო ამონვერილი კაცი რომ ადგა, ჩაიცვა სამუშაო ტანსაცმელი, ჯერ ვირს დაუყარა თივა, დაუდგა წყალი, მოეფერა და ყურში წასჩურჩულა — „დღეიდან ვინცებო გზის გაყვანას, მე ვიცი, რომ შენ შეგიძლია ყველაზე სწორი გზის მოძებნა, საითაც შენ ნახვალ, მეც იმ ადგილებს მოვიწინებ გზის გასაყვანად, აბა შენ იცი, არ მილაღატო“. ვირს რაღაც სითბო ჩაელვარა გულში და რატომღაც გაახსენდა პატარას დედა რომ ულოკავდა ქოჩორს, რაღაც იმდაგვარი სითბო მოჰგვარა ამ ახალმა პატრონმა...

მიდიოდა ვირი, პატრონი უკან მიჰყვებოდა და გზადაგზა ნიშნულებს აკეთებდა. საკმაოდ დიდი გზა გაიარეს. მზე ზენიტს უახლოვდებოდა. საშინლად ჩამოცხა. ვირს ოფლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ერთი წუთით არ უფიქრია ნაბიჯის შენელება, მას ენდობოდნენ, მისი სჯეროდათ, მას ეფერებოდნენ და ისიც მზად იყო ბოლომდე გაემართლებინა ნდობა. ფიქრობდა, წონიდა, ცდილობდა არ შეშლოდა რამე და წინ მიიწედა, თან უკვირდა — კაცს როგორ შეეძლო ფეხით ამოდენა მანძილის გავლა, რატომ არ სარგებლობდა მისით, უნდოდა ეთქვა „მოდი, შემაჯექი ზურგზე, მე მიჩვეული ვარ უფრო მეტი ტვირთის ზიდვასო“, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, მას მხოლოდ ფიქრი შეეძლო, ისიც ფიქრობდა და ფიქრობდა...

სიარულში პატარა მდინარეს მიადგნენ, კაცმა აიკაპინა შარვლის ტოტები, სიღრმეში რომ შევიდნენ, წყალი მუხლამდე წვედებოდა, ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, კაცმა აბგიდან წყლით სავსე ჭურჭელი ამოიღო, რომელიც მზეს ისე გაცხელებინა, მხოლოდ ჩაის დასალევეად თუ გამოდგებოდა. კაცმა ჩაღვარა წყალი მდინარეში, აავსო ჭურჭელი ცივი წყლით და ვირს გადაასხა ჯერ თავზე, მერე ზურგზე, თან ხელს უსვამდა, ეფერებოდა, ეჩურჩულებოდა „ჩემო ჩოკინა, აქ, ამ ადგილზე ჩვენ პატარა, ლამაზ ხიდს ავაგებთ და იცი რამდენი ადამიანი გვეტყვის მაღლობას? ახლა ცოტა დავისვენოთ“ და ვირი მდინარის პირას ხასხასა ბალახზე მიუშვა, თვითონ კი ხის ჩრდილქვეშ ცოტა წაიხემსა და წამოწვა დასასვენებლად...

ვირის ბედნიერება რამდენიმე თვე გაგრძელდა. ძალიან ბევრი სამუშაო იყო, მაგრამ ხალისით მუშაობდა თვითონაც, თავისი პატრონიც და სხვა კაცებიც. ძალიან ჩქარობდნენ, ვიდრე აცივდებოდა, უნდა მოესწროთ გზის და მთავრება...

„ეჰ, ნეტა იმ დროს!“ — გაიფიქრა ვირმა. გაახსენდა დამშვიდობების წუთები. კაცმა თავისი სამუშაო დაამთავრა, ჩაიცვა პიჯაკი, გაიკეთა ჰალსტუხი, ჩააწყობა ბარგი მის წასაყვანად მო-



სულ მანქანაში და „ერთი წუთით დამელოდე-  
თო“ — მძღოლს უთხრა. მოკიდა მიხოს ხელი, შე-  
იყვანა ვირთან და „აბა მიხო შენ იცი, დღეიდან  
შენ იქნები ამის პატრონი, იცოდე სახრე არ გა-  
დაუჭირო, ეს ვირი კი არა, ბევრ ადამიანზე ჭკვი-  
ანი არსებაა, ყველაფერი ესმისო“, მერე ვირს  
მოუთათუნა ხელი, მიეფერა, შუბლზე აკოცა და  
— „დიდი მადლობა ერთგულებისთვის, რაც შენ  
გამოიჩინე ჩემდამი, იმ დაუზოგავი შრომის-  
თვის, შენ რომ არ დამხმარებოდი, მარტო ნამ-  
დვილად ვერაფერს გავხდებოდიო“, და თვალ-  
ზე ცრემლი ჩამოუგორდა. ამ დროს მანქანის  
სიგნალიც გაისმა და კაცი ჩქარი ნაბიჯებით  
გავიდა ბაგიდან. გაკვირვებულმა მიხომ თვალი  
გააყოლა კაცს, ვიდრე მანქანაში არ ჩაჯდა, ვერ  
მიხვდა რა ხდებოდა, მერე გადაატრიალ-გადმო-  
ატრიალა ხელის მტევნები და ისე დატოვა ბაგა,  
არც შეუმჩნევია ვირის მოწყენილი თვალები-  
დან ღვარად მომდინარე ცრემლები...

იმ დღის შემდეგ მიხოს მისალმებაც სახრე  
იყო, დამშვიდობებაც, აბა აქეთ, აბა იქით, გა-  
ჩერდი-გასნი, ეს ყველაფერი სახრის ტყლაშუნ-  
თან იყო დაკავშირებული, ვირიც ითმენდა რამ-  
დენიც არ უნდა ერტყა მიხოს, ერთი ცრემლი  
არ გადმოვარდნია თვალიდან, ითმენდა ახალი  
პატრონის მოლოდინში, მის მეტმა არავინ კი არ  
იცოდა ვის ელოდებოდა...

ვირი ისევ გაუყვა ფიქრებს...

ერთხელ კოლმეურნეობის თავჯდომარემ  
ვილაცა კაცი მოიყვანა მასთან — „აი, ჩემო ბა-  
ტონო, ეს არის, თუ გამოგადგებათო“, მოსულ-  
მა ახედ-დახედა ვირს, აქედან შემოუარა, იქი-  
დან შემოუარა და „კი გამომადგებაო“, სთქვა,  
„ოლონდ მანამ გადალებები არ დამთავრდება,  
ვირი ჩემთან უნდა იყოსო“, — „კი ბატონოო“ —  
თავჯდომარემ და რამდენიმე დღეში კინოს გა-  
დალბაც დაიხყო. „რას არ მოესწრები“ — ფიქ-  
რობდა ვირი — „კინოშიც თუ გადამიღებდნენ,  
ამას რა მომავლიერებდაო“ და დაიწყო ძალიან  
მხიარული ცხოვრება, მართალია, უაზროდ ამე-  
ორებინებდნენ ერთსა და იგივეს, მაგრამ მაინც  
ბედნიერი იყო. კინოში ბავშვები თამაშობდნენ  
და ისე შეუყვარდათ ვირი, სახელიც კი შეარ-  
ქვეს — ლურჯა. თავისუფალ დროს მასთან  
ერთად თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდ-  
ნენ ვინ უფრო მეტ ბალახს მიუტანდა, ვირიც  
დაკუნტრუშობდა მათთან ერთად და ძალიან  
ბედნიერი იყო... „მაინც რა საყვარელი ბავშვები  
იყვნენ“...

ერთხელ რეჟისორის საუბარს მოჰკრა ყური,  
ბავშვებს უხსნიდა — „იცით ბავშვებო, ვირი  
არის სწორზე მავალი, თავის გადანყვეტილება-  
ში ძალიან პრინციპული, ამ თვისებას ზოგჯერ  
ავ სიჯიუტედ უთვლიან, მაგრამ ასე არ არის,  
თუ არ აკეთებს რამეს და გაჯიუტდა, ე. ი. ფიქ-  
რობს, რომ არასწორია იმის გაკეთება, რასაც  
ავალბენ და მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს. თავის  
თვისებების გამო — განაგრძობდა რეჟისო-

რი — ვირი ითვლებოდა საკულტო ცხოველად,  
მისი გამოსახულება რომელიღაც აფრიკული  
ქვეყნის გერბზეა გამოსახული, ზუსტად არ მახ-  
სოვს, და სულ, სულ ადრე ეგვიპტის ქურუმე-  
ბი იცვამდნენ ვირის ტყავისაგან შეკერილ ტყა-  
პუჭებს იმის დასამტკიცებლად, რომ რახან ეს  
მაცვია, ვირივით ჯიუტი ვარ ჩემს გადანყვეტი-  
ლებაში, ჩემს მოძღვრებაშიო. გახსოვთ, ალბათ,  
სახარებიდან, მაცხოვარი ვირზე ამხედრებული  
რომ შევიდა იერუსალიმში...

ბავშვები გაკვირვებულები შესცქეროდნენ  
რეჟისორს, მისი საუბრიდან ბევრი ვერაფერი  
გაეგოთ, მაგრამ მაინც სულგანაბულები უსმენ-  
დნენ.

ვირს კი ამ ღვთისნიერი ადამიანის საუბარმა  
თავისი ერთ-ერთი პატრონი გაახსენა, ერთ-ერ-  
თი, მაგრამ განუმეორებელი. მის ხელში მძღ-  
არი არ ყოფილა, მაგრამ ისეთი ამალღებული,  
ისეთი საესე და ბედნიერი იყო, როგორც არას-  
დროს. გაახსენდა უფრო ადრე, შუალამისას ბა-  
გაში ცა გაიხსნა, განათდა, არა, კი არ განათდა,  
ციდან ერთი სხივი წამოვიდა, ბაგას დაეცა და  
კიდევ გაისმა ჩვილის ხმა, ეს იყო რალაცა საო-  
ცარი სანახაობა — „ღმერთის შვილი, ღმერთის  
ძე, ძე-ღმერთი“ — გაიფიქრა უცბად, ის არას-  
დროს არ სცდებოდა. მიხვდა, რომ ისეთი ბედ-  
ნიერი წუთის მომსწრე იყო, ასეთი ბედნიერება  
ბევრს არ ხვდომია წილად...

მას შემდეგ ოცდათორმეტი წელი გავიდა და  
აჰა, იერუსალიმისკენ მიმავალი დამქანცველი  
გზა, ერთი წუთით არ ჩაუმუხლავს, არ უღალა-  
ტია მისი პატრონისთვის, ძალიან კარგად იცო-  
და, როგორც განვლილი ოცდათორმეტი, ისე ეს  
გზაც ეკლიანი იქნებოდა, მაგრამ ისიც იცოდა,  
რომ ბოლომდე უნდა ეერთგულა, თუმცა რალაც  
უარესი წინათგრძნობა უღრღნიდა სულს... აი  
გოლორთაც, აქ უკვე იძულებით დააცილეს და  
შორიახლო მიჰყვებოდა მის პატრონს, ხედავდა  
რა მძიმე ჯვარი ჰქონდა აკიდებული, როგორ წა-  
იბორძიკა რამდენჯერმე და გამწარებული ფიქ-  
რობდა „ღმერთო, მომეცი ნება მე ვზიდო მისი  
ჯვარი დანიშნულ ადგილამდე, ის ფიზიკურად  
სუსტია, ვერ გაუძლებს, მე კი მიჩვეული ვარ“,  
მაგრამ არა, „ყველას თავისი ჯვარი აქვს საზი-  
დიო“ — თითქოს შორიდან ჩაესმა... თვალები-  
დან ლაპალუპით მოსდიოდა ცრემლები, ბლან-  
ტმა სითხემ სულ დაულტო სახე, უკვე ველარა-  
ფერს ხედავდა და აღარ იცოდა ეს ცრემლები  
იყო, თუ სისხლი, მხოლოდ სამსჭვალზე დარ-  
ტყმული ბლაგვი საგნის ხმამ გამოაფხიზლა,  
მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, მთელი ცხოვრე-  
ბა თავდახრილმა რომ გაატარა, ახლა შეეცადა  
თავის მალა აწევას, უნდოდა უკანასკნელად  
შეეხედა პატრონისათვის და რალაც ბურანში  
დაინახა ჯვარზე გაკრული მაცხოვარი, რომელ-  
საც მზისფერი შარავანდედი ამშვენებდა და მი-  
სი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვებიც კი გაიგონა  
„მე ისევ დაებრუნდები“...



და ელოდა, ელოდა, იცოდა, რადგან მან სთქვა, აუცილებლად დაბრუნდებოდა...

„აცე, ვირო, შე მგლის საკერძევ, შენა!“ — და-იღრიალა მიხომ და სახრე გადაუჭირა — „ვერ ხედავ გათენდა, ქვეყანა გაკეთდა, შენ კიდევა გძინავს!“...

## ჩემო შოთა..

ჯონდომ მწუხარე სახით შეალო სახლის კარები.

— ჯონდოიე, შენ ხარ? — მოესმა სამზარეულოდან ლამარას ხმა.

— ჰო, მე ვარ.

— სა ხარ ამდენხანს, რეიზა დეიგვიანე! — ლომის საზელი ჩოგნით ხელში გამოვიდა ლამარა სამზარეულოდან და რომ შეხედა მეუღლის დამწუხარებულ სახეს, რა გჭირს, ცუდი ხომ არაფერია? — ჰკითხა.

— მეგობარი დამელუპა...

— დიდუუუ! — შეკვივლა ლამარამ, უცბად გონს მოეგო და,

— რომელი ბიჭო?

— რომელი და შოთა...

— ნენაავ! — გააგრძელა ისევ ლამარამ და უცბად ვერ გაიხსენა შოთა.

— რომელი შოთა ბიჭო!

— რაფერ არ ვახსოვს, გუშლამ რომ დევიგვიანე სახლში (ეს გუშლამ რამდენიმე თვის წინ იყო) და შენ რომ ერთი ამბავი დამანიე გაუთავებელი ეჭვიანობით და მე რომ გითხარი შოთა შემხვდა, ჩემი ძველი მეგობარი — თქვა, არ მომეშვა და სახლში წამიყვანა-თქვა, ა, ის შოთა გარდაიცვალა.

ლამარა ნუთით ჩაფიქრდა, ის „გუშლამინდელი“ ჩხუბი კი გაიხსენა, მარა ამ შემთხვევამ შოთა ვერა და ვერ გაახსენა.

— რა ვქნა, ვერა და ვერ ვიხსენებ იმ საცოდავს, — ამოღერდა.

— ქალო, რავა ვერ იხსენებ, ხუთი წლის წინ სოფელში რომ გავყიდეთ ბინა და ვაზისუბანში ვიყიდეთ, მერე პატარა „ნოვოსელიე“ რომ მოვანყვეთ და თან შენ დაბადების დღეს დავამთხვიეთ-ერთ ხარჯში გამოვალთო, ე, მაშინ იყო შოთა მოსული ჩვენსა, რაცხა საჩუქარიც მოგიტანა, გადერიე მაშვინ სიხარულით, არ გადამრიო, კიდო ვერ გეიხსენე?

— უი, უი, უი, რავა არ მახსოვს, ნენააა რა კაცი, შოთააა! — და ახლა უკვე გაცნობიერებულად გააგრძელა მოთქმა.

— კაი, კაი ახლა, ნუ დეინყებ შენებურად, ახლა სულ არ არის მაგი საჭირო, მაგას გირჩევნია, გამიმზადე ტანსაცმელი და სალამოს ბავშვები რომ მოვლენ ინსტიტუტებიდან, ყველა უნდა ნევიდეთ პანაშვიდზე, მთელმა ოჯახმა უნდა ვცეთ პატივი ცხოვნებულს.

ლამარამ შეიმშრალა ცრემლები.

საოცარი ქალი იყო ლამარა, სოფელში მკვდარი არ გაუსვენებიათ მისი დაუტირალი, ერთ-ერთ კარგ დამტირებლად ითვლებოდა, ისე მოთქვამდა და ისეთ ტექსტებს ატირებდა, ჭირისუფალი ვიღას ახსოვდა, მის მოთქმაზე იხოცებოდა ხალხი ტირილით. ერთხელ მისმა დისშვილმა რეზოიემ, რომელიც ტიპიური გურული იყო თავისი იუმორით და ენამოსწრებულობით, თქვა — აი დეიდაჩემი კუნძთან რომ დასვა იტირებსო; გამოეკიდა ლამარა ცოცხით ხელში, ძლივს გაასწრო რეზოიემ ეზოდან. თბილისში ცოტა გაუჭირდა ლამარას, დაკრძალვიდან, ან პანაშვიდიდან მოსული გაუთავებლად ერთი და იგივეს იმეორებდა — ასეთი დაუტირებელი კვტარი არ მინახავს მე, ამ თბილისში ტირილი სულ არ სცოდნიათო.

მოსალამოვდა, მთელი ოჯახი საგულდაგულოდ გამოენყო, ჩასხდნენ თავიანთ ძველისძველ მანქანაში და გაემართნენ შოთას „დასავასებლად“.

— ლამარა, აბა შენ იცი ახლა, შოთა ჩემი კარგი მეგობარი იყო და მივუახლოვდებით თუ არა სახლს, იქიდანვე დასცხე შენებურად — უთხრა ჯონდომ. ლამარამ იმ სახით შეხედა „მაგის გაფრთხილება რად მინდაო“.

— ბიჭო, მისამართი თუ იცი? — ჰკითხა.

— რას ქვია არ ვიცი, ხომ გითხარი ნაქეიფარი ვარ მასთან სახლში-თქვა, — ცოტა ხმას აუწნია ჯონდომ.

— კაი, ჰო, ყვავილები ვიყიდეთ გზაში, — შეახსენა ლამარამ.

იყიდეს ყვავილები და ჯონდომ ერთ-ერთ კორპუსთან გააჩერა მანქანა, ცოტა ჩაფიქრდამეორე თუ მესამე სადარბაზო იყო, მერე გაიხსენა, რომ მესამე იყო და გადმოვიდნენ მანქანიდან. წინ ლამარას დაუთმეს გზა.

სალამო იყო. ცოტა შებინდებულიყო, სადარბაზოში რომ შევიდა ლამარა, რალაცას ნამოკრა ფეხი და გაბრაზებულმა ნაუბურტყუნა ქმარს, — რაია ცა, ერთი ნათურა რავა გაუჭირდათ რომ გაენათებინათ სადარბაზო.

— კაი, ახლა, მაგის დრო არ არის, დროა დეინყე, მესამე სართულზე ვართ ასასვლელი, — ამის თქმა იყო და მორთო ლამარამ კივილი.

— შოთა, შოთააა, ჩემო ძმაო, ეს რა დილა გამითენდაოო!

უცნაური ტირილი იცოდა ლამარამ, თავიდან ინყებდა კივილით და ბოლოში თითქოს სიმღერასავით ამთავრებდა ხოლმე.

აიარეს პირველი სართული.

— შოთა, შოთააა, ჩემო ძმაოოო, ეს რა მხარი ჩამოაცილე ჩემს ჯონდოიესოოო! — ყველა ფრაზის დასაწყისი ერთნაირი იყო, თავიდან ნელ ტემპში ინყებდა, მეორე ნახევარში უჩქარებდა ტემპს და ზუსტად ეტეოდა რიტმში.

აიარეს მეორე სართული, კაციშვილი არა სჩანს, არც ამსვლელი, არც ჩამომსვლელი. ცოტა კი შეფიქრიანდა ლამარა, მაგრამ კიდევ უფ-



რო მოუმატა ხმას.

— შოთა შოთააა, ჩემო შოთააა, რატომ არ შეიცოდევ შენი ოქროსავით ცოლ-შვილიოოო! — ავიდნენ მესამე სართულზე. ისევ არავინ სჩანს. ლამარამ ქმარს მოხედა და თვალებით შეეკითხა ბინა რომელიაო, იმანაც თვალებით მარჯვენა კარებო, ლამარამ შეხედა კარებს — დაკეტილია, ისევ მოხედა ქმარს თვალებით. ახლა როგორ მოვიქცეო, ქმარმა უესტიკულაციით მიანიშნა ჩამონიე სახელური და შედიო, მართლაც ჩამონია სახელური, კარი გაიღო.

— შოთა შოთააა, ჩემო შოთააა, პირველად ვარ შენს ოჯახში, მარჯვენა ფეხი შემოვდგი, მარა შენ რომ აღარ დამიხვდები ასეთ მოსვლას რა ფასი აქვსოოო! — შევიდნენ ჰოლში, კაცი-შვილი არ სჩანს. ლამარამ ისევ მოხედა ქმარს ცოტა გაბრაზებული სახით.

— შედი ოთახში, ნუ ჩერდებიო, — ანიშნა ქმარმა.

— შოთა, შოთააა, ჩემო შოთააა, შემომხედე ბიჭო ხელზე, შენ რომ დაბადების დღეზე მაჩუქე ის ბეჭედი მიკეთია, მარა ანი-რალას შემომხედავოოო! — ოთახშიც კაციშვილის ჭაჭანება არ სჩანს. მოთმინებადაკარგულმა ლამარამ უკანასკნელად შემოხედა ქმარს, ჯონდომ ისტიბარი არ გაიტეხა. — ზაფხულია, ცოტა ცხელა, ალბათ ლოჯში დაასვენესო, ე. ი. არ გაჩერდე ლოჯისკენ წადიო.

— შოთა შოთააა, ჩემო შოთააა, რა კარგად მოგიწყვია ოჯახი, ამ სახლ-კარის დატოვება რაფერ იქნებოოო, — და ლოჯშიც რომ არავინ აღმოჩნდა, ამოუვიდა ლამარას ყელში, მოუბრუნდა ქმარს.

— გამაგებინე რა ხდება, სა მომიყვანე აქ, სადაა შოთა, ვისია ეს სახლი! — და ქოთქოთით და ჩქარი ნაბიჯით შემობრუნდა უკან გამოსასვლელი კარისკენ, კიბეზე ვილაცა სულიერი ამოდიოდა.

— მეგობარო, შოთა მიქნაძის პანაშვიდზე ვართ და ხომ ვერ მიგვასწავლით რომელი კორპუსია.

აღმოჩნდა ორი კორპუსის შემდეგ ყოფილა, ლამარამ დააპირა საყვედურების თქმა, მაგრამ რომ დააკვირდა კორპუსები მართლა ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და თან უკვე ხალხიც გამოჩნდა პანაშვიდზე მიმავალ-მომავალი. განათებულ და საგულდაგულოდ დასუფთავებულ სადარბაზოში რომ შევიდნენ, ჯონდომ ლამარას ხელი წაკრა იმის მანიშნებლად, რომ დაინყეო, ლამარამ მუჯლუგუნითვე უპასუხა იმის მანიშნებლად, რომ ვერაფერსაც ვეღარ დაინყებო. ასე ჩუმად, უხმოდ შეჰყვინენ ხალხის ტალღას, ჩუმად, უსიტყვოდ მიუსამძიმრეს ჯერ ჰოლში მდგარ ჭირისუფალ მამაკაცებს, წინ ისევ ლამარა მიდიოდა ყვავილებით ხელში. თავის სიცოცხლეში პირველად დაეუფლა ასეთი განცდა — ტირილი უნდოდა და ვერ ტიროდა, იმდენად დაცლილი იყო ემოციებისგან და ისე

იყო ქმარზე გაბრაზებული, ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა სახლში. ამ ფიქრებით, მძიმე ნაბიჯებით და ყვავილებით შევიდა ოთახში, სადაც შოთა ესვენა. წესისამებრ მარჯვენა მხრიდან შემოუარა მიცვალებულს, მიუსამძიმრა და გადაკოცნა შოთას მეუღლე, რომ გაიმართა, მისი ქმარი არ დგას წინ?! დედა! რა ჰქნას, მოიხედა უკან — ხალხი მოჰყვება, გაიხედა წინ — მისი ქმრის უკან მისი შვილები და ბრმად გამოყოლილი ხალხი, დიდუღუ! შეიქნა უხერხული სიტუაცია, ლამარას უკან ხალხი, ჯონდოიეს უკან ხალხი, ცოლ-ქმარი პირისპირ, მარცხნივ შოთა, მარჯვნივ ჭირისუფლები... ოხ, ჯონდოიე, ჯონდოიე, აქედან გევიდე მშვიდობით და სახლში რასაც გიზამ მე ვიცი! — გაიფიქრა ლამარამ...

იმ საღამოს სახლში რა „კონცერტიც“ გაიმართებოდა, ამის წარმოადგენა ძნელი არ იქნებოდა, ალბათ...

## ველეხი ბჰიჩილები

იანვრის დილა გათენდა. გაიხედა ფანჯარაში, ხვავრიელად თოვდა. დიდი, თეთრი ფანტელები ეცემოდა ფანჯრის მინას. უცბად ისეთი სითბო ჩაედვარა სულში, აღტაცება ვერ დამალა ისე, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა — სანუხარს და სატკივარს არასოდეს უმხელდა სხვას, მაგრამ სიხარული რომ არ გაეზიარებინა ვინმესთვის, არაფრით არ შეეძლო... ახლაც ასე დამართა და...

— ამ თოვლმა ხომ წაიღო ტვინი — მოესმა მეუღლის ხმა... ღმერთო, ეს მერამდენედ... აღტაცება პირზე შეაცივდა. გაახსენდა 17 წლის იყო, შობა თენდებოდა. ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ერთი ნუთით გადმოიხედე ეზოში.

— გადაიხედა მე-8 სართულიდან, ქათქათა თოვლზე დიდი ასოებით დაწერილი სიტყვა „მიყვარხარ“ ბრიალებდა, თავიდან ვერ მიხვდა რა იყო ეს, რომ დააკვირდა, შეამჩნია, ასოებს მართლა ცეცხლი ეკიდა, ულამაზესი სანახაობა იყო. თვალი ვერ მოსწყვიტა, ვიდრე ცეცხლი არ მინავლდა და ისევ ზარი...

— ხომ გიყვარს თოვლი?

— ძალიან!

— შენი სტიქია ცეცხლია, ხომ!

— კი.

— ჰოდა, შევაერთე და... გამოვიდა ჩემი სიყვარული... შობას გილოცავ!...

გაზაფხული უყვარდა, როგორც კი პირველი კვირტი გაიშლებოდა და ჰაერი ყვავილთა სურნელით გაიჟლინებოდა, სახლში ვეღარ ჩერდებოდა, გული გარეთ მიუნევდა, უნდოდა ყვავილებს მოფერებოდა, მინა დაეკოცნა, მაგრამ... გაზაფხული მისთვის აღარ იყო, ისიც წარსულში ჩარჩენილიყო...



18 წლის შესრულდა, სალამოს მეგობრებს ელოდა დაბადების დღეზე. კარზე ზარის ხმა გაისმა. გაალო, პატარა ბიჭი იდგა უზარმაზარი გვირილების თაიგულით, ფესვებიანად და მიწიანად დათხრილი გვირილებით.

— ეს თქვენთან გამომატანეს, აი წერილიც...

„ამ გვირილებით სპეტაკ და უმშვენიერეს ასულს ვულოცავ დაბადების დღეს. არ ვიცი, იქნებ ნაფერები ვარდი, ან სამეფო მიხაკი უფრო გიყვარს, მაგრამ მე ვგიყვები მინდვრის ყვავილებზე და ჩემი ხელით დაგიკრიფე. რალაცნაირად ეს გვირილები უფრო კარგად გამოხატავს ჩემს ველურ და შლეგ სიყვარულს შენს მიმართ... მარადიულად და უიმედოდ შეყვარებული...“

გაგიჟდა სიხარულით. ღმერთო, რა ლამაზად იცოდა სიყვარულის გამოხატვა. ის არავის ჰგავდა, არასოდეს ანუხებდა, არ სთხოვდა თანაგრძნობას და არ აბეზრებდა თავს სხვებივით...

— დღეს დამაგვიანდება! — ქმარმა კარი გახურა.

ეკამ თავის ორეულს შეხედა სარკეში — როდემდე უნდა იარო დინების სანინააღმდეგოდ? არ დაიღალე? ნუთუ არ მოგბეზრდა ამ ბრჭყვიალა ნივთებით გამოჭედილ ცივ გალიაში ჯდომა? დასჯილი ხარ? ვინ მოგისაჯა? შენ თვითონ მიუსაჯე შენს თავს! რატომ? იმიტომ, რომ სიყვარული უარყავი... როგორ გენატრება ის გულწრფელი ღიმილი, სიყვარულით ანთებული თვალები, ველური გვირილები... მერე პატიოსნება?! რა არის პატიოსნება? ვინ ამიხსნის, რა არის პატიოსნება? ნუთუ ის, რომ მთელი ცხოვრება აკეთო ის, რაც არ გინდა, იცხოვრო იქ, სადაც ხვდები, რომ შენი ადგილი არ არის, გქონდეს ბედნიერი ქალის ნიღაბი და საკუთარ თავსაც ატყუებდე და სხვებსაც, მთელი ცხოვრება დაუნგრიო ადამიანს, ვისაც საკუთარ თავზე მეტად უყვარხარ და არც უცდია შენი შემცვლელის პოვნა, შენ კი „სუფთა“ სინდისით, „პატიოსნების“ ნიღაბს ამოფარებული ცხოვრობ ბრჭყვიალანივთებიან სახლში ადამიანთან, ვისთვისაც სულერთია, შენ იქნები მის გვერდით, თუ სხვა... და ცხოვრობ ასე უგაზაფხულოდ, უყვავილოდ, უთოვლოდ და უსიყვარულოდ...

ორი დღის შემდეგ ეკა ორმოცდაათი წლის ხდებოდა. ძალიან ცუდ განწყობაზე იყო, მაგრამ იცოდა მეგობრები მაინც მოვიდოდნენ და

სამზადისს შეუდგა... აი ისინიც — ერთი, ორი, ხუთი, ცხრა, ათი, თორმეტი... — გაიგეს მრგვალი თარიღიანო, და ყველამ მოინდომა მოლოცვა. ეკა ცოტა გამხიარულდა და რალაც უცნაური ხალისით გარბოდა კარის გასაღებად. კიდევ ვილაცას ელოდა, რომელიც არ ჩანდა, იგვიანებდა, არც ეცალა იმაზე დასაფიქრებლად, ვის ელოდა. ცოტა ხანში სტუმრები აიშალნენ. ბოლო რომ გაისტუმრა და ნუთით ჩამოჯდა დალილი, მაშინ ამოუტივტივდა გონებაში ვის ელოდებოდა — რას არ გაიღებდა კარებში რომ ის პატარა, ველურგვირილებიანი ბიჭი დაენახა...

ფანჯარა გაალო. ვარდობისთვის თბილი სალამო იდგა, მისთვის გაუცხოებული გაზაფხულის სურნელით. ცას ახედა, ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, „ნეტავ რა ხდება ვარსკვლავებს იქით“... მორჩილებას ნაზიარებმა მთელი ძალით იგრძნო საკუთარი სხეულის სიმძიმე. იგრძნო, რომ მოთმინების დიდი სკივრი მთლიანად ამოცარიელებულიყო. სამაგიეროდ სიყვარულის „მარაგი“ სრულიად დაუხარჯავი და ხელუხლებელი შემორჩენოდა. იმასაც მიხვდა, რომ ამ ცხოვრებაში, ამ გრძნობას დახარჯვა არ ენერა და მთელი სიშმაგით დაეუფლა სურვილი, დამძიმებული სხეულიდან გამოსვლისა. სულს სილალე სწყუროდა. „გააჩერეთ დედამინა, ჩავდივარ!“ — გაახსენდა.

ნეტავ, შეიძლებოდა მართლაც დედამინის გაჩერება და ჩასვლა. არა, ჩასვლა არა! ასვლა ზემოთ, ცისკენ, ვარსკვლავებისკენ, იქ, სადაც მარადიული სიმშვიდეა, მარადიული გაზაფხულია და მარადიული სიყვარული! იქ, სადაც არ არის შური, ქილიკი და მოჭრილია ყველა ბილიკი უკან დასაბრუნებლად, ვიდრე სული ყველა მიწიერი ცოდვებისგან არ განინმინდება, დედამინისა, სადაც ყველაფერი ამაღლებული — დამცილებული და შეურაცხყოფილია. და მერე... ისევ თავიდან იწყება ყველაფერი, ისევ, ხელმეორედ, თუ ხელმეათედ გიშვებს მამაზეციერი გამოსაცდელად ცოდვებით დამძიმებულ დედამინაზე... და... მიხვდა, რომ მისი ყველაზე დიდი ცოდვა ზუსტად ის იყო, რასაც სხვები პატიოსნებას ეძახდნენ, რაც მთელ სხეულს მარწუხებივით უბორკავდა, რადგან მისგან დასაცავად არ გააჩნდა არანაირი იარაღი მორჩილების და მიტევების გარდა და რისგანაც ამ ცხოვრებაში ვერ გათავისუფლდებოდა...







დავით  
თქვენთან

**თქვენ აქ რა გინდათ**

(ეროპაში გახიზნულ ქართველებს)

თქვენ აქ რა გინდათ,  
ბედკრული ქვეყნის  
სიყვარულისთვის გაჩენილებო,  
სამშობლო გიხმობთ  
უსამშობლოდ დარჩენილებო,  
თქვენივე ნებით,  
სხვათა სურვილით,  
სიძულვილით ფარხმალდაყრილნო,  
თქვენ აქ რა გინდათ?!

თქვენ აქ რა გინდათ?  
თქვენი სული საქართველოს  
ელაციცება,  
ცივია თქვენთვის ქალაქები  
განათებული —  
ნატვრას რომ გისპობთ.  
ვერ ეგუებით,

ვერ ისწავლეთ ვერც ანგარიში,  
ვერც სიძუნწე,  
უყაირათობას ვერ შეეშვით,  
გაუცხოების კარ-ფანჯრებიც  
მიხურეთ მძიმედ  
და სამშობლოში დაბრუნების  
შეწყურებთ იმედს,  
რაც კარგი არის უდავოდ და  
გფარავდეთ ღმერთი,  
აქ ვერ ვსვამ ნერტილს...

თქვენ აქ რა გინდათ?!  
თქვენი სული კასრს მოჰგავს დენტის,  
სულ მცირე წყენით  
გადაბუგავს ანწყოს და წარსულს,  
მე თქვენს შესახებ გაზეთში ვწერდი —  
ცრემლით, ტკივილით,  
განშორების სასტიკი სევდით  
მე თქვენს შესახებ გაზეთში ვწერდი.  
თქვენს მომლოდინე საქართველოს  
უშრება მკერდი,  
დაბრუნდით მალე,  
სამშობლოში შეიკრას წრედი,  
თუკი განალღვლებთ,  
თუ გადარდებთ  
სამშობლოს ბედი,  
დაბრუნდით მალე,  
დაბრუნდით მალე!  
საქართველოში  
სიყვარულის შეიკრას წრედი!

**ტბეთის ტაძარს**

მინდა შენს ქვეებს ვეფერო,  
ვაზის ჯვარის სადარო,  
სულის მაცხოვნებლო,  
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდავით  
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,  
ჰქონდათ შენი იმედი  
ერგეს, კირნათს, მარადიდს...

უფლის კვართით დაწინდულ  
საქართველოს შვენოდი,  
წუხდი, ჟამით დაბინდულს  
გარბევდნენ, ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,  
მითხარ, ვის გავუჯავრდე,  
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,  
ზარზმა-არტანუჯამდე.



საბა ეპისკოპოსის  
ვხედავ დიდ ეპარქიას –  
სიზმარში და მივტირი,  
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,  
შენს ხატს უნდა ვეფერო,  
სულის მაცხოვრებლო,  
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,  
ვაზის ჯვარის სადარო,  
სათნოების მთესველო,  
ტბეთის დიდო ტაძარო.

\*\*\*

გარდაცვალების დღეა  
სულზე უტკბესი მამის,  
გული ნუხილის ტყვეა,  
გული სავსეა შხამით.

ვერც წლებმა უსალბუნა  
მამის დახარჯვის ტკივილს,  
სევდა-კაემნის ბუნაგს  
შევეხიზნე და ვტირი.

თვალეზით მთხოვდა-უქიმს,  
თვალეზით მთხოვდა-წამალს,  
ჩემი გულადი მამა,  
ჩემი ამაყი მამა,  
ჩემი გულუხვი მამა.

ახლა საფლავთან ვდგავარ —  
ცრემლებით სავსე სურა,  
და ვეფერები წყნარად  
გრანიტზე ნახატ სურათს.

## სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმალე,  
ჯვარი — ჩუქურთმებში,  
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან  
სანთლის შუქი მთებში.

ვერ ჩამიქრეს —  
კლდე გამიხრავს,  
ჯავრისაგან, კბილით,  
იავნანა მშველოდა და  
კაბა-კალთის ჩრდილი.

შევინახე ხანძთის განძი,  
ტაოს დარდი მწველი,  
მეწყერივით მოვარდნილი,  
მიჩხვია მტერი.

კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,  
ბევრჯერ მომატირა —  
აღსრულდესო დედის ნატვრა, —  
შესანიშნავს სწირავს.  
ვეფერები აჭარისწყლის  
ხეობას და სივრცეს,  
აქ არტანუჯს გავიხსენებ,  
სულს იმერხევს მივცემ.

ვაზი სულში გადავმალე,  
ჯვარი — ჩუქურთმებში,  
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან  
სანთლის შუქი მთებში.

## მამაჩემი

მენატრება მამაჩემი,  
გზაც მოკლდება მამისაკენ,  
როგორც გულს და  
როგორც თვალებს,  
ვუფრთხილდები მამის სახელს.

მამა გვზრდიდა რაინდებად,  
საბას იგავ-არაკებით,  
არასოდეს უცხოვრია  
დალხენით და გაღალღებით.


სოფელს მისი ჰქონდა რიდი,  
სიტყვას მისას ჰქონდა წონა,  
სძულდა მშიშარა და ფლიდი,  
სძულდა მლიქვნელი და მონა.

მამამ შიში არ იცოდა,  
ომმა გამოსტაცა შიში,  
სტალინგრადთან სტალინივით  
ამაყობდა მამა ჯიშით.

კურსკთან სიკვდილს ეთამაშა,  
კენისბერგში ითარეშა,  
გამარჯვება დაიმშვენა,  
დაფლეთილი ეპყრა დროშა.

მამა იყო ახოვანი,  
გუმბათივით აზიდული,  
ბაყბაყდევის ძალა ჰქონდა  
და კეთილი ბავშვის გული.





ნიკო  
რეხვიასვილი

**დამგესლე გველო!**

დამგესლე გველო, რომ ბოროტებამ  
კვლავ იზეიმოს ბოლომდე შენში,  
რომ ეს ქვეყანა არ გასწორდება,  
რომ ყველაფერი იხრჩობა გესლში.

რომ ვეღარ ვიტან მე ამ კაცუნებს  
გადაგვარებულს სისხლით და ჯიშით,  
რომ სიყვარული ბევრჯერ მაცთუნებს  
და ხვალის დღეებს შევყურებ შიშით.

დროსთან აქამდე რომ ვმიამიტობ,  
რომ ვეღარ გამაქვს სიკეთით ლელო,  
სწორედ ამიტომ, სწორედ ამიტომ,  
სწორედ ამიტომ დამგესლე გველო.

სულით ქვეყნიურ სულს გამოივები  
და ჩემი სისხლიც მოსწვეთავს წარსულს,  
ოდენ სიკეთით და სათნოებით  
ვერ მოვერიე მზაკვარს და ავსულს.

დამგესლე გველო, ჭკუიდან შეშლით,  
სანამ სანუთრო მომიღებს ბოლოს,  
რომ სიკეთეში შერეულ გესლით  
ვებრძოდე მტერს და ვებრძოდე ბოროტს.

შენ ეს სიცოცხლე არ გიღირს ჩირად,  
სამოთხის ბალის უცვლელ მცველო,  
— მაცთუნე ისევ, მაცთუნე ხშირად,  
დამგესლე, ზოგჯერ დამგესლე გველო!...

**ბასეირნება ქართულ ანბანით**

*რკალიდან—ქართული ანბანი*

ჩავცქერ ნაწერს სასოებით,  
კრძალვით ვეამბორები,  
თრთიან ქართულ ასოების  
ნაზი ნიამორები.

გული აზრებუხვედრელი,  
დამისერეს დანებით,  
ველზე მივქერი უხედნელი –  
ან-ებით და ბან-ებით.

გან-ზე დარჩა ია-დონთა  
მომღერალი კუნძული,  
ზეცას კარი ღია ჰქონდა  
ლალით ჩამოხუნძლული.

ქარვის მძივი ყელს ეკიდა  
ბროლებთან და ლალებთან,  
ვგრძობდი ღამეული ციდან –  
ვიღაც მითვალთვალებდა.

ჩამძახოდა: — შ — ენ ვინ ხარო,  
ბეჩავს უნდა გახარო,  
— ახლოს გელის ბნელი ხარო,  
ბედით შენც სხვას გავხარო!

ვინა მყავდა, სადა მყავდა,  
— ვინმეს ზრუნვით ვეხედე,  
ხანაც ჩემს წინ ქვა დახვავდა,  
ხან უღრანში ვეხეტე.

იდუმალის სავსეობით,  
ზენ-აარის თან-ხმობით,  
მარადიულ არსებობით,  
აღდგომით და დამხოზით.

ბედს წყალობა გამოვთხოვე,  
ბევრ ჭირ-ვარამს გამომრჩა,  
ბევრი ასო გამოვტოვე,  
განა მართლა გამომრჩა.



გულში დიდხანს მიფარული  
სიყვარული ვთხოვე ქალს,  
ერთხელ ეძღვნა სიყვარული,  
მერე თუნდაც მოვეკაღ!...

გავვლე ლას-თა ლელიანი,  
ტევრი შემხვდა სან-ების,  
კაცი მდევდა ცელიანი,  
სხვა რჯულის და სხვა ნების.

გადავანყდი ბოლოს ჰაე-ს,  
შიშნაკრავი შევდექი,  
ჩუმაღ უთხრა უზენაესს:  
— ეს არისო შემდეგი!

ვემუდარე მუხლზე ჩოქვით,  
ნამიც აღარ მაცალა,  
მომახვია ყელზე თოკი,  
სადღაც წამაჩანჩალა...

### აღამისადმი

მე თვალებს ვხუჭავ და სულერთია  
დაღამდება თუ არ დაღამდება,  
მინა ჟინია, ცა სულეთია,  
სული სიზმრებში გადაქანდება.

ეს მერამდენედ, ო, მერამდენედ  
ბებერ ღამეზე მთვარე გათხოვდა,  
ჩუმაღ ჩავლილ წლებს თვალს მიადევნებ  
და სწუნარ-ყველა არ დაგახსოვდა.

ადამ, ვის სახელს ვირქმევ სახელად,  
ვის მიმამსგავსეს, ვის შემადარეს,  
ეს მერამდენე იერსახე მაქვს,  
ვის სხეულსა და ნიღაბს ვატარებ.

მარქვი, რამდენხანს ვიყავ მძინარი  
და გავიღვიძე, როგორც მოკლულმა,  
მარქვი სად არი, მტერი ვინ არი —  
შევირიგო და დავხვდე მოყვრულად.

ვის ზღვას მივაპობ, ვისი მესაჭე,  
ვისი სული მაქვს ასე მერყევი,  
ეს ვის ღამეში ვის ლექსებსა ვწერ,  
ვის სატროფოსა და ვის ცოლს ვეხვევი.

ვისმა ნაღველმა სულში დათოვა,  
ვინ მატყუებს და ვის ვეკრძალები,  
და სიჩუმიდან, როცა მარტი ვარ —  
მაყურადებენ ვისი თვალები...

მარქვი, უნდობი ეჭვი განდევნე,  
შენ ხომ სამოთხის თოვლი გათოვდა...  
ეს მერამდენედ, ო, მერამდენედ  
ბებერ ღამეზე მთვარე გათხოვდა!

### გაელი

ქართულ ცაზე ღამე ღუის —  
უმთვარო და შიშისმგვრელი,  
ქვემო ქართლში ცას შევეყმუის  
დაბორკილი ჯაჭვით მგელი.

თვალეებს ვილლი ცრემლით სოველს,  
ცრემლი ბორკილს ვერ დაამსხვრევს,  
თორემ ჩემს ველებზე მძოველს  
დავლადრავდი ყელეებს ამ ცხვრებს.

კაცი უცხო მოდის ახლო  
ბასრი ხანჯლის ლესვა-ლესვით,  
ვაი, მშობლიურო სახლო,  
ყურს საბრალო კვნესა ესმის.

დღეს ნაერთვა თვალისჩინი,  
ელვა მეხით უმტვრევს ცას კარს,  
შეღებილი ქალი ინით  
მოუძღვება ურიცხვ ღამეებს.

დამიცხრილეს ტყვიით მკერდი,  
ზარ-ზეიმით ჩაიარეს,  
იცრემლება ქრისტე-ღმერთი,  
დასცქერს გახსნილ ნაიარევს...

დამხობილი ვჩხრეკავ ნაცარს, —  
ალი ავაანარეკლო,  
ეშმაკები სხედან ტაძარს,  
დაქცეული დუმს სამრეკლო...

ქართულ ცაზე ღამე ღუის —  
უმთვარო და შიშისმგვრელი,  
ბოლნის ქალაქს ცას შევეყმუი  
დაბორკილი ჯაჭვით მგელი

### კაცი შვიდივე ბრუნვაში

კაც-ი ღვთიური გენით  
კაც-მა მზედ გაიოცნება,  
კაც-ს ვეძებ დიოგენით,  
კაც-ის დღესაც ჭირს მოძებნა.

კაც-ით ავით და ბოროტით  
თავს ვერ იმართლებ გამჩენთან,  
კაც-ად ივარგე ბოლომდი  
კაც-ო, ამ არაკაცებთან!



### ბენიალური რითმა

წერილად ნაწნავდამწული,  
წყვილად გიშერი თმა, —  
მომეწონა ქალწული —  
სიყვარულის რითმა.

სული გამჭვირვალეა,  
ვით მზიანი ყინვა,  
სულში ქარიშხალია,  
მესმის მისი გრგვინვა.

უნდა ძვლებად დამყაროს,  
მახმოს თავისქალად,  
ილიმება სამყარო  
გაჩენილი ქალად.

ბედო, არ მიცბიერო,  
ცაო, შენ დამიცავ,  
დაიფარე ციერო,  
ჩემი დედამინა!

მშვენიერად ქალური, —  
მძლავრ სიცოცხლის რიტმად,  
— ქალზე გენიალური  
არ არსებობს რითმა!

### შოთა ნიშნიანიძის ხსოვნისადმი!

ყველა წყარო დამშრალია,  
ყველა ცრემლი გამშრალია,  
ალარ არის მაფშალია,  
მგალობელი მაფშალია.

მართლა ბულბულყელიანი,  
ბულბულივით მგალობელი,  
სხვა წყალობა რად უნდოდა —  
ღმერთი ჰყავდა მწყალობელი.

ჰორიზონტის კიდევანში  
მისი კიდევანიც ძევს,  
უტკივილოდ ვერ ვიხსენებ  
შოთა ნიშნიანიძეს!

რა ლალები უბნევია,  
რა ბროლ-მარგალიტები,  
მისი ტაძრის ჩუქურთმებზე  
ღულუნებენ გერიტები.

ამოტვიფრავს მეტაფორებს,  
ლექსს მოავლებს გალავნად,  
ცა ქუდად არ მიაჩნია,  
დედამინა ქალამნად!

ეს მიწა აქვს საფალავნოდ,  
ცა-ჯადოსნურ სარკედა,  
მგოსანია ხარისლონე,  
ხარითვალა, ხარქედა.

ლექსს ღვთაებრივს მზე მოსწვეთავს  
და მირონის ნახარში,  
ტყეში ჩიტი ალარ გალობს,  
ხარი სტირის ზღაპარში.

ცად წარსულის სევდასავით,  
ლამე გიშრიანი წევს,  
მხარზე აზის ანგელოსი  
შოთა ნიშნიანიძეს.

სიზმრებია სანახავი,  
იქაც არაერთხელი,  
ბრძენი არის ყოვლისმხედი  
და წინასწარმეტყველი.

ლექსში აბჯრის ჩხერა ისმის,  
ხმლების წკრიალ-წკრიალი,  
და სიკვდილის ცხელი სისხლის  
ჩქრიალი და თქრიალი.

ქართულ ლექსის მძლე რაინდი,  
ულევ განძის პატრონი,  
სიტყვას უქებს თვითონ დიდი  
კონსტანტინე ბატონი!

ბოგა-ბოგა, ბოგირ-ბოგირ —  
შარები და შუკები,  
გოგოვ, მწყერად მოგოგმანებ,  
გულზე მომეშუქები.

აბა, დელი ოდელია,  
არ დამრჩები უქები,  
ხალიან ტუჩს დაგიკოცნი,  
ცეცხლით დავიბუგები...

ძონეულით შემოსილნი,  
სტუმრად მოწვეულები —  
დაბრანულან ვარსკვლავები,  
როგორც ბრონეულები.

ბილიკ-ბილიკ ქარი მოდის  
ლილინ-ლილინ-ლილინით,  
დაჩეხილი წარსულიდან  
ისმის ცხენთა ჭიხვინი.

ამოდულდა სიტყვა ოქროდ  
სულში გადანამალი,  
ცას შეჰყივის მისი ლექსი —  
„კოლხ-იბერთა მამალი“...

თუმცა ბებერ დიდუბეშიც  
ბევრი ჯიშინი წევს,  
მთანმინდის ცა არ ვაღირსეთ  
შოთა ნიშნიანიძეს!





# თქვენი ჟურნალი

## ჰილარი ვუდი და საქართველო

ჰილარი ვუდი 1989 წელს გავიცანი, როდესაც მიხეილ თუშანოვილის „ღონე შუანით“ აღფრთოვანებულმა საქართველოში ჩამოსვლა და თუშანოვილის ბაცნობა გადაწყვიტა. იმ დღიდან ჰილარი ქართული თეატრის დიდი მოყვარული და დაუღალავი მებრძოლი გახდა.

სამოქალაქო ომი იწყებოდა, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში „ანტიონიუს და კლიოპატრა“ ღვაგლია. მაშინ ყველა თეატრი გაფიცული იყო. მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრში დადიოდა მსახიობები ფხვით, უტრანსკორტობის გარეშე, რომ ინგლისელ რეჟისორს, რომელმაც ისინი არ მიატოვა, რეპეტიციას დასწრებოდა.

ის სპექტაკლი ჯერჯერობა არ შევასადა, თუმცა ჩემი აზრით, ქართულ თეატრალურ სივრცეში ეს იყო ნამდვილი კლასიკური, ინგლისური სპექტაკლი.

ჰილარი ვუდი ყველა ქართულ დასს ყოველთვის დიხეხებოდა მსახიობებთან.

თამარ ბართაიას „კაბა“ კი მისი არჩევანი იყო, რითაც მან ქართველ დრამატურგებს და მსახიობებს, თამარ ბართაიას ბრიტანეთის თეატრალური სივრცე გაუხსნა.

მისი ყველა სპექტაკლი, ფესტივალ „სახე-

ქარზე“ წარმოდგენილი – დახვეწილი რეჟისურის ნიმუშია. მსახიობებთან მუშაობის უხადლო ხელოვნება, ის რეჟისურა, რომელიც ასე აკლია დღევანდელ ქართულ თეატრს.

ჰილარის მოწვევა სპექტაკლის დასაღმგმად საქართველოში ყოველთვის იქნება სასურველი და გვერი სიკეთის მომტანი.

ერთხელ მას ვკითხე, როგორია ბრიტანელი რეჟისორების დამოკიდებულება ერთმანეთის ნამუშევრების მიმართ-მეთქი. ჰილარიმ სრულიად ბუნებრივად მიპასუხა: – თუ სპექტაკლი წარმატებულია, ეს უდავოდ სასიხარულოა, რადგან ყოველი ჩვენგანის წარმატება ბრიტანული თეატრის ტრიუმფია.

ნეტავი მათ!!!

ქეთი დოლიძე

## რას მიგვანიშნებს მაყურებელი

(ჩემი პირველი შთაბეჭდილებით...)

თამარ ბართაიას კიშის სათაურია „კაბა“ (მოცოდებისა ერთი მსახიობისთვის). კიშა ასევე იწყება: „მე ვარ კაბა და კალიან მიწა და ვუწერო დღიური“.

როდის იყო, რომ კაბა წარდა, ისიც დღიურებს? ის ხომ აღამიანთა მიერ შექმნილი ნივთიერი საგმაროს ნაწილია, თუმცა ნამდვილად გამოჩენილი იმით, რომ ყველაზე ახლოებულია აღამიანისთვის, მთლიანად მის არსებას ბარს შემოხვეული.

ასეთი უამრავია. ამ დღიურის მწარმოებლის კაბა? თვითონ ამბობს – სარაფანო. მაშასადამე, არც სახელი აქვს, არც საყელი, არც ჯიბე, არც სამკაული... არაფრით ყოფილა გამოჩენილი. მხოლოდ იმით, რომ განუწყვეტილად ვიჭრობს და განიცდის. მგონი გამოჩენილი პრობლემა, რომელიც აღუქვებს ავტორს – ნივთში წაბუღებული სულიერება. ამას ისიც მიგვანიშნებს, რომ ასეთი მარტო ის არაა – მისი პატრონის, ტატას ტანსაცმლის კარადღაში ჯინსის შარვალიცაა, წითელი შერის რომელიღაც სახელოებიანი მოსაცმელიც, საკიდებიც... ისინიც ვიჭრობენ, განიცდიან და თურმე ბარკვეულად მოქმედებენ კიდევ, კაბა გვაუწყებს ამას... და რომ კიშა კაბის სიტოცხლეუა დაწერილი, უკვე აშკარაა მისი დასასრულით: მსგავსად ყველა სულიერისა, კაბასაც ემატება წლები, აკლდება კალები, დალატობს მხსნიერება... ხომ ამბობს : „აღარ ვიცი, ეს, რაც მოხდა, მართლა იყო თუ არა?!“ მმ მგონი კაბა ვარ... წარმოშობით?! რომ აღარ მახსოვს?!... ვბრძობ, რომ საკიდევ ვარ... მეტი არაფერი ვიცი...“

ასეთი კიშა სცენაზე ითხოვს უსიძლოებიერი თეატრის კარბ მსახიობს, რადგან სხვანაირად კაბის სიტოცხლეუ სახილველი არ იქნება. ასეთად რეჟისორმა ჰილარი ვუდი მი-



# ხ ა ბ ა

(მონოპიესა ერთი მსახიობისათვის)

\* \* \*

მე ვარ კაბა და ძალიან მინდა, დავწერო დღიური.

\* \* \*

პირველად ვწერ დღიურს. რიცხვებს არ დავწერ... შეიძლება ამერიოს. ჰო, მართლა, უფრო ზუსტად, ჩემს შესახებ: უკვე თქვი, რომ კაბა ვარ, ოღონდ, სარაფანი თუ სარაფანა - მგონი, ასე ეძახიან ჩემნაირებს, ძალიან წვრილ სამხრეებზე, შავი აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი. შიგ შეუმჩნეველად ვერცხლისფერი სირმები მაქვს ჩამოყოლებული, მუხლამდე, არსად ნაკერი არ მაქვს, მხოლოდ გვერდებში, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის. ლამაზ ფორმებს ჩაცმული უფრო ლამაზად ვაჩვენ, ვარ გამხდარი, ტანზე მომჯდარი და, რაც მთავარია, გაუთოება არ მჭირდება, საერთოდ არ ვიჭმეოქუნები, ამიტომაც ყოველთვის კარგად გამოვიყურები.

\* \* \*

წარმოშობით ფრანგი ვარ. პარიზში დაბადებული, მართალია, დიდი ხანია, იძულებით ემიგრაციაში ვიმყოფები და აღარც მშობლიური ენა მახსოვს, მაგრამ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ხასიათით ნამდვილი ფრანგი ვარ.

\* \* \*

ვგიჟდები, ისე მიყვარს კლასიკური მუსიკა. შინაგანად სულ რომელიღაც მელოდიას ვლილინებ და ამის გამო ჩემი ბოლოები სულ სხვადასხვა რიტმში ირხევა. აი, ახლაც, ტა-ტა, ტა-ტა, ტამ, ტამ, ტამ, ტამ, ტამ, ტაა... ბეთ-ჰოვენის მეორე სონატა, მეორე ნაწილი... კაბა რომ არ ვყოფილიყავი, ვიოლინო ვიქნებოდი, ისე, რალაციტ ვგავარ ვიოლინოს, მე ასე მგონია, არა მარტო ვარეგნულად.

პარიზიდან პირდაპირ მოსკოვში აღმოვჩნდი. დიდ ვიტრინებიან მაღაზიაში, ქალაქის ცენტრში. რამდენი ხალხია... თოვლი მოდის აქ თუ სულ ასე ცივა?!

\* \* \*

ვინც შემოდის, ყველა ხელს მავლებს, აქ ჩემზე გაბედულებიც არიან, მაგრამ მე ხომ ფრანგი ვარ... ამ წუთას ლისტს ვლილინებ, ძალიან ავყევი რიტმს, დანარჩენებს ნერვებს ვუშლი... რა ვქნა, რაფსოლიაა.

\* \* \*

მომწყინდა,... ენაც არ მესმის. მეორე ბოლოში კიდევ ერთი ფრანგია, წითელი, გრძელმკლავება, მაგრამ მგონი, არ უნდა ჩემთან კონტაქტი.

ინენი ინგლისურის მცოდნე, სრულიად ახალგაზრდა ქართველი მსახიობი თამარ ბზიავა, მიიწვიო ინგლისში და იქ მოაგზავდა დასაღბმულად ქართველი დრამატურგის პიესა (თარგმნა ბ-ონ ნიკო) ყიასაშვილის ქალიშვილმა მაიამ). კრემიერა შედგა თბილისში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დრამატული წარმოდგენის აუცილებელი კომპონენტი-თანაშემოქმედი ბაზდა ქართველი მაყურებელი. ძალიან იშვიათი, ძალიან საინტერესო, საგანგებოდ საკვლავი თეატრალური მოვლენაა.

ჩვენ, დღევანდელი ქართველები აღმოვჩნდით პირველი მაყურებლები ჰილარი ვუდს მიერ სცენაზე გაცოცხლებული ქართველი დრამატურგის პიესისა. სულიერებით აღსავსე კაბის სიცოცხლისათვის საჭირო ნივთიერი ბარემოც მან შექმნა - ტახტი, საპარკელი, ტილუპონი, საკიდი... მხოლოდ კაბის ქსიზი მიანდო ისევ ქართველ მხატვარ ლალი ბაღრიძეს.

კაბა - თამარ ბზიავა ასეთ ბარემოში ცხოვრობს, ყველაფერი მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა, მღუშარბიანსა და მისი სხეულის კლასიკურ ბამომსახიობლოგასა და მოქიდიული. ძალიან რთული ამოცანაა. მისი შესრულება მსახიობისგან ითხოვს საკუთარი სხეულის სრულ მორჩილებას როგორც საზნებთან 'შხეპაში, ისე შესაბნო მოქმედებაში, როდესაც ის ან ჩვილს აძინებს, ან დასასვენებლად სავარძლის ზურბს გადაეწვინება, ან განცდათა მოზღვანებისაგან იატაკზე დაეწვინება... ამგვარ შემოქმედებით სირთულეთა დაძლევა იმ ბამოცდილებას ითხოვს, რომელიც თამარ ბზიავას, მისი ასაკის ბამო ნამდვილად არა აქვს. უხმარება მსახიობის აღზრდის ის სკოლა, რომელიც მან გაიარა - სახეობრივი ქმედების ხელოვნების დაუფლების ქართული თეატრალური სკოლა. ამ სკოლას ჰილარი ვუდი კარგად იცნობს.

ასე ცხოვრობს სცენაზე მსახიობი - კაბა. ვისაც ის ეკუთვნის, არაფრითაა ბამორჩეული, ბარდა ერთისა - სულიერია მისი არსებობა. ეს უმშვენიერეს კლასიკურ მუსიკასთან განუყოფლობაში ჩანს. იმაშიც, რომ მისი შვილიც მუსიკოსი აღმოჩნდა - გევილინი! არაა ეს შემთხვევითი - თურქმ კაბაში გინიც ცოცხლობს!

ამ დროს, ყოველივე ამის მხილველ, მაყურებლებით სავსე ღარბაში, საოცარი სიჩუმე იყო. შიბაღაში, კონტაქტის მაუწყებელი, თანაბრძობის ბამომხატველი დაბალი ტაში იბაღებოდა...

რას იმბავანდნებს ამით მაყურებელი? იქნებ იმას, რომ მოენატრა სულიერება? იქნებ, ცხოვრებაში ბარდაუვალი მოსალოდნელი ცვლილება ასეთია? და იბრძოლ გვირავა, რომ მოგავლიდან ჩვენგან სულიერების მოთხოვნა მითხარბება...

ნათელა ურუშაძე



\* \* \*

ჩემს წინ ორი გოგონა დგას, აუ, რა თვალებით მიყურებს ერთი. ალბათ, სამხრეთელია, მუქი კანით და მწვანე თვალებით. ზუსტად საჩემოა, ჩანთაც გახსნა... ოჰ, არ დავისვენე... მეგობარს რაღაცას ელაპარაკებოდა... სალაროსთან მივიდნენ... და კარისკენ მიდიან... ეს როგორ?! ქუჩიდან ერთხელ კიდევ შემომხედა... ეჰ...

\* \* \*

არ მინდა ამ ქალთან... ხანში შესულია... ჩამოკიდებს გარდერობში და შეიძლება, ერთხელაც არ გავახსენდე... ვერც ამ სუნამოს სუნს ვიტან... გასახდელში ვარ. ვცდილობ, გავუძლიანდე... ა? ახლავე გიჩვენებ სეირს, ჩამოგდებულ მუცელს ვერცხლისფერი სირმებით კიდევ უფრო ვზურცავ... რაც შეიძლება ქვემოთ ვინევი, რომ მკერდთან ყველა ნაოჭი გამოვუჩინო. ტრიალდება... საშინელებაა, შეიძლება დავირღვე, ამან რომ მიყიდოს?! უჰ, კიდევ კარგი, გადავრჩი...

\* \* \*

თვალებს არ ვუჯერებ. ის სამხრეთელი მწვანეთვალეა ისევ მოდის. მარტოა, მე ისევ გასახდელისკენ მიმაქროლებენ. შეხედე, სხეულიც რა ლამაზი ჰქონია?! ვეტმასნები პატარა, ლამაზ მკერდზე და კოხტა თეძოებზე. ჩვენ აღარაფერი დაგვაცილებს.

\* \* \*

მოსკოვს ვემშვიდობები. მგონი, თვითმფრინავით მივფრინავ... ეს, მართალია, შედარებით პატარა ქალაქია, მაგრამ აქ უფრო თბილა. ყველგან აღტაცებით მხვდებიან. ვცდილობ, სულ ფორმაში ვიყო, მე ხომ ფრანგი ვარ.

\* \* \*

ჩემს პატრონს ტატა ჰქვია. ტატას მეგობრები დიდად აღფრთოვანებულნი არ არიან ჩემით, მათ ახლა ამერიკელები უფრო მოსწონთ, ასეა თურმე მოდაში... მოდაში?!

ავინყდებთ, რომ მოდის დამფუძნებლები ჩვენ ვართ, ფრანგები... სამაგიეროდ, ტატას დედა მოიხიბლა ჩემით, მაგრამ ეს, მგონი, არც ისე ბევრს ნიშნავს... არაფერია, მე და ტატას ძალიან მოგვწონს ერთმანეთი. ამიტომაც, ძალიან ხშირად ვართ ერთად, მაგრამ, ჯერჯერობით, სახლში, სარკის წინ.

\* \* \*

მონყენილი ვარ... ასეთ დროს რატომღაც დებიუსი ამეკვიტება ხოლმე, ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე...

ესეც ამოვიჩემე, ვინ არის?! არც კი მახსოვს... ეტყობა, ნოსტალგია შემომანვა... ისე, რა სულელი ვარ, რა ჩემი საქმეა პიკნიკი. რას გაიხარებდა, ჩემს უკან რომ ჯინსები ეკიდა, რომ გავეო, პიკნიკზე მიბრძანდებოდა. კინალამ თავისით გაიარა... ჰა, ჰა, ჰა, ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდება და ახალ ამბებს მოყვება. ფრანსუა რაბლე... ფრანსუა რაბლე...

\* \* \*

ვაიმე, ისეთი მთვრალი ვარ, ლამის საკიდიდან ჩამოვვარდე. რა კარგი იყო?! არა, ამ ჯინსს ნამდვილად არ აქვს გემოვნება. მშვენიერი ბიჭია, რა ნაზად მეხეობოდა?! კომპლიმენტები თითქმის თანაბრად მივიღეთ მეც და ტატამაც... ცეკვის დროს მკერდისაკენაც შემოაცურა ხელი, მაგრამ ტატამ არ მისცა ნება, მე მგონი, უფრო სილიკონის ბიუსპალტერის გამო, რად უნდოდა სულელს? ისედაც მშვენიერი მკერდი აქვს, გაიდიდა, ბავშვია... აუ, რამდენი ვიცეკვე, ძალიან ხმა-მალლა კი იყო მუსიკა. ვალსს ველოდებოდი, მაგრამ, ეტყობა, იმ რესტორანში არ იციან ვალსის დაკვრა, არადა, რას ვიცეკვებდი ტა-რა, ტარა, რამ-ტამ-ტა... ტარა-რა-ტარა-რამ-ტამ-ტამ.

\* \* \*

დღეს ჯინსი წავიდა პაემანზე. გარდერობში უკვე ვერავინ ვეიტანს, ჩვენზე რაღაცეების ჭორაობაც დაიწყეს, არადა, ნამდვილად მხოლოდ მეგობრები ვართ, შემოძლია, დავიფიცო.

\* \* \*

საკიდიდან ჩამომხსნეს... ა?! ეს ტატას მეგობარია, ანი. აკი არ მოვწონდი?! კარგი, ჯანდაბას შენი თავი, წამოვალ... იმდენი ხანია, გარეთ არ გავსულვარ, გარდერობს მაინც ემჯობინება. ეს ანი ნამდვილი ჭკუამხიარულია, მთელი საღამო გიჟივით მაცეკვებდა... იმდენი ვჭამე, იმდენი ვჭამე, ვეღარ ვსუნთქავ, ყავაც გადავისხი, არა, წყალი თუ არ გადამაველეს, გული წამივია. არ მეკადრება, ბოლოს და ბოლოს, ფრანგი ვარ...

\* \* \*

მეორე დღეა ეზოს ვათვალიერებ, გავშრი, მაგრამ სახლში მაინც არ მინდა, ისე, ღამით ცოტა კი მეშინოდა. მეზობლების აღტაცება დავიმსახურე.

\* \* \*

ტატამ სულ დამივინყა. დაძაბული ვარ. ტატა და დედამისი რაღაცაზე ჩხუბობენ, ტატამ კარი გაიჯახუნა, დედა ტირის. მგონი, ამ ყველაფრის მიზეზი ის ვაჟია, რესტო-



რანში რომ ვიყავით. ისე, აქამდე თავს არ ვუტყდებოდი, მართალი იყო, ჯინსი იმას თავიდან არ მოეწონა, პირველივე პიკნიკზე... ახლა მალე დაბრუნდება და ახალ ამბებს მოიტანს. ვერდის "ტრავიატა" ამეკვიატა. არ მესმის, რატომ გიჟდებიან იტალიურ ოპერაზე. მაშინ, როცა არის მოცარტი, ან, სულაც, ვაგნერი.

\* \* \*

წუხელ ჯინსი სახლში არ დაბრუნებულა. ტატას დედამ მთელი ღამე ფანჯარასთან გაატარა, არც მე მძინებია...

\* \* \*

დილაა, ჯინსს ვერ შევხვდი, ეტყობა, აბაზანაშია. ტატა და დედამისი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. გარდერობის შეღებული კარიდან ვხედავ ტატას ლოგინს. ნეეს, ვითომ სძინავს, კედლისაკენ არის გადატრიალებული და თვალები ღია აქვს. გარშემო ისეთი დაძაბულია ყველაფერი, გულშიც კი არ ვლინებ. ეს ჩემი ცნობისმოყვარე მეზობლები, ღამის არის, გარდერობიდან გაძვრნენ.

\* \* \*

ჯინსს ისევ ვერ შევხვდი. ამიტომ არაფერი ვიცი.

\* \* \*

მე და ტატა ერთად ვართ, აი ისიც, მანქანა გაგვიჩერა. არც ერთი არ ვართ ხასიათზე... არა უშავს, რესტორანში მაინც კარგია, მუსიკა... არა? ეს რესტორანს არ ჰგავს, მგონი, ქალაქგარეთ მივდივართ?! ლაზადიდან ჩუმად ვიყურები, იქნებ რამე დავინახო. — ეს კაბა რად გინდოდა?! — წარმოგიდგინია?! ჩემზე ეუბნება. ტატაც თავს იმართლებს, მეგონა, რესტორანში მივდიოდითო. მეც ასე მეგონა, ეგლა მაკლდა, ვინმეს ძალით ვეტმასნო. რა ჩემი საქმეა პიკნიკები, ეგლა მაკლდა. ცარიელი სახლი... მცვივა, აქ არ უნდა წამოვსულიყავი, ჩემს ცხოვრებაში ასე უხერხულად არ მიგრძენია თავი. ის ბუხარს ანთებს, შამპანურს ხსნის, ცოტა თუ არ დავლიე, ღამის კრუნჩხვები დამენყოს...

უჰ, კარგია შამპანური. საერთოდ, რაც კარგია, ყველაფერი ფრანგების მოგონილია, ერთი უნდა გავაბოლო. ბევრი მოწვევა არ მიყვარს, ათასში ერთხელ სექსუალურიც კი არის სიგარეტის მოწვევა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, შამპანურმა შემაუფუჟუნა, უჰ, მოვიტენთე, სავარძელზე მივეგდე... ხასიათზეც მოვედი, ტარა-ტარა, ტარა ტა ტა ტა, ბეთჰოვენს მაინც სულ სხვა ჰანგები აქვს, ზვავით მოდის და შენს წინ ისე ჩერდება, რომ სუნთქვას გიკრავს.

დავთვერი, ბუხარი გიზგიზებს... შამპანური... რალაცას მეჩურჩულება... სიტყვები არ მესმის. მაგრამ მისი სუნთქვა მსიამოვნებს... ახლა მესმის ტატასი, რაც უნდა ის თქვას ჯინსმა. მე და ტატას ერთმანეთს გვაცვილებენ. სავარძელზე ვარ მიგდებულნი, უკულმა იქით?! ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი ეს როგორ იწერება. არ ვიცი, იმიტომ, რომ... არ... ვიცი... ჯობია... ბევრი... წერტილი... დავსვა... წერტილი... წერტილი... წერტილი... წერტილი... წერტილი.....

\* \* \*

მე ისევ ჩემს ადგილზე ვარ. ტატას მეორე დღეა სძინავს. დედამისი განგებ ახმაურებს ნივთებს. ტატას სახეზე ბედნიერი ღიმილი აქვს. დედა გარდერობს აღებს, რატომღაც ხელი შემახო და დამყნოსა. რა უნდა? ჯინსი ცნობისმოყვარეობით კვდება, მაგრამ არაფერს მეკითხება. მეც, ვითომ არაფერი... გარეთ წვიმს, ალბათ, ასეთ ამინდში დანერა მოჰქნება მე-12 ეტიუდი.

\* \* \*

მონყენილი ვარ, ტატამ დამივიწყა, თანდათან სულ უკან-უკან ვინაცვლებ, რა დავაშავე?! თვითონაც მონყენილი დადის, მხოლოდ ტელეფონის ზარზე შეკრთება ხოლმე და გიჟივით მივარდება. მერე რამდენიმე ზარს დააცდის და დაყენებული სიმშვიდით ამბობს "ალო?" ... შემდეგ იმავე სიტყვაზე ვხვდები, რომ "ის" არ არის... ნეტავ, რა მოხდა?!

\* \* \*

სახლში თეთრხალათიანები დადიან, დედა სადღაც მიჰყავთ. ტატა გვიან დაბრუნდა. მაგიდასთან ზის და სიგარეტს-სიგარეტზე ეწევა. ჯინსმა თქვა, იქ არ შეგვიშვეს, სადაც დედა წევსო. არ მიყვარს ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია, ალბათ, არც თვითონ უყვარდა, უბრალოდ, წინათგრძნობამ დაანერინა... დუ-დუ-დუ-დუ — მართლა როგორ ჰგავს კაკუნს, მეშინია...

\* \* \*

ტატას დედა ისევ არ ჩანს. ტატას თვალები ჩაულამდა. გუშინ ფარდები ჩამოაფარა და თითქმის ყველაფერი გაისინჯა, მეგონა, მეჩვენებოდა, სანამ ჩემი ჯერი არ დადგა. მუცელი აშკარად გაზრდილი აქვს, ჯინსი საერთოდ ვეღარ შეიკრა.

\* \* \*

სახლში ბევრი ხალხი დადის... გარდერობი შავი ტანსაცმლით გაივსო, მეშინია... ტატას დედა აღარ მინახავს...



\* \* \*

თითქმის ერთი წელია, აქეთ-იქით დამატარებენ ტატას მეგობრები. ლამეებს ვათევენ. ხან ვინ მისვამს ხელს, ხან ვინ...

დავილაღე...

ოლონდ არ გამაჩუქოს, ოლონდ...

\* \* \*

ბავშვის ტირილი გავიგონე. თუ მეჩვენება?

არა, ნამდვილად ბავშვი ტირის. ვინ არის? რა საყვარელი ხმა ამოსდის.

\* \* \*

ერთი წელია, სახლიდან ფეხი არ გამიდგამს. მივეჩვიე უაზრო ხეტიალს, ასე მიჩვენია. მგონი, გაზაფხულია... ეჰ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო ჩემს წარმოშობაზე და მომხიბვლელობაზე, ბოლოს და ბოლოს, მაინც კაბა ვარ, მატარებენ, მატარებენ და ერთ მშვენიერ დღესაც მიმაგდებენ. ჯერ მაინც მაქვს იმედი, რომ ყველაფერი არ დამთავრებულა, არც გავხუნებულვარ, არც შევეთელილვარ, ერთი ნაოჭიც კი არ მაქვს, ჯინსიც სულ ამას მეუბნება. ჩვენნაირები მოდიდან არასოდეს გადაიანო. ისიც ჩემსავით ოპტიმისტია.

მაინც, ამ ბოლო დროს ერთი აზრი ამეკვიატა. რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ ვიოლინო ვყოფილიყავი, მაშინ გულში კი არ ვილილინებდი, თამამად ამოვიღებდი ხმას. ტა-ტა-ტა-ტა ტა-ტა-ტა-ტა... რატომ ჰქვია შუბერტის სიმფონიას დაუმთავრებელი, ჩემთვის დამთავრებულია. ერთ ნოტსაც არ მივამატებდი.

\* \* \*

უი?! ეს ვინ არის?! ერთი ციციქნა ხელი გარდერობის კარს აღებს: ვიცანი... ამას უყურე ერთი... როგორ ჰგავს დედამისს. ამასაც დიდი მწვანე თვალები ჰქონია. მოდი... მოდი... მინდა, თავზე გადავუსვა ხელი. შეშინებული ისე უცებ ხურავს კარს, რომ შიგ მიყოლებს და გარბის... ისევ ბრუნდება, მთელი ძალით მექაჩება... კარი მაინც გამოაღე, შე სულელო, მოიცა, მოგეხმარები, ვაი... ვაი... ვაი... რა ძალა აქვს ამ ნამცეცას... ორივე ძირს გავკოტრიალდით.

ტირის.

შეშინებული ტატა მორბის და ხელში აპყავს, მე ისევ ძირს ვგდევარ და მეცინება. პატარას ტირილში ეძინება, ტატა სანოლში აწვენს, თვითონაც დაღლილი მიწვება... ახლალა შემამჩნია, წამოდგა, ხელზე გადამიკიდა ისევ გარდერობისკენ... ჩერდება, მერე უცებ ხალათს გაიძრობს და... რამდენი ხანია ჩვენ ერთად აღარ ვყოფილვართ. სარკის წინ ვტრიალებთ, როგორც მაშინ, პირვე-

ლად... შეცვლია ფორმები, უფრო დახვეწია, მკერდიც გაზრდია... აი, რაც მართალია, მართალია, ასე არასოდეს მომწონებია ჩემი თავი. სარკეს თვალს ვერ ვაცილებ.

\* \* \*

ამას უყურე ერთი?! პატარა ხელები ახლა უფრო გაბედულად ალებს გარდერობის კარს და ისე მექაჩება, რომ ლამის სამხრეები ჩამომწყდეს. ეს თავს არ დამანებებს, ჩათრევას ჩაყოლა ჯობია.

რა ჭკვიანია, ეს ნამცეცა, ესა, ნამდვილი ქალია, რა მოხერხებულად გადამიცვია თავზე, ფეხებს მაბიჯებს, ახლა ორივე ზღართანს მოვადნო. რალა მე ამომიჩემა იმდენ ტანსაცმელში, ალბათ, ვერცხლისფერი სირმების ბრალია. არა, არა, სირმები რა შუაშია, ბავშვები გულწრფელები არიან, მოვეწონე და მორჩა. რა ვუმდერო ამას, რა მოეწონება, რა, რა, რა და ვაუ?!... თვითონ დაიწყო სიმღერა, რას ღიღინებს ეს სულელი... მგონი, საყვარელია... ა?! ნელა, ნელა დავიხევი, დავიხევი! ტატა! ტატა! მიშველე! ხომ ვთქვი, წავიქცევით-მეთქი. ეეჰ, სადა ხარ ამდენ ხანს?!... პატარა სულელმა ფეხი იტყინა, რა ჩემი ბრალია?!

ტატა პირველად ბრაზდება ჩემზე და პარკში მდებს, სულ ზემოთ თაროზე შემომამაგდებს. აქ ნამდვილად ველარ მომწვდება პატარა ხელები, მაგრამ... რა მინდა თეთრულთან?! რას ვიზამ, ბედს ვემორჩილები.

\* \* \*

ეჰ, რაზე უნდა ველაპარაკო თეთრეულს. კლასიკა ამათ არ ესმით! თანდათან სულ უკან-უკან მივიწევი, ნეტავ, ჯინსთან მაინც შემახვედრა.

\* \* \*

არც ვიცი, რამდენი წელი გავიდა... რამდენი თარო გამოვიცვალე... რამდენი პარკი, სახლიც კი... მხოლოდ ერთხელ მომეცა იმედი, ტატამ პარკიდან ამომიღო, ხელში მაკრატელი უჭირავს... რას მიპირებს?!...

-აუ, დედა, მაჩვენე, რა?!... რა ლამაზი კაბაა?!

ეს ხომ ის პატარა სულელია, თვალებით ვიცნობ. რამდენის იქნება? რალაცას წერს, ჩანთაც უდევს, ალბათ 7-8 წელი იქნება, რაც მზის სინათლე არ მინახავს. რამხელა გაზრდილა... ტატა სარკესთან დგას.

-დე, მე მომეცი, რა?!... არ დაჭრა!

ზარი ირეკება, ვილაც მოდის... გადავრჩი, ისევ ძველ ადგილას მაბრუნებენ. რა ვიცი, იქნებ, ჯობდა, დავეჭერი... ახლა ყველაფერი სულერთია, მეძინება... აქ ისეთი მოწყენილობაა, სულ მძინავს. სხვა რა ვაკეთო, ახლა სიზმრებით ვცხოვრობ, სიზმრებში ძველებუ-



რად დავრბივარ, ხან სად – ხან სად, აღ-  
ტაცებაში მომყავს ყველა, კომპლიმენტებს  
მეუბნება. ხან შეყვარებული ვარ, ხან ვეჭ-  
ვიანობ, ხან ვიბუტები, მოკლედ, ვცხოვრობ,  
ამიტომაც რეალობას ისევ ძილი მირჩევნია...  
ეს, ალბათ, სიბერის ნიშანია, ეტყობა ვბერ-  
დები, არადა, ერთი ნაოჭიც არა მაქვს.

ვიძახი ასე, ნაოჭი არა მაქვს, ნაოჭი არა  
მაქვს! გავაჭირე საქმე, დიდი ამბავი თუ ნა-  
ოჭი არა მაქვს; როცა არავის სჭირდება, ეს  
უკვე... არა, ნუნუნ არ მიყვარს... რომც დავ-  
ბერდე, მერე რა მოხდა?! სიბერესაც თავისი  
ხიბლი აქვს, რა მაქვს სანუნუნო. რამდენი  
კაბა ინატრებდა, ჩემსავით ეცხოვრა, რამ-  
დენი თავგადასავალი, რამდენი სიხარული...  
მაშინ ამ თეთრეულმა რაღა უნდა თქვას,  
ლოგინს არ გასცილებია...

\* \* \*

ომია... მრცხვენია, რომ კაბა ვარ და თა-  
ნაც ვერცხლისფერი სირმებით. მიინდა ისე  
დავიმალო, რომ საერთოდ დავავიწყდე ყვე-  
ლას. შორიდან მესმის სროლის ხმები. კიდევ  
კარგი, რომ კაბა ვარ და აქედან ვერაფერს  
ვხედავ. ნეტავ, ხმაც არ აღწევდეს ჩემამდე,  
სიცოცხლე აღარ მიინდა. არასოდეს მქონია  
სურვილი, რომ ადამიანი ვყოფილიყავი, მე-  
ცოდებიან ადამიანები; ეტყობა ომს ისეთი  
ადამიანები იწყებენ, ვისაც მუსიკა არ უყ-  
ვარს... არ შეიძლება, მუსიკა გიყვარდეს და  
ომი მოგინდეს... რას ვბოდავ, რა ჩემი საქ-  
მეა ფილოსოფია, ბოლოს და ბოლოს, ერ-  
თი ჩვეულებრივი კაბა ვარ, ჩვეულებრივი,  
ვამბობ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მი-  
ჭირს ამის დაჯერება.

\* \* \*

საიდანღაც ხშირად მესმის ვიოლინოს  
ხმა, ნეტავ, ვინ უკრავს?

რაღაც ძალიან ბევრი დრო გავიდა. ზოგ-  
ჯერ მეჩვენება, რომ ის, რაც აქამდე იყო,  
ჩემი მოგონილია და სინამდვილეში არაფე-  
რიც არ მომხდარა, სინამდვილეში კაბა ვარ,  
რომელიც პარკში დევს დაკეცილი და თარო-  
ზეა შემოდებული.

იქნებ, მართლაც ასეა...

\* \* \*

თვალებს არ ვუჯერებ, გული ისე მიცემს,  
მეშინია... მეშინია, არ გავიფხრინო. საიდან  
გავახსენდი?! ეს ხომ ის პატარა ბავშვია,  
ალბათ 15-16 წლის იქნება, ტატაც ასეთი

იყო, არა, ეს ცოტა უფრო... ცოტა არა, უფ-  
რო ლამაზია, მაღალიც, ჩვენ სარკის წინ  
ვტრიალებთ.

ძალიან გიხდება, მაგრამ?! — ამბობს ტა-  
ტა, თმაში აქა-იქ ჭალარა შერევიან.

რა მაგრამ? დედა, გინდა თქვა, რომ მო-  
დიდან არის გასული?

ჰო, რა ვიცი, ისე ძალიან გიხდება, მე ასე  
არ მიხდებაოდა.

დედა, ასეთი რამ მოდიდან არასოდეს გა-  
დის.

ისე დამაჯერებლად ამბობს, რომ მეც  
ძველებურად თავდაჯერებული ვხდები და  
მახსენდება, რომ ფრანგი ვარ, ნამდვილი  
ფრანგი... ისე, რამდენი ხანია, აღარ გამხსე-  
ნებია ეგ.

\* \* \*


არ ვიცი, სად მივდივარ, მაგრამ გული  
მიგრძნობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივ  
ადგილზე უნდა მივდიოდე. ჩუმი ფუსფუსი  
ისმის, ჩვენ ფარდებს შორის ვიხედებით, ვი-  
ოლინოს მოვკარი თვალი, მე ხომ ვიოლინო  
ახლოდან არასდროს მინახავს... კი, ნამდვი-  
ლად.

იქით, მგონი სცენაა, მგონი კი არა, ნამ-  
დვილად. ორკესტრი?! ვიოლინო! თვალებს  
არ ვუჯერებ! ვიოლინოს ვიღებთ და სცე-  
ნაზე გავდივართ. ისმის ტაში, სიჩუმე... და  
სიჩუმეში, სიჩუმეზე ჩუმად პიანისიმოზე ის-  
მის ვიოლინოს ხმა, ჯერ მე მესმის, ჩემთან  
ყველაზე ახლოსაა. ორკესტრიც შემოვიდა.  
რა არის ეს? ა? მოცარტი?! არა, შოპენი,  
შოპენს სადა აქვს სავიოლინო კონცერტი?!  
რა მემართება?... თვალები მიჭრელდება...  
მგონი, გული მიმდის...

\* \* \*

აღარ ვიცი, ეს, რაც მოხდა, მართლა იყო  
თუ არა?!... რა ემოციური ვარ... ემოციური  
კი არა, ქარაფშუტა... რას იზამ, მე ხომ?  
რა მე ხომ... მე მგონი, კაბა ვარ... კი ნამ-  
დვილად, შავი... ვერცხლისფერი სირმებით...  
რხევის დროს ოდნავ, შეუმჩნევლად ვბრწყინ-  
ავ... ნარმოშობით?! რომ აღარ მახსოვს?!...  
სამაგიეროდ, ვხედავ, რომ არსად ნაოჭი  
არ მაქვს... კარგად ვერ ვხედავ, მაგრამ  
ვგრძნობ. საერთოდ, ყველაფერში მთავა-  
რია გრძნობა, იმასაც ვგრძნობ, რომ საკიდ-  
ზე ვარ, მეტი არაფერი ვიცი. ვნახოთ, რა  
მოხდება მერე... ტრა-ტა-ტა, ტრა ტა ტა...





გიორგი შაჰნაზარი

ნაწარქე  
ქუჩასუ

ჰაირენები

ჰაირენი სომხური ლექსის ფორმაა — სხარტი, მოქნილი; განსაკუთრებით კარგად ამ ფორმით შუა საუკუნეებში წერდნენ. აქ წარმოდგენილი ჰაირენებიც გვიანი შუა საუკუნეების გამოჩენილ პოეტს, ქუჩაკს ეკუთვნის. იგი XVI საუკუნის ერთ-ერთი იმ პირველ პოეტთაგანია, რომლის შემოქმედებაშიც თვალნათლივ შეიმჩნევა ხალხური პოეზიის ინტონაციები. ნაჰაპეტ ქუჩაკი სომხური პოეზიის აღიარებული ლირიკოსია, ვისი სახელიც მისი სამშობლოს საზღვრებს დიდი ხანია გასცდა.

\*\*\*

შემომწყრა გული, გაზიდა,  
განძი ფენად და ფენადა;  
საყიდლად მთელი დუნია  
ზედ დაესია ხელადა;  
მო, შეაძლიე იმდენი,  
სხვა გაეკაროს ძნელადა,  
იხსენ! ვაგლახ ნუ ჩამიგდებ  
ვინმე მახინჯის ხელადა!

\*\*\*

ის იყო ქუჩებს ჩამოვცდი —  
ბნელს, ოკრობოკროს, ხლართასა,  
წინ ტურფა შემომეფეთა,  
ნეტავ ქალსიმის ბადალსა;  
არ ვიცი, მე ლანვს დავაკვდი,  
თუ ტუჩი ვანე ლადარსა, —  
ის კი იგლოვდა: „საქვეყნოდ  
გადამყარაო ხათასა...“

\*\*\*

ნუ, ჩემო, ნუ შემომწყრები,  
შენს ერთგულს სულს ნუ ამომხდი!  
ვატყობ, შხამს გველი განვეთებს, —  
(არ დამელია საოხი!) —  
ის გველი, შარბათის ენით,  
ტყუილიანი ამო ხმით,  
ადამი რო გააშიშვლა  
და გამოიხზო სამოთხით!

\*\*\*

ძალით მიჰყავდათ დიაცი, —  
ლუოდა მზე ცით, მეცხრიტა, —  
ძალით თუ... ვინმე წამარდის  
ნასყიდი ოქრო-ვერცხლითა?..  
ყიდვა რად უნდა სიყვარულს,  
უმალ დასაშრეტს ცეცხლითა,  
სიყვარულს ყანდი, შაქარი  
და ენა უნდა მერცხლისა!

\*\*\*

ნეტავი მთელი ქვეყანა  
ერთად რამ დასხა ჭორადა! —  
მე, ერთგულ მეტრფეს, ეს გული  
არ გამიყვია ორადა;  
თუ ბედისწერას ვერ იცდენ,  
რამე ღირს ცდად და ძრწოლადა?! —  
დე მჭორონი! მე კი ამ ერთსაც  
გავიხზი გულის სწორადა!

\*\*\*

მო, ერთმანეთის დამჯერი  
სულეები ერთად იშვებენ;  
რას გვერჩის ხალხი! — სიყვარულს  
ჩვენ ვუერთგულოთ ისევე,  
საცა კი დამინახავენ  
თითს ჩვენსკენ ისე იშვერენ,  
თითქოსდა კაცი მომეკლას, —  
ლაფს და ქოქოლას მიშენენ!



\*\*\*

ფერი მძევს, — საკმევლისა ვთქვა,  
ზაფრანაა თუ ფითრია?...  
არ ვიცი — შენგნით? თუ უკვე  
სიცოცხლის წამებს მითვლიან?  
მკურნალად შენ გთქვეს, მიშველე! —  
რო ვკვდები, ხო შეგიტყვია, —  
თორემ მე სული გამძვრება,  
კაცისმკვლელს შენზე იტყვიან.

\*\*\*

ვთრთი, — ვით შემოდევს ფოთოლი, —  
თუ სიყვარული ურჩია...  
ცრემლი, — აპრილის თქორივით, —  
მალტობს ლანვიან-ტუჩიან;  
ამომხდა სული! მადლი ჰქმენ,  
მაგრა ჩამიკარ გულშია,  
შენს მკერდს შეჩვეულს სხვა არვინ  
არ მომდის აინუნშიაც.

\*\*\*

ფერად ბროლო და ყირმიზო,  
როდემდე უნდა დამწვა მე,  
მეჯლისს რად გამასაუბრე  
მხოლოდ წარბსა და წამწამებს;  
ლილებს შეიხსნი, მკერდს მიჩენ,  
ცხრავე გამიხსნას ცამ ცა მე,  
ვშიშობ, ადგები, დამტოვებ  
რო ყველაფერი წამწმნარდეს.

\*\*\*

ტურფავ, თუ იცი, წუხელის  
ლამით მეტრფე რო გენვია?  
გკოცნა და გკოცნა მძინარი,  
ტუჩს კალო გააღუნინა...  
არ ვიცი, მოიმძინარე  
თავი თუ მართლა გეძინა? —  
წყალობა უხვი, ღმერთმანი,  
ჭაბუკს კი მაღლად ენია...

\*\*\*

როგორც კი თქორმა ნათლისამ  
ლამის მოჩითა ფარჩები,  
მკერდს ტურფა მომწყდა, არ ვიყავ  
ნისლისგან მისი გამრჩევი...  
უმალ მკლავები ნავყარე  
ნინ, ვამუდარე გამჩენი,  
იმან კი მოკლედ მომიჭრა:  
„ვერა, ან ველარ დავრჩები!“

\*\*\*

ღამევ, გაგრძელდი, წლად გვექეც, —  
იხაროს ტრფობის ნაყოფმა!..  
თითქოს ათას წლის შემდეგაც  
გადავაბიჯეთ ნაღობარს...

ცისკარო, თვალს ნუ გაახელ,  
ნუ ჩაგვიმწარებ ლალობას,  
ნუ იზამ ორის — ერთსულ და  
ერთხორც შეყრილთა გაყოფას!

\*\*\*

სულმა სხეული დატოვა, —  
ხმა გვესმა ცრემლში ნალტობი:  
„შენით ვარ, რა მეშველება,  
სულო, უშენოდ დატოვილს!“  
„ბრძენი მეგონე, აქამდე  
შენ იყავ ჩემი ბატონი? —  
სახლი რო თავზე ემხოზა,  
შიგ რად იჯდება პატრონი?!“

\*\*\*

არ მოგიხდება ქადილი  
ქვეყნის ნათელით მომფენსა!..  
შენ ხო მინიერს ვერ ხედავ  
მთვარეს ჩემ მკერდში მყოფელსა,  
ვერ ჩამოვაცლი რიდესა,  
ვერ გაგხდი თვალთა მსწრობელსა,  
ვშიშობ, შენც შეგიყვარდება  
და დააბნელებ სოფელსა.

\*\*\*

ვისაც ტრფობა სჭირს და სატრფო  
არ მისდის სანახავადა,  
თვით გაითხაროს საფლავი,  
ცოცხლად ჩავიდეს თავადა,  
გულს საკვამური აუგოს,  
გულიდან ცეცხლი ავა და  
გამვლელი იტყვის: ინვისო  
ტრფობაშეყრილი — შავადა.

\*\*\*

ვახარე, ვამყნე, ისეთი  
ბალ-ბაღრა ვაგე, ჭერი რო  
ცად ედგა... ვაგლახ, წამტაცეს,  
ვაი, ნერგებო თელილო;  
ვძრნი! ბარტყმკვდარ კაკბის ნატირალს  
უნდა კი ბაგე მჭევრი რო?! —  
გავიგე, მახე გქონია,  
დამიგე, დაგეჭერიწო!

\*\*\*

აღმასო, თხემით ტერფამდე  
ცეცხლი ხარ სულის შემძვრელი,  
სხვას როგორ მიგცა — დედაშენს  
წინ წყალი, უკან მენყერი!  
სამართლისა რო მჯეროდეს  
სომხებისა და ბერძნების,  
სამართლის კარად მისული  
სხვისგან შენ დახსნას შევძლებდი!



\*\*\*

სულო, სადღა არ ვეძიე,  
ქვეყანა შევაჯერია, —  
ისეთი მსურდა: ჩემამდე  
თვალმც რო არვის სჭერია;  
ბოლოს შენ შემრჩი — მეტრფისგან  
მიტოვებული ფერია,  
რა ერქვა ჩემ ცდას, ზიარი  
შენც თუ სხვის გედგა კერია!

\*\*\*

შევცდი! სიხარულს ვინ იტყვის  
გველის წინილის საყვარლის! —  
პირველად მათ კარს რო მიველ  
იმედითა და მაყარით,  
გველდედა მეცა, დამგესლა,  
გვიფრინა აყალ-მაყალით;  
ახია ჩემზე! სად თქმულა  
კაცმეტრფე გველის ნაყარის!

\*\*\*

ეგ წარბ-წამწამი, ეგ წელი  
ვაგლახ გულს გამიხალისებს;  
გამჩენს გაფიცებ, უღმერთოდ  
აგრე ნუ აჩენ ხარისხებს;  
ბრალი ვარ, სულო, ობოლი,  
მომხედე ხანდახან ისე,  
რო სული მეც მოვიბრუნო,  
თვალთაგან ცეცხლს ნუ მარისხებ.

\*\*\*

ისე ვარ შენგნით აღმურში,  
ვით მზით მაძლარი ღრუბელი,  
იცის ქვეყანამ, ცოდვილ თვალს  
ვით მივსებს შენი უბენი...  
ნიადაგ შენზე მგლოვართა  
აღარ უშრებათ უპენი,  
სხვა აინუნშიც არ მოსდით,  
ნანინანატრო სუფევით...

\*\*\*

საცა ვინ შემხვდა ლამაზი  
იმედად ჩავისახეო,  
რა ვქნა, თავს ვერ ვძლევე,  
ცთუნების ვერ ავირიდე მახეო,  
ჩავიხუტებ და მივუყვან,  
ვეტყვი, უფალო, ნახეო,  
ცოდვად მე მითვლი სიყვარულს,  
ტურფა შენ შექმენ სახეო?

\*\*\*

სატრფოსთვის კაბა ისეთი  
გთხოვე ასგზის და ათასგზის, —  
საპირედ მზე და სარჩულად  
მთვარე ჰქონოდა ლამაზი,  
საფენლად — ფთილა ღრუბლისა,  
ძაფად — ზღვის წყალი ხალასი,  
ლილებად ვარსკვლავები და  
ზედ მეც ღილიკილოდ ანასხმი...

\*\*\*

მომწყურდი, ავდექ, წამოველ,  
შორით სალბუნად მეხები...  
წყენა შეგატყვე, სათქმელზე  
უმალ ავილე მე ხელი;  
წამს წლად ნუ იქცევ, ნუ იგლოვ,  
ნუ დაიტეხე მეხები,  
ისევე უკან წამიყვანს,  
შენთან მომყვანი ფეხები.


\*\*\*

ლამაზო, ლურჯ ფერს ნუ იცმევ,  
ჩემ მკვლელად, ჩემ დამდაგედო,  
რხევით ჩემ კარზე ნუ დახვალ,  
ჩემო დამწველო აბედო,  
ხიდის ოსტატის შვილი ხარ,  
რა იქნებოდა, საბედოდ  
შენსა და ჩემ ტუჩებს შორის  
ჩვენც ცისარტყელა გაგვედო...

სომხურიდან თარგმანა  
გივი შაჰნაზარმა







ლექსი  
თასრამჯილი

\*\*\*

მე შენს წინაშე ვიდექ მდუმარედ  
და შენს თვალებში ვიძირებოდი...  
ჩემი ცრემლები იქცა მდინარედ  
და აღმოდებულ ტროფობას ველოდი...  
შენმა სიტყვებმა გული დაკოდე,  
გული დაფლითეს შენმა სიტყვებმა...  
შენთან შეხვედრის ვითვლი აკორდებს,  
კვლავ მომინატრო დღესაც იქნება!  
ქუჩაში ქარი საშინლად ქროდა,  
მე მოვდიოდი მარტოდ, ეული...  
ჩემი თითები გაფითრდა, თრთოდა,  
შენთვის დნებოდა ჩემი სხეულიც...  
მხოლოდ შენა ხარ სევდის ფიქრები,  
შენი ცრემლები მხოლოდ მე მალტობს.  
წლებადწამებად ჩამოვიღვრები,  
რომ შენ გიცქირო თვალებში მარტო...

ბუნება

ტყე და ღმაზი ბუნება,  
მთა-ბარი ქვეყნის გუნება,  
დახავსებული ბალახი,  
მდინარის ცელქი კალმახი...  
და იდუმალი ცხოველი,  
მშვიდი და წყნარი ყოველი...  
ათასნაირი ფრინველი,  
ლამაზმანებით პირველი...  
ტალღების ლურჯი ნარნარი,  
ხავს მოდებული მთა-ბარი...  
ყაყაჩოსფერი კრწანისი  
რიჟრაჟმა შესვა სასმისით...  
ამ დაფლეთილი ლექსივთ  
ვარ დარდით ამოკემსილი...

\*\*\*

ფიქრია ერთი ...  
და რაში თეთრი...  
შვიდფერი ცისარტყელა  
სიყვარულს ერტყმის,  
და ორი ლექსი,  
მუზის თეთრი ფარდა  
რითმამ დამიფერა...  
და იყო ქალი -  
დედამინის რძისფერი ქარი...  
მზე იყო მუნჯი,  
წვიმები ლურჯი,  
მთვარეფით ფითრი,  
ინვოდა რითმით...  
ეშვება თეთრი ვარსკვლავი ციდან,  
ცას ცდება ფიქრი...  
და ახლა, ღამით საშინლად წვიმდა  
მე წვიმებს ვითვლი...

ჩემი ოცნება

შენ ხარ ჩემი ერთადერთი მშვენიერი ნატვრა  
და შენ ხარ ჩემი მუზის ღამაზი ხატვა...  
ამიძგერდება შენს დანახვაზე ოხერი გული,  
მე არ გატყუებ სიმართლეს,  
ძვირფასო, სრული!  
გაზაფხულდება კვლავ აყვავდება ველი,  
მე შენს სიყვარულს,  
როგორც გაზაფხულს ველი...  
ეს მონატრება ბევრ სიძნელეებს ღაზავს  
და გაოცდება ვინც შენს სიტურფეს ნახავს...



\*\*\*

რასაც ვწერ ლამაზ ლექსად —  
ავიღებ კალამს ხელში...  
ლექსია გულის კვნესა,  
ლექსია ფიქრის ლეში...  
ლამაზ აზრებს და ნატვრებს  
ფურცელზე ვაქსოვ რითმად...  
ო, ლექსო, ნეტა რა ხარ,  
ასე ლამაზად ვინ გთქვა?

\*\*\*

წვიმაა შენი ცრემლების ცვარი,  
მზე არის შენი სინათლე თვალთა,  
მთვარეა თითქოს სიმშვიდე შენი,  
ეგ ვარსკვლავები წამწამზედ გშვენის...  
ვოცნებობ ჩუმად, ვოცნებობ შენთვის,  
და ეს ოცნება ჩემს ფიქრებს ერთვის...  
მივფრინავ ცაში ოცნებით, ნატვრით,  
რომ კვლავ გიხილო, რძისფერი ხატი!

\*\*\*

შენი თვალები თაფლისფერია,  
შენი გული კი თაფლივით ტკბილი...  
ეგ შენი სული ნაზი ფერია,  
თოვლივით წმინდა, მზესავით თბილი...

### სადღეგრძელო

მე ყანწით შევსვამ შენს სადღეგრძელოს,  
რომ შენი ტრფობა გულზე მეწეროს...  
მე ვადღეგრძელებ შენს სილამაზეს,  
ჩემთვის ერთადერთს მთელს ქვეყანაზე...  
მე ვადღეგრძელებ როგორც სინათლეს,  
ლექსით ვილოცებ მე შენს წინაშე...

\*\*\*

რა ლამაზია შაშვები  
და ჟრიამული ბავშვების,  
მინდორზე შავი რაშები,  
ვინ არის მათი ამშვები?!

\*\*\*

წყალში დაცურავს ხედი,  
ლამაზი კლდის და ქედის...  
ზეცად აფრინდა გედი,  
ვით მშვენიერი ლედი...

### ვიცი შეგიყვარდები

ვიცი, შეგიყვარდები,  
ჩემო გულის ვარდო!  
ეს ლამაზი დარდები  
არ მტოვებენ მარტოდ...  
ვიცი, შეგიყვარდები,  
ვიცი, გულსაც მომცემ!  
შენი ტურფა ხატება  
ლექსში დაგიკოცნე...

\*\*\*

მენატრებოდი დღესაც და  
მომენატრები ხვალეც,  
რა დამავინწყებს შენს თავს და  
ლამაზ თაფლისფერ თვალებს...

\*\*\*

ზაფხულის სიო არხევდა ფოთლებს,  
მე შენზე ფიქრი არ მასვენებდა.  
შენთან შეხვედრას შევთხოვდი ხატებს  
და ჩემს გულს ჩუმად იპყრობდა სევდა...

\*\*\*

მენატრებოდი, სიგიჟემდე მენატრებოდი!  
სიზმრად გხედავდი, დაგეძებდი -  
ცხადშიც მალულად...  
მენატრებოდი, სიგიჟემდე მენატრებოდი!  
მხიბლავდა შენი სილამაზე ძლიერ ქალური...  
მენატრებოდი, სიგიჟემდე მენატრებოდი!  
თვალს დავხუჭავდი და მინდოდა,  
შენ რომ მეხილე!  
მენატრებოდი, სიგიჟემდე მენატრებოდი!  
და ღამეები ამოვივსე ფიქრის ხეხილით...  
მენატრებოდი, სიგიჟემდე მენატრებოდი!  
და მონატრებას უშენობას ახლაც შევჩვიე...





ქსეისციკა  
ლირაძე

## ბნელში მოსიარულნი თაობის ბზამხვევი

(სიტყვა დიდოსტატზე)

### ჭაბუხა ამირაჯიბი

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ზღვარი ზნეობის მაგალითის მიმცემ თქვენს იდეალურ გმირებსა და თქვენს პიროვნებას შორის არ არსებობს, რადგან თქვენთვის არ არსებობს ხელოვანის ის ტრაგიკული გათიშულობა, რომელიც ბევრმა გენიალურმა მოაზროვნემ თუ ხელოვანმა ვერ აიცდინა.

წარმოვიდგინოთ სათუთი სული გალაქტიონისა, რომელიც ანმყოში დედას ვერ ხვდება, ის მას ან წარსულში ან მომავალში ხვდავს, რადგან მარადიულობიდან ჭვრეტს საგნებს. მერისადმი მისი გამოგონილი სიყვარულიც ხომ ასეთია: „მე შენში მიყვარს

ოცნება ჩემი“, ან ჰამლეტი ოფელიას მიმართავს: „მე შენ მიყვარდი“... უსაზომო ტკივილი, მსოფლიოს რომ ეფინება, არ შეეძლოთ თავის სინამდვილეში ვინმესთან დაეკავშირებინა...

ჩემთვის დიდი გამოცანაა, როგორ შეათავსეთ — სისხლსავე ცხოვრება, საზოგადო მოღვაწის აქტიური პოზიცია, თანამდებობის პირად ყოფნა, ოჯახი, შვილებთან ყოველთვის გქონდათ არა უბრალოდ ურთიერთობა, არამედ ჭეშმარიტი მამობა და ასევე შეგეძლოთ იმ მაღალი სულიერი საფეხურებით სვლა, საბოლოოდ მისტიკურობის “პრიზმიდან” სამყაროს ჭვრეტის შესაძლებლობას რომ შეგვაძლებინებს?

მე ხელთა მაქვს თქვენი წერილები დედისადმი თუ დისადმი (ნათიასადმი) ციხიდან მოწერილი, რაშიც ვლინდება უაღრესი ყურადღება და მზრუნველობა, და ეს მაშინ, როცა თქვენ, როგორც ხელოვანი, “ჯვარცმის” უმძიმეს გზას გადიოდით.

თქვენ ყოველდღიურობიდან გაუსვლელად შესძელით ციური მხედრობა განგებორციელებინათ იმ ყოველდღიურობიდან, რომელიც ხშირ შემთხვევაში აიძულებს ხელოვანს სულიერად დაიშრიტოს და აზროვნების ქმედითი უნარი შეუკვეცოს.

მე სიამაყით შეგყურებთ, რომ თქვენ ეს შესძელით. შესძელით არა მარტო შეგექმნათ ნაწარმოებები, არამედ თქვენს გვერდით მყოფ ადამიანებთან, ახლობლებთან გქონოდათ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც მათ სულაც არ აგრძნობინებდა, რომ თქვენ მარადიულობას ემსახურებით.

ამას ძალიან დიდ მიღწევად ვთვლი, რადგან კაცობრიობის ისტორია სავსეა ტრაგიკული მაგალითებით ხელოვანის თუ ფილოსოფოსის თავის სინამდვილესთან კავშირის დაუმყარებლობას რომ ასახავენ. დიდი სიყვარული კაცობრიობისადმი და, ხშირად სრული გულგრილობა მოყვასისადმი, კაცობრიობის უბედურებათა ეს ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის ამ უცნაურ ორბუნებოვნობაშია საძიებელი.

როცა მაღალი მისტიკური საფეხურებიდან შეჰყურებ თანამედროვე ხელოვნებას, აპათია გიპყრობს. ხედავს ეს დიდი ტალანტით დაჯილდოებული, არაჩვეულებრივი ადამიანები, ეს ნიჭიერი თაობა როგორ უმწეოდ ახმინებს უაზრობას, უღირსობას და უზნეობას.

რა არის ეს? ილუზია? ჩემი ჰალუცინაცია? როგორ მოხდა, რომ ამდენი ხანია ასე, ბნელში დაბორილობს რამდენიმე თაობა და მაინც ამ სიბნელეს სინათლეს უწო-



დებს, ამ უაზრობას კი აზრის სიღრმედ მი-  
იჩნევს.

მე განმაცვივრა თქვენმა წიგნებმა და  
იმასაც ვიტყვი დაბეჯითებით, რომ ჩემი ალ-  
ტაცება არასოდეს განელდება, რადგან ეს,  
ალბათ, არის ჩვენი სინამდვილის წყეულ  
კითხვებზე იმგვარი პასუხი, როცა მოხდა  
ამ წიგნებში ნააზრევთა გაზიარებაც, შეჯა-  
მებაცა და გადაფასებაც.

თუმცა თქვენ, ასული ამ მაღალ მისტი-  
კურ საფეხურზე, როგორც ყველა გენია-  
ლური მწერალი, ვით  
“მსხვერპლი“, ჩვენმა  
დროებამ თავის მარ-  
წუხებში მოგამწყედი-  
ათ, რათა თავისი თავი  
თქვენი სახით წარმოე-  
სახა.

ჭაბუა ამირაჯიანი



მაგრამ როგორ შე-  
იძლებოდა, რომ შემოქ-  
მედს გაეზიარებინა  
თანამედროვე ეპოქის  
“მსახვრალი“ მაჯისცე-  
მა, შეესუნთქა დაავადე-  
ბული, წყვდიადში ჩაძი-  
რული სამყაროს “ყალ-  
ბი საზრისი“ და მაინც,  
თავის თავში მოეძებნა  
ძალები, რათა გაეუქ-  
მებინა „ამ ეპოქიდან“  
გაუსვლელად საზარი  
და დაუფერებელი  
ბრალდება ქრისტესა  
თუ აბელისადმი, ვინც  
დამნაშავედ, ხოლო იუდა ისკარიოტელი და  
კაენი მსხვერპლად გამოაცხადეს, არა მარ-  
ტო გაეუქმებინა, არამედ შეექმნა მაღალი  
ზნეობის გმირები — ღვთაებრივი კაცნი —  
დათა თუთაშხია და გორა მბორგალი.

და როცა სატანად წოდებული მუშნი ზა-  
რანდია წარმოთქვამს თანამედროვეთა გა-  
მაოგნებელ ბრალდებას: — თვით ქრისტეს-  
განაც კი არაფერი დარჩებოდა, იუდას  
იგი ოცდაათ ვერცხლად რომ არ გაეყიდა.  
ქრისტეს ტრაგიკულმა, მნიშვნელოვანმა  
აღსასრულმა მის უკვდავებასა და ღირ-  
სებას უდიდესი სამსახური გაუწიეს. ის  
აღსასრული იუდას შეგნებული საქციელი  
იყო წინასწარ განზრახული, საჭირო შე-  
დეგის მისაღებად და აღსასრულებელ საქ-  
მედ. ეს მტკიცედ ვირწმუნე“.

“დათასა“ და “გორაში“ ამ “პარადოქ-  
სულ ჭეშმარიტებათა“ გადაფასება ხდება.  
და ყველა საგანი თავის ჭეშმარიტ სახეს  
უბრუნდება.

“დათა თუთაშხია“ საქმიანი უბრალო-

ებით პასუხობს თანამედროვეობის მტან-  
ჯველ კითხვებს — ხაზგასმულად, ამაყად,  
დაბეჯითებით, რომ ადამიანის ღირსება  
ზნეობაშია, მამასადამე, თავის არჩევანში  
თავისუფალია.

— “...ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფ-  
რით ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს  
შემკვული და მათი სწორად გამოყენების  
უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსება ერთი  
მონაცემია, მათი სწორად გამოყენების  
უნარი — მეორე“, ან უფრო მოკლედ:

— „ორ ადამიანს  
იქნებ თანაბარი შე-  
საძლებლობები, მაგ-  
რამ სხვადასხვა ზნეო-  
ბა ჰქონდეს“...

და სულაც არ არის  
გასაკვირი, რომ ასე  
სიბნელეში, ბრმად მო-  
სიარულე თაობა სიკ-  
ვდილის შიშით შეპყ-  
რობილი, ტანჯვას გა-  
აღმერთებდა, იმ ტან-  
ჯვას, რომელიც სინამ-  
დვილეში “უნონადოა“,  
რადგან რა ღირებუ-  
ლება აქვს ტანჯვას,  
რომელიც უპიროვნო-  
ბას ებმის? რომელიც  
ეჭიდება მასობრივ ნა-  
წარმს, ბრბოს, იმ სა-  
ზარ კაცს, ასე ბრმად,  
უნებოდ რომ მინებე-  
ბია თავისი სურვილის

საგანს და ილუზიით დაბრმავებული ამა-  
ყად წარმოთქვამს: „მე ვარ მე“, ანუ „მე  
არასოდეს არ ვიქცევი იმად, რადაც არ  
უნდა ვიქცე“.

და როცა სატანად წოდებული მუშნი ზა-  
რანდია ლაპიდარული ფრაზით აცხადებს:

— „მე ბალახი ვარ და არ მინდა ხედ  
ვიქცე“.

იგი თანამედროვე თაობის უგუნურ და  
გულუბრყვილო განაცხადს ამასხრებს —  
იმ განაცხადს, ადამიანის მიერ უსუსური  
სურვილისადმი მინებებას თავისუფლების  
აქტად რომ აცხადებს და ამით მას ინსტინ-  
ქტებით მოქმედ ცხოველთან აიგივებს.

...არ მინდა ბალახი ხედ ვიქცეო, ანუ არ  
მინდა ჩემს უარყოფით მონაცემს ვძლიო,  
ჩემში მყოფი ცხოველი დავთრგუნო, ჩემი  
სული გავაღვიძო, შევკრიბო და ღმერთი  
ვადიდო...

თანამედროვე დაცემული და შეგინებუ-  
ლი ღმერთიც მოსჩანს რომანში, მაგრამ  
ის მხოლოდ ცხოველურ ინსტინქტებს მინ-



დობილ, უსულო ადამიანთა შორის არის "ღმერთი", ანუ წუთისოფლის იმ დავიწროებულ წრეში, სადაც ადამიანი ვირთავგავა, კაციჭამიაა.

— „იმ ხლისტებს საკუთარი ქრისტე ყავდათ იქ, ცოცხალი ქრისტე, მათსავით კასრის ფიცრის მუშა იყო ისიც“.

როცა თანამედროვეებმა ლამის სიკვდილის შიშიც ადამიანის ღირსებასთან გააიგივეს, თქვენ ერთსახოვნად წერთ:

— „შიში საბოლოო ჯამში ერთი არსებობს. სიკვდილის შიში! იგი თავდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარეობს და თუ კარგად დავაკვირდებით, ადამიანთა უმრავლესობის ყველა საქციელში ვლინდება“.

და იქვე უარყოფა, — ეს გაღმერთებული შიში, ეს თანამედროვეობის "ღმერთი":

— „თუ შიში არა გაქვს, მაშინ არ გზღუდავს და გბორკავს რაიმე და რასაც გული გიკარნახებს, იმას სჩადიოდე იქნება ყოველთვის. ესაა თავისუფლება, აბა არა?!“.

რაც უფრო მეტი დრო გაივლის, მით უფრო დიდი განცვიფრება შეიპყრობს ადამიანებს თქვენი წიგნების კითხვისას, განცვიფრება იმ ნიჭის წინაშე, რომელმაც შეძლო ამხელა „ტვირთი ზევით აეზიდა“ ასე „მსუბუქად“, ასე „საამურად“, და ისეთი სისადავით, რომ უმრავლესობას ის ილუზიაც კი შეიპყრობს, რომ უზენაესი სიბრძნეც კი სავსებით უბრალო ენით გამოითქმის.

და როცა ვამბობ, რომ მე-20 საუკუნის თქვენი ეს უჩვეულო, მარტოსული გამირები, მთელ წინარე საუკუნეთა ნააზრევს აჯამებენ, ვგულისხმობ, რომ ის, რაც თანამედროვეთათვის დაცემის საბაზი გახდა, ხშირ შემთხვევაში თქვენმა გამირებმა ადამიანის აღდგომისა და ღირსების მოპოვების გზად გამოიყენეს.

მაგალითად, თანამედროვეთათვის ცხოვრების ახლანდლობაში დარჩენა და გაძლევა ადამიანის უმთავრესი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განცდის საშუალებად შეიქმნა. რადგან დრო, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, არის არა აბსოლუტური დრო, არამედ მარადიულობის მხოლოოდენ მომენტი. ამრიგად, დათა თუთაშხია სამყაროს ზოგადად კი არ პასუხობს, არამედ ყოველთვის მისი პასუხი ქმედითი და კონკრეტულია.

— „ყველა მისი საქციელი აფექტის შედეგი იყო და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარეობდა“.

ამიტომაც:

— „საერთოდ, ამ კაცს ერთი საოცარი

თვისება ჰქონდა — ან ღრმად დაფიქრებული იყო, ან მხიარულობდა, ამ ორ სულიერ მდგომარეობას შორის საშუალო, რაც ხან ლაზარეთში იყო, ერთხელაც არ შემიმჩნევია“.

დათას დაძაბულობა იმით არის გამოწვეული, რომ ცხოვრების „კონკრეტულობას“, რეალობას დამთრგუნველ ძალისხმევას მზად უნდა შეხედეს, ანუ ის არ გაურბის იმ გარემოს, რომელშიც ფორმდება. ყოველთვის გაუძლებს მას, რათა პასუხი გასცეს:

— „აქ და ამ დღეს, ამ სიტუაციაში“.

რაც ნიშნავს:

— „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ანუ არ ძალმიძს იმ რეალობიდან გაქცევა, რომელიც მაიძულებს ვიყო ის, ვინც უნდა გავხდე და დავდგე იქ, სადაც უნდა ვიდგე.

და თუმცა ერთმა ფილოსოფოსმა მწუხარედ აღნიშნა:

— „ჭეშმარიტება გულწრფელობამ შეცვალაო“, რადგან სწორედაც პიროვნების გულწრფელობა, მისი ღიაობა შეიქნა იმ აქილევსის ქუსლად, რამაც თანამედროვე გამირები დაამარცხა, მაგრამ დათა თუთაშხიას ყველაფერი ხელენიფება, ისიც კი, რომ გულწრფელობა, ღიაობა ჭეშმარიტებად აქციოს. ამიტომაც ორივე რომანის დადებითი გამირების ხასიათების მთლიანობა შეიძლება ასე დახასიათდეს:

— „იგი ყველა ადამიანურ თვისებას ერთნაირად, თანაბარი სიმძლავრით ავლენდა, ყველა თვისებას-მეთქი და, მათ შორის უარყოფით თვისებასაც. მაგრამ აქვე, მომდევნო წუთში უაღრესად დადებითი, სულგრძელობითა და მაღალი ზნეობით აღსავსე საქციელს ავლენდა. ხასიათის მთლიანობა მე სწორედ ასე მესმის“.

დათასთვის ის საზარელი განცდაც არ არის უცხო, სადაც თანამედროვე ხელოვნება თუ ფილოსოფია შეყოვნებულა — გათოშილი მარტოობის განცდა, თუმცა დათა თუთაშხიას ბაგეს ეს სიტყვები მხოლოდ "ჩუმად", ნანოსადმი მიწერილ წერილში ნამოსცდება:

— „დიდი ხანია სიცივემ მარტივი სიხარულის წყურვილი მომისპო“.

მაგრამ იქვე დაამატებს ფრაზას, რითაც ამ მარტოობის ხელთამყრობელი ხდება: — მარტოკაციც ვარ და მთელი ქვეყნირებაც“.

ის შეგნებულად იყენებს ამ მარტოობის სიცივეს, აი, ეს მწარე სიტყვებიც:

— „ჩემი საქმის კაცი ვერ იბოგინებს,



თუ ჰგონია, რომ მოფიქრალი და მზრუნველი ყავს ქვეყანაზე“.

თანამედროვეთა კიდევ ერთი მოთხოვნა, რომ ნათქვამი არასოდეს არ იყოს კატეგორიული და დახურული. თქვენი გმირების საუბრებით ყოველთვის ღია სისტემა იქმნება.

აი, მაგალითად:

— “თვითონ არ ვიცი ვინ ვარ მე, არც თქვენ გეცოდინოთ იქნება?”.

დათას ეს პასუხი უფრო კითხვაა, რომელიც უსასრულობაში აგრძელებს გზას.

არასოდეს ყოფილა ადამიანი ისე დაბრმავებული, როგორც XX საუკუნეში. არასოდეს შესძლება ბნელ ძალებს “მაღალი” და “ღირსეული” აზრებით ასე თვალახვეული ეტარებინა ადამიანი ყველაზე საზარელ გზებზე. და არასოდეს ყოფილა ადამიანი ასე შეცბუნებული თავისი აზროვნების ნაყოფის წინაშე და ასე უსუსურად არასოდეს განრთხმულა მინაზე. ერთგვარი აკვიატებული აზრიც კი შემოიღო ზოგიერთმა ავანგარდისტულმა სკოლამ — არ არსებობს სხვაობა ბოროტებასა და სიკეთეს შორის. უფრო მეტიც — სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს გულუბრყვილო ბავშვებად, ხან კი საღ გონებას, ტალანტს მოკლებულ არსებებად მიიჩნევენ.

გავიხსენოთ თანამედროვეთა უცნაური ახირება, ვითომცდა ადამიანისთვის დამამცირებელი იყოს ღმერთს მიწოდებული მოქმედებდეს, ანუ როგორც ისინი ყალბ თარგმანს აკეთებენ, რომ ადამიანი „ბრმად“ მოქმედებდეს.

პოლ ვალერის აზრებში ხომ ეპოქის ყველა ნიშან-თვისება აისახა, და ცხადია, ეს საზარი ავადობაც:

— „ნათელი სული გასაგებს ხდის იმას, რაც თვითონ მისთვის გაუგებარია“.

ამ ნათელ სულში ის სწორედ ღვთის ნებით მოქმედ კლასიკოსებს გულისხმობს, ანუ იმგვარ აზროვნებას, როცა აზროვნება ღვთის ნათლით მთლიანდება.

და როცა “დათა თუთაშხიაში” ვკითხულობთ:

— “...ინტუიცია მკარნახობს, ამ ნაკარნახევს ჩემივე ზნეობის ნორმებთან არასოდეს ვათანხმებ. რახან ინტუიციამ ასე მიკარნახა, მაშასადამე ზნეობასთანაც ქვეცნობიერად, ჩემს უნებურად შეთანხმებულია“.

რახან ინტუიციამ მიკარნახა, რახან ღმერთის ნება მოქმედებს ჩემში, — მას მე სავსებით ვენდობი.

რა გულუბრყვილობაა იფიქრო, რომ გონებას განსჯით შესწევს უნარი, ეზიაროს

ღვთის იდუმალ გზებს. ან ის ფიქრი, რომ ადამიანს მხოლოოდენ თავისი ძალებით შესწევს ღირებული აზროვნება ან ქმედება. თუმცა ეს გულუბრყვილო მოთხოვნა ბევრმა გამოჩენილმა მწერალმა თუ მოაზროვნემ გაიზიარა.

მაგრამ თქვენი გმირები ისევ ჭეშმარიტების გზაზე დადიან. დათა თუთაშხია ამაყად აცხადებს.

— “საითაც გული გამინევს, იქით გავნევ“, ანუ საითაც ღმერთი წამიყვანს, იქით წავალ.

როცა ავტორი წერს:

— „თუ სისხლში და მოდგმაში აქვს, მაგას მაინც იზამს, რაც გინდა ქენი შენ“.

ისევ ყველა მიზეზის დაფარულობა, იდუმალებით შებურვილობა გვრჩება ხელთ და ისევ ღვთაებრივის კვალს ვპოულობთ პასუხში კითხვაზე:

— რა მიზეზი მოქმედებს ადამიანში? რატომ მოქმედებს ასე და არა ისე? — მაგრამ დათა თუთაშხიას, ამ ღვთაებრივ ადამიანს, სულაც არ აძრწუნებს ეს იდუმალება (თანამედროვეთა გასაოცრად), ის ამ იდუმალებას ისევე იღებს, ვით თავისი არსებობის ნაწილს და თავისში დაფარული საგანძურის გასაღებადაც მიიჩნევს.

ერთგან დათა ამბობს და ეს ყველაზე მძიმე კითხვაა:

— “თვითონ არ ვიცი, სიმართლე რაა და სადაა“. რადგან იმგვარი “ცოდნა რაა, თუ რწმენამდე არ მივიდა“.

და როცა ნანო პასუხობს, ეს ავტორის (ჭაბუა ამირეჯიბის) და ყველა მისი ზნეობრივი გმირის პასუხიცაა:

— “...სადად, უბრალოდ უნდა, გაიცეს პასუხი. სიკეთე ის არის, რაც ყველასთვის კარგია. მადლი ქენი, ქვაზე დადე და შედეგს არ დაელოდო. — ნადი, სხვა მადლი ქენი. სიკეთეც ეს არის და მისი თესვის აუცილებელი პირობაც“, რადგან დათას სიტყვით მას “სიკეთე მიაჩნია ღმერთად“.

\* \* \*

განსაცვიფრებელია ამ ორი რომანის, “დათა თუთაშხიასა“ და “გორა მბორგალის“ “კონსტრუქციები“. თვით მსოფლიოშიც კი თითზე ჩამოსათვლელია ავტორები, ამგვარ სირთულეს რომ შესჭიდებიან.

ბევრი დიდებული ავტორი ნაწარმოების დასრულების შემდეგ აღმოაჩენს, რომ, სამწუხაროდ, სათქმელი ვერა და ვერ მოიხელთა. მოკლედ ვერ გამოთქვა ის უმთავრესი, რაც მის არსებას ერთ მთელად შეკრებილს ახილვინებდა თავისი სულის თვალის მეშვეობით. მე მახსოვს ერთ-ერთ წერილში შე-



ვეცადე დაახლოებით ასეთივე კომენტარი გამეკეთებინა თქვენი რომანების შესახებ. გამომდიოდა დაახლოებით ამგვარი რამ: ვითომცდა თქვენ, მაგალითად, რომან “დათა თუთაშხიას” შემდეგ, დაუკმაყოფილებლობის განცდა დაგეუფლათ ან იმის განცდა, რომ თქვენი თავი სრულად ვერ გამოხატეთ.

მახსოვს თქვენი დაუფარავი პროტესტი. მაშინ ვერ მიგიხვდით მიზეზს, ეხლა კი ვხვდები, რა უაზრობაა ამგვარი განაცხადი. ასე გამთლიანებული სულის მიმართ მთელი ცხოვრების ტანჯვასა და გამოცდილებას წამი-წამად რომ შეკრებს, რათა სიბრძნისეულ საფეხურებად დაალაგოს და შემდგომ განსაცვიფრებელი ძეგლი აღმართოს. ცხადია, ასეთ ქმნილებაში ავტორი სავედ, მთლიანად გამოისახება.

\* \* \*

ორივე რომანში უამრავი პასაჟია, მე რომ შიშით და თრთოლვით ვკითხულობ და ისეთი გრძნობაც კი მეუფლება, როგორც მაგალითად: რიჰარდ ვაგნერის “ტანჰოიზერის” უფერტიურის მოსმენისას, — “ტრაგიკული გაშეშება” ან ბრეიგელის რომელიმე სურათის ხილვისას, თავისი სიმართლით ღრმა განცვიფრებას რომ იწვევს ჩვენში, რადგან ისე გვაჯერებს, რომ ჩვენ წარმოსახვას არ ძალუძს “განზე გაიხედოს”.

ჩვენ მაშინ ვამბობთ:

— „აი, ეს არის სინამდვილე, ის ასეთია“.

ცხადია, მე უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია.

თქვენმა მწარე და ტანჯვით სავსე ცხოვრებამ კი არ გაგტეხათ, პირიქით, ისე გაგაძლიერათ, რომ სასწაული — ღვთის ნება აღსრულდა და საჩუქრად ღვთის სიბრძნე მოგეცათ. თქვენმა შეუპოვარმა, დაულავმა პრომამ, ქედმოუდრეკელმა დგომამ ცხოვრების საშინელების წინაშე (თქვენი ყოველი გაქცევა ხომ დიადი, ქედუხრელი ბრძოლა იყო ბედისწერასთან) ნაყოფი გამოიღო და განსაცვიფრებელი ქმნილებები შექმენით ჩვენდა გასახარად და სულიერად დასაპურებლად.

არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც მაშინ, პირველად თქვენ წიგნებს რომ ვკითხულობდი და მათზე “მუშაობა” ვცადე. ღამე სიხარულით არ მეძინა და სიხარულით ვფიქრობდი, რომ დედამინაზე ცხოვრობს ასეთი დიდებული, მაღალი ღირ-

სების ადამიანი, როგორც ჭაბუა ამირეჯიბია, რომელმაც “თეთრი” წყვიადი, ქართული ერივით მკერდგაშლილმა გამოიარა და გორასავით “რელსზე დაჯდა”.

რა ვუყვით, რომ ბევრი ჭორი დაითესა თქვენს შესახებ, ეს ნიშნავს, რომ მძინარეთა შორის გლვიძავთ (ცხადია, ეს ყველაფერი თქვენ “ზეპირად” იცით. ისე როგორც ჭეშმარიტმა ხელოვანმა თავიდანვე “ზეპირად” უწყის თავისი ცხოვრება, რომელიც მის “შეშლილობას” წარმოუდგენია, როგორც ხელისგულზე დაფენილი მსოფლიო). მაგრამ მე რატომ ვიმეორებ ამას? იცოდეთ, რომ მეც ცოტა რამ ვიცი ამის შესახებ, როგორც ასევე ბევრმა თქვენმა კეთილმოსურნე ადამიანმა, რომელსაც უხარია, რომ თქვენ სუნთქავთ, რომ თქვენ ცხოვრობთ.

ყველა ამ კეთილმოსურნე ადამიანს აქვს დიდი დანაშაულის განცდა, რომ თქვენ ავადა ხართ და ამ ავადმყოფობას მძიმედ განიცდის.

\* \* \*

შეიძლება ბევრი იცინოთ, როცა გეტყვით, რომ ჩემი თავი თქვენთან მიმართებაში პლატონის რაფსოდ იონად წარმომიდგენია. როცა მას სოკრატე ეკითხება, რატომ შეგიძლია მარტო ჰომეროსის სიმღერებზე გაგაჩნდეს აზრი, თუ შენ ღვთიური ძალა არ შთაგაგონებს ამას, და არა, მაგალითად, სხვა ავტორებზე? ცნობილია — იონი პასუხს ვერ გვაძლევს.

მეც ვერ გამიცია პასუხი, რატომ ავინთები ასე, როცა ამ ორ რომანს ვიხსენებ და მყის წერის სურვილი მიჩნდება. არც ერთი წამით არ მიფიქრია დამენერა ეს გრძელი “ოპუსი”, მაგრამ, ისევე ამ “იძულებამ დამანერინა”, იმ ძალამ, რომელმაც ადრე ორი მოზრდილი “ოპუსი” შემაქმნევინა.


და თუ მე გავბედე მესაუბრა თქვენთან, შეიძლება უტაქტო, გრძელი ქადაგებაც კი გამომივიდა მოსალოცი ბარათის ნაცვლად. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ისევე და ისევე დიდი სიყვარული, თაყვანისცემა და მოწინება გამომეხატა თქვენს წინაშე.

დიდი მადლობა, ბატონო ჭაბუა, რომ დაიბადეთ, რომ ცხოვრობთ, რომ სუნთქავთ, რომ ასეთი მძიმე გზის განვლა შესძელით საქართველოსთვის, მთელი კაცობრიობისთვის.

მდაბლად თავს ვიხრი თქვენ წინაშე.

მარად თქვენი ერთგული, ნამდვილი მკითხველი!





რეზო ინანიშვილი

## სამდე მახთანლი ხასი

მცირე მოსაზრება

რეზო ინანიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ჩემს წერილში „პროზაიკოსი პოეტის გახსენება“, რომელიც ჩემი ორტომეულის მეორე ნიგში გამოქვეყნდა რამდენიმე წლის წინ („თარგმანები, პროზაიკული ჩანაწერები“, გამ. „საქართველო“, 1996წ.), გასაგები მიზეზების გამო შეგნებულად აუზარე გვერდი ჟურნალ „ცისკრის“ 1974 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ჩემი უსათაურო ლექსის მისეულ შეფასებას (ჟურნალის მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი), არადა, სწორედ ამაში ჩანს უპირველეს ყოვლისა მისი კეთილშობილება, კეთილგანწყობილება და სულის სიმაღლე, რაიც სწორედ მას ახასიათებდა, როგორც მწერალსა და როგორც მოქალაქეს! სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დღეს მაინც გაეუზიარო მკითხველს „ცისკრის ლექსების“ (როგორც მოიხსენიებდნენ მათ) მისეული ზეპირი, სულ რამდენიმესტრიქონიანი შეფასება.

ლექსების „ცისკარში“ გამოქვეყნების ორიოდ წლის შემდეგ ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას რეზომ მითხრა: „ცისკრის“ 1974 წლის პირველ ნომერში რომ ლექსები გამოაქვეყნეთ, შეუდარებელია, უფრო მეტი სიმაღლე ვერ წარმომიდგენია! მე რომ მცოდნოდა, თქვენი ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, აღარ გამოვაქვეყნებდი ჩემს მოთხრობებსო

(ჟურნალის იმავე ნომერში ჩემი ლექსების გვერდით დაიბეჭდა მისი 17 მოთხრობა „სამაგიდო რვეულიდან“). პირველი მოთხრობა „ზამთრის სევდა“ გაიხსენა... მასწავლებელი მყავდა, ისაკ ქოქრაშვილი, ნადირობა უყვარდა, კარგი, წესიერი კაცი იყო... ჩემს მოთხრობებს ნამდვილი ამბავი უდევთ საფუძვლად და ისევ პირველ ნათქვამს მიუბრუნდა, — ნიკო ყიასაშვილმა რომ თქვენი ლექსების განხილვა მოაწყო შექსპირის კაბინეტში, იქ თქვენი ციკლი პროფესორმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ რილკეს „დუინურ ელეგიებს“ შეადარა. ვერ გეტყვით, როგორ უღერენ ისინი ორიგინალში, მაგრამ, ალბათ, ამათთან ვერ მოვლენო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ნიკო ყიასაშვილმა დამირეკა ერთ დღეს (პირადად ერთმანეთს არ ვიცნობდით), უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში, შექსპირის კაბინეტში ჟურნალ „ცისკრის“ 1974 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი თქვენი ლექსების განხილვას ვაწყობთ და თუ შეძლებთ, დაგვესწარითო. ჩემდა სამწუხაროდ, იმ განხილვაზე დასწრება ვერ შევძელი, — იმ დღეს თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მქონდა შეხვედრა).

რახან ჩემი მცირე მოგონება „ცისკრის“ ლექსებით“ დაიწყო, მინდა აქვე აღვნიშნო ისიც, რომ ლექსების ციკლს დადებითთან ერთად უარყოფითი შეფასებაც ხვდა წილად.

თავს უფლებას ვაძლევ, საილუსტრაციოდ რამდენიმე სიტყვით ეს შეფასებები გავაცნო მკითხველს, მოვიყვან მხოლოდ ორიოდ მაგალითს.

ცნობილმა ქართველმა პროფესორმა ერთხელ საუბრისას ბრძანა (საუბარი მან წამოიწყო): „ცისკარში“ დაბეჭდილი შენი ლექსები ღრმაა და ზერეღედ მათზე მსჯელობა არ შეიძლება, — სქემატური გამოვა... მე პირადად კიდევაც რომ მქონდეს სურვილი რაიმეს დანერისა, ვერ შევძლებ, ალბათ, რადგანაც ისინი პროზაულ მსჯელობას არ ექვემდებარებიან, მათ სხვაგვარად მოაზროვნე კაცი სჭირდებაო...

დღემდე მახსოვს ბატონი ნიკო კეცხოველის ნათქვამი: ძალიან მომეწონა „ცისკარში“ გამოქვეყნებული შენი ლექსები, — ქალო, დემეტრეს საგალობელსა ჰგავსო!

მავანი შეუფოთებია სტრიქონს — „არ შევალ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა!“ და ლექსი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაგიდაზე დაუდევს... ჩემდა საბედნიეროდ, ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილეს, ბატონ რომან მიმინოშვილს, გაუფანტავს ბურუსი და კეთილგანწყობილთ მშვიდად ამოუსუნ-





## ჩემი — უფროსი მეგობარი

თქავთ! მაგონდება იმ დღეებში ჟურნალის მთავარი რედაქტორის, ჯანსუღ ჩარკვიანის ნათქვამი: ცენტრალურ კომიტეტში დამასმინეს, — ანა კალანდაძით რატომ გაიხსნა ჟურნალის პირველი საახალწლო ნომერიო... ამიტომაც დავბეჭდე დღევანდელ „კომუნისტში“ წერილი „ცისკრის“ პირველ ნომერზე „შორს მიმავალი გზები“ („კომუნისტი“ 1974 წლის 18 აპრილი).

იმ დღეებში ბრძანა მურმან ლებანიძემ, რომ ჟურნალ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა ძალიან დიდი გაბედულება გამოიჩინა შენი ლექსების ამ ციკლის გამოქვეყნებითო, და სავსებით სამართლიანად დასძინა, ბოლოს და ბოლოს ისტორია ამასაც შეაფასებს, ამითაც აღნიშნავს ჟურნალის რედაქტორის როლს, — ივანე კერესელიძე ხომ ამითაც ფასდება დღესო?

მცირე მოგონებამ... შორს გამიტყუა, მაგრამ ესეც ხომ რაღაც კუთხით მჭიდროდ დაუკავშირდა მოგონებას დიდ რეზო ინანიშვილზე?

წინაპრებისა არ იყოს, პირველ სიტყვასა მოვიდეთ... მაგონდება ფრაგმენტული საუბრები რეზო ინანიშვილის მოსკოვური შთაბეჭდილებებიდან: ის პაუსტოვსკი, ის პასტერნაკი პიროვნებები იყვნენ, — თავისი სამყარო ჰქონდათ. ახლა... ერთი უსახური მასაა... ეს იმიტომ, რომ მათ მაინც მოასწრეს იმისი თქმა, რაც უნდოდათ! აღარ მახსოვს რასთან დაკავშირებით აღნიშნა ერთხელ, — თანამდებობა და კარგი ცხოვრება რყენის პოეტს, მაგრამ... თქვენზე რატომ არ მოქმედებს ყოველივე ესო?

1990 წლის აპრილის ერთ დღეს რეზომ დამირეკა, თქვენზე ჩანახატი მაქვს, დაბეჭდვა მინდა და მანამდე მსურს გაგაცნოთო. უკვე ცუდად იყო, ლაპარაკი უჭირდა.

იმავე წლის 28 მაისს მწერალთა კავშირში პრეზიდენტზე შევხვდი და დიდი მადლობა მოვახსენე წერილისთვის, მაშინ 25 მაისს რომ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. ბევრმა დამირეკაო, მითხრა, ერთი უცნობი მამაკაცი იმასაც კი დამპირდა, იმ დროის მოწმე ვარ და ბევრი ვიცი იმის შესახებ, თუ რამე დაგჭირდეთო...

ჩვენში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ვითარება გახლდათ, როდესაც ერთ-ერთმა ცამდე მართალმა კაცმა დატოვა სამზეო...

ამქვეყნად როგორ გამორჩეულ წყალობად მაქვს რომ რამდენიმე საოცრად მაღალი, კეთილშობილი, მადლმფენი უფროსი მეგობარი მყავდა... გაცილებით ბევრად უფრო სწორად კი, მყავს — დაძაბული გაჭირვებებისას თქვენ გეკითხებით გადარჩენას, ხსნას, და თქვენც, როგორც ეს ადრე და, შესაძლოა უფრო მეტადაც, როგორ წყალობად სუფევთ ჩემში.

თქვენ ცამეტი წლით უფროსი ბრძანდებით ჩემზე, ბატონო რეზო, და ეს ვითომდაც მხოლოდ ასაკით უმცროსობა მუდამ მექნება თქვენდამი, ბატონო რეზო, რადგან თქვენ, რამდენიმე ღირსეულად გამორჩეულ კაცთან ერთად, მუდამ როგორც სამაგალითო მასწავლებელი იქნებით ჩემი, თქვენი მაღალი ადამიანობითა და როგორმადალი შემოქმედებით, ბატონო რეზო, ეს ახლაა რომ, ფიქრებსა და ქალაქებზე ბატონო-თი მოგმართავთ, ადრე კი, როგორღაც მაინც-არაბუნებრივი რომ არ ყოფილიყო, თქვენდამი შენობით-ა და უბატონოდ, მხოლოდ სახელით ვსიტყვაობდი...

ახლაც, იმ წლების გახსენებისას, მე-თამამისაგან, თქვენგან წყალობად-შეშინაურებულისაგან, რეზო-თი უნდა მოგმართოთ.

რომელი ერთი გავიხსენო, რეზო...


ჩვენ ქართული ლიტერატურის ეგრეთწოდებული „აგიტაციისა და პროპაგანდის“ ნევრები ვიყავით და რამდენგან ვყოფილვართ ერთად, ყველაზე ხშირად კი შენს მშობლიურ კახეთში. შენი გამოსვლები ყოველთვის სუყველასას სჯობდა, ჯერ მარტო ის შენი ზეპირადაც მონაყოლი, „ხრუშჩოვობისას ვირების გაველურებაზე“, რად ღირდა.

იმდენად გვიყვარდი, შენთან შეხუმრებასაც კი ვბედავით; ერთხელ, კინოსტუდიაში, სადაც შენი თაობის დიდი, მართლაც რთვორი დიდი კაცის, ბატონი რეზო თაბუკაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ „მწერალთა შემოქმედებით გაერთიანება“-ში რომ ვმუშაობდით, ერთხელ, ჩვენს კვირაში ერთჯერ „სამშაბათობები“ სას, ხუთიოდ წუთით დააგვიანე მოსვლა და, დიდად შეშფოთებულმა იკითხე ჩემთან ხომ არ მოსულა ვინმე, თორმეტ საათზე დავთქვით შეხვედრაო. არა, პირიქით, — გეთქვა. ერთხანს კი გაგეხარდა, მაგრამ მერე შენებური, როგორღაც გამჭვირვალე დუდღუნით ჩაილაპარაკე: აგილესიათ ენები, სხვა საქმე აღარაფერი გაქვთ? ეს „პირიქით“ რამ გათქმევინათო.

მერე, პატარათი დაფიქრდა და, — კაცო, გუშინ ერთი მოკეთე ისე შემხვდა გინდაც გარეშე ჰყოფილიყო და ასე მითხრა, გამარჯობა, როგორა ხარ რეზო, ინანიშვილო, ინონემ-

ანა კალანდაძე  
2006 წლის ივლისი





ვილის რამე ხო არა ხარო... — აბა, თქვენა ხართ, რო გაკრეფილხართ ენადაო.

ერთი დიდი სიხარული კი მაინც რომ მოგვგარე, როგორ მიხარია, მუდამ...

ერთხელ შინ გენვიე, კანდელაკის ქუჩაზე, მწერლების სადარბაზოში ცხოვრობდი. კი-გა-გეხარდა ჩემი სტუმრობა, მაგრამ მაინც გატყობ რომ, მონყენილი ხარ. რატომ-მეთქი და, არა, არაფერიო. გამიმასპინძლდი შენებური გულით და, მაინც მონყენილი. შენ არასოდეს მინახიხარ ზომაზე მეტად შექეფიანებული, მოლხენილი კი? როგორ აშკარად და თანაც მაინც ჩუმ-წყნარა? — რამდენიც გინდა... ღვინოს საერთოდ ერიდებოდი, მაგრამ ახლობლების დანახვაზე, კიდეც მეტად გაგიბრწყინდებოდა ხოლმე თვალები და, ასე-ლიტრამდე და არც კი, ღვინოს შესვამდი ხოლმე.

თვალებში კი მუდამ გედგა ის საუცხოო შუქი, შენი სხეულის, შენი სულის სიღრმიდან რომ ამოგდიოდა, და მაგპენ ჭროლად ლამაზ თვალებში რაღაც განუზომლად აუარება სითბოსა და სიკეთის აუარება ნამცეცი კიდევ მეტად აგიცისკროვნებოდა ხოლმე, ხოლო შენი არაჩვეულებრივად სათნო, მართლაც მე-უღლისა და ვაჟებისა და, განსაკუთრებით შვილიშვილების დანახვაზე ხომ... მაგრამ იმ დღეს კი, ორიოდ ჭიქის შემდეგ თვით შვილიშვილსაც კი ვერ შესცქეროდი გახარებული და, ემანდ სტუმარს არ ეგონოს რომ უმძრახად შევხვდით და, შენი სევდა გამიზიარე: გურამ, დარდით აღარა ვარ, სამი წლისა გახდა და ჯერ ხმა არ ამოუღია, ალუ-ს შემდეგ სიტყვა აღარ დასცდენია, ლოგოპედთან წაყვანას

ვუპირებთ და რამე ძლიერ სანყენი რომ არ გვითხრას, ფეხს ვითრევთო. მეც რეჩხი მიყო გულმა და, მერე კი შეძლებისდაგვარად დავამშვიდე: ჯერ სამისაა ბავშვი, რეზო, ბიჭების მამა ხარ და ხომ იცი ბიჭები რომ გვიან იდგამენ ენას, ის ამბავი მაინც არ გახსოვს, კახელმა ბაღმა შვიდი წლისამ პირველად რომ დაილაპარაკა ხაშლამას მარილი აკლიო და, გახარებულებმა რომ შეჰვალადეს აქამდე რად არ იძახოდი არაფერსაო და, რაღაო და, იმადო რო აქამომდე ხაშლამას მარილი არ აკლდაო.

ეეჰო, მითხარი, ეგ ანეკდოტია და ჩემი ბიჭები რა, კახელები არ არიან?, და ამის ხნისანი რომ იყვნენ, ამას ენაცვალოს პაპა, რამდენს ლაპარაკობდნენო...

გული დამიმძიმდა, მალევე გადავწყვიტე წამოსვლა, მაგრამ სევდის როგორმე შესასამბუქებლად, უფრო კი გასამხნეველად, არ გამომიშვა, დავლიეთ საკმაოზე ცოტათი მეტი.

დაგტოვე მერე, სევდიანი...

მერე, ერთი კვირის შემდეგ, თქვენს სადარბაზოში, სადაც შესანიშნავი, მართლაც და გულითადი მეგობრები და ახლობლები მყავდა: გივი გეგეჭკორი, შოთა ნიშნიანიძე, გივი ძნელაძე და მერაბ ელიოზიშვილი, რომელიცასთან მივდიოდი და თქვენს მომცრო ეზოში — სხვათა შორის, შენი ხელით როგორ მშვენივრად გალამაზებულში ნერგებით, ყვავილებით, წყაროთი — დაგინახე შვილიშვილთან ერთად და შორიდანვე შეგნიშნე რომ ისევე ის სევდა გედგა თვალებში.

და, რომ მოგიახლოვდი, პატარა ხნით რაღაცამ წამართვა თვალი და, მერე კი, შენს შეძახილზე: შენ გაიხარე გურამ, გურამ!-ო, გაკვირვებული შეგაცქერდი, შენ კი შენი მხოლოდ მზერითაც კი როგორ მაგრად ჩამიკარსავით გულში და, მითხარი:

აგაშენა ღმერთმა, ეს როგორ გამაბედნიერეო...

ისეთი გაკვირვებული ვიდექი, მაშინვე ამიხსნა:

— შენს დანახვაზე, გურამ, მუხლთან შარვალზე ჩამომქაჩა და, მითხრა: "პაპი ღინო, ღინო!"-ო.

აი იმ დღეს კი? — ვილას მახსოვდა სხვასთან სტუმრობა — ბევრ-ღვინონარევი სიხარულისაგან მართლა ძალიან დავითვერით და ოღონდ ისე, რომ, ერთმანეთს მაინც ვცნობდით — სულ წამდაუნწმ ჩემს სადღეგრძელოს სვამდი — შენ ამილაპარაკე, შვილიშვილი!

მერე იყო და, ყოველ შეხვედრაზე, როგორ უხვ ღიმილზე გატყობდი — „ეს როგორ ამილაპარაკე, ველარ ვაჩერებთო“...

შენი გარდაცვალების შემდეგ, ისეთ ამაღლებულ საიდუმლოდ დამეხიზმრე, და ისეთი რამ მითხარი, ვერ ვებედავ გამხელას, იმდე-



ნად დიდი საიდუმლოა...

...შენთან დაკავშირებით, ერთადერთილა უხერხულობა მასსოვს:

ერთხელ, ახალი კინოსტუდიიდან რომ უნდა გამოვბრუნებულიყავით, ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა შინ მანქანით მიყვანა შემოგვთავაზა, შენ და მე... ნახვედი, ნახვედი მანქანისაკენ და უკანა კარი გამოაღე — აქ მირჩევნიაო... დიდად მომერიდა — ადრე-თაობებმა ვიცოდით უფროს-უმცროსობა — როგორ, შენ უკან უნდა იჯდე და მე კი შენკენ ზურგშექცევით?, ეს როგორ-მეთქი... მაგრამ მაინც შენი გაიტანე, აბა რა მქონდა ამდენი საპატივისსაცემო, ხეიბარი მაშინ არ ვიყავი და მსგავსი არაფერი...

ეგრე არ უნდა-მეთქი და, გვერდით მოგიჯექი, მაგრამ...

ბატონმა რეზომ, თაბუკაშვილმა:

— არ მომკლა თქვენმა ზრდილობიანობამ? ორივენი უკან რომ მოკალათდით, ძალიან გინდათ ხალხს ხალტურშიკი ვეგონო? აბა, ერთ-ერთი ახლავე გადმობრძანდით წინო...

სხვა რა დამრჩენოდა, და ასე ვთქვათ, "დავინაურდი", როგორი შეუხერხულებული, რადგან შენ ძალიან მაგრა-კახურად, უჯარმასავით გამაგრდი უკანა სავარძელზე, ჩემო რეზო...

თუმც, "ჩემო" რას მიქვია, შენ მხოლოდ ჩემო კი არა ხარ, ქართველობის ღირსეული და უკეთესი ნაწილის "ჩემო" ხარ და, გადარჩენა თუკი მართლა გვინდა, გადარჩენაში უცილობლად შემავალი ერთი თვისებაც მთელ საქართველოს უნდა გვახლდეს — რაღა თქმა უნდა, ქართველობა, მამა-პაპური, ახლა კი, ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთულა ტელევიზიით, პრესითა და რეკლამებით მოწამლული ბეჩავი ქართველობა როგორ ეტანება ჩვენთვის ყოვლად მიუღებელ რამეს — კაცო, ესა მითომდაც ეგრეთნოდებული ავანგარდისტები (ისე კი, კაცმა რომ თქვას, ნეტავი რად არ იმატებენ „ჰ“-ს — "ჰავანგარდისტი" ამ აბნეული ხალხისა თვალში უფრო მეტად არ გაიყდებოდა? ესენი ჰყოფილან მენინავეები და დანტე და ვაჟა — ჩამორჩენილებიო...), ჩვენთვის ყოვლად უცხო, უჯიშო, მიუღებელ, მაგრამ ძირმაგარასავით ჰ-ავანგარდისტობას ასე ძალუმ რომ ეტანებიან — მაშინ, როდესაც ჩამორჩენილი მიქელანჯელო ოთხმოცდაცხრა წლისა გარდაცვალების წინ მწარედ ჩიოდა, რა ცუდია რომ ვკვდები, ახლახან ავიდგი ფეხი ჩემს ხელოვნებაში და ვისწავლე ანა-ბანაო, ესენი კიდე? — ნიჭიერებას თავხედობით ამოეფარნენ, რადგან ამ დაბნეული ხალხის მიხედვით? — რადგან ასე ძალიან მოაქვს თავი, ალბათ და ზნაჩიტ ძალიან ძლიერ მაგარიო, და, ესენი თუ ტელევიზიებითა

და ყურნალ-გაზეთებით ასე ძალიან დიდათ რომ ინონებენ თავს, ერთი კარგი საქმე ყოვლად უნებურად და მაინც გააკეთეს — კაცო, ის ნარცისი რომ ისე ნარცისობდა რომ აგერ უკვე ეს მერამდენე თაობისათვის იყო როგორღაც მასხრად-ასაგდები გამოთქმა, ამათი შემხედვარე რომ ვუკვირდები, არ იყო არცთუ მთლად ურიგო ჭაბუკი — იმის დროს ტელევიზია გინდაც ყოფილიყო, არ გამოვიდოდა იქ /თუ, იმაში/? და არცაც პრესას აიკლებდა — მიყურეთ, მნახეთ, წამიკითხეთ აი როგორი ლამაზი ვარო, არამედ სადმე მოფარებულში ტბის განაპირას ერჩია თავისთვის ყურყუტი და წყალში ცქერა.. არადა, თურმე



მართლა ლამაზი იყო, და ამათთანა შედარებით როგორ ძალიან შეგვესიმათიურა, კი, ხოლო იმათით, ცრუ-ნარცისებით როგორღაც დუნედ აღტაცებულმა ჩვენ, საბრალოებმა, ხანდახან ისიც კი არ ვიცით, ან არ გვახსოვს რომ შენ, შენ გვყავხარ, რეზო, შენი როგორი სიკეთით რაოდენ მაღალი, რადგან უმშობლიურესი ენით როგორ თავმდაბლად გათვალსაწინოებული სიტყვა გვაქვს შენი, "ჩემო" კი არა, — ის მერე რა რომ ვერ იციან — "ჩვენო" რეზო, ასაკისადამიუხედავად მართლაც სრულიად-ქართველობისათვის ჩვენო ყველასი უფროსო მეგობარო, და, ჩვენი სარწმუნოებით სულჩადგმულები მართლაცდა როგორ დიადი ხელოვნებით უნდა გადავრჩეთ, და როდის იქნება რომ ჭკვათამყოფელი გამოგვიჩნდება და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი, ყოვლად დაუშვებელი, იმდენად საძრახისი რომ დამღუპველი "ხელოვნები"ს ნაცვლად, შენ გკითხულობდნენ, დაგივდებდნენ ყურს, ბატონო რეზო, ჩემო, ც — უფროსო მეგობარო...

შენი მოწინებულობამდეც კი გადაღწრთოვანებული შენი უმცროსი მეგობარი,

**ბურამ ღონანაშვილი,** —  
რა ძლიერ, გმადლობ...



## „ბაბაქაბა ყოველგვარი მიზნის მიღწევის უპიჯადესი სანიღბაი...“

„მცირე ფორმა ჩემთვის ის სფეროა, სადაც რაღაც შეუცნობადი მწვერვლები მიხმობენ გამუდმებით...“

რევაზ ინანიშვილი

— რით დაინწყით და როგორ, გთხოვთ გაიხსენოთ.

— დავინწყე ლექსებით. ახლაც მახსოვს მისი პირველი ტაეპი: „წითელი მხედარო, გუშაგად მდგარო, უშიშარო და გნოლივით წყნარო“, მაგრამ მეორედ უკვე მოთხრობა დავენერე — „ძერის წივილობა“. ბიჭი ვენახში წევს, შეჰყურებს ცას, სადაც ძერები ტრიალებენ და ახსენდება ლექსი: ძერას შვილი არ უჩნდებოდა, შეჰფიცა დამბადებელს, ოღონდ შვილი მეყოლოს, ერთ თვეს წყალს არ დაველეო. მისცა დამბადებელმა შვილი. მას შემდეგ ერთ თვეს, გაზაფხულზე, ძერას წყალი წითლად ეჩვენება, ვეღარ სვამს და წივის გულსაკლავად.

როგორ დავინწყე, ეს ცოტა უფრო რთული საკითხია. 1937 წელს სოფლიდან თბილისში ჩამომიყვანეს სასწავლებლად.

სანამ ახალ გარემოს მივეჩვეოდი, დიდხანს ვიყავი მარტო. ვიჯექი ჩვენი პატარა ოთახის ერთადერთი ფანჯრის რაფასთან და, რა უნდა გამეკეთებინა 10-11 წლის ბიჭს? ვკითხულობდი, ვხატდი, მერე ვწერდი კიდევ.

უნდა ითქვას, რომ მარტოობა ბევრს აღებინებს კალამს, მარტოობა და თანდაყოლილი მგრძობიარობა. განსაკუთრებით ბუნების მიმართ. მე სოფლის განაპირას, ვენახებში და ივრის ჭალებში გავატარე ჩემი ბავშვობა და იმ წყალ-ჭალის ხმები მომდევს ცოცხლად და მაღლად.

— რომელი მწერალია თქვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და, საერთოდ, ნამდვილი ხელოვანი თუ წარმოგიდგინიათ „უგავლენოდ“, უკერპოდ?

— ჩემთვის ყველაზე ახლობელი მწერალია ვაჟა-ფშაველა. მისმა „ხმელმა წიფელმა“, „ამოდის, ნათდება“, „პატარა მწყემსის ფიქრებმა“ და „მოგონებამ“ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს ნაწერებზე. როგორც თხრობის მანერის, ასევე საგნებთან დამოკიდებულების მხრივ. ვაჟა ჩემთვის დღესაც ის ხატია, ანუ როგორც თქვენ უწოდებთ-კერპი, რომელსაც თავისებურ ანგარიშს ვაბარებ, როგორც მწერალი

და ქართველი მოქალაქე სხვებზე, სხვა მწერლებზე, — ჰყავდათ თუ არა მათ ასეთი კერპები, — დაბეჯითებულს ვერაფერს გეტყვი. ეგ კია, თვით თომას მანს ჰყავდა ოდესღაც საოცნებო, მისაბაძი ფიგურები ლიტერატურაში: ტოლსტოი და ფირდოუსი. მას უყვარდა ფირდოუსის ნათქვამის გამეორება: „მე ვქსოვ ხალიჩას, რომელსაც კიდე-განი არა აქვს“.

— დღევანდელი ქართული პროზის რა თვისებებია თქვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო და რა განსაზღვრავს მის თვითმყოფადობას — ეროვნულსა და ინდივიდუალურს?

— დღევანდელი ქართული პროზა, და არა მარტო დღევანდელი, ასი წლის წინანდელიც კი, უკვე აღარ ეტევა თავისი ვერც ერთი ნიშნით ორიოდ განსაზღვრებაში. დღეს ძიებისა თუ მრავალი რამის მტკიცების დიდი ასპარეზობაა. თქვენ უთუოდ ამჩნევთ, უკვე ჩამოყალიბებული ქართველი მწერლები იშვიათად გვანან ერთმანეთს. და თუ მაინც ვიტყვით ქართული პროზის თვითმყოფადობაზე, მის ავტონომიურობაზე მეტისმეტად ზოგადად, მე გავიმეორებდი იმას, რაც არაერთხელ თქმულა. ესაა გასაოცარი სიყვარული საკუთარი ქვეყნისა, საკუთარი მიწა-წყლისა. თანაც სხვების გასაგონად თქმული კი არა, — აი, როგორები ვართ ჩვენ, ქართველებიო, — არა, რაღაც ლოცვასავით აღვლენილი. ასეთი იყო ჩვენი კლასიკა, ამ გზას მიჰყვება თანამედროვე ლიტერატურაც, კერძოდ — პროზა.

სამწუხაროდ, პატარა ერებიდან ყველა ვერ დაიქანის ამასვე. მათი ლიტერატურული საქმიანობა ხშირ შემთხვევაში რაღაცით უახლოვდება ტურისტული ბიუროების სარეკლამო მიზნებს — მობრძანდით, გვენახეთო!

აქვე უნდა ითქვას ერთიც — დღევანდელი ქართული პროზა, სხვა ჟანრებთან ერთად, გამძაფრებით იბრძვის ძლიერი ქართული ენის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. ეს ბრძოლა დაუსრულებლად უნდა გაგრძელდეს.

— ყოველ დროს აქვს თავისი, ასე ვთქვათ, სტილი... რაღა თქმა უნდა, განსხვავებული, სხვადასხვა სტილის, ხელწერის პროზაიკოსები მუდამ ყოფილან და ახლაც არიან... მაგრამ, ვფიქრობ, მაინც არსებობს „დროის სტილი“, განპირობებული ძვრებით საზოგადოებრივ ყოფიერებასა და ცნობიერებაში. თქვენი აზრი გვანტიერებს ამ საკითხზე.

— ყოველ ეპოქას რომ თავისი სტილი აქვს, ძნელი შესამჩნევი არ არის (ძნელია ამ ეპოქების ქრონოლოგიური და სივრცეები განვინილობის მოხაზვა). დააკვირდით ეგრეთ



ნოდებული კურტუზიული რომანების სტილს (დათბილულ, მშვიდ თხრობას), შემდეგ კლასიკოსებს, შემდეგ უცებ მოზღვავებული „იზმების“ სტილს. შორს რად გვინდა წასვლა, ავიღოთ მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პროზა: ნიკო ლორთქიფანიძე, სანდრო ცირეკიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, საფო მგელაძე და სხვები... შემდეგ მიხილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე. პირველთ, რომელთაც, ასე მგონია, შეეძლოთ კდემით ზეანული ვარდით გავლა ქუჩაში, მოკლე სტრიქონებს შორის ხშირად უხდებოდათ ზეცისკენ თვალების აპყრობა. მეორენი მკაცრად იყურებიან აქეთ-იქით. მათი მხრები მეტი მინიერი საგნობრიობით არის დამძიმებული.

ახლა სპორტულობის ეპოქაა. ყველაზე მეტად მე თვალში მცემს ეს სპორტსმენული ლაკონიზმი და სიმკვრივე-თითქოს ტენისის ბურთი მიმოქროდეს აქეთ-იქით. თანამედროვე ქართულ პროზაში ხშირად და ხშირად მოაბიჯებდნენ გურამ რჩეულიშვილივით მძიმეფეხსაცმლიანი ქაბუკები. წარმოიდგინეთ, ქალიშვილებიც კი, მაგრამ ეს ცუდი არ არის.



— ე. ნ. მცირე ჟანრის შესაძლებლობებზე რას გვეტყვი, როგორია თქვენი უმთავრესი მიღწევები ამ მიმართულებით (ცხადია, გვანტერესებს, პირადად თქვენთვის რაა ძვირფასი) და განვითარების რა იმედები გესახებათ?

— არც მე და, ვგონებ, არც სხვანი მკვეთრად არ განაცალკევებენ ფართო ლიტერატურული ტილოების და მცირე ფორმის ნაწარმოებთა შესაძლებლობებს. ჩეხოვი ძირითადად მცირე ფორმის ნაწარმოებების ავტორი იყო. თუ ვიტყვი, ფართო ლიტერატურულ ტილოებს ეპოქის ასახვის უკეთესი საშუალებები აქვსო, ესეც კი არ იქნება ბოლომდე მართალი. ჩეხოვმა შესანიშნავად ასახა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრის ყოფა. ვგონებ, პაუსტოვსკი

ამბობდა: ერთ დღეს ჩეხოვის მოთხრობებიდან ქუჩაში რომ გადმოვიდნენ მათი პერსონაჟები, მოსკოვი უცებ გადაიქცევა პოლიციელების, ბოქაულების, სერთუკიანი მოხელეების, ქოლგანი მანდილოსნების, მხრებში წახრილი ხელოსნების, ძველებური არტისტების და ეკიპაჟიანი ექიმების სამყაროდ.

თვით რომანების დიდოსტატ ფოლკნერზეც ამბობენ ხოლმე, იგი მცირე ჟანრში, კერძოდ ნოველებში, აღწევს ხელოვნების მართლაც ხელშეუხებელ მწვერვალებსო.

საზოგადოდ ამერიკულ ნოველაზე ძალიან ბევრ კარგს ლაპარაკობენ, უკვე რამდენიმე ათეული წელია.

მე ვერაფერს ვიტყვი ამ ჟანრში ჩემს მდგომარეობაზე. ეს უხერხულია. მარტო მადლობის გრძნობა მიპყრობს, თუკი აი, დღევანდელივით, ვინმეს ვამჩნევ, რომ ჩემი აქ მუშაობა რალაცით გამართლებულად მიაჩნია.

მცირე ჟანრი რომ გარკვეულად ფასობს, ამაზე ისიც მეტყველებს, დედამინის ზურგზე რომ რამდენიმე საგანგებო პრემია არსებობს საუკეთესო ნოველისთვის.

— თქვენ იმდენად იშვიათად წერთ ვრცელ მოთხრობებს, რომ ამის ორიოდ შემთხვევა მოულოდნელობადაც კი ჩაგეთვალათ. ასეა თუ ისეა, სალიტერატურო კრიტიკაშიც გაყონა და ზეპირადაც ხშირად გვესმის — რა დასამალია, რომ ვრცელი მოთხრობები რევაზ ინანიშვილის სტიქია არ არისო. მე მგონია, რომ ეს არცთუ უსაფუძვლო აზრია, თუ იქიდან ამოვალთ, რომ თქვენი უკეთესი, უკეთესთაგან უკეთესი ნაწარმოებები მართლაც მცირე ფორმისაა. პირადად მე, ამას წინათ, შარშან, გამოვაქვეყნე წერილი თქვენს ნიგზე, სადაც ამავე აზრს ვავითარებდი: „რევაზ ინანიშვილი პატარა მოთხრობებისა და ნოველების შესანიშნავი ოსტატია. მან მცირე ფორმას, ვფიქრობ, ბოლომდე უნდა უერთგულოს. კატეგორიულობა კადნიერებაა, მაგრამ ამას მოზრდილი მოთხრობა „ცისფერი გორგალიც“ მაფიქრებინებს, რომელიც რ. ინანიშვილის ნიჭის ბაღლად არ მიმაჩნია“.

გამოგიტყდებით, ამას რომ ვწერდი, რამდენიმე წლის წინანდელი თავდაპირველი შთაბეჭდილება მახსოვდა. საგანგებოდ ამ დიალოგისათვის „ცისფერი გორგალი“ არ წამიკითხავს. იქნებ ცოტათი ინერციაც გვეძალებოდეს აქ, იქნებ ერთხელ რომ აზრი გამოითქვა, იგი გავრცელდა და ზემოქმედებს ჩვენზე. ყოველ შემთხვევაში, გულწრფელობას გთხოვთ — რამდენად სამართლიანია ეს აზრი, ან იქნებ „გალიზიანებთ“ იგი და აპირებთ დაამტკიცოთ, რომ ვრცელი მოთხრობაც, იქნებ მეტიც, რომანიც თქვენი



**სტიქიაა. რა გეგმები გაქვთ - გასამხელი, თქვენი თავისთვის უკვე გაცხადებული გეგმები?**

— მე ასე გავიგე: მაინცა და მაინც ვსურთ, თვითონ ჩემგან გაიგოთ, თავს როგორ ვგრძნობ, როცა უფრო ფართო ტილოს ვკიდებ ხელს. არაფერი არ არის საძრახისი თქვენს მიერ საკითხის ასე დაყენებაში, და არც იმაში, თუკი მე დაბეჯითებით გავიმეორებ, მცირე ფორმა ჩემი სტიქიაა-მეთქი. წინა პასუხში მოტანილ მაგალითს ერთსაც დავუმატებ — შოპენს. შოპენი არ იყო დიდი ფორმების მუსიკალური ოსტატი, მაგრამ წარმოიდგინეთ დღევანდელი მუსიკალური სამყარო უშოპენოდ! მთავარია აზრის გამოთქმის ინტენსიურობა, ამ ინტენსიურობის მიღწევა კი შეიძლება რამდენიმე სტრიქონშიც კი. მე შეგახსენებთ ერთ კონკურსს ყველაზე მცირე მოცულობის ნაწარმოებზე. ამ კონკურსზე პირველი პრემია მიიღო ორსტრიქონიანმა მოთხრობამ: „ვცვლი ქალიშვილის უსახელოებო საღამურ კაბას ბავშვის ეტლზე“. ხომ ბრწყინვალეა, ხომ ნათლად ჩანს ცხოვრება ქალისა, რომელიც გათხოვდა, ხელმოკლედ ცხოვრობს, მაგრამ ლამაზად, გულისგამკენწლავი სევდით უყვარს თავისი ღარიბული ოჯახი! მცირე ფორმა ჩემთვის ის სფეროა, სადაც რაღაც შეუცნობი მწვერვალები მიხმობენ გამუდმებით. ვრცელ მოთხრობაში თავს არეული ნაბიჯებით მოარულად ვგრძნობ.

— **პირადად თქვენზე, ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით, გამორჩევით რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა შთაბეჭდილება? გეკითხებით იმ კატეგორიის ნაწარმოებებზე, რომლებიც მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. გნებავთ, უცხოელებზე ბრძანეთ, გნებავთ, საბჭოთა მწერლობის ნიმუშებზე.**

— ყველა ბოლოდროინდელი ქართულ პროზაულ ნაწარმოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. ეს რომანი თავისი დიდი ენერგიით, მძაფრი სიუჟეტით და, რაც მთავარია, გაბედული კონცეფციებით დიდხანს იყოლიებს ქართველ მკითხველს საზოგადოებას ძლიერი განცდების ქვეშ. „დათა თუთაშხიაზე“ გრძელდება, მე მხედველობაში მაქვს მკითხველისა და შემფასებლის მუშაობა. და იმედით ვარ, იგი საზეიმოდ დამთავრდება.

რუსული პროზიდან ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა ვასილი ბელოვის მოთხრობები, მათა განინას წიგნი - „რატომ მოხერხეს ნაბლები“, გენადი სნეგიროვის საბავშვო მოთხრობები. უცხოური ლიტერატურიდან დამთრგუნავად იმოქმედა ჩემზე ხულიო კორ-

ტასარის წიგნმა „სხვა ცა“, იასუნარი კავაბატას შემოქმედებამ, განსაკუთრებით მისმა ნოველამ „ელეგია“. კიდევ უფრო ადრე მარკესის წიგნმა „ასი წელი მარტოობისა“.

საერთოდ ფრიად საინტერესო, წარმტაც ლიტერატურას ქმნიან ბოლო ხანებში ესპანურენოვანი მწერლები.

— **ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ტერმინები: „ინტელექტუალური რომანი“, „რომანი-მონოლოგი“, „რომანი-ალსარება“, „ფსიქოლოგიური პროზა“, „ლირიკული პროზა“, „სოფლის რომანი“ და ა.შ. ვთქვათ, ლაპარაკია ესტონურ ინტელექტუალურ რომან-ალსარებაზე, შინაგანი მონოლოგის ლიტვურ რომანზე, რუსულ „სოფლის პროზაზე“ (ვასილი ბელოვი, ვასილი შუკშინი, ლიხონოსოვი...). ამ რიგში დღევანდელი ქართული პროზის ადგილი სად გეგულებათ?**

— მე ნაკლებად ვიცნობ ე. წ. ინტელექტუალური პროზის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მათ, ვისზეც თქვენ ამახვილებთ ყურადღებას-ბალტიისპირეთულს. ვეტყვობ და მისი თაობა გყავთ მხედველობაში? ვფიქრობ, ჯერჯერობით მაინც ძალიან მცირეა მათი ხვედრითი წონა საერთო ფონდში. რაც შეეხება რომან-მონოლოგს, რომან ალსარებას (გაიხსენეთ ჭოლა ლომთათიძე), ფსიქოლოგიურ რომანს, ლირიკულ პროზას, სოფლის რომანს და სხვას, არცერთი მათგანი უცხო არ არის ქართული ლიტერატურისათვისაც, რა თქმა უნდა, გარკვეული მეტ-ნაკლებობით. ახლა ხომ ძალიან დიდი ძიებებია ჩვენშიც (ოცინი წლები?!). განსაკუთრებით ფორმის სფეროში. მაინც დავსძენ: (ცოტა ნაკლებ გაბედულებას ვიჩენთ, ვიდრე, ვთქვათ, იგივე ბალტიისპირელები. მე ლიტველ ნატალია სტალიორატიტესთან ერთად ვთარგმნე საუელიუს შალტენისის მოთხრობა „შვებულება“, რომელიც მწერალმა თვრამეტი წლის ასაკში შექმნა და გამოაქვეყნა. ეს მოთხრობა ნამდვილ სიმამაცის ნიმუშად მიმაჩნია როგორც ავტორის, ასევე მისი პუბლიკატორის მხრივ. ჩვენში, მგონია, ესოდენ ახალგაზრდა კაცის ნამუშევარს იმდენს უკირკიტებდნენ, იმდენჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალებდნენ ხელიდან ხელში, ვინ იცის, რას მივიღებთ ბოლოს. გაბედულება-ესაა ყოველგვარი მიზნის მიღწევის უპირველესი საწინდარი.

გაუბედაობით მოხდა, რომ მკითხველი საზოგადოებრიობა არ იცნობს გურამ რჩეულიშვილის უაღრესად საინტერესო ნაშრომს „ჩემი ლიტერატურული შეხედულებანი“. ვისაც კი მისი გამოქვეყნება ხელენიფებოდა, წინასწარ



იჩეჩავდა მხრებს, ვის აინტერესებს ახლა ოცდაათი წლის ბიჭის ლიტერატურული შეხედულებანიო.

— ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენი შემოქმედება უპასუხებს პრობლემას — ადამიანი და ბუნება, მაშასადამე, ადამიანური ადამიანში. ეს გულისხმობს ღრმა ფსიქოლოგიზმს და პოეტობას, გულისხმობს რეალიზმს. როგორც ვთქვით, თქვენი პროზა ამის პასუხია. როგორია ზოგადად თქვენი აზრი: რა მოვალეობა აკისრია მწერლობას იმისათვის, რომ ადამიანი არ მოწყდეს ბუნებას, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, ურბანიზაციის პროცესმა მისი შემოქმედებისა და აზროვნების, მისი საქციელისა და გრძნობების მექანიზება არ გამოიწვიოს. გარდუვალა და აუცილებელი ტექნიკური წინსვლის პროგრესის ფონზე ადამიანმა, მწერლობამ, ხელოვნებამ მეტი ხომ არ უნდა იფიქროს „ბუნებით“ ცხოვრებაზე?

— ძალიან მალიზიანებს მწერლისადმი ასეთი დამოკიდებულება, თითქოს ისინი ქოხებისა და „ხელუხლებელი“ ბუნებისკენ ეწეოდნენ თავიანთ თანამედროვეებს. ერთხელ ერთ მეურნეობაში ძირფესვიანად გლეჯდნენ ასწლოვან მუხებს, რომ შემდეგ მათ ადგილას ბალი და ალუბალი გაეშენებინათ. მეურნეობის დირექტორმა მხარზე ხელი დამკრა და გამქირდავად მითხრა: გული ხომ არ აგიჩვილდა, მამაპაპეულ მუხებს რომ ვგლეჯთო. მე ასე მგონია, საძრახისი არაფერია, მარტო გული კი არ აგიჩვილდეს, იტირო კიდეც ასეთ შემთხვევაში. გაჭირვება აიძულებს ადამიანს, მუხები ამოყაროს და ბალი და ალუბალი დარგოს. ეს საძრახისი არ არის, განსაკუთრებით მწერლისათვის, რომლის ფუნქცია ქვეყანაზე საგანთა ბუნების გარკვევაა დედამიწის არსთა ერთად ცხოვრების ასპექტში.

დედამიწა კი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის, ადამიანებს, ანდა, თუ გვეკუთვნის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩვენ ერთადერთი გონიერი არსებანი ვართ სხვებს შორის. მაშინ კეთილვინებოთ და გონივრულად მოვეპატრონოთ ამ გასაოცარ პლანეტას.

ვაჟა-ფშაველამ ამ გონივრული მოპატრონების პრინციპით ათჯერ და ასჯერ მეტი გააკეთა, ვიდრე ზოგიერთმა მინათმომწყობმა ჩვენში. ჩვენ მარტო უკან კი არ უნდა ვიყუროთ სინანულით, მოვიძიოთ წინაც, გულდასმით, დაკვირვებით. შევეცადოთ, რომ დედამიწაზე რაც შეიძლება მეტი იყოს მწვანე ბალახი, და ანკარა, სუფთა ცვარი ამ ბალახებზე.

მე, რომელსაც გუშინდელ დღესავით მახ-

სოცს სამგორის გადახრუკული წარსული, არაფერი ისე არ აღმაფრთოვანებს ხოლმე, როგორც მისი ახლანდელი ზვრები და მათ შორის ჩქაფუნით მიმავალი წყალი. და თუ მე მოთხრობასავით რაღაცას ვწერ ფშატზე, რომელიც სადღაც ქალაქში იდგა განმარტოებით და მოჭრეს, იმედი მაქვს, ხელს ვუნყოფ იმ ნიადაგის შექმნას, რომელზეც უნდა დადგნენ ჩვენი მიწის მომავალი პატრონები.

— ვფიქრობ, ბუნებრივად იქითკენ მიდის საქმე, რომ ვისაუბროთ რევაზ ინანიშვილზე — საბავშვო მწერალზე. ამ სფეროში თქვენ დიდი წინაპრები გყავთ... მაგრამ ყოველ დროს თავისი სულიერი მოძრაობა ახლავს და ყველაზე იდუმალ, ყველაზე სასწაულებრივ სამყაროს — ბავშვის სამყაროს უნიჭიერესი მწერლების თვალი სჭირდება... ცხადია, აქ უნდა გაირჩეს ორი რამ: მარტივად რომ ვთქვათ, ნაწარმოები, დაწერილი ბავშვზე, მაგრამ არა ბავშვებისათვის, და საბავშვო, საყმაწვილო, ბავშვებისთვის დაწერილი წიგნი, წიგნი, ვთქვათ, დაწერილი ბერიკაცზე, მაგრამ დაწერილი ბავშვებისათვის. ერთხელ ასეთი კურობიცი კი მოხდა: ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ საბავშვო წიგნებში მოაქციეს. ასეა თუ ისე, რას იტყვით საბავშვო მწერლობაზე. რა სურვილები და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრეტენზიები გაქვთ საბავშვო მწერლობისადმი?

— ცხადზე უცხადესია, ბავშვზე დაწერილი ყოველი ნაწარმოები საბავშვო არ არის. თქვენ კურობად მიგაჩნიათ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ რომ საბავშვო ლიტერატურის რუბრიკის ქვეშ მოათავსეს. მე უარესს გეტყვით. ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი ჩვენი მკვლევართაგანი უზარმაზარ აუდიტორიას მოახსენებდა, რომ საბავშვო მხატვრობის სათავეები ლეონარდოსა და რაფაელთან უნდა ვეძიოთო. რატომ ფიქრობდა ასე? იმიტომ, რომ მიხვდით რომელ ბავშვზეც არის ლაპარაკი — ჩვილ იესოზე, რომელიც ღვთისმშობელს უკავია ხელში.

სიტყვა „საბავშვოსთან“ ბევრი გაუგებრობა იყრის თავს. არიან დიდი მწერლებიც კი, რომელთათვისაც საბავშვო ლიტერატურა, როგორც გარკვეული ნაკადი, არ არსებობს.

მაპატიონ ამ დიდმა ადამიანებმა, ანდა დაე ჩამითვალონ კადნიერებად, და ვიტყვი: ჩემთვის არსებობს. ამის საილუსტრაციოდ ლ. ტოლსტოის საბავშვო მოთხრობებიც კი კმარა. „ანა კარენინას“ ავტორი წერდა პანანინა მოთხრობებს: „ფილიპოკი“, „ზვიგენი“, „ნახტომი“, „კურდღელი“ და სხვა. აქ აშკარად ჩანს, რომ ტოლსტოი სხვანაირად ჰყვება ამ ამბავს, ვიდრე „ანა კარენინაში“, ანდა რომელიც გენ-



ბავთ სხვა სადიდო ნაწარმოებში. გაიხსენეთ, როგორ უყვებოდა შვილიშვილებს ბოსტანში ბიჭის მიერ კიტრების ძებნის ამბავს. აქ ტოლსტოის წინაშე პატარა ზის, ცხოვრებისეული ცოდინის პატარა მარაგით, მაგრამ დიდი ფანტაზიის უნარით, და მწერალი გაფაციცებით ეძებს უმარტივეს ფრაზებს, სახეებს, უმარტივეს, მაგრამ აუცილებელ შეგონებებს, თანაც



ყველაფერს ამბობს უფრო ხმამაღლა, გამოკვეთით, დანაწევრებით, ვიდრე ეს ღიღებთან საუბრის დროს გვახასიათებს. ტყუილად კი არ დანერა მან ეს მოთხრობები საგანგებოდ დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოსთვის.

ერთზე დაგეთანხმებით: ადრე მკვეთრად დამოუკიდებელი სახე ჰქონდა საბავშვო ლიტერატურას, ახლა კი, სამი წლის ბავშვიც კი „ნიგნიერია“, ეს ლიტერატურა თანდათანობით უფრო გამიზნული ხდება, განსაკუთრებით ლიტერატურა ყველაზე პატარებისათვის — თავისებური სინთეზურობით, სადაც ცნებებთან ერთიანდება ბგერწერაც და რიტმიც.

ჩვენ ისეთი საბავშვო ლიტერატურა არა გვაქვს, როგორც, ვთქვათ, ინგლისს, გერმანიას, რუსეთს და სხვა დიდ ქვეყნებს, მაგრამ ვაჟა-ფშაველას წყალობით აქაც არა გვაქვს მთლად ცუდად საქმე. თანამედროვეობა? ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია თუნდაც ის, რომ არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალს“ და მაცყალა მრევლიშვილის შესანიშნავ საბავშვო პოეზიას რუსთაველის პრემია მიენიჭა. კიდევ? დავით ჯავახიშვილი, ერლომ ახვლედიანი, კარლო კობერიძე და სხვები მშვენიერ წიგნებს წერენ ბავშვებისათვის. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენი პატარა მკითხველი მოითხოვს საინტერესო, წარმტაც წიგნებს, წიგნებს გამირობაზე, იღუმალებით მოცულ სანყაოზე.

**რეზო ინანიშვილთან**  
ინტერვიუს უძველესი  
ჯუშაპერ თითმბერი  
1988წ.

## ახალიაწი სიხათის მაძიებელი

თავიდანვე მხიბლავდა ჩინებული მწერლის, რეზო ინანიშვილის პროზაც და თვით მისი პიროვნებაც. რეზო ინანიშვილის ნოველებს და პატარ-პატარა მოთხრობებს ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში პოეტური პროზა შეარქვეს და მეც სავსებით ვიზიარებ ამ შეხედულებას. ლექსით იკითხება. მისი ნოველა-მოთხრობები რომ პოეტურ სტრიქონებად დაიყოს, თეთრ ლექსსა მივიღებთ. ასეთი სახიერია, ხატოვანია, ემოციურია და ამალღებულ განწყობილებას უქმნის მკითხველს.

ადამიანში, რომელშიც კოდირებს ორივე სანყისი: ეშმასეული ანუ ბოროტი და ღვთიური ანუ კეთილი სანყისები, რეზო ინანიშვილი ეძებდა და წარმოაჩენდა მხოლოდ კეთილს მაშინაც კი, როცა პერსონაჟები თავიანთი უმძიმესი ყოფითი პირობების გამო უნდა გაავებულიყვნენ და გაბოროტებულიყვნენ კიდევ. მწერლის ეს ესთეტიკა სათავეს იღებს ქრისტესმიერი მოძღვრებიდან. სწორედაც რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო თავისი შინაგანი რწმენითაც და ცხოვრების წესითაც, კაცთმოყვარე, მიმტევებელი, მპატიებელი, თვალებიდან რომ სითბოსა და სიყვარულს ასხივოსნებდა.

ვიდრე ბატონ რეზოს პირადად გავეცნობოდი, შორიდან მომწონდა მისი არა მარტო ნაწერი, არამედ პიროვნული თვისებები, ცხოვრების წესიც. უყვარდა თავაუღებელი მუშაობა, გონებრივადაც და ფიზიკურადაც. უყვარდა სოფელი, რაც ჩემს ხასიათსა და ცხოვრების წესსაც მიესადაგებოდა.

სტუდენტობის დროს ლექსებს ვწერდი, გაერთიანებული ვიყავი ლიტერატურულ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი, ოთარ ჩხეიძე.

ერთ-ერთ ოთხშაბათობაზე დავგისახელა ორი ახალგაზრდა მწერალი, მერაბ ელიოზიშვილი და რეზო ინანიშვილი. ორივე ნიჭიერი ახალგაზრდაა, ერთმანეთს არა ჰგავანან წერის მანერითაო, მაგრამ მათ თქვენი შემოქმედებითი პრაქტიკის დროს ნუ მიბაძავთ, ნუ გაიმეორებთ, თქვენ თქვენი მანერა და სახე გქონდეთო.

მაშინ ისიც გვქონდა გავონილი რეზო ინანიშვილზე, სტუდენტობისას და მანამდეც ფიზიკურად მუშაობდა, არ ვიცი გაჭირვებისა და შინაგანი მოთხოვნის გამო და რომ, მაშინდელ რექტორი უნივერსიტეტისა ნიკო კეცხოველი დიდი შემწე იყო,



გამორჩეულად უყვარდა რეზო ინანიშვილი, რომლის ხასიათი და თვისებები მიესადაგებოდა ჩემს ხასიათსა და თვისებებს, მეც მიჩვეული ვიყავი ფიზიკურ მუშაობას.



ზამთარს ხომ თბილისში ატარებდა, გამოთბებოდა თუ არა, მშობლიურ სოფელ ხაშმისაკენ მიუწეოდა გული, ჰკვირობდა კიდევ ქალაქელ მწერლებზე, რა აძლებინებთ ამ ბულსა და მტვერში ამ ხალხსაო, სოფელში რო წავიდოდა, ვიდრე არ აცივდებოდა, თუ ძალიან აუცილებელი არ იყო, ქალაქში ფეხს არ ჩამოაკარებდა.

პირადად მოგვიანებით გავიცანი, ჯერ კიდევ კანდელაკის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა, გივი გეგეჭკორის მოპირდაპირე მეზობელი რომ იყო. ბოლო, მგონი, მეოთხე სართულზე, ორივეს რომ ნიადაგ აწუხებდა დაზიანებული სახურავი. თურმე ავიდოდნენ სახურავზე და თოვლსა ხვეტავდა ორივე, რათა ნადნობი არ ჩამოსულიყო ოთახებში. რეზოს იმდენად არ უჭირდა თოვლის გადახვეტა ნიჩბითა თუ არნადით, გივი გეგეჭკორს კი, როგორც გულით ავადმყოფს, მაგრამ მაინც არ ისვენებდა. გივისთან გადავიდიოდი ხშირად. რეზო იტყოდა ხოლმე თავისებური ბუზღუნით: თბილისის მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევსო, ჩემი თავი იმდენად არ მენანება, როგორც ეს ავადმყოფი კაციო. ერთმანეთს დიდ პატივსა სცემდნენ რეზო და გივი და დიდად აფასებდნენ ერთმანეთის შემოქმედებას.

ნალდი მწერალიაო, იტყოდა ხოლმე გივი ჩემთან, და ალალი კაციოა.

ძალიან მომწონს გივის ლექსებიცა და ადამიანობაცაო, — გივის არყოფნისას იტყოდა ხოლმე რეზო, ორივე გზამართალს არის გამდგარი და ორივეს სული აცხონოს ღმერთმა.

მერე მოხდა ისე, რომ რეზო ინანიშვილმა კანდელაკის ქუჩაზე ბინა შეიღებეს დაუტოვა და გადმოსახლდა საბურთალოს ქუჩაზე.

ერთ სადარბაზოში მოხვდით. დავმეზობლდით და უფრო დავუახლოვდით ერთმანეთსა. ბატონ რეზოს ხელოსნობაც ეხერხებოდა. ბინაზე თუ რამე საჩიჩმაგურაო რამ იყო გასაკეთებელი, თვითონ აკეთებდა, ჩაციმევდა ლურჯ, დიდ ჯიბეებიან სამუშაო ხალატს და ხელოსნობდა.

ერთ საღამოს ამოვიდა მეცხრე სართულზე, ჩემთან და მითხრა:

— გიორგი, უცებ გადამქართულდა, შურუპს რას ვეძახით ქართულად?

— მგონი, ხრახნილს, რად იკითხე.

— ხო, ხომ არ გიყრია.

— უნდა მქონდეს, მობრძანდი.

მოგუძებნე.

— კაცო, მთავრობის გაკეთებული ხომ არაფერი ვარგა — კარების ანჯამებია მორყეული და იმისთვის მჭირდება, უნდა გავამაგრო.

ჩემი სახლის გაბზარულ ჭერს შეხედა, გაჯის ნალესები რომ იყო აყრილი.

— შენც კაი დღეში ყოფილხარ.

— ჰო, უფულობით რემონტი ვერ დამინცია.

— ეეხ, პატიოსან კაცს სადა აქვს ფული.

— მოდი, ეს დაბზარული ჭერი დამილოცე.

— ჩემი დალოცვა თუ უშველის, დაგილოცავ.

დავილოცენით.

— მე რქანითელის ღვინოსა ვარ მიჩვეული, მაგრამ ჩინურიც მომწონს, ხედავ, შამპანურივით შუშხუნებს.

— ღვინის დამყენებელზეა დამოკიდებული.

— ყოჩაღ, კარგად დაგიყენებია,

სამ-სამმა ჭიქამ შეგვახალისა.

— გიორგი, სულ მინდოდა მეთქვა, ნავიკითხე შენი მოთხრობა „ცისკარში“.

იმხანად „ცისკარში“ ჩემი მოზრდილი მოთხრობა „ზვარაკები“ დაიბეჭდა, რომელშიც მოთხრობილი იყო თუ როგორ ემლიქვნელებოდნენ თავკაცს სინდისისა და ერის გამყიდველები, თავკაციც როგორ იფერებდა და ქრთამს იღებდა მათგან და მათნაირი პიროვნებებისგან.

— არ ვიცი, ძმაო, თუ ეგეთი მდგომარეობაა ყველგან, დაღუპულა საქართველო!

— ეგეთი მდგომარეობაა, ჩემო რეზო, ამ მოთხრობის პროტოტიპს კარგად ვიცნობ, მართლაც იღუპება საქართველო.

— მწერალმა უფრო დადებითი თვისებები უნდა დაინახოს. დინჯად უნდა აწონდნაონოს და ისე წარუდგინოს მკითხველს. სხვა მოთხრობებიც წამიკითხავს შენი. ყველგან ბრაზობ, შენ გაბრაზებული მწერალი ყოფილხარ.

— რაც გინდა დამარქვით, რასაც ვხე-



დავ და განვიცდი, იმას ვწერ.

— შენი ნებაა.

ჩემი და რეზო ინანიშვილის ურთიერთობა გრძელდებოდა, სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, ვეგულ-წრფელებოდათ კიდეც.

მწერალთა კავშირს ერთ დროს რომ თორმეტი მდივანი ჰყავდა და შაყირისტები სათორმეტმდივნოს ეძახდნენ, რაიმე საკითხისათვის მე უფრო რეზო ინანიშვილისკენ მიმიწევდა გული. შევიდოდი, ვსაუბრობდით, რასაც ხედავდა ირგვლივ, ყველაფერზე თავის აზრს გამოთქვამდა. ერთ-ერთ მდივანზე ჩამოვარდა საუბარი. გაკვირვებით იჩიქდა მხრებსა, საიდან იცის ამდენი, ყველა პრობლემაზე, თეორიაზე და საჭირობოროტო საკითხზე საუბრობს და წერს კიდეც, აინშტაინის სამყაროს მოდელი იქნება, ატომის დაშლის პროცესი, ატომური ბომბის შექმნის ისტორია, ხიროსიმასა თუ ნაგასაკის დეტალური ანალიზი, სტალინისა, რუზველტისა და ჩერჩილის ურთიერთობის დეტალები თუ ბერიას ფენომენი, როგორ, საიდან იცის ამდენი. ეჰ, ძმაო, მის უსაზღვროებას საზღვარი არა აქვს, არ ურჩევნიან, თავის საქმეს მიხედოს და წეროს, რისთვისაც არის მოწოდებულიო.

ერთხელ კიდეც, იმავე მდივნობის დროს: მწერალთა კავშირის ყრილობა უნდა ჩატარებულიყო, როგორც წესი, დელეგატებს უნდა გვეპასუხა კითხვარებზე, რით ვხვდებით ყრილობას, ყრილობიდან ყრილობამდე რა ნაწარმოები გამოგვიქვეყნებია, სად და როდის.

ასეთი ანკეტა მეც შევავსე და კითხვარებს გავეცი პასუხი. იმ ხანებში გამოვაქვეყნე ხუთი პატარა წიგნი-მეთქი, ამით ვიამაყე და ანკეტაში ჩავწერე: გამოცემული მაქვს ხუთი წიგნი, სიტყვა პატარა არ მიხმარია.

წარვუდგინე რეზო ინანიშვილს, რომელიც მაშინ როგორც მდივანი, პროზას კურირებდა, ნაიკითხა, წარბები მაღლა აზიდა და:

— ყოჩაღ, ძმაო, ბარაქალა შენს შემოქმედებას, თუ ოთხი წლის მანძილზე ხუთი წიგნი დანერე, კლასიკოსი ყოფილხარ, მე

ორი წიგნი ძლივს მოვახერხე.

მივხვდი, დიდი შეცდომა დავუშვი, ანკეტაში რომ დავიტრაბახე.

— არა, ბატონო რეზო. ეს უბრალოდ იმის გამო ჩავწერე, ანკეტის კითხვარი ამას თხოულობდა.

— გიჯერებ, ჩემო გიორგი, მაგრამ ეს მაინც ტრაბახი გამოგივიდა, ტრაბახს საქმე სჯობია, ვიმედოვნებ, სხვა დროს აღარ მოგივა ასეთი იაღლიში.

— დიდი მადლობა.

ასეთ იაღლიშებს ვერიდები და სულ უფრო და უფრო ვთამაბლობ, რამეთუ მახსენდება ქართველი კაცის ნათქვამი: თავმდაბლობამ ზეცა მოდრიკაო, მაგრამ ჩემი თავმდაბლობით რომ ვერა და ვერ მოვდრიკე ზეცა? არც ამაზე მწყდება გული. მთავარია შევქმნა რაიმე ღირებული, რომელიც ადრე თუ გვიან თვითონ გაიკაფავს გზას.

ერთხელ მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში მოვიდა ბატონი რეზო, იქ მყოფებს ყველას გულიანად მოგვესალმა.

— ჰო, გიორგი, კარგია რომ გნახე. წამალივით მჭირდებოდი. ერთ სიტყვას ვეძებ დიდხანია და ვერ მიპოვნია.

— რა არის, შენი უპოვნელი?

— აი, აი, მინდა ღირსეულად გამოვქტვა ერთი სიტყვა, იქნებ, წამომემეველოთ.

— რა სიტყვაა ისეთი?

— კაცი რომ ღვინოს დაღვეს, მეორედღეს რო კვლავ აგრძელებს, რუსები რომ „ზაპოის“ უწოდებენ, ქართულად რას ეტყვიან თქვენში?

— გადათრობას, ჩემო რეზო.

აუჰ, ათიანში მოარტყი. დიდი მადლობა.

— არაფერს.

ასეთი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას რეზო ინანიშვილი, რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში და რომელიც მარადჟამს იცოცხლებს როგორც დიდი მწერალი და ჩინებული პიროვნება.

## ბიორგი სორბუაშვილი







ნათელა  
ყრუშაძე

ხსოვნის სახეში

სასილია თაყაიშვილი

სესილია თაყაიშვილის სცენურ სახეთა სურათები ერთმანეთის გვერდით რომ მოვათავსოთ, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ისინი ერთი მსახიობის ქმნილებანი არიან — გრიმის დიდოსტატი გასაოცარ სხვადასხვაობას აღწევდა გარეგნობაში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ სრულიად თავისუფალი იყო სახის ყოველგვარი გადატვირთვისაგან — ძალიან იშვიათად მიმართავდა პლასტიკურ გრიმს, ისიც ოდნავი ჩარევით. საკუთარი სახის ნაკვთები ადვილად ემორჩილებოდა ცვლილებას. კუნთის მოძრაობის თავისუფლებას არავითარ შემთხვევაში

არ შეიზღუდავდა — თითო-ოროლა დამახასიათებელი დეტალი და... უკვე სხვა ადამიანი!

დავხედოთ თუნდაც ამ სურათების მცირე ნაწილს, რომელიც მის შესახებ არსებული წიგნის გარეკანზეა: ერთი — მსახიობი ცხოვრებაში, დანარჩენი ცხრა — გარდასახვის სასწაულები!

ყველასათვის ცნობილია, რომ მხატვრული სახე მისივე პიროვნებისაგან იქმნება. ამიტომ, ცხადია, შემოქმედების ამ სახეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელოვანის პიროვნულ თვისებებს — მომავალ სცენურსა თუ ეკრანულ სახეს მან საყრდენები საკუთარ პიროვნებაში უნდა გამოუნახოს. ამიტომ ვინც მსახიობის ხელოვნებით დაინტერესებულა, არტისტთან ცხოვრებაში დაახლოებასაც ცდილობს. ამ მხრივ ძალიან იღბლიანი აღმოვჩნდი — 1958 წელს, როდესაც მოსკოვში დიდად წარმატებული გასტროლების გამო საქართველოს მთავრობამ ქართული თეატრის მოღვაწეებს ვ. ბარნოვის ქუჩის №124-ში ბინები დაურიგა, ჩვენ ქალბატონი სესილიას მეზობლები აღმოვჩნდით. დაკვირვებისა და დაახლოების საშუალება ნამდვილად მომეცა.

გარეგნობით განსაკუთრებით გამორჩეული არ ეთქმოდა სილამაზის თვალსაზრისით, მაგრამ იმით კი იყო გამორჩეული, რომ ეს გარეგნობა საოცრად ნეიტრალური იყო — თითქოს ბუნებამ იმნაირი შეუქმნა ყოველგვარ თარგზე რომ გამოიჭრებოდა შემოქმედებითი ამოცანის შესატყვისად.

ცხოვრებაში თავის გარეგნობას არ ეხმარებოდა — არც თმის ვარცხნილობა შეუცვლია, არც თვალი შეულამაზებია, არც მოდას აპყობდა ჩაცმულობაში. ამის არც სურვილი ჰქონდა, არც სახსარი. მისი საცხოვრებელი ბინაც ასეთი იყო — მხოლოდ აუცილებელი.

საკუთარი შემოქმედებისადმი ყურადღება არასდროს გამოუჩენია, არც ლაპარაკი უყვარდა ამაზე, არც სურათის გადაღება, არც გადაღებულის გაფრთხილება და შენახვა იცოდა. როცა სახელგანთქმული გახდა და კორესპონდენტებს ვერ იგერიებდა, თუ სურათს სთხოვდნენ, უარს არ ეუბნებოდა. თუ არ უბრუნებდნენ, სულ არ ენალვლებოდა, არც ახსოვდა. ასე დაიკარგა მისი შემოქმედების ბევრი ანარეკლი.

პატივმოყვარეობას, რასაკვირველია, მოკლებული არ იყო, მაგრამ ეს იყო ქმნადობის პატივმოყვარეობა — მხოლოდ საკუთარ თავს ეჯიბრებოდა — უნდოდა, რომ ყოველი ახალი ქმნილება ადრინდელზე უკეთესი ყოფილიყო. ადვილი იყო სესილია თაყაიშვილთან შეჯიბრი?!

მშვიდი ლაპარაკი საერთოდ არ შეეძლო, რადგან არაფრის მიმართ იყო გულგრილი, მაგრამ სენტიმენტალური და ცრემლმორეული არ მინახავს.

გულახდილი ლაპარაკი იცოდა. გულჩათხ-



რობილიც მიხილავს. ზოგჯერ საოცრად სიტყვაძვირი. ასეთ დროს სიტყვით დაწყებულ სათქმელს სახის გამომეტყველებით დაასრულებდა ხოლმე.

ხელოვნებაზე თეორიულ მსჯელობას გაურბოდა, მაგრამ საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად, მის შესახებ მყარი შეხედულებები ჰქონდა: მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება არ არსებობს სათანადო ტექნიკის გარეშე, ოღონდ არა გრძნობათა სინრფელის სანაცვლოდ, არამედ იმისთვის, რომ სწორედ ამ გრძნობათა უშუალოდ შენარჩუნებას შეუწყოს ხელი.

ამბობდა: ახალგაზრდას ენერგიაც დაუხარჯავი აქვს და ასაკის ხიბლიც აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში ორივე იკლებს. ამიტომ თუ ამ დროისათვის გამოცდილება და ოსტატობა არ მოიმარჯვე, გრძნობათა უშუალოდ ვერ შეინარჩუნებ. ამისთვის კი საჭიროა შრომა, პროფესიის შესატყვისი შრომა — რაც უფრო ღრმად შენი საქმის ცოდნა, მით უფრო მწვავედ შეიგრძნობ რის გაკეთება შეიძლებოდა უკეთ.

სიტყვით ოფიციალურ თავყრილობაზე არ გამოსულა. არც სესიებსა და განხილვებში მონაწილეობდა. არც ერთი კოლეგიისა თუ პრეზიდენტიმის წევრი არ ყოფილა. თუ ვითარება აიძულებდა კოლეგათა საიუბილეო ზეიმების პრეზიდენტიმებში მჯდარიყო, ან კიდევ უარესი — ეთქვა რამე, იტანჯებოდა. მაგრამ იმაზე, რამაც ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, თუნდაც დიდი ხნის წინათ, უჩვეულო მღელვარებით ყვებოდა ხოლმე. ერთი ასეთი მონაცოლი მასხოვს სანდრო ახმეტელის სპექტაკლების შესახებ, თუ რაში იყო ამ რეჟისორის ქმნილებათა ძალა და მშვენიერება: სპექტაკლის საათით აწყობილი მიმდინარეობა, ღრმად ეროვნული სულისკვეთება, აზრობრივი და რიტმული მახვილების უცდომელი განაწილება, სცენური მოქმედების შინაგანი მუსიკალობა და პლასტიკურობა. ამ შენაერთებიდან იბადებოდა ის განსაკუთრებული, ვაჟკაცური რომანტიკა, რომელიც იპყრობდა და იტაცებდა როგორც შემსრულებლებს, ისე მაყურებლებს.

მას შეეძლო შემოქმედებითი მიზნის გარეშე მოკლექტივის გაერთიანება. ამგვარი შემოქმედებითი ერთსულოვნების გარეშე შეუძლებელი იყო ახმეტელისეული სპექტაკლის შექმნა. მიაჩნდა, რომ ახმეტელის სული ახლაც ცოცხლობს რუსთაველის თეატრში.

მასობრივი ეპიზოდების ორგანიზაციის დროს სცენაზე იდგა ხელოვანი და მის სივრცეში უზარმაზარ, მრავალფიგურიან, უაღრესად დინამიკურ კომპოზიციებს თხზავდა. შთაგონების ასეთ ნუთებში უჩვეულოდ ლამაზი და მომხიბვლელი ყოფილა.

...თვითონ პირადი ცხოვრება როული ჰქონდა. ადრე დაერღვა ოჯახი, დარჩა მარტო პატარა დათოსთან ერთად, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად გაზარდა. ცხოვრებამ იმთავითვე ქალისა და მამაკაცის როლი ოჯახში ერთდროულად დააკისრა, ასე იყო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. არც შეეძლო ამ ორმაგი ვალდებულებისაგან თავის დაღწევა. აღარც უნდოდა — შეეჯუა. მზარდ ოჯახზე მუდმივად ზრუნვამ მცირედით დაკმაყოფილებას შეაჩვია. დღენიადაგ შრომობდა — შინაც, გარეთაც. ყველაფერი მისი საზრუნავი იყო: შვილიშვილების სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, საგზურები, აგარაკი, ბინის პრობლემა... არც დაუთმობდა არავის. რა ვუყოთ, რომ ბუზღუნებდა...

მეგობართა წრე ძალზე ფართო ჰყავდა: მეზობლები, ექიმები, ახალგაზრდა მსახიობები... ასაკსა და პროფესიას არ ჰქონდა მნიშვნელობა, ყველა აინტერესებდა, ყველაფერი თავის თვალთ უნდოდა ენახა, თავის ყურით მოესმინა, თვითონ გაეგო, რადგან არაფრის მიმართ იყო გულგრილი.

სტუმრად სიარული უყვარდა, იქ ბევრი ახალი ადამიანის გაცნობა შეეძლო, ეს კი იმდენად უნდოდა და სჭირდებოდა, რომ ბუნებით მორიდებული, ადვილად მოგვყვებოდა სტუმრად უცნობებთან. რა თქმა უნდა ისიც იცოდა, რომ მისი მისვლა ყველას გაუხარდებოდა.

მასთან ხშირი ურთიერთობა ნამდვილი სკოლა იყო ყველას გამამდიდრებელი. იქნებ, ამიტომაც ასე იზიდავდა იგი ადამიანებს ცხოვრებაშიც. მას კი ამდენი სულიერი საზრდო ნამდვილად უხანგრძლივებდა ახალგაზრდობას, მაგრამ არა ჯანმრთელობას. იღლებოდა. ნერვული სისტემა ხომ ბავშვობიდან აგზნებული ჰქონდა. ამ ფონზე, დროის განმავლობაში აღმოცენდა კოლიტი, დიაბეტი, ჰიპერტონია. სამივე მკურნალობის უმკაცრეს სისტემას მოითხოვდა, ის კი ვერავითარ სისტემასა და კალაპოტს ვერ ეგუებოდა. მისი მთავარი მასულდგმულელები იყო ქმნადობის ნყურვილი.

1922 წლის 1 ოქტომბერს რუსთაველის თეატრთან გამოიკრა ვრცელი განცხადება, რომელიც აუწყებდა ყველას, რომ იხსნება ქართული ოთხნობიანი დრამატული სტუდია, რომელშიც შედის აგრეთვე ორნობიანი დრამატული სკოლაც. დასახელებულია ოცამდე დისციპლინა: ანატომია, ფიზიოლოგია, მეტყველების ტექნიკა, მხატვრული მეტყველება, ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება, იმპროვიზაცია და მიმოდრამა, პლასტიკა და რიტმული გიმნასტიკა, ზოგადი ფსიქოლოგია, თეატრისა და სასცენო შემოქმედებათა ისტორია, მხატვრობის ისტორია, ლიტერატურის ისტორია, ქართული ხელოვნების ძირი-



თადი კითხვები, ქართული ტანისამოსისა და ქართული ყოფა-ცხოვრების ისტორია, ესთეტიკა, გრიმი, ფარიკაობა, სიმღერა, ცეკვა, პრაქტიკული მუშაობა (ნაწყვეტები, სცენები, პიესები).

ამ დისციპლინების ხელმძღვანელებად მოწვევით ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ, პროფესორები: ა. ნათიშვილი, დ. უზნაძე, გ. ჩუბინაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, მ. ქორელი, ს. ახმეტელი, მწერალი კ. გამსახურდია, მსახიობი ევ. ამირეჯიბი, ქორეოგრაფი მ. პერინი და სხვა.

აკაკი ფალავას ეს სტუდია საქართველოში უმაღლესი თეატრალური განათლების პირველი ცდა იყო. ამიტომ სისტემატური სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებული ნორმები, მტკიცე სამუშაო გეგმა, რასაკვირველია, არ გააჩნდა. ა.ფალავამ თავი მოუყარა საუკეთესო სპეციალისტებს. მათთან ყოველი შეხვედრა ცოდნასაც აზიარებდა ახალგაზრდას, ზნეობისა და მოქალაქეობის ცოცხალ ნიმუშებსაც. კარგად იცოდა ამ დიდმა მოღვაწემ რა დიდია მასწავლებლის პიროვნების როლი აღზრდის საქმეში. მით უფრო, ისეთ რთულ სფეროში, როგორცაა შემოქმედის აღზრდა — ის ხომ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე უნდა იყოს, მოღვაწე. განა ივ. ჯავახიშვილთან, დ. უზნაძესთან, გ. ჩუბინაშვილთან, მ. ქორელთან, კ. მარჯანიშვილთან და მათთანებთან შეხვედრები თავისთავად არ იყო უდიდესი სკოლა?



ასეთ სასწავლებელში მიიღო სესილია თა-

ყაიშვილმა პროფესიული განათლება. რაც მთავარია, აქ ეზიარა კ. მარჯანიშვილის თეატრალურ რწმენას.

ნებისმიერი სასცენო პრობლემა, კონკრეტული მხატვრული რეალობა უნდა იყოსო, — ეუბნებოდა სტუდიელებს მარჯანიშვილი. მოგვიანებით, უკვე ცნობილი მსახიობი მასწავლებელს ასე გაიხსენებს —

ეახსრ კაცი მარჯანიშვილმა გვიხსია იქვეყნაში, მუ მხატვარი მახალა სქნაწ და მის სხაჩინა სინჯის, მავიამი მნიშვნელა. ჩა იქე იე გიი - შერა ექ სხვებზე - ყუჩუაა ზაფხულს სქნა კსილი ავუჩ იამბა, მავუჩუო აბამ სავიამ უყუადებამ ში ბიჭუსა. ში შუბილა მახუნაჯილს ამ სოფელში გვიყენა, მათში ჩაქსვილი ა მისი უციქსო სოფელში მსახიობად და ხმბენა, ხმ ბიჭებში მსახიობა ყუადესს.

მუ მუ ამაში. მუ ხალა ბიჭუამი მსახიობი; მხარენაიში სხაჯის და სხაჯის, მხმბიჭუო და მუიდაქსო, ჯამბი და მშხმო, მბეჭმხგა და მახალაქი, ხან-გამბუო და მსქაქო... განსაკუთრებო ბიჭუამი და შარავი სქემ იქე მსახიობი მყავსეს ხმ გემს ხუდიწყისო ხრუნგამი მინაწი, გმხილი სუქუო ჯიჩხაქემამ ხმ შუბილა და აბამი გემბსქემ სიჩხინარ, აქუნ შიბო. იბუქამ ხმ შიბა გუქქიო და მბიბი ბიჭი სხვებზე. იბუქამ ხმ იქნაწ აქიბიბა მავიამო ბიჭუას.

ესეო ბიჭუა

ს. თაყაიშვილიც შემდგომ მთელი სიცოცხლე მხატვრულ, სცენურ რეალობაზე ლაპარაკობდა, სცენურ სიმართლეზე. სულ არ მიაჩნდა, რომ ნაცნობისა და ჩვეულის სცენაზე გადმოტანა ადვილია, რადგან ნაცნობსა და ჩვეულებრივ სიღრმეში მიმალულ, ჯერ ამოუცნობ შინაარსს ეძებდა, ცხოვრებისეულ საყრდენებს. ცხოვრებისეული ანალოგიები, ცოცხალი თანამედროვე ადამიანები, მათზე განუწყვეტელი დაკვირვებით მოძიებული აძლევდა საზრდოს და ბიძგს წარმოსახვის მიხედვით უნარს.

სტუდიაში ისწავლა ისიც, რომ გრიმი მსუბუქი და მეტყველი უნდა იყოს. ამდენად, კარგად უნდა იცნობდე საკუთარი სახის თავისებურ წყობას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოირგო ის, რაც ამა თუ იმ სცენურ სახეს ესაჭიროება.

კ. მარჯანიშვილისგან შეითვისა ის ჭეშმარიტებაც, რომ ადამიანებს, რაც მათ ეხება, რაც მნიშვნელოვანია მათთვის, დღეს რომ ესაჭიროება, იმ სიმართლეზე უნდა ელაპარაკო. განსაკუთრებით სცენიდან, რადგან თეატრი საზოგადოებრივი საჭიროებაა.

1926 წელს დაამთავრა სტუდია და რუს-



თაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. მარჯანიშვილის სკოლის აღზრდილს, ვერ წარმოედგინა სპექტაკლში მონაწილეობა ისე, რომ არ სცოდნოდა რა მიზანი აქვს მისი გმირის სცენაზე ყოფნას, რა კავშირშია მისი როლი მთლიანად სპექტაკლის დედააზრთან და რა კონკრეტული ფუნქცია აკისრია ამასთან დაკავშირებით, სრულიად უმნიშვნელოც რომ იყოს მისი როლი. ესეც უნდა ახსოვდეს, — რაც უფრო მცირე ზომისაა როლი, რაც უფრო ხანმოკლეა შენი გმირის არსებობა სცენაზე, მით უფრო მკვეთრი და თვალსაჩინო უნდა იყოს შენი აქტიორული გამომსახველი საშუალებები.

ამ რწმენით აღსავსე აღმოჩნდა იგი რუსთაველის თეატრში 1926 წელს, როცა მის სათავეში უკვე ს. ახმეტელი იყო.

იქ ითამაშა რამდენიმე როლი, მათ შორის პანტომიმშიც და დრამატულ სპექტაკლებშიც. თან ახლდა რუსთაველის თეატრს მოსკოვში საბჭოთა ხალხთა თეატრების საკავშირო ოლომპიადასა და გასტროლებზე. საკუთარი თვალთ იხილა როგორც მონაწილემ, მართლაც, ზღაპრული წარმატება, წილად რომ ხვდა რუსთაველის თეატრს და ამის მიუხედავად, დაბრუნდა თუ არა მოსკოვიდან, მარჯანიშვილთან გადავიდა, მეორე სახელმწიფო დრამის თეატრში. რატომ? ალბათ, ორი მიზეზით: იმ დროს ვასო გოძიაშვილი წავიდა მარჯანიშვილთან, ისინი კი ახლად დაქორწინებულები იყვნენ. მეორე, და ვფიქრობ, უმთავრესი იყო ის, რომ მან დაინახა ს. ახმეტელის ლტოლვა გმირულ-რომანტიკული სულისკვეთებით დანალმული მონუმენტურობისაკენ და არა ცხოვრებისეული მართლმადგვარობისაკენ. ასეთი თეატრი თავისად არ მიაჩნდა. მას სხვა ღმერთი სწამდა.

შემოქმედებითი ინდივიდუალობა ღვთით ნაბოძები ნიჭის თავისებურებაა. ინტერესებსაც ეს თავისებურება განაპირობებს — სესილია თაყაიშვილს ყოველნაირი ადამიანი მიაჩნდა საინტერესოდ ჩვეულებრივი ცხოვრების კონტექსტში. ამბობდა — ყოფა ოღლა ბებისაც ჰქონდა და ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედსაცო. ყოველი მათგანის ცხოვრება მისებურად რთული იყო. ეს მიზიდავდა, ამ სირთულეებში მინდოდა გარკვევა, ესაა ჩემი ტყვია-წამალიო.

უმნიშვნელო ადამიანი მისთვის არ არსებობდა, ამიტომ ყველა აინტერესებდა. იმასაც ამბობდა — არაჩვეულებრივები რალაციით ჰგვანან ერთმანეთს, ჩვეულებრივები კი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიანო.

საკუთარი სახით მაყურებლის წინაშე გამოსვლა არ უნდოდა. ამიტომ ესტრადასაც თავს არიდებდა, მაგრამ გაჭირვებამ აიძულა და ერთხანს, ომის შემდეგ, მონაწილეობდა ხოლმე ფილარმონიის კონცერტებში ა. კვან-

ტალიანთან და ს. ჟორჟოლიანთან ერთად. აშკარად გრძნობდა — რაც უფრო შორს სცილდებოდა საკუთარ არსებას, მით უფრო თავისუფლად მოქმედებდა სცენაზე სხვა ადამიანის სახით.



ყველა მის ქმნილებას თავისებური პენი დაჰკრავდა. უყვარდა მადლარი, ფეთქებადი ფერები, მოულოდნელი რაკურსები და მხატვრული სახის ნაწილების ჰარმონიული მთლიანობა, სულიერსა და ხორციელს შორის კავშირის თავისებურებათა წარმოჩენა. ზოგჯერ შემზარავიც კი იყო სიღრმე, რომელსაც ჩანვდებოდა ხოლმე მისი თვალი და გუმანი. პლასტიკური ნახატი — უკიდურესად დახვეწილი, მხოლოდ აუცილებელი და საკმარისი.

გრემის ვაკეთებისა და შემოსვის პროცესი ერთდროულად უყვარდა. ჩემი თვალთ მინახავს როგორ ემზადებოდა ჯულიეტას ძიძის განსახიერებისათვის თავის საკაზმულოში: საინტერესო ამბავს მიაბობდა, რომელიც შექსპირის ამ ნაწარმოებთან არავითარ კავშირში არ იყო. უცებ, შეწყვეტდა თხრობას, წუთით დაკვირვებით ჩააცქერდებოდა თავის სახეს სარკეში და რაიმე წერტილს, ან მსუბუქად გავლებულ ხაზს აღნიშნავდა. მერე ადგებოდა, განაგრძობდა ამბის თხრობას და გაემართებოდა მოპირდაპირე კუთხეში გამზადებულ იმდღევანდელი ქმნილების სამოსლისაკენ, რომელიც მის ნაწილს ჩაიცვამდა და ისევ საგრემიორო მაგიდისკენ ბრუნდებოდა. ერთი წუთით ყურადღება ისევ თავის სახეზე გადაჰქონდა, უცებ რალაცას აღნიშნავდა მასზე და ისევ საკიდისაკენ მიემართებოდა. და ასე მანამ, სანამ ეს ორი პროცესი — სახის შეცვლა ფაქიზი შტრიხებით და სხეულის სამოსლის ნაწილებით, ერთდროულად დასრულდებოდა. თხრობა კი გრძელდებოდა. ყურს ვუგდებდი, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე მეტად მოცებდა არა ის, რაც მესმოდა, არამედ რასაც ვხედავდი — თანდათან როგორ იცვლებოდა მსახიობის მიხრა-მოხრა, სიარული, მეტყველების, ან მისი თხრობის თავისებურება. ეს პროცესი მისთვის ცნობიერი არ იყო, ის განაგრძობდა მისთვის ამ წუთებში საინტერესო



ამბის თხრობას და ვერ ამჩნევდა, რომ მის-  
და უნებურად უკვე ჯუღიყტას ძიძის სახით,  
რადგან ამ დროისათვის ყველაფერი შეცვლი-  
ლი იყო მასში, მზერაც კი.

საერთოდ ყველა მისი სცენური თუ ეკრა-  
ნული გმირი თავისებურად გვიცქერის, ამით  
მათაც ახასიათებდა და მათდამი თავის და-  
მოკიდებულებასაც გამოხატავდა; რადგან ეს  
დამოკიდებულება მუდამ ემოციური იყო —  
ხან უყვარდა, ხან სძულდა, დასცინოდა და  
ანადგურებდა.

დიდი, მთავარი როლებისადმი მისწრაფე-  
ბა არ ჰქონია. მცირე როლზეც თანახმა იყო,  
თუკი მასში თავის სათქმელს აღმოაჩენდა.  
ადამიანის სული იყოს შიგ და მაშინ მცირე-  
შიც ბევრი მოიძებნებაო, ამბობდა. მისთვის  
ხომ სცენაზე ან ეკრანზე ერთი გამოჩენაც  
საკმარისი იყო, რომ პიროვნების დასრულებუ-  
ლი ხატი წარმოედგინა. ამ ერთ გაელვებაშიც  
შეეძლო ეთქვა ის, რაც ყველაზე მნიშვნელო-  
ვანია ამ ადამიანში, რამდენიმე სიტყვით, რამ-  
დენიმე მოძრაობით, უძრაობითაც, უსიტყვო-  
ბითაც...

თუ როლი მოზრდილი იყო და მის წარმო-  
საჩენად საკმაო დრო ჰქონდა, ამ პიროვნებას  
თანდათან ავლენდა. თუ დრო არ ჰქონდა —  
უეცრად დაგატყებდათ თავს ისეთ საკვირვე-  
ლებას, როგორცაა მისი ასინეთა ტელეფილ-  
ში “დათა თუთაშხია”.

ასეთ შემთხვევაში მისეული დეტალები  
იყო განსაცვიფრებელი. ხშირად უთქვამს  
— საჭირო დეტალი არ არის წვრილმანი,  
თუ შიგ შინაარსს ჩააქსოვ და მისი გამო-  
ხატვის საშუალებას მიაგნებ, მაშინ ყველა-  
ფერი მხატვრულიაო. არც ილუსტრაცია უყ-  
ვარდა, არც რებუსები — მაყურებელმა რა-  
ღაც უნდა დაინახოს, მაგრამ რაღაც უნდა  
ამოიცნოსო, ოღონდ ამის საშუალებას რო-  
ლი უნდა გვაძლევდეს, მწერლის ქმნილება.

როლის მიღებისთანავე უჩვეულო მღელვა-  
რება დაეუფლებოდა ხოლმე. ქალღმერთს და-  
წერილ სიტყვებს მიღმა უცნობი ადამიანის  
საიდუმლო ცხოვრებაა. ის უნდა ამოხსნას,  
გაითავისოს, ცხოვრებისეული სიმართლით.  
გააცოცხლოს, ხორცი შეასხას, გული აუძვე-  
როს! ეს სიტყვები ხომ ამ ადამიანის მთელი  
ცხოვრების შედეგია, მისი სურვილებისა და  
მიზნების თავისებური ზედაპირი.

ამოიცნო ამ მოქმედი პირის ადამიანური  
არსი, გაარკვიო მისი ადგილი და ფუნქცია პი-  
ესის დანარჩენ მოქმედ პირთა ცხოვრების სა-  
ერთო სურათში, შეუფარდო ეს დღევანდელ  
ცხოვრებას და გაითავისო, — რთული, მაგ-  
რამ წარმტაცი ამოცანაა.

როლზე მუშაობას მოქმედი პირის მიერ  
წარმოთქმული სიტყვების შესწავლით არ იწყ-  
ებდა — ერჩივნა ჯერ იმის წარმოსახვა, თუ  
როგორია მისი გარეგნობა, შემდეგ კი სცე-

ნაზე მისი არსებობის ყოველ მომენტში რა  
ასულდგამულებს და რა ამოქმედებს. უამისოდ  
მიაჩნდა, რომ მზად არ არის სიტყვის წარ-  
მოსათქმელად თუნდაც პირველ რეპეტიცი-  
აზე. ნერვიულად ელოდებოდა იმ სანეტარო  
წუთს, როდესაც შინაგანად მომზადებული  
თვალს მოსწყვეტდა როლის ფურცელს, პარ-  
ტნიორს მიაპყრობდა და ცოცხალი სიტყვით  
გამოესაუბრებოდა. ალბათ, ამ ნერვიულობის  
გამო მისი როლის ტექსტი ისეთ მდგომარეო-  
ბაში იყო, რომ პატრონის გარდა, ვერც გვერ-  
დების თანმიმდევრობას გაარკვევდა ვინმე,  
ვერც სიტყვებს გაარჩევდა, პრემიერის დღის-  
თვის თითქმის უკვე დაფლეთილ ქალღმერთის  
ფურცლებზე.

თუ თავისი მომავალი გმირის პირველი  
სიტყვების მნიშვნელობის გარდა სცენაზე მი-  
სი პირველი გამოჩენის დანიშნულებასა და  
თავისებურებასაც მიაგნებდა, თვლიდა, რომ  
როლზე მუშაობა დაიწყო. ახლა სათქმელ  
სიტყვებს მიღმა მიმალულის მიკვლევა და  
ამოხსნაა საჭირო. შემდეგ კი — ამოხსნილის  
სახეობრივ ქცევებში გამოვლინება. და იწყე-  
ბოდა ძიება.

რადგან ახლომეზობლობაში შეხვედრები  
განუწყვეტელი გვექონდა, უკვე ვატყობდი  
ხოლმე, რას ეძებდა, რას ეზომებოდა. ეს იყო  
თავისებური “სინჯები”. მერე, როდესაც მის  
ახალ ქმნილებას სცენაზე ან ეკრანზე ვიხი-  
ლავდი, მახსენდებოდა ეს “სინჯები”. ზოგჯერ  
ეს ახალი არსება წარმოუდგენლად იყო მის-  
გან განსხვავებული. როცა ამას გავიკვირებ-  
დი ხოლმე, ეშმაკურად გაიღიმებდა და მოკ-  
ლედ მომიჭრიდა — დათო სულ არა მგავს  
მე, არაა ჩემი შვილი?

ყოველ ახალ ქმნილებას პარტნიორთა რე-  
აქციებითაც ამოწმებდა, ისინი კი ვინ იყვნენ?  
— ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვერიკო ანჯა-  
ფარიძე, გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მე-  
რი დავითაშვილი, შალვა ლამბაშიძე, გიორ-  
გი შავგულიძე... ყოველი მათგანი სცენური  
სიმართლის ჭეშმარიტი კამერტონი იყო მის-  
თვის. მათთან მუშაობას სკოლად მიიჩნევდა.

დროის კონკრეტულობას მოწყვეტილი ხე-  
ლოვნება მისთვის არ არსებობდა. ასე ამბობ-  
და — მუდამ ისეთი ადამიანის განსახიერება  
მინდოდა, სცენიდან რომ პირდაპირ დარბაზ-  
ში შესძლებოდა ჩამოსვლა და იქ მყოფ ხალ-  
ხში ბუნებრივად გარევაო.

განსაცვიფრებელი იყო საკუთარ შესაძ-  
ლებლობათა მისეული ცოდნა და სინამდვი-  
ლისადმი თვალის უშიშრად გასწორება. რო-  
ცა ფ. დიურენმატის პიესა “ხანში შესული  
ქალბატონის ვიზიტი” ითარგმნა და მარჯა-  
ნიშვილის თეატრმა მისი დადგმა განიზრახა,  
კლარა ცახანასიანის მთავარ როლზე რეჟი-  
სორმა სესილია თაყაიშვილი დანიშნა. კატე-  
გორიული იყო მისი უარი. პიესისა და როლის



დანუნება მისგან მოულოდნელი არ იყო — ახალ მხატვრულ სახესთან შეხვედრისას მუდამ ლელავდა და მიზეზად, როგორც წესი, ან პიესას იხუნებდა, ან როლს. ეს მღელვარების თავისებური ფორმა იყო და არავის გაკვირვებია. მეც ხუმრობით შევეპასუხე — რა, ქალბატონო სესილია, ავტორი არ ვარგა, თუ როლი? შეკითხვა პროვოკაციული იყო. მიმიხვდა. პასუხი ძალიან მოულოდნელი — ავტორიც შესანიშნავია და როლიც, მაგრამ ეს როლი ჩემი არ არის... და მცირე პაუზის შემდეგ: ყველაფერი, რასაც სჩადის ეს მილიონერი ქალბატონი ოდესღაც მისი უარყოფელი სატროფოს მიმართ, სიძულვილად გამოიყურება, ნამდვილად კი ის სიყვარულია, რომელიც ამ სახით ისევ ცოცხალია მასში და მოსვენებას არ აძლევს. სიყვარული სცენაზე მე არ შემოძლია. ეს შეუძლია მხოლოდ ვერიკოს. არ მიკითხავს ვის შეუძლია-მეთქი, მაგრამ სიმართლის თქმა ბოლომდე იცოდა.

კიდევ ერთი შემთხვევა უკვე საერთოდ თეატრისა და მსახიობის ხელოვნებისადმი მისი უკიდურესად ფრთხილი დამოკიდებულებისა.

მოხდა ისე, რომ მარჯანიშვილის თეატრის შემდეგ ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში დაიდგა. თბილისში მყოფმა ამ თეატრის ხელმძღვანელმა გიორგი ტოვსტონოგოვმა მე და გოგის გვთხოვა: ქალბატონი სესილიას მიწვევა მიიღო ჩვენს სპექტაკლში სათამაშოდ. ვიცი, რომ ადვილად არ დამთანხმდება, ამიტომ იქნებ თქვენთან შემახვედროთ და თქვენც მომეხმაროთ. შეხვედრა ჩვენთან შედგა. ძალიან ოსტატურად შეამზადა დიდმა რეჟისორმა დიდი მსახიობი თავისი თხოვნისათვის, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო — გურულ ბებიას მე რუსულად ვერ ვალაპარაკებო! და აქ მოხდა საოცრება — გიორგი ტოვსტონოგოვმა წარმოუდგენელი რამ შესთავაზა: ოღონდ ჩამობრძანდით და ქართულად ითამაშეთო!

ქალბატონი სესილია დაიბნა. ჩვენც დავიბნით. პაუზა ძალიან დიდხანს გაგრძელდა... და უცებ გაისმა განსაცვიფრებელი პასუხი:

პარტნიორების რუსულად ნათქვამს მე გავიგებ, რადგან ვიცი ეს ენა, მათ კი ჩემი ენა არ იციან და ხელი ჩემზე მეტად შეეშლებათ. გაუჭირდება მაყურებელსაც და თქვენი სპექტაკლიც დაინგრევა. ვერ ვიკისრებ მე ამასო.

ასე დასრულდა ორი დიდი ხელოვანის შეხვედრა ჩვენს ოჯახში. მერე ვკითხე ბ-ნ გიორგის: ასეთი რამ როგორ შესთავაზეთ? რაც მან გითხრათ, განა თქვენ ეს არ იცოდით? მოულოდნელი იყო მისი პასუხი: ოღონდ როგორმე ჩამომეყვანა პეტერბურგში და იქ რაღაცას მოვიფიქრებდი. ძალიან მინდოდა, რომ

რუსული თეატრის მსახიობებსა და მაყურებლებს ენახათ დიდი ქართველი მსახიობის ხელოვნებაო.

ნეტავ, ასე ძალიან რატომ უნდოდა?

...სესილია თაყაიშვილის მიერ შექმნილ ქალთა სახეებით ერთი პატარა ქალაქის დასახლება შეიძლება — რა უჩვეულო იქნებოდა ეს ქალაქი!

მის ქუჩებში ადამისდროინდელი ეტლიც იქნებოდა, ტრამვაიც, თანამედროვე ავტომობილიც... რამდენი დროის, ქვეყნის, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, ხასიათის ქალი.. რამდენი მიზანი, სურვილი, ოცნება, მათი მიღწევის გზები და საშუალებები...

ამ ქმნილებათა წყალობით ფართოვდებოდა ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე, ცხოვრებაზე, ადამიანებზე, რადგან ყოველი მათგანი თავისებურად აღვიძებდა ჩვენში მოქალაქეს, ადამიანსა და შემოქმედს...

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ვრცელი პირადი წერილის მიწერაც იცოდა. ბევრი რამ მოულოდნელი შეიძლება აღმოაჩინო ამ წერილებში. და განა ბოლო, სიკვდილის წინ დაწერილი მისი წერილი-ანდერძი არაა საოცარი მოულოდნელობა? მთელი სიცოცხლე ემინოდა სიკვდილის, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ამქვეყნიდან მისი ნასვლის დრო მოვიდა, გარდუვალობას შეხვდა როგორც ბრძენი, აი, ისიც —

„გვრძნობ, ძალიან ცუდადა ვარ. არ მცილდება ნახველში სისხლი. უსაშველოა ხველა, ვიზრჩობი. რა კარგია კაცი რომ დიდი სიცხით არის ავად, გრძნობა ეკარგება და კვდება. რა ცუდია, ყველაფერი გტკივა, დადიხარ ძლივს და არ კვდები. ვთხოვ ჩემიანს ყველას შემისრულონ თხოვნა. არავითარ შემთხვევაში თეატრში არ გადაამიყვანონ. ჩემი არ გადაყვანით შეწყდება თეატრში ხშირი სიკვდილი. მერწმუნეთ. არავითარ შემთხვევაში. მუხლმოდრეკილი გეხვეწებით. დიდუბე არ მიყვარს და ვთხოვთ, ნუ გამოძენით ჩემთვის ადგილს. საბურთალოში თუ შეიძლება, მაგრამ ვთხოვთ ორი ადგილი, იმიტომ რომ ჩემს გვერდით მოხვდება ვინც ჩემს შემდეგ წავა ოჯახიდან და არ ვიქნები მარტო. იწამეთ თხოვნა.

რა საჭიროა საპატიო ყარაული, ნუ დალლით ხალხს, არავითარი სიტყვები!

ვიყავი, ვპრობობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება! იმედია ასე მშვიდად და წყნარად მიაბარებთ ჩემს ნეშტს ცივ მიწას“.

ეს წერილი ძლიერი, ადამიანის დაწერილია...

მაყურებელს უყვარდა მსახიობი სესილია თაყაიშვილი. მუდამ უნდოდა მასთან შეხვედრა. დღესაც უნდა.





ფოტო  
კოკუს

## მასიხაჩი ბენის მახაიჯობა

(მარიკა კვალიაშვილი)

თავის დიდ საიუბილეო თარიღს ცნობილი ქართველი კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი უდავოდ შთამბეჭდავი შემოქმედებითი ნარმატებებით ხვდება, როგორც მრავალრიცხოვანი სოლო და საგუნდო სიმღერების ფართოდ აღიარებული ავტორი. „ის, რის გარეშეც ვერ გავძლებ, ჰაერი, წყალი, ბუნება, სილამაზე, ცხოვრების არსი, შვილების, ჩემი ქვეყნის, თვით სიმღერის სიყვარულიც. სხვებისგან, ალბათ, იმით განსხვავდები, რომ ყოველივე ამას ხმამაღლა აღმოვთქვამ და სულიერ სიმშვიდესაც ამაში ვპოვებ“, — ამბობს მარიკა კვალიაშვილი თავის შემოქმედების შესახებ.

დიდი მოურავის, განთქმული სახალხო მომღერლის მარო თარხნიშვილისა და კვალიაშვილების ხელოვნათა ოჯახის შთამომავალს, თანდაყოლილ მუსიკალურ ნიჭთან ერთად, თავიდანვე ჩაესახა ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული, რომელიც მისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად იქცა. სწორედ ხალხური მუსიკის ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენდა მისი შემოქმედებითი ნიჭი, რომელმაც ადრეულ ბავშვობაშივე იჩინა თავი და თავისი პირველი თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო თორმეტი წლის ასაკში, როდესაც საქართველოს რადიოს პიონერთა დაფიონის მუსიკალურ ქუდად, თავად უდირიჟორა საკუთარ სიმღერას ბავშვთა დიდი გუნდისა და ორკესტრის შესრულებით. ასე შეუდგა შემოქმედებით გზას, რომელსაც დღემდე მიყვება განუყრელად და მიზანმიმართულად. მართალია, თბილისის კონსერვატორიაში მიღებული საფუძვლიანი პროფესიული განათლება, ცნობილი კომპოზიტორების შ. მშველიძისა და ი. ტუსკიას ხელმძღვანელობით, ფართო შესაძლებლობებს უხსნიდა მუსიკალური ხელოვნების სხვა დარგებშიც, მაგრამ მ. კვალიაშვილის, უდავოდ საინტერესო, მიმზიდველი პიროვნებისა და მრავალმხრივად ნიჭიერი შემოქმედის იდენტიფიკაცია მოხდა სიმღერის ჟანრში, რომელმაც დამსახურებული აღიარება მოუპოვა როგორც პროფესიულ, ისე სრულიად განსხვავებული ასაკისა და მხატვრული ორიენტაციის მსმენელთა შორის. სწორედ სიმღერის ჟანრში გამოვლინდა სრულად მისი სულიერი სამყარო, ცხოვრებისეული და მოქალაქეობრივი მრწამსი, შემოქმედებითი ნიჭის, საკუთრივ სიმღერის ჟანრისათვის, ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორცაა მელოდიური ტალანტი, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, პოეტური ტექსტის შემოქმედებითი გათავისების, გრძნობების უშუალო, ბუნებრივი გამოხატვისა და მსმენელზე ემოციური ზემოქმედების უნარი.

მ. კვალიაშვილი მიეკუთვნება იმ ქართველ კომპოზიტორთა რიცხვს, რომლებიც მყარად დგანან ეროვნულ ნიადაგზე და უნარჩუნებენ ქართულ სიმღერას მელოდიურ ხიბლთან ერთად, სულიერებას, ლირიკულ სითბოს, გულითადობას, ამასთან, პატრიოტულ სულისკვეთებას, თუმცა ყოველგვარი ხელოვნურობისა და ყალბი პათოსის გარეშე. ჩვენს დროში, როდესაც





უცხოური სტილით უხვად გაზავებული, ე. წ. პოპულარული მუსიკით ახალგაზრდობის დიდი ნაწილის გატაცებამ წარმოქმნა საესტრადო სიმღერის, მუსიკალური ხელოვნების ამ ყველაზე მასობრივი ჟანრის, ეროვნული ინტონაციური და, ამდენად, ეროვნული ცნობიერების კოდის შესუსტება, ან სულაც, მისი მოშლის რეალური საშიშროება, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ფოლკლორული ტრადიციების დაცვისა და განვითარების აუცილებლობამ, როგორც საშემსრულებლო, ისე საკომპოზიტორო შემოქმედებაში. მ. კვალიაშვილი თანამედროვე ქართველ მუსიკოსთა შორის ერთ-ერთი იმათაგანია, რომლებიც წარმატებით და თანმიმდევრულად ანხორციელებენ ამ ამოცანას ქართულ საესტრადო მუსიკაში. მისი შემოქმედების ლაიტმოტივია ე. წ. „ხალხური სიმღერის“ ჟანრი, რომელშიც ტერმინი „ხალხური სიმღერა“, ან „პოპულარული სიმღერა“ მიღებული დეფინიციით, გულისხმობს არა მარტო უშუალოდ ხალხის მიერ, არამედ ხალხისთვის, ფართო მსმენელისათვის განკუთვნილ ნაწარმოებსაც. მ. კვალიაშვილის ასეთი ტიპის სიმღერები, რომელთა სტილისტიკა გამდიდრებულია ქართული კლასიკური მუსიკის, განსაკუთრებით ზაქარია ფალიაშვილის, შალვა მშველიძის შემოქმედებითი ტრადიციებით, უმეტესად

საგუნდო, ან საანსამბლო შესრულებისთვისაა განკუთვნილი და ფართო შესაძლებლობებს ქმნის ქართული ისტორიული წარსულით, ბუნებით, ხალხური ყოფითა და რიტუალებით, ხუროთმოძღვრული ძეგლებით შთაგონებული პატრიოტული გრძნობების გადმოსაცემად. შესაბამისად, გამოირჩევიან უფრო მასშტაბური ფორმებით, ამაღლებული, ჰიმნიური ხასიათით, რაც გენეტიკურად ფართო მსმენელისათვის მახლობელი, ინტონაციურად „ცნობადი“ წყაროებიდან— ხალხური სუფრული, სანესჩვეულებო სიმღერებიდან, ან ქართული კლასიკური ოპერების, მაგალითად, ფალიაშვილის „აბესლომ და ეთერის“ სადიდებელი გუნდებიდან იღებენ სათავეს. მარიკას ისეთ კომპოზიციებში, როგორებიცაა, მაგალითად, „ოდა ბოლნისს“, „სადიდებელი“, „ალილო“ (თამაზ სანებლიძის ლექსზე), „საქართველო“ (ჯვანსუდ ჩარკვიანის ლექსზე), „მხედრული“ (აკაკის ლექსზე), „ირემო მთასა მყვირალო“ (ლილი ნუცუბიძის ლექსზე), „შემოღამება მთანმინდაზე“ (ნ. ბარათაშვილის ლექსზე) გუნდისა და ორკესტრისათვის, ფშაური კოლორიტით აღბეჭდილ ერთ-ერთ ბოლო სიმღერაში „ბილიკო სანთლით ნაღვენთო“, ოსტატურადაა გამოყენებული საგუნდო წერის მრავალფეროვანი შესაძლებლობანი.





გუნდისა და სოლოსტების, ან სოლისტების ანსამბლის მონაცვლეობითა და, ცალკეულ შემთხვევებში, საორკესტრო თანხლებით, მიიღწევა მუსიკალური გადმოცემის იმპროვიზაციული თავისუფლება, შინაგანი დინამიკა, ფორმის მასშტაბურობა, რის გამოც ეს სიმღერები უფრო საგუნდო პოემებს უახლოვდება. ამასთან, საინტერესოა, რომ თვით კომპოზიტორის გადმოცემით, სიმღერაზე მუშაობის დროს, როგორც მუსიკალურ კლიპში, ყოველთვის აქვს წარმოდგენილი სიუჟეტური, ვიზუალური პლანიც. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოეტური მასალის შერჩევას. როგორც წესი, შემოქმედებითად ითავისებს მას, ან სულაც, თვითონ გვევლინება ტექსტების ავტორად. ასეთებია, მაგალითად, მისი რომანსები „დელია“, „მოდის ჩემთან“. საკუთარ ტექსტს ემყარება „ნანაც“, რომელიც მისი ჩანაფიქრით უბრალოდ აკვნის სიმღერა კი არ არის, არამედ თავისებური ჟანრული სცენა, სადაც სოლისტების პარტიებში დედისა და შვილის სახეებია პერსონიფიცირებული. ლაზურ-მეგრულ კილოზე „ანყობილ“ ამ სიმღერას განსაკუთრებით მოუხდა ლელა თათარაიძის თავისებური, განუმეორებელი ხმის ტემბრი და ძალიან ნიჭიერი ნორჩი მომღერლის მარიამ როინიშვილის შესრულება გუნდთან ერთად, რომელშიც გატაცებული ბავშვის დატირებაა გადმოცემული. ფოლკლორული სულითაა განმსჭვალული მისი ზოგიერთი სოლო სიმღერაც, მაგალითად, „დელია“, ხალხური ძილისპირულების სტილშია გადაწყვეტილი „ნანა“, რომლის საფორტეპიანო შესავალი ქმნის აკვნის რწევის შთაბეჭდილებას.

არანაკლებ ფართოდ და მრავალმხრივად გაიხსნა მ. კვალიაშვილის შემოქმედებითი



ნიჭი ქართული რომანსის ჟანრში, რომელსაც, როგორც ცნობილია, უმდიდრესი ტრადიცია აქვს ქართულ მუსიკაში. აღმოცენდა რა სალონურ ყოფაში ლირიკული პოეზიისა და თბილისური ქალაქური მუსიკის ნიადაგზე, მან, ხალხურ სიმღერასთან ერთად, სათავე დაუდო ქართულ პროფესიულ მუსიკას და, არსებითად, მისი როგორც ვოკალური, ისე ინსტრუმენტული ლირიკის ძირითად სტილისტურ წყაროდ იქცა. ამასთან, რომანსი ჩვენში დღემდე ინარჩუნებს უდიდეს პოპულარობას ორივე ჟანრში — აკადემიური და საესტრადო იპოსტაზით და მ. კვალიაშვილის, როგორც პროფესიონალი კომპოზიტორის შემოქმედებაში, ორგანულ, ბუნებრივ მხატვრულ ერთიანობად ყალიბდება. ამ თვალსაზრისით იგი, ერთგვარად, ამართლებს ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნის გივი ორჯონიკიძის დამოკიდებულებას საეასტრადო მუსიკის მიმართ, რომელიც მისი აზრით, „კი არ უნდა უპირისპირდებოდეს ინტელექტუალური ცხოვრების სხვა სფეროებს, არამედ ავსებდეს მას, რომელსაც ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკავებს. მას თავისი აზრი და გამართლება უნდა ჰქონდეს.“ ვფიქრობ, რომ მ. კვალიაშვილის შემოქმედება სავსებით პასუხობს გ. ორჯონიკიძის ასეთ პოზიციას საესტრადო მუსიკის მიმართ, რომელსაც მე უფრო ტევად და მრავალმნიშვნელოვან ტერმინს — „პოპულარულ მუსიკას“ ვამჯობინებდი. სწორედ ასეთი, მაღალმხატვრული კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს მ. კვალიაშვილის სიმღერები და რომანსები, რომლებიც დიდი შემოქმედებითი წვისა და პროფესიული ძალისხმევის შედეგად იქმნებიან და საბოლოო სახეს იღებენ მხოლოდ შემსრულებლებთან მჭიდრო კონტაქტში, რადგან ჩვეულებრივ მათ ინდივიდუალურ მონაცემებზე არიან გათვლილნი. სწორედ ასეთ ნაყოფიერ შემოქმედებით კავშირში შეიქმნა მისი ცნობილი სიმღერები და რომანსები „ალილო“ და „ოდა ბოლნისის“ (გუნდი „ალილო“), „შემოღამება მთანმინდაზე“ (გუნდი „ფესვები“), „ირემო მთასა მყვირალო“ (ლილი ნუცუბიძის ლექსზე, ნუკრი კაპანაძე და უნივერსიტეტის ვაჟთა ანსამბლი), „მამაო ჩვენო“ (ილიას ლექსზე, ეკა მამალაძე და დათო გველესიანი), ქართული რომანსის კონკურსზე გამარჯვებული „ბედის ვარსკვლავი“ (ეკა კვალიაშვილი),





1956 წ. მარო თარხნიშვილი ოჯახთან ერთად

„იმედი“ (დოდო გვიშიანის ლექსზე, ეკა მამალაძე და ლია ხუგაშვილი), „იყო და არა იყო რა“ (ინოლა გურგულიას ლექსზე, გოგი დოლიძე), „აპრილი მოვა იებით“ (თამაზ სანებლიძის ლექსზე, ვანიკო მაჭავარიანი და ლია ხუგაშვილი) და სხვები, რომლებიც დამკვიდრნენ მათ რეპერტუარში და დიდი პოპულარობა მოიპოვეს მსმენელთა შორის.

ამასთან, მუსიკის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მ. კვალიაშვილის საავტორო საღამოები, რომლებშიც ცალკეული საკონცერტო ნომრები, ჩვეულებრივ, ერთიანდება თავისებური, მუსიკალური და სანახაობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანი და დინამიური, თეატრალიზებული წარმოდგენის სახით და წარმოაჩენს მარიკას ნიჭის კიდევ ერთ, მნიშვნელოვან თვისებას — რეჟისორულ, ორგანიზატორულ ტალანტს. მისი ნიჭიერების უმთავ-

რეს თვისებად უნდა ჩაითვალოს უნარი დიდი სიყვარულისა და ის დაუცხრომელი სასიცოცხლო ენერჯია, რომელიც აძლევს ძალას ამ შესანიშნავ, უდავოდ ძლიერი, გაუტყეხელი ბუნების, ღირსეულ ქართველ მანდილოსანს, ოჯახის დედაბოძსა და შემოქმედს, ეძებოს გზა ტაძრისაკენ და განვლილი წლების გადასახედიდან შვებით წარმოსთქვას: „ღმერთის დიდი წყალობაა და ბედნიერება, როცა შენ ნაფიქრალსა და გააზრებულს ათასობით ადამიანი უსმენს და შენგან მიძღვნილს გულში ინახავს. თვით სიყვარული, რომელსაც ადამიანები იჩენენ შენს მიმართ. თუ ადამიანი ისე იცხოვრებს, რომ თავის სიხარულს სხვასაც გაუზიარებს, მისთვის ყოველი დღე სასიხარულო და დასამახსოვრებელი იქნება.

ასე ვიცხოვრე და ასე ვაპირებ მომავალშიც ცხოვრებას, ვინაიდან გასაკეთებელი ქვეყნისა და ხალხისათვის ჯერ კიდევ ბევრი მაქვს“.







სანაწიფი რეკლამა

ქეთევან  
ჯინჯურაძე

ჰოც სეზანის ჰაშილი —  
ხოჯა იბნახოვის ჰაშილი

(პოსტმოდერნიზმის პასუხი მოდერნიზმს)

„მე ვაშლით დავიპყრობ პარიზს!“ – დაიქადაგა სეზანმა და დაიპყრო კიდეც. ათწლეულების მანძილზე ვაშლი მისი ალტაცების, დაკვირვების, შესწავლისა და ასახვის ობიექტი იყო. ამ ტრივიალურ სიუჟეტს მან განსაკუთრებული დატვირთვა მისცა. სეზანმა ისეთი გაბედულება შეიძინა, რომ უკვე 1880-იანი წლების დასაწყისში, ერთსა და იმავე კომპოზიციაში სხვადასხვა წერტილიდან გამოსახა ვაშლები – თითქოს მათ პირდაპირაც ვუყურებთ და ზემოდანაც დავცქერით. კლასიკოსი ავანგარდისტის ვაშლები მოდერნიზმის ფუნდამენტური ისტორიის ნაწილად იქცნენ. მათ კუბიზმის აღმოცენებაც იწინასწარმეტყველეს. ხოლო ჰაიდევერის აზრით, „საგნების გაქრობაც“ სწორედ სეზანთან იღებს სათავეს, რადგან ის საგნის არსს სწვდება, სიღრმისკენ მიმართვას

ჩვენს ყურადღებას და ამით საგნის თანდათანობით დემატერიალიზაციას ახდენს (C. Jammé. The Loss of Things, in: Kunst & Museum Journal, 1990, # 1, pp. 33-34).

როდესაც სეზანი წერდა, რომ ფინჯნები და საშაქრეები (ვიგულისხმობ - ვაშლებიც) ერთმანეთს ესაუბრებიან, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის მათში საგანს კი აღარ ხედავდა, არამედ რაღაცას უფრო მეტს. ცდილობდა, ვიზუალური შთაბეჭდილება მის თავში აღმოცენებული აზრებისათვის შეერწყა. ამიტომაც იყო ვიზიონერი, რომელმაც განჭვრიტა დრო და გზა გაუხსნა მოვლენებს. ვაშლი მისთვის მხოლოდ ობიექტი არ იყო. ერთი ისტორიის გამო, რომელიც მისი ბავშვობის წლებს უკავშირდება, მას ვაშლის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მომავალში სახელგანთქმული მხატვარი პოლ სეზანი სიმპათიით იყო განწყობილი მომავალში ასევე სახელგანთქმული მწერლის - ემილ ზოლას მიმართ. მაშინ ისინი სკოლის მოწაფეები იყვნენ. თანატოლები ჩაგრავენენ ზოლას და სეზანმა ერთხელ ის ბიჭებთან ჩხუბში დაიცვა. რამდენიმე დღის შემდეგ ზოლამ მადლობის ნიშნად სეზანს ვაშლები მიუტანა. ვაშლი, ცხადია, ორივესთვის განსაკუთრებულ ნიშნად იქცა. მაგრამ სეზანი არასოდეს ცდილა აღწერილი შემთხვევის ასახვას. ასეთ ამოცანას იმპრესიონისტი ან პოსტიმპრესიონისტი მხატვარი არც დასვამდა საკუთარი თავის წინაშე. სეზანთან ვაშლი ფორმით აღფრთოვანების საბაზია, თუნდაც ესთეტიკურ კატეგორიებში გარკვევის საფუძველი იყოს. თუ აქვს ამ ობიექტს შინაარსობრივი დატვირთვა, უფრო ეროტიკული, ან ნაყოფიერების სიმბოლოს გამომხატველი და არა რაიმე სხვა. მხატვარი კონცენტრაციას ახდენს საგანზე, ფორმაზე, ტექნიკაზე.

მოდერნიზმის ფარგლებში, გარკვეულ ეტაპამდე, ნატიურმორტიმა შეინარჩუნა ერთ-ერთი წამყვანი ჟანრის მნიშვნელობა. იმპრესიონისტები, პოსტიმპრესიონისტები, ფოვისტები, კუბისტები, ექსპრესიონისტები, კუბო-ფუტურისტები და სხვანი ისევ ხატავდნენ საგნებს, ასახავდნენ მათ გარეგნობას, ფორმას, ფაქტურას. უფრო აქტიური ხდებოდა ფორმის მნიშვნელობა, ზოგჯერ ობიექტს გარეგან ექსპრესიას ანიჭებდნენ, ხანდახან გამოსახულება შორდებოდა რეალობას, მრავალ ნაწილად იშლებოდა, ან საკუთარი თავის ფარგლებში დეფორმირდებოდა, მაგრამ საგანი მაინც საცნობი რჩებოდა. და სწორედ საგანი, მისი ფორმა, მისი მოხაზულობა, მისი ფაქტურა, მისი სხვა საგნებთან მხატვრული თანაქმედება, რიტმული განლაგება, - ყველაფერი საგნის და მის გარშემო წარმოადგენდა მხატვრების შესწავლის და ასახვის საგანს.

სეზანი ტკბება საგნით, მისი ფორმით, გარეგნული მშვენიერებით და ამ მშვენიერების კანონზომიერებების დადგენის სურვილით



ისე ღრმად სწვდება საგანს, რომ ახდენს მის განსულიერებას. ამ შემთხვევაში იდუმალებას ობიექტს თვით ხელოვნების რაობა სძენს და არა რაიმე დამატებითი სიუჟეტი. მეიორ შაპიროს დაკვირვებით, სეზანისათვის ვაშლი, როგორც ხილი - კმაყოფილების და სიამოვნების, მშვენიერების სიმნიშვნის გამოხატველი, მისი ჯიშების და შეფერილობის მრავალფეროვნების გამო მრავალგვარი ემოციის გამოხატვის საფუძვლად და უმაღლეს მწვერვალთა დასაპყრობ ინსტრუმენტად იქცა. შაპიროს საკუთარი მსჯელობა სექსუალური დაკმაყოფილების ფროიდისეულ იდეამდე მიჰყავს (Cezanne, Father of 20th-Century Art, DISCOVERIES, 1994, by Michel Hoog, p. 165). ის იმ მითოლოგიურ სცენასაც იხსენებს, როდესაც პარისი ვენერას ვაშლს გადასცემს როგორც მისი მშვენიერების სიმბოლოს. კრიტიკოსი შენიშნავს, პარიზის სასამართლოს შენობაში, სადაც სეზანი მუშაობდა ერთხანს, ამ თემაზე შესრულებული კლასიციზტური სურათი ეკიდა და არ არისო გამორიცხული, რომ მხატვარს ამანაც გაუღვივა ვაშლის მიმართ ინტერესი. ამბობენ, რომ ვენერა მილოსელსაც ვაშლი ეპყრა ხელში.



\*\*\*

პოსტმოდერნისტი მხატვარი არავის და არაფერს იპყრობს. მან იცის, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. დასაპყრობი უკვე დაიპყრეს. ახლა შეიძლება გაიმეორო. მაგრამ ძველის გადა-

სინჯვით ან მასზე რეპლიკით, შეიძლება თქვა შენი სათქმელიც.

1980-იანი წლების ბოლოს კოკა იგნატოვმა შექმნა რამდენიმე გრაფიკული სერია, რომელშიც ხშირად ვხვდებით ვაშლს. ამ სერიებს წინ უძღვის უამრავი ჩანახატი, სადაც ვაშლი ფიგურირებს. სწორედ ჩანახატებში იწყება ყველაფერი. ხელს მოყვება თამაში, ძიება, რომელიც სერიოზული ხასიათის არის, შეიძლება ჭეშმარიტებაში გარკვევის გზასაც წარმოადგენდეს, მაგრამ თამაშის ფორმით მიმდინარეობს, მხატვარი საკუთარ თავს ეთამაშება. თამაში არის მისი რამდენიმე გრაფიკული სერიის სიუჟეტი. სერიები სერიგრაფიის ტექნიკით არის შესრულებული: ერთი - შავი საღებავით თეთრ ქაღალდზე, მეორე - ასევე შავი საღებავით მოყვითალო ფერის ფაქტურულ ქაღალდზე, და მესამე - ფერადი საღებავით თეთრ ქაღალდზე.

ვაშლის „გამოდევნებამ“ და ბლოკნოტებში და გრაფიკულ ფურცლებზე მასთან (მათთან) ერთად გადაადგილებამ, იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ თავისთავად ვაშლი მხატვრისთვის უფრო მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა, ვიდრე პირველი შეხედვით შეიძლება აღიქვა. ამ შეხედულებას ქმნის ვაშლის დინამიზმი, მასში ჩადებული ენერგეტიკული მარცვალი.

ამან გამამახვილებინა ყურადღება გრაფიკულ ფურცლებზე - „ადამი და ევა“. ამას დავამატა სხვადასხვა მცირე ზომის ჩანახატი ამავე ტრადიციული ბიბლიური სიუჟეტით და დავრწმუნდი, რომ ვაშლი, რომელსაც კოკა იგნატოვი დააგორებს თავის ნამუშევრებში, მისი ფიქრების შემცველი კოდიცა.

ამ ვაშლთან თამაში უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხის ძიების პროცესია და ამ საკითხებზე უახლოეს ადამიანებთან საუბრის (შეიძლება გაუმხელელ) სურვილსაც გამოხატავს. ამ ნამუშევრების სიუჟეტი თამაშია. თამაში ვაშლთან, თამაში ზოგადად.

სერიებში უმრავლეს შემთხვევაში ვხვდებით ქალს - ევას ან პოტენციურ ევას, როგორც მაცდურს ან პოტენციურ მაცდუნებელს. კაცი გამოსახულია ან „ევასთან“ ჭიდილში - როდესაც ქალი ცდილობს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ვაშლი ხელში დაუტოვოს საპირის-პირო სქესის წარმომადგენელს; ან ვაშლები მრავლდებიან მამაკაცის გარშემო (გონების ამბზნეველნი?!); ზოგჯერ ჰაერში ნახევარწრეს კრავენ მის თავზე; ან კიდევ, მამაკაცი წარმოდგენილია მოთამაშის როლში - პინოქიოს, არლეკინის, პიეროს სახით, ვაშლთან ერთად ჩამოიშვადარი, ჭიქა აბსენტით, შეიძლება საწუთროზე ჩაფიქრებული, სევდიანი და ზოგჯერ ოდნავ ირონიულიც (თავად მხატვარი?!).

ამგვარად, ვაშლი დაატარებს, დააგორებს მხატვრის ფიქრებს. ტრაექტორიები, რომელთაც ეს ვაშლი შემოიწერს, აუხსნელი





გზებია. აღსანიშნავია საოცარი დინამიზმი ამ მოძრაობის. ასეთი დინამიზმი კოკა იგნატოვის არც ერთ სხვა ნაწარმოებში არ ვლინდება, როგორც იმ სერიებში, სადაც ვაშლია ძირითადი მოქმედი პირი, ან „პერსონაჟი“. ეს ძალიან პირადული ნახატებია, გონების და გრძნობის სიღრმიდან ამოზრდილი. უფრო გრძნობის, რადგან ხელს მოყვება. მხატვარი რაღაცას ყვება, ყვება დაუსრულებლად. ენერჯია, რომელსაც ეს ვაშლი ატარებს, ნახატიდან ნახატს გადაეცემა. არც კი ვიცი სხვა ნაწარმოები თანამედროვე ხელოვნებაში, ასე ზუსტად, კინემატოგრაფიულად რომ აფიქსირებდეს მოძრაობის, გადაადგილების, გადაცემის, ვარდნის დინამიკას. ამ დინამიზმს ალბათ ის ქმნის, რომ აქ უბრალოდ საგნის მოძრაობას კი არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, არამედ ამ საგნის სახით მოძრაობს აზრი. თითქოს აზრი გადაეცემა. და ეს იმდენად ინტენსიური აზრია, რომ გრძნობისმიერი ხდება და ხატვისას ხელი ამ გრძნობას გადმოსცემს.

ზოგ სურათში მხოლოდ ერთი ვაშლი მოჩანს, შეიძლება უმოძრაოც, მაგრამ მოძრაობისათვის გამზადებული, რადგან პოტენციური მიმართულება იკითხება. ზოგან ასევე ერთი ვაშლია, უკვე მოძრაობის მომენტში გამოსახული: ხელიდან უვარდება ვინმეს, ან თევზიდან ვარდება და ა.შ. ზოგან ვაშლები მრავლდებიან და ამ შემთხვევაში მათ შორის რაღაც უხილავი კავშირი მყარდება - თითქოს ენერჯია გადაეცემა და ეს ისევე მოქმედების და მოძ-

რაობის ტრანექტორიებია. ზოგან გამრავლებული ვაშლები ერთი ვაშლის მოძრაობის ფაზებს ასახავენ - მაგალითად, ერთ წრენირს კრავენ ერთი და იმავე პერსონაჟის გარშემო.

კოკა იგნატოვს ძალიან უყვარდა ლიტერატურა. ის ბევრს კითხულობდა და შესანიშნავად იცოდა მსოფლიო მწერლობის ნიმუშები, საინტერესოდ მსჯელობდა მათზე. სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც კორესპონდენტები ეკითხებოდნენ თუ რომელ წიგნს გამოარჩევდა, მხატვარი ბიბლიას ასახელებდა. როგორც შევნიშნეთ, ერთ-ერთი ბიბლიური სიუჟეტი, რომლის ილუსტრაციასაც ის ხშირად ხატავდა, „ადამი და ევა“. ჩანს, ბოროტის და კეთილის, ცოდვისა და უცოდველობის თემებზე, სიცოცხლის საწყისზე ფიქრმა აქცია ვაშლი მხატვრისათვის უმნიშვნელოვანეს „პერსონაჟად“. კოკა იგნატოვის გრაფიკულ სერიებში ვაშლი იქნეს ცოცხალი მოქმედი პირის ფუნქციას. ვაშლის მოძრაობა - ეს აზრის ტრანექტორია. აზრის დინამიზმი შეზღუდულობას ვერ იტანს. ის საჭიროებს გასაქანს, განვითარების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე სრულიად ქრება ადრეულ ეტაპზე, - 1960-70-იან წლებში, იგნატოვის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობა.

იგნატოვს ძალიან ცოტა აბსტრაქცია აქვს შექმნილი. ნამდვილ აბსტრაქციას, სადაც არავითარი საგანი არ იკითხება, რაოდენობრივად (და ხარისხობრივადაც) უმნიშვნელო ადგილიც კი უჭირავს მის შემოქმედებაში. მაგრამ როგორც ჭეშმარიტ პოსტმოდერნისტთან, მის სუპერრეალისტურ ნამუშევრებში კონკრეტული საგანი აბსტრაქტულ იდეებს იტევს და განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს. ფიქრის დინამიკას, ენერჯეტიკას აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად, თუ შემოქმედების პირველ ეტაპზე კოკა იგნატოვი მრავალ სიუჟეტს მოზაიკურად, ორნამენტის მსგავსად აერთიანებს ერთ სიბრტყეზე (რელიეფურად, მაგრამ ეს მაინც სიბრტყის პარალელურად გაშლილი ბარელიეფია), გვიანდელ ნამუშევრებში სიბრტყე იტვირთება ფიქრის შესაბამისი სივრცით. ქვების სერიაში ის პატარა კენჭს უზარმაზარ ქვად აქცევს და ამით მის აბსტრაქტიზმს ახდენს. ის როგორც პოსტმოდერნისტი, თავის ფიქრს, აზრს - არა განწყობას ან შთაბეჭდილებას, არამედ სწორედ აზრს, აზრის განვითარების პროცესს აფიქსირებს.

არის ფურცლები, სადაც ერთსა და იმავე კომპოზიციაში რამდენიმე ქალია გამოსახული, - ორი, ან სამიც კი. ერთ შემთხვევაში ქალი ქალიშვილს მიუთითებს ვაშლზე: ასწავლის თუ აფრთხილებს?! გამოცდილებას გადასცემს. გოგონა კი შეცბუნებული, ჭოჭმანით დასცქერის ვაშლს. მეორე კომპოზიციაში ქალი ქალიშვილის თვალწინ ათამაშებს ვაშლს და გოგონა უკვე რამდენიმე ვაშლის ათამაშებას



ცდილობს. იქ, სადაც სამი ქალია გამოსახული, შინაარსი კიდევ მეტად შეფარულია. არის ფურცელი, სადაც წინა პლანზე ჩანს ქალი ვაშლით ხელში, შორს კი ნავი მიცურავს. თუ გავიხსენებთ ერთ-ერთ კომპოზიციას (ვაშლის გარეშე), რომელზეც ასევე შორს მიმავალი ნავი ჩანს და მხატვრის ხელით არის მიწერილი:


Ждите мужчин пропавших,  
Всеми морями пропавших,  
Ваши мужчины придут,  
С мужчинами так бывает –  
Вдруг пропадут,

- ამ გრაფიკული ფურცლის შინაარსი სრულიად გასაგები ხდება.

შინაარსის ამოცნობას აღარ განვაგრძობ, რათა არ გავაუფერულო, არ გავამარტივო კოკა იგნატოვის გვიანი პერიოდისათვის დამახასიათებელი „ელეგანტური ჩურჩული“ (მე ვიყენებ მწერალ ჯიმ ჰოლტის გამონათქვამს საი თუომბლის შესახებ. იხ. A.C. Danto, The Madonna of the Future, New York, 2000, p. 86).

\*\*\*

1989 წელს, იგნატოვმა შექმნა ნამუშევარი, სახელწოდებით - „ეძიებდე და ჰპოვებდე.“ ის აკრილით არის შესრულებული. მთლიანი კომპოზიცია ხუთი სურათიდან შედგება. თითოეული კვადრატული ფორმატის არის, და ისინი ისე არიან განლაგებულნი, რომ ერთიანობაში თანაბარი ზომის მკლავებიან ჯვარს კრავენ. ცენტრში (ჯვრის გულში) წარმოდგენილი არიან ადამი და ევა, ხის ტანით მათ შორის. ვაშლი არც ერთს უჭირავს, არც მეორეს. ნაყოფი მიწაზეა დაცვენილი. ხის ვარჯი მარცხენა მკლავზეა გამოსახული. ის შეფოთლილია, ნათელი. ნაყოფი არც მასზე ჩანს. ჯვრის ზედა მკლავზე ქალების ფიგურებია გამოსახული. აქ ერთი და იგივე ფიგურა მრავლდება და სურათი სიზმრისეულ სცენას ემსგავსება. ასახულია სულიერი ბორგვა, გამოსავლის ძიების პროცესი. კომპოზიციაში ჩართულია ისრები. მათი მიმართულებების არსის დადგენა ჩემთვის ძნელია, მაგრამ გამოსავლის ძიების, შეიძლება ცოდვებიდან განწმენდის პროცესის ამსახველი იყოს. ასევე წვალობს მამაკაცი ჯვრის მარჯვენა მკლავზე. მის წინაშე ხან ერთი კედელი აღიმართება, ხან მეორე (აქაც გამოსახულებათა გამრავლებით მიიღება შესაბამისი ეფექტი). აქაც ისრებია. ორივე კომპოზიციიდან თითო ისარი ცენტრალური კომპოზიციისაკენ მიემართება, სადაც ევას და ადამს ვხვდავთ. ქვედა მკლავზე გამოსახულია ქვა და მისი ჩრდილი მიწაზე. ქვასა და ჩრდილს შორის წარწერაა გერმანულ ენაზე: „ეძიებდე და ჰპოვებდე.“ ამ კომპოზიციაში ზედა მარცხენა კუთხიდან ფრინველივით არის შემოსული ისარი წარწერით - „თეთრი ქვა“ (ქართულად) და ისარი მართლაც თეთრი ქვისკენ არის მიმართული. ჩრდილს, რომლისკენაც შავი ისარია მიმართუ-



ლი, აწერია - „შავი ქვა“ და ის მართლაც შავია. თეთრი - ნათელი ქვა მიწაზე დგას. შავი ჩრდილი მიწაზე განრთხმულია. ეს ნამუშევარი - ზომით დიდი (ამ კომპოზიციებიდან თითოეული კვადრატს წარმოადგენს, რომლის გვერდიც 2 მეტრის სიგრძის არის), მასშტაბური, ძალიან ბევრის მთქმელია. მხატვარი უამრავ რამეს ჰყვება და უამრავს უთქმელს ტოვებს. ქვედა სეგმენტზე თეთრი ქვა და შავი ქვა (ჩრდილი) ნათელის და ბნელის ჭიდილის ამსახველია. ამგვარად, ეს ნამუშევარი შეიძლება კოკა იგნატოვის პროგრამულ ნამუშევრად აღვიქვათ და მასში ჩაღრმავებით მისა ბევრი ნამუშევრის არსში ჩანვდომა ვცადოთ.

სეზანი არასოდეს გამოსახავს ადამიანს ვაშლთან ერთად. ის არ არღვევს ნატიურმორტის ტრადიციულ წყობას. იგნატოვთან ვაშლი ადამიანთან შედის ურთიერთობაში. როდესაც ის ადამს და ევას გამოსახავს ცნობილი იკონოგრაფიით, იქ ვაშლი ისეთ როლს თამაშობს, როგორც ტრადიციულად ამ სცენის მუდმივი კომპონენტი. მაგრამ როდესაც ვაშლი ამოძრავდება, უკვე სრულიად განსახვავებულ - პოსტმოდერნისტულ დატვირთვას იძენს. ეს სემანტიკური კოდის მატარებელი ნიშანია. ამით იგნატოვის ვაშლები მკვეთრად განსხვავდება სეზანის ვაშლებისგან, რომლებიც ნატიურმორტის ჩარჩოებს არ გასცილებიან, ლარნაკების და თეფშების ბინადრები არიან.

მაგრამ რა ხდება სიურეალისტ მაგრიტთან, რომელთანაც ვაშლი ასევე ძალიან მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს? მაგრიტისათვის





თავად ვაშლის ფორმას აღარ აქვს აქტიური დატვირთვა. ამ ფორმის ეროტიციზმს კი აქვს. ამიტომაც უსვამს მხატვარი ხაზს ამ მომენტს ვაშლის უჩვეულო მდგომარეობაში, მოულოდნელ კონტექსტში მოქცევით. ვაშლი დამატებით შინაარსს იძენს დამატებითი ეფექტებით. ორი ვაშლი ერთად, მთვარის შუქზე და სამასკარადო სათვალეებით, რომანტიკული წყვილია (1958). სათვალეები მათ საიდუმლო ხასიათსაც სძენს და ამ საიდუმლოების დემონსტრირების საშუალებასაც წარმოადგენს. მხატვარი, მათი ჰიპერტროფირებით, უსულო ობიექტებს „ცოცხალ“ პერსონაჟებად აქცევს. ხოლო როდესაც ვაშლი ადამიანის სახეზე გადაინაცვლებს, უცნაური, სიზმრისეული გამოსახულება იქმნება – ვაშლით გარდაქმნილი ადამიანი. მას ვაშლი მისტიციზმს სძენს, „გააუცხოებს“, სექსუალურად უფრო საინტერესოს ხდის. ამასთან, ეს ვაშლი ჩვენი წარმოსახვის უნარს ააქტიურებს. რაღაც ხდება უცნაური, რისი განმარტებაც არ არის ადვილი, მაგრამ ეს თამაში მხატვარსა და მაყურებელს შორის მანაც ყველასთვის მისაწვდომია, რადგან მხატვარი თვითონ გვითრევს ამ პროცესში, გვკარნახობს, რომ უნდა ვიაქტიუროთ, აზრი ვიქონიოთ, დანახულზე არ შევჩერდეთ. საამისოდ, უცნაურ კონტექსტთან ერთად, ვაშლის მნიშვნელობა ხაზგასმულია კომპოზიციური განლაგებითაც (ცენტრალური ადგილი), ზომითაც (მასშტაბური შეფარდებით). თუმცა, აქ არავითარ ფილოსოფიურ განსჯას არ აქვს ადგილი. სახეზეა უცნაურის (თუნდაც სიზმრისეულის) ლიტერატურული თხრობა.

იგნატოვთან ვაშლი არის ვაშლი თავისთავად. ის თავად არ იცვლის სახეს, არ იწვევს რაიმე უცნაურობის შეგრძნებას. ნახატის სიუჟეტურ ქარგაშიც ბუნებრივად არის ჩართული. ვაშლზე კომპოზიციური კონცენტრირება ხდება არა მისი ზომების გაზრდით, ან მისთვის უცნაური „სამოსის“ მორგებით ან მისი უცნაური (რეალური კონტექსტიდან ამოვარდნილი) მდებარეობით, არამედ მისკენ მიმართული მზერით, მასთან დაკავშირებული ფიქრით, რაც ვაშლსა და სურათზე გამოსახულ პერსონაჟს შორის უხილავ ძალთა ქმედებით აისახება. არც მისი ჰაერში აბურთავებაა უცნაური. ამ პროცესის ასახვისათვის მიგნებული ხერხია მხოლოდ მოულოდნელი. თორემ სინამდვილეში ვაშლს ხშირად ათამაშებენ ჰაერში.

სეზანი, და მაგრიტიც, მაყურებელს წარმოუდგენენ, მოუთხრობენ. თამაშის წესები არ არის შენიღბული და კონკრეტულ ასოციაციებს ქმნის. იგნატოვი ყოველივე ამასთან მიმართებაში დამთვალეირებელს ძალიან ჩვეულებრივი ეჩვენება, რადგან გარეგნულად განსაკუთრებული არაფერი ხდება. ტექსტის ამოკითხვა, იდუმალი ან დაფარულის დანახვა კი უფრო რთულია. საერთოდ, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში სწორედ მაყურებელს (ისევე

როგორც მკითხველს) მეტი მზაობა მოეთხოვება ტექსტის ამოსაკითხად. ასეთ მოსალოდნელ მკითხველს პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსები უწოდებენ არისტოკრატიულ მკითხველს, არქიმიკითხველს, წარმოსახვით მკითხველს. თუმცა, თავადვე აღიარებენ, რომ ყველაზე სამაგალითო მკითხველსაც არ შეუძლია ნაწარმოებში მოწოდებული ყველა აზრის გახსნა, რადგან ტექსტი უსასრულოდ არის გახსნილი უსასრულობაში. ბართის მიხედვით, ნაწარმოების ინტერტექსტუალური მრავალფეროვნება ფოკუსირდება ერთ ნერტილში, რომელსაც წარმოადგენს არა ავტორი, როგორც აქამდე ამტკიცებდნენ, არამედ სწორედ მკითხველი. მკითხველი – ეს არის ის სივრცე, რომელშიც აღიბეჭდება ყველაფერი უკანასკნელ ციტატამდე, რომლისგანაც შედგება წერილი. მკითხველი არის ის, ვინც აერთიანებს ტექსტის შემადგენელ ყველა შტრიხს. ამგვარად, მკითხველი უნდა იყოს „ინტერტექსტუალური ენციკლოპედიის“ მატარებელი. ასეთ მკითხველს (თუ დამთვალეირებელს) ითხოვს (და ზოგჯერ აყალიბებს) თავად პოსტმოდერნისტული ეპოქა.

ჩვენს ეპოქაში ლინგვისტებმა წამყვანი მნიშვნელობა მიანიჭეს ენის სწორედ საკომუნიკაციო (და არა რეპრეზენტაციულ) ფუნქციას. როგორც ჩანს, მხატვრობაც იგივეს ამჟღავნებს. უფრო მნიშვნელოვანია აზრის გადაცემის პროცესი, ვიდრე აზრის ლაპიდარულად დემონსტრირების მომენტი. შედეგად ვიღებთ ინდივიდზე მალა მდგომ, ზეინდივიდუალურ ენობრივ (თუ სახეობრივ) თამაშს, რომელიც სამყაროს სურათს ასახავს. ეს არის სწორედ ენ. არასწორხაზოვანი თხრობის მაგალითი, რომელიც ვითარდება არა სიბრტყეზე, არამედ მოცულობაში („თხრობა არ არის სიბრტყე, არ არის ტაბულა, თხრობა არის მოცულობა,“ ბართი, *Пост-Модернизм, Энциклопедия*, ред. А. Грицанов, М. Можейко, Минск, 2001, с. 824). დაფუძნებული, - ვითარდება სივრცეში.

\*\*\*

პოსტმოდერნისტული ფემინისტური პოზიციიდან საინტერესოა, ევა (თუ ევები) იგნატოვის შემოქმედებაში მოძალადეებად გვევლინებიან თუ არა. მამაკაცი მათ მსხვერპლად უნდა აღვიქვათ თუ პირიქით?!

ცდუნების ფენომენს პოსტმოდერნიტ ფილოსოფოსებთან ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბოდრიარის აზრით სამყაროში ქალური საწყისი კი არ უპირისპირდება მამაკაცურს, არამედ მას აცდუნებს. მაგრამ ცდუნების სტიქიაში ქალი არ გვევლინება აშკარა ან შეფარული ოპოზიციონერის როლში. ეს ძალაუფლების მოპოვების კი არა, არამედ ძალმომრეობისაგან განდგომის პროცესია. ქალის ძალაუფლება არაოფიციალურია, არაძალაუფლებულია. და ბოდრიარი აკრიტიკებს ფემინიზმს, რომელიც მისი აზრით დღის წესრიგი-



დან ვერ ხსნის ოპოზიციას კაცსა და ქალს შორის, არამედ განსხვავებულად განაღებებს დომინანტურ აქცენტებს მასში. მისი თქმით, ფემინიტებს არ ესმით, რომ ცდუნება სიმბოლურ სამყაროზე ბატონობაა მაშინ, როდესაც ძალაუფლება მხოლოდ რეალურ სამყაროზე ბატონობას ნიშნავს. ქალურობა არის რადიკალური კონსტატაცია სიმულაციის მიღმა გასვლის, - ცდუნების სფეროში.

ცდუნებასთან დამოკიდებულებაში ვლინდება ბოდრიარის პოსტმოდერნისტული ოპოზიციის ბინარიზმთან მიმართებაში. ცდუნებაში არ არის არაფერი აქტიური და პასიური, არ არსებობს სუბიექტი და ობიექტი, გარეგნული და შინაგანი. ის ერთდროულად ფიცრის ორ მხარეზე თამაშობს ისე, რომ ლოგიკურად არ არსებობს მხარეთა გამყოფი ზღვარი. ერთი სიტყვით, არავინ არაფერს იპყრობს და არავის უპირატესობა გვაქვს სახეზე (Post-Modernizm..., ss. 778-79).

იგნატოვიც კონსტატაციას ახდენს. ის არც მბრალდებელის როლში გამოდის, არც ადვოკატის, არამედ ქალთან ერთად და და მასთან წარმოსახვით ურთიერთობაში (თამაშ-თამაშ) სურს გაერკვეს ამ სამყაროს კანონზომიერებებში, „შავსა“ და „თეთრში“ (ისევ და მაინც, ეს ბინარიზმი!). ვაშლში ხდება მისი ფიქრების კონცენტრაცია.

\* \* \*

ქალმა იგნატოვის ნამუშევრებში თავიდანვე, 1960-იანი წლებიდან, მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, მაგრამ ადრეულ ეტაპზე ეს სრულიად განსხვავებული ქალი იყო. ის გვევლინება როგორც სამშობლოს (და ნაყოფიერების) სიმბოლო. მისი ადგილი იგნატოვის დიდ კომპოზიციებში ხაზგასმულია. ფიგურა მასშტაბში გაზრდილია, მონუმენტური ხასიათის არის და საკუთარ თავში იკრებს სამშობლოს, დედობის იდეას. ის პოზიტიური გმირია და განასახიერებს მთლიანად საქართველოს („საბჭოთა საქართველო“, მოხატულობა გაგრის სანატორიუმში „მზიური“ 1977) ან მის მხარეებს („იმერეთი“, 1973). მთანმინდის რესტორნის პანოს ერთ-ერთ ესკიზში ცენტრალური ადგილი უჭირავს არა ფიროსმანს, არამედ სწორედ საქართველოს იდეის გამტარებელ ქალის ფიგურას (მხატვარმა ეს ჩანაფიქრი შემდეგ შეცვალა). ეს ქალი ტალღასავით ამოიზრდება და დომინირებს დანარჩენ გამოსახულებებზე. ის გარკვეული თვალსაზრისით ლამაზია - აქვს სწორი ნაკვთები, გრძელი, გაშლილი თმა. უმეტესად მისი მზერა პირდაპირია, ჩვენსკენ მომართული. ზოგჯერ გრძელი (წითელი) მოსასხამი აქვს შემოხვეული, რომელიც ფრიალებს მის გარშემო და კიდევ უფრო იმპოზანტურს ხდის მას. დამახასიათებელია, რომ ზოგჯერ ცალ ხელში მას ვაშლი უჭირავს რო-

გორც ნაყოფიერების სიმბოლო. ხშირად მისი თმა ვაზის მტევნებად არის ქცეული. ზოგჯერ, გრძელ სამოსში გამოწყობილი, ჩამომჯდარი, იგი მთას ემსგავსება და მის კალთებზეა შეფენილი სვანური სოფელი („სოფელი მთებში“, - 1973). ეს არის ერთგვარი იკონოგრაფიული ტიპი და არა ქალი: დედა - სამშობლო, დედა - სამყაროს ბოძი...

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ როდესაც იგნატოვი იწყებს მოღვაწეობას, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენს. ეს ხრუშჩოვის დათბილების პერიოდია. თავისუფლების ნიავეა ოდნავ დაბერა, მაგრამ სულ ოდნავ. კომუნისტური ეპოქა თავისი ძლიერების ერთ-ერთ ფაზაშია. იგნატოვი ის მხატვარია, რომელიც ამ ნიავეთ მოქროლილს ან მისი დახმარებით დანახულს „ააშკარავებს“. ამიტომაც ხაზს უსვამს სიბრტყეს, მიმართავს პირობით საშუალებებს - ამჟღავნებს კონტურს, იყენებს მკვეთრ და დეკორატიულად დაპირისპირებულ ფერებს; ააღორძინებს ტრადიციულ ეროვნულ მოტივებს (სტალინის პერიოდში რომ კრძალავდნენ), და ქმნის პანოებს, სადაც საქართველო აისახება სიმბოლურად, ალგორითულად, განზოგადებულად. მისი პოზიციის პროგრესულია. ის თავისი შემოქმედებით უპირისპირდება ფოტოგრაფიულ სოციალისტურ რეალიზმს და ამკვიდრებს ახალ ხედვას. მაგრამ მისივე შემოქმედება ამტკიცებს, რომ იმდროინდელ ხელოვნებაში მაინც ყველაფერი ერთ სიბრტყეზე, ერთ განზომილებაში აღიქმებოდა, არ შორდებოდა გამოსახულების ჩარჩოებს, დამატებით ფიქრებს და ასოციაციებს არ იწვევდა. ხალხი არ იყო შეჩვეული აბსტრაქტულ აზროვნებას. ხალხი შეჩვეული იყო გახსნილ კოდებს - პლაკატებს პოლიტიკური ლიდერების გამოსახულებებით, სოციალისტური აღმშენებლობის ყველასთვის ცნობილი სიმბოლოებით. იგნატოვის შემოქმედებაც ლაპიდარულია. მისი ნამუშევრები ყველასთვის გახსნილია, სიმბოლო ადვილად ამოსაკითხია, შინაარსი შეფარულ აზრებს არ შეიცავს. ეს ქალი სკულპტურას ემსგავსება. და გასაკვირი არ არის, რომ მსგავს ქალებს იმ დროს ხშირად ვხვდებით იმ დროის ქართული ხელოვნების ყველა დარგში - სკულპტურაშიც, გრაფიკაშიც, მონუმენტურ მხატვრობაშიც, გობელენსა, კერამიკასა და ლითონმქანდაკელობაში. ეს ის პერიოდია, როდესაც იმავე იგნატოვთან კაცები, ბავშვები და ქალები ერთმანეთის მსგავსად გამოიხატებიან - განზოგადებული სახეებით, სწორი ნაკვთებით, ჯანმრთელი, მკერდგაშლილი ფიგურებით. არავითარი ფსიქოლოგიაში აქ არ იკითხება. (და რალა თქმა უნდა, არავითარი მინიშნება ცდუნებაზე). ისინი ერთად უმღერიან საქართველოს, განადიდებენ მას, გვპირდებიან ხვავსა და ბარაქას. წინა პერიოდის, „ნამდვილი“ სოცრეალიზმისაგან განსხვავებით, აქ მეტი პრობითობაა, მეტი განზოგადება, მეტი





ალეგორიულობა, ფესვებთან მიბრუნება, მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმი იმაზე მეტის საშუალებას არ აძლევს გონებას, რის უფლებასაც იძლევა.

იგნატოვი ეროვნული მოტივებით, საქართველოს თემაზე შეთხზული უამრავი ლექსებით, ფერადოვნებით, სიბრტყობრიობით, გამჟღავნებული კონტურით და შტრიხით უპირობისპირდება სოციალისტურ რეალიზმს. მაგრამ სინამდვილეში ეს მაინც იდეალიზირებული სამყაროა, რომელიც ძალიან „ანყოზა“ იმდროინდელ საბჭოთა ქვეყანას, დასავლეთისაკენ ოდნავ შეღებული კარით. მიუხედავად იმისა, რომ იგნატოვის ადრეულ ნამუშევრებში გაცილებით მეტი ფიგურაა, მეტი სიუჟეტია, უამრავი რამ არის მოზაიკურად შერწყმული, აზრი მარტივად გამოსატანია, ნამუშევარი არ ტოვებს კითხვებს. იქ არ დგება სამყაროზე და მასთან მიმართებაში აღმოცენებული საკითხები. ასეთი რამ „საბჭოთა“ მხატვარს აზრად არ მოუვიდოდა. შემოქმედების ბოლო ეტაპზე კი იგნატოვი მხატვრობაში პოეზიისკენ იხრება. მის ნამუშევრებში არაფერია დემონსტრირებული. მხატვარს არ აქვს კონკრეტული პასუხები. ის თავის ნახატებთან და მის მიერ მოგონილ სიუჟეტებთან ერთად ფიქრობს. სერიები ვაშლებით უამრავი ქვეაზრის თუ ზეაზრის, - განყენებული აზრის შემცველია. ასე რომ, ეს „მაცდუნებელი“ ქალი უფრო ახლოს არის


მხატვართან, მის ფიქრებთან, არსებასთან, უფრო ძვირფასია მისთვის, ვიდრე ის ძლიერი ქალი, რომელსაც არ აქვს სისუსტე, რადგან შეიძლება ითქვას, „უსქესოც“ კი არის მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ძალადობს. ცდუნებით კი აცდუნებს მეორე, რომელიც უფრო ბუნებრივად არის და ალბათ უფრო რეალისტურიც!..

სერიულობისაკენ, განმეორებისაკენ სწრაფვა დამახასიათებელია პოსტმოდერნული ეპოქისათვის, რადგან, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სერიაში აისახება ძიების, აზრის განვითარების პროცესი. შესაბამისად, პოსტმოდერნიზმი მუდამ ელის აუდიტორიას, რომელსაც აქვს ინტერტექსტუალური კოდეზის ამოკითხვის უნარი, რომელიც აფასებს ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობას. ეს წერილიც, მხატვრულ ნაწარმოებებთან ურთიერთობაში სამყაროზე დამატებითი ცოდნის მოპოვების (და გადაცემის) მცდელობას წარმოადგენს.

\* როდესაც ვამბობ, - „თამამ-თამამ“, - ცხადია, სერიოზულ თამაშს ვგულისხმობ, - თამაშს, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას, მასზე ცოდნის მოპოვების ერთ-ერთ საფუძველს, და კიდევ, უცოდინრობიდან გამონვეული შიშის დაძლევის საშუალებასაც. დასაბამიდან, ადამიანი თამაშით ანესრიგებდა ურთიერთობას გარე სამყაროსთან. იგნატოვიც პიეროს, ან პინოქიოს, ან არლეკინის სამოსში გამოწყობილი არკვევს სამყაროს კანონზომიერებებს, ანესრიგებს მასთან ურთიერთობას. ხშირად ის მოხეტიალე მსახიობების მუდმივი ატრიბუტით - ორთვალით მიუყვება სამყაროს გზებს.

კოკა იგნატოვის მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო თეატრის მხატვრობა იყო. ამიტომ ის მუდამ დაკავშირებული იყო „სერიოზული თამაშის“ მომენტთან. მან შესანიშნავად იცოდა ბერიკების, კომედია დელ არტეს პერსონაჟების და საერთოდ, ნებისმიერი ჟანრის თუ პერიოდის თეატრის მსახიობთა ბუნება. თვითონ მოსავდა მათ კოსტიუმებით, სათამაშო გარემოს უქმნიდა; გრძნობდა მათ პლასტიკას, იცოდა მათი ფსიქოლოგია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სწორედ მსახიობის სამოსში გამოენყო (მე ასე მწამს, - ეს პინოქიოები და არლეკინები თავად კოკა იგნატოვია), როდესაც ყველაზე ღრმად ნაფიქრის მხატვრული სახეებით თხრობა გადაწყვიტა. არა, ხატვა და ფიქრი ერთ მთლიანობად აქცია: ფიქრის პროცესში ხატავდა და ხატვის პროცესში ფიქრობდა. ამიტომაც „ჩურჩულებდა ელევანტურად.“





დემეტრიო ლოლაძე

# ქართული ჟურნალისტიკა

## ფოსტობიჯის პოეზია

(დემეტრიო ლოლაძის ალბომი  
„დრო და ადამიანები“)

თავიდანვე მინდა აღვნიშნო — ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ბუნებრივი, მარჯვედ გადაღებული ფოტოები. ბევრ მათგანს მოუცია ბიძგი წერილების, დღიურების, თვით ლექსების დასაწერად კი და ვიცი, ასეთი განცდა არც სხვებისათვისაა უცხო. არაერთხელ უთქვამთ: დრო რომ გადის, ფოტოებს მეტი ფასი ედება და სხვაგვარ, უკვე ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. ამის მოწმენი არაერთხელ ვყოფილვართ, თუმცა უჩვეულოდ განვითარებული და სახეცვლილი ფოტოგრაფია ჯერ ორი საუკუნისაც არ არის.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ფოტოს ოსტატურად გადაღებნი უცხოეთში პოეტებად იხსენიებიან და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან შთაბეჭდავ, სასურველი გან-

წყობილების შემქმნელ ფოტოებს ბევრი აქვს საერთო ხელოვნებასთან, პოეზიასთან.

ნამდვილად გავიხარე, როცა ერთი თვის წინ ქართველი მწერლების უანგარო მეგობარმა, შესანიშნავმა ჟურნალისტმა, ქართული ფეხბურთის ამაგდარმა მემატთანემ და ბრწყინვალე ფოტოხელოვანმა დემეტრიო ლოლაძემ თავისი ახალი, საკმაოდ მოზრდილი მშვენიერი ფოტოალბომი („დრო და ადამიანები“) მისახსოვრა.

თვალის საამებელ ნობათად ჩაფიქრებელი ნამუშევარი ჩვეული დიდბუნებოვნებით, მწყემსთავრის სიბრძნით დაულოცავს ჩვენი ერის საამაყო მოძღვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს:

„ბატონ დემეტრიო ლოლაძის მიერ თავმოყრილი ფოტოები იმ პირთა წარმოჩენას ემსახურება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის ისტორიაში და ვისი ღვაწლიც მართლაც რომ დასაფასებელია შთამომავლობის მიერ.

ღმერთმა დალოცოს წიგნის ავტორი და ყოველი ადამიანი, ვინც გაეცნობა ამ ალბომს.“

ფოტოების უბრალო შეთვლიერებაც კი ცხადყოფს, რაოდენ სრულყოფილად ფლობს ავტორი მონტაჟის ესოდენ აუცილებელ ხელოვნებას, როგორი სიფაქიზითა და გემოვნებითაა განლაგებული თითოეული სურათი.

ალბომი თოთხმეტი განყოფილებისაგან შესდგება და ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ადამიანების მოღვაწეობის თითქმის არცერთი სფერო არ არის უყურადღებოდ დატოვებული, თუმცა მრავალი რამის დამატება შეიძლებოდა.

სახეთა ამ უმდიდრეს კრებულს როცა თვალი გადავავლე (ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა და ამ ფურცლებიდან შემოგვეყურებს), ჩემს წარმოსახვაში უნებლიეთ, გალაკტიონის „ნიკორწმინდის“ უკვდავი სტრიქონები გახშირდა: „რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი!“ სწორედ რომ სასიხარულო და მისასალმებელია — ამ ფასდაუდებელ საგანძურს სამაგალითოდ უჭირისუფლა ერთმა კაცმა და ერთ გარეკანში მოაქცია. უთუოდ გულწრფელი მადლობის ღირსია ის ღვთისწიერი მანდილოსანი, ვინაც ამ საუცხოო წიგნის გამოცემა ფინანსურად უზრუნველყო, თავად კი უცნობად დარჩენა ამჯობინა.

სიმბოლურ ქმედებად და დიდ პატივად გვესახება, რომ ალბომის პირველი განყოფილება ქართულ მწერლობას ეძღვნება. ვერ ვიტყვით, აქ ქართული მწერლობა, თუნდ რამდენადმე, სრულად იყოს წარმოდგენილი (ასეთი მრავალდარგოვანი ალბომის შედგენისას ამის გაკეთება შეუძლებელია), მაგრამ ამ გალერეას წინ უძღვის ორი კოლოსის, გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ნმინდა სახე-



ები, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. საერთო-დაც, რა პატივიც ჩვენს ლიტერატურას ერგო წინამდებარე ალბომში, იგივე რომ ხდებოდეს დღევანდელ, რეალურ ცხოვრებაში, მაშინ ქართულ მწერლობას სასაყვედუროც არაფერი ექნებოდა.

მეოცე საუკუნეში საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობისა და რეზონანსის არაერთი მეცნიერთ შექმლო მოეწონებინა თავი. მრავალი მათგანი, ცალკე პიროვნებებად და ჯგუფებად ალბომის მეორე, მოზრდილ განყოფილებაშია წარმოდგენილი. მწერლობის მსგავსად, დღესდღეობით, სახელმწიფოებრივ ზრუნვას მოკლებულ ქართულ მეცნიერებასაც უკიდურესად უჭირს და საერთო ეკონომიკური მდგომარეობა თუ ახლო ხანებში არ გაუმჯობესდა, მომავალი კარგს არაფერს გვიქადის.

ფრიად მრავალფეროვნად, მიმზიდველად გამოიყურებიან ქართული მუსიკისა და ესტრადის გამოჩენილი მოღვაწეები. ჩვენს თვალწინაა ნიჭიერებით გამორჩეულ თაობათა უწყვეტი ჯაჭვი, დაუფინყარი სახეები ადამიანებისა, რომელთა ხელოვნებასაც ბევრჯერ მოუხიბლავართ. ისევ მიწევს სინანულით თქმა, გული გვწყდება, რომ ზოგი მათგანი ცოცხალი აღარაა, მოგონებათა სამყაროში გადაინაცვლეს.

სასიამოვნოა, რომ რამდენადმე მაინც, ღირსეულად არის წარმოჩენილი ჩვენი დიდებული მხატვრობა და არქიტექტურა. ვფიქრობ, ამ განყოფილებაში თავისი ადგილი უნდა მისჩენოდა დავით კაკაბაძეს, რომელიც არა მარტო გენიალური ფერმწერი და გრაფიკოსი, ფართო თვალსაზიერის გამომგონებელიც იყო და თავისი კვალი დაამჩნია ფოტოხელოვნებასაც. მოვისაკლისე, აგრეთვე, უმშვენიერესი პანოების შემქმნელი, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ჩვენი დაუფინყარი კოკა ივანაძოვი. განყოფილებას წინ უძღვის ჯუნა მიქაძაძის ნატიფი ნამუშევარი „ლადო გუდიაშვილი“, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, განსვებულნი მოქანდაკის ფოტოც გვეხილა. ცოცხალი, დღეს მომუშავე დიდად ნიჭიერი მხატვრებიდან სათვალავში დამაკლდა ედმუნდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ლევან ცუცქერიძე, გივი კასრაძე, ვახტანგ რურუა, ჯემალ ხუციშვილი და სხვებიც. აგრეთვე, საუკეთესო, დიდი ცოდნისა და გემოვნების არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე არაერთხელ უსახელებია საქართველო. ასევე სიამოვნებით დავასახელებდი ჩემი სიყრმის მეგობარს, ბრწყინვალე არქიტექტორსა და გრაფიკოსს, ვაჟა ორხელაძეს. გარდაცვლილებიდან კარგი იყო ფოტოზე აღბეჭდილთა შორის გვეხილა ჩვენი ქალაქის ამაგდარი პიროვნება შოთა ყავლაშვილი და სხვებიც. ყველას ვერ

ჩამოვთვლი. ასეთი ხარვეზები (ეს უფრო ჩვენი სურვილებია) ბევრს ვერაფერს დააკლებს „დრო და ადამიანების“ საერთო ღირსებას. მითუმეტეს, დემიკო ლოლაძეს განზრახული აქვს კიდევ გამოსცეს ამ ტიპის უფრო სრული ალბომი.

წიგნში ერთ-ერთი უმდიდრესია, სიდიდითა და ექსპონატთა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა განყოფილება „თეატრი“, რომელიც ავტორს ფართო არჩევანის უფლებას აძლევდა. ნოვატორულ, ორიგინალურ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია, რომ აქ უხვადაა წარმოდგენილი რობერტ სტურუას უბერებელი სპექტაკლის („კავკასიური ცარცის წრე“, ბათუმი, 8 ოქტომბერი, 2004 წელი) ამსახველი ფოტომასალა. ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან სახელოვანი ქართველი რეჟისორები და მსახიობები. ფოტოებში ცოცხლადაა გადმოცემული მათი სულიერი სამყარო, ხასიათი, განწყობილებები, ალაგ-ალაგ (ეს სიხალისეს მატებს, ამრავალფეროვნებს ალბომს) აღბეჭდილია ღიმილისმომგვრელი იუმორისტული შტრიხები.

ქართული ქორეოგრაფია მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული, მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს, წინამდებარე ალბომში კი სამოდვე გვერდი უკავია, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი ამ უნიკალური ფენომენის ასახვად.

ჯანო ბაგრატიონისა და ილიკო სუხიშვილის საშვილოშვილო ამაგზე მინიშნება, ცხადია, აუცილებელი იყო, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოღვაწე ნიჭიერი ქორეოგრაფების (მაგალითად, ენვერ ხაბაძის) დამსახურებაც არ უნდა დაგვეწყინოდა.

კინომოღვაწეთა (რეჟისორები, მსახიობები) პორტრეტები, შედარებით, უკეთ არის წარმოჩენილი, მაგრამ შეიძლებოდა, უფრო სრული სურათი წარმოგვედგინა. კინო, ნაირგვარ სირთულესთან ერთად, მძლავრი ინდუსტრიაა, სხვადასხვა დარგების სინთეზს მოითხოვს, მასში მრავალი ხელობისა თუ პროფილის ადამიანია დასაქმებული და მათი საქმიანობაც უნდა გამოჩენილიყო. ქართველ ოპერატორთა ოსტატობაზე ბევრი დაწერილა.

უთუოდ მოსაწონი და მისასალმებელია, რომ დემიკო ლოლაძეს თბილი, კეთილი დამოკიდებულება გამოუმჟღავნებია თავისი კოლეგების, ყურნალისტების მიმართ. ღრმად ადამიანური, კეთილშობილური გადაწყვეტილებათა, რომ ამ განყოფილებას წინ უძღვის აფხაზეთში დაღუპული რაინდი პიროვნების, ფრონტის წინა ხაზზე მყოფი უშიშარი კინოდოკუმენტალისტის, ალექსანდრე იოსელიანის ძეგლი. ალბომის ფურცლებზე აღბეჭდილია სახეები ჩვენი ნაცნობ-მეგობრების, ქართველი ყურნალისტებისა, რომელთა წერილებსა თუ სხარტად დაწერილ რეპორტაჟებს ბევრჯერ გავუხარებდით. მართალია, ყვითელი





პრესა საეჭვოდ მოგვეძალა, მაგრამ სინდის-ნამუსიანი, ნიჭიერი და პროფესიონალი ჟურნალისტების ნახელავი მაინც გამოიჩინა ამ ქრელ ფონზე.

მედიცინის ყოველთვის ჰქონდა კუთვნილი წონა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და წინამდებარე ალბომშიც მრავლად ვხვდებით ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულ პიროვნებებს, მაგრამ უფროსი თაობის არცთუ დიდი ხნის გარდაცვლილი და ამჟამად მოღვაწე მედიკოსები აქა-იქ გაკრთებიან.

პოლიტიკის გარეშე ადამიანთა ცხოვრება, სახელმწიფოს არსებობა ძნელი წარმოსადგენია და ამან ხსენებულ ალბომშიც ჰპოვა, მართალია, არა მასშტაბური, მაგრამ თავისებური ასახვა. გარდა ამისა, ეპოქალური მნიშვნელობის პოლიტიკოსთა სახეები სხვა განყოფილებებშიც ფიგურირებს.

სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი, დემიკო ლოლაძის მშობლიური სტიქიაა და, ბუნებრივია, ყველაზე მეტად მან აქ გაშალა ფრთები, გასაქანიც მისცა ფანტაზიას. უთუოდ სწორად მოიქცა ალბომის ავტორი, როცა ფეხბურთის ქართველი ვარსკვლავების გვერდით, მრავლად წარმოაჩინა მსოფლიო კლასის უცხოელი ფეხბურთელები და ამით ჩვენი სპორტსმენების მოქმედების არეალი უჩვეულოდ გააფართოვა. ამავე განყოფილებაში დემიკო ლოლაძემ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებსაც (კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ჭიდაობა, მძლეოსნობა, კრივი, ჭადრაკი...) არ დასწყვიტა გუ-

ლი და იმედია, მომავალში ქართულ სპორტს კიდევ უფრო მეტ პატივს მიაგებს.

საუკეთესოთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ბოლო სამი განყოფილებაც: „საქართველო, თბილისი“, „ბათუმი“, „საოჯახო ალბომიდან“. თითოეულ მათგანზე წიგნები დაინერგებოდა. როგორც უკვე ითქვა, ჩვენს ნიჭიერ ჟურნალისტსა და ფოტოხელოვანს, ახლო მომავალში, განზრახული აქვს გამოსცეს ასეთივე ტიპის ახალი ალბომი, სადაც შეძენილი გამოცდილების კვალობაზე შეეცდება რაც შეიძლება მრავალფეროვნად წარმოაჩინოს ქართველი ხალხის სახე, მარად მედინი დრო, ეპოქა და მისი პირმშობები ადამიანები. იგი დანაპირებს ყოველთვის ასრულებს.

მრავალ შესაშურ უნართან ერთად, დემიკო ლოლაძე ჭირისუფლობის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. ამის თვალსაჩინო დასტურია თავისი ლირსეული წინამორბედის, მიხეილ კვირიკაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი უნიკალური ფოტოებისგან შედგენილი ალბომი.

ჩვენს სინამდვილეში ანალოგი არ მოეპოვება ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებისადმი დემიკო ლოლაძის ფანატიკურ სიყვარულს და ზღვარს გადასულ თავდადებას. ლამის ყველა მათგანს ცალკე ალბომი მიუძღვნა. სულ ახლახან, ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი მეკარის, სერგო კოტრიკაძის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად მისეული ცეცხლოვანი ენერჯითა და მონდომებით შეადგინა და დასტამბა მდიდრულად ილუსტრირებული ძვირფასი წიგნი, სადაც სხვადასხვა თაობის გულშემატკივრები ნაირგვარი პროფესიისა და თვალთახედვის ადამიანები — მადლიერების გამომხატველ სიტყვებს არ იშურებენ დიდ ქართველ ფეხბურთელზე. ეს მშვენიერი წიგნი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რამდენად ზუსტი და მართალი იყო დემიკო ლოლაძის უერთგულესი მეგობარი, ახლახან გარდაცვლილი დიდად განათლებული ჟურნალისტი და გარეგნულადაც ბრწყინვალე ვაჟკაცი რენალდ კუბლაშვილი, როცა მას „ფეხბურთის ჟამთააღმწერელი“ უწოდა.

ფრიად სასიამოვნოდ დამრჩა, რომ ორიოდე წლის წინ დემიკო ლოლაძის დაბადების 60 წლისთავზე იუბილარის მრავლისმომცველი პორტრეტი („ლირსეული ქართველი“) გამოაქვეყნა მისმა და ჩემი სიყრმის მეგობარმა, კრისტალურად ნმინდა ადამიანმა კორნელი კინწურაშვილმა.

არსად არ ჩანს, ცალკეა აღსანიშნი დემიკო ლოლაძის დამსახურება იმის გამო, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონს, ბევრი ვნებათაღელვის მერე, მიხეილ მესხის სახელი ეწოდა. ეს არც ისე იოლი გასაკეთებელი იყო. დემიკოს თვალწინ ედგა ის დღე, როცა ჯერ კიდევ ჯან-ლონით აღსავსე, დიდი ფეხბურთიდან





თითქმის ძალად, ნაადრევად გასტუმრებულ-  
მა მიხეილ მესხმა თავისი გამოსათხოვარი,  
ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ურეგვას „ნა-  
სიონალთან“ სწორედ ამ სტადიონზე ჩაატარა  
და უამრავი გულშემამტკივრის ყიყინაში იგი  
მხრებით, მარჯვენაშემართული გაიყვანეს  
მწვანე მოედნიდან.

\* \* \*

ფოტოგრაფიაზე, მის მოულოდნელ ეფექ-  
ტებსა და უმდიდრეს შესაძლებლობებზე დიდ-  
ძალი ლიტერატურა არსებობს. მათ შორის  
ძალზე მნიშვნელოვანია გამოჩენილი ფრანგი  
მეცნიერის, კულტუროლოგის, სტრუქტურა-  
ლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, როლან  
ბარტის ნიგნი, რომელიც გარდაცვალებამდე  
ორი წლით ადრე გამოაქვეყნა და რომელშიც  
უჩვეულო სიღრმით არის კომენტირებული  
მისი დახვეწილი გემოვნების შესაფერისი ნა-  
ირგვარი ფოტო. სევდის მომგვრელი პოეტუ-  
რობით გამოირჩევა ის თავები, სადაც ბარ-  
ტი დედის გარდაცვალების მერე მშობლის  
სურათებს ათვალიერებს, რათა ძვირფასი  
ადამიანების თვითმყოფადი ბუნება დაინა-  
ხოს. ბოლოს მიაგნებს „ზამთრის ბაღში“ გა-  
დაღებულ ფოტოს, რომელზედაც დედამისი  
ხუთი წლის ბაღლია და ფიქრობს, რომ იმ  
საკრალურ სურათში სიყვარული და სიკვდილი  
ერთიანდება. თავად ხსენებულ ფოტოს,  
როგორც უინტიმურესს, ბარტი არ აქვეყნებს,  
არავის საზიაროდ ხდის, დანვრილებით კი აღ-  
წერს. იქვე ნათქვამია, რომ ძველი ბერძნები  
სიკვდილთან უკუსვლით მიდიოდნენ. საერთო-  
დაც, ბარტი თავის აზრს არც თუ იშვიათად  
გამოხატავს მეტაფორულად და ასეთ დროს  
ზემოქმედების ძალა გაცილებით მეტია. ერ-  
თი მაგალითი: „დაკარგული არსების ფოტო  
ისევე შეეხება მე, როგორც რომელიმე ვარ-  
სკლავის გზაში მყოფი შუქი“. როლან ბარტი  
ხშირად ახსენებს მარსელ პრუსტს და ამის  
უმთავრესი მიზეზი, ალბათ ის არის, რომ დე-  
დის გარდაცვალების შემდეგ მისი არსებობა  
აზრისაგან დაიცალა. როლან ბარტი იმასაც  
წერს (ეს მარტო მისი აზრი არ არის) —  
რალაც კომპარული არის ყოველ ფოტოგრა-  
ფიაში და იგი მიცვალებულის დაბრუნებას  
უკავშირდება.

შვიდი წლის წინ ერთგული მეგობარი მო-  
მიკვდა, ჩემი შვილის ნათლია, უსაზღვროდ  
კეთილი ადამიანი, მწერლობასთან ახლო მდგო-  
მი პიროვნება (მშვენიერ მოთხრობს წერდა).  
ზედმეტია თქმა, როგორ დამწყვიტა გული  
ასეთი კაცის სიკვდილმა. სამძიმრის სათქმე-  
ლად მისული, სანერ მაგიდაზე გაშლილ მის  
ფოტოსურათებს ვათვალიერებდი. სულ უფ-  
რო მეშხამებოდა გაუნება. უჩვეულოდ ნალვლი-  
ანი მეჩვენა თითქმის ყველა მათგანი, თუმცა  
ადრეც მენახა და ამნაირი განცდა არ მქო-  
ნია. მაშინ ვიფიქრე, რამდენად მართალი და

ზუსტი იყო ანა ახმატოვა ორმოციან წლებში  
დანერილ ერთ მცირე, თავისუფალ ლექსში,  
როცა მიცვალებულის სურათების საკვირველ  
გარდასახვაზე მიგვანიშნებდა. ლექსში, მართა-  
ლია, პორტრეტებია ნახსენები, მაგრამ დიდი  
აღლო არ არის საჭირო იმის მისახვედრად,  
რომ აქ სწორედ მიცვალებულის ფოტოები იგუ-  
ლისხმება. შინ დაბრუნებისთავე ვთარგმნე ის  
ლექსი. არ უარყოფ, რომ ჩემს ნაუცბათვე,  
სახელდახელო თარგმანში გაფერმკრთალდა  
ორიგინალის სიდიადე, ამაღლებულობა, მაგ-  
რამ აზრი ნამდვილად არ დამიმახინჯვია  
და განწყობილება, რამდენადმე ტონლო-  
ბაც, გადმოტანილია. თარგმანი არ დამიბეჭ-  
დავს და მხოლოდ ახლა, ამ წერილმა მიბიძ-  
გა მომეძებნა, შესაფერის ადგილას ჩამესვა:

„როდესაც ადამიანი კვდება,  
იცვლება მისი პორტრეტები,  
სხვანაირად იმზირება თვალები მისი  
და ბაგეებსაც სხვა ღიმილი დასათამაშებს.  
ეს მე შევამჩნიე ერთი პოეტის  
დასაფლავებიდან დაბრუნებულმა.  
მას მერე ხშირად ვამონმებდი  
და ჩემი მიხვედრა დასტურდება.“

ჩემი მეგობარი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ  
ლექსის გამგები და პოეტური სულის ადამი-  
ანი გახლდათ და ანა ახმატოვას ეს ლექსი,  
თუნდ არც ისე ოსტატურად თარგმნილი, ვი-  
ცი, მოეწონებოდა.

მარსელ პრუსტის გრანდიოზული ეპოპეა,  
რომანების გენიალური ციკლი, მთლიანად ავ-  
ტორის ფანტასტიურ მესხიერებაზეა დამყარე-  
ბული, გარდასული ეპოქისა და ცხოვრების  
ასპარეზიდან წასული ადამიანების, მათი ყო-  
ფისა და მეტყველების გაცოცხლების უნიკა-  
ლური ცდაა და სრულებითაც არ გვიკვირს,  
როცა იგი მესხიერებას ადარებს მალაზის  
ვიტრინას, სადაც ერთი და იმავე ადამიანის  
ხან ერთი ფოტოა გამოდებული, ხანაც-მეორე  
(ასე შეისწავლის იგი ამა თუ იმ პერსონაჟის  
სულის შრეებს, სხვადასხვა ნახნაგებს). დამა-  
მახსოვრდა უკიდურესად გამძაფრებული აღ-  
ქმის მქონე ამ განუმეორებელი ხედვის მწერ-  
ლის ერთი დაკვირვება, რომლის მიხედვითაც  
ფოტოგრაფია ნაწილობრივ მაინც აღადგენს  
ჩავლილს, წარსულს, უკვე გამქრალ დროს  
და, დიდი ხნის მერე, შენობებს, პეიზაჟსა თუ  
ადამიანებს რამდენადმე განსხვავებული იერი  
ედებათ. საერთოდაც, პრუსტის ფსიქოლოგი-  
ურ ნიაღვრებაში ხშირად ნააწყლებით ფოტო-  
ხელოვნებასთან დაკავშირებულ ტერმინებს,  
გამოთქმებს („თავდაყირა მდგარი პროექციე-  
ბი“, „აღქმის ნეგატივები“ და მისთანანი). იმის  
ნათელსაყოფად, თუ დიდი მწერლის წარმო-  
სახვა რამდენად წინ უსწრებს სინამდვილეს,  
ისიც კმარა, რომ პრუსტს ერთგან ნახსენები  
აქვს ფოტოტელეფონი, ამ ტექნიკური საოც-  
რების გამოგონებამდე საკმაო ხნით ადრე.

ახალგამოგონებული ფოტოგრაფიით თავ-



დავინყებამდე იყო გატაცებული დიდი ინგლისელი მწერალი და მეცნიერი ლუის კეროლი, რომელმაც არაერთი საუცხოო ფოტო შექმნა. მას ბევრი წვალემა დასჭირდა, რათა შოტლანდიაში ჩასული გამოჩენილი ინგლისელი პოეტის, ტენისონის სურათი გადაეღო. ცოტა უცნაურია, რომ ტენისონმა ვერ იგრძნო კეროლის გენია („ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ უკვე გამოქვეყნებული იყო), ვინც ზეპირად იცოდა მისი ლექსები და, მოგვიანებით, წერილზე პასუხიც არ გაუგზავნია. ცოლს უკარნახა რამდენიმე, გულგრილი თავაზიანობის გამომხატველი წინადადება.

ცნობილია, თუ ცივილიზაცია, ტექნიკური პროგრესი, ხშირ შემთხვევაში, როგორ უცვლის სახეს და ანადგურებს ბუნებას, ინვესტეკოლოგიურ კატასტროფებს, საშინელი სისწრაფით ღარიბდება პლანეტის ფლორა და ფაუნა. ფრინველების, ცხოველებისა თუ მწერების არა ერთი სახეობა სამუდამოდ განადგურდა. ბევრი რამ ახლო წარსულიდან მხოლოდ ფოტოებზეა შემორჩენილი და ამიტომ ფოტოხელოვნების მნიშვნელობა დღევანდელ კულტურასა და მეცნიერებაში სულ უფრო იზრდება.

ინგლისელები სინანულით, გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ის ულამაზესი ადგილები, რომლებიც დიდი ინგლისელი მწერლის, თომას ჰარდის რომანებში შეუდარებელი ოსტატობითაა აღწერილი, ამჟამად აღარ არსებობს და მათ მშვენიერებაზე მხოლოდ ფოტოებითაა თუ ვიზუალებით. ეს ნოსტალგია გახდა მიზეზი, რომ „ჰარდის უესსექსის“ აღსადგენად, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ბოსტონში, გამოვიდა საუცხოო ალბომი „თომას ჰარდის ინგლისი“. ალბომს საფუძვლად დაედო ჰარდის თანამედროვის, ჰერმან ლის ფოტოები, რითაც იგი ინგლისური ლიტერატურის ისტორიაშიც დამკვიდრდა. გამოცემას დართული აქვს თანამედროვეობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ინგლისელი მწერლის, ჯონ ფაულზის ესე. ალბომში მოთავსებულ უნიკალურ ფოტოებს იგი „ფერწერულ რელიქვიებს“ უწოდებს. მანვე ნაუმძღვარა უჩვეულო შთაგონებითა და არტისტიზმით დანერგილი ესე ძველი ფოტოების თემატურ ალბომს, სადაც ინგლისის სანაპიროებთან, სხვადასხვა დროს, გემების ჩაძირვა და ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებული მომენტებია ასახული და ეს ერთეული შემთხვევები როდია. პროფესიონალ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები ინგლისსა თუ სხვა ქვეყნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს

წარსულის ყოფისა და კულტურის შესწავლაში. ჩვენი მუზეუმების ფონდებსა და არქივებში დაცულ ფოტო-მასალებს მეტი მზრუნველობა და გამომზეურება ესაჭიროება.

საგანგებო აღნიშვნა არც უნდა იმას, თუ ტრადიციული, კულტურული ოჯახისათვის რაოდენ ფასეულია საოჯახო ალბომი. მე კარგად ვიცნობ ნაადრევად გარდაცვლილი თაძაზ ნადარეიშვილის დედას, კეთილშობილებითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ პიროვნებას, ქალბატონ საშურა შენგელიას. ნამყოფი ვარ გაგრაში, ნადარეიშვილების სახელგანთქმულ ოჯახში. ის ძველებური, ხის ლამაზი, მამა-პაპური სახლი ცეცხლს მისცეს ქართველთა ზიზლით ტვინდაბნელებულმა აფსუა სეპარატისტებმა და ბანდებად შემოსულმა მათმა ველურმა დამქაშებმა. ქალბატონმა საშურამ სახლიდან მხოლოდ სურათების ალბომის ნამოღება მოასწრო, რათა, დროადადრო, თვალი შეავლოს სახელოვანი წინაპრების, ძვირფასი ახლობლების სახეებს. როცა მამაჩემის მიერ ორთაჭალის კოლონიაში ჩანერილი გვანჯი ჩიქოვანის მემუარებზე ვმუშაობდი, ქალბატონმა საშურამ მომიტანა ძნელად მოსაპოვებელი რამდენიმე ფოტო, რითაც დიდად დამეხმარა. მე ვერაფერს ვინამებ იმ ბრმა და ყრუ-მუნჯი მსოფლიოსი, რომელმაც დღემდე საბრალდებო სკამზე არ დასვა ათას სისაძაგლეთა ჩამდენი ქართველთა გენოციდის მომწყობი ჯალათები, რომელთა ხელითაც დღემდე იჯიჯგნება პატივყარილი, მინებნაგლეჯილი, უმადური უცხო ტომების ბუდეშობილთა შემფარებელი და ამ სიკეთის გამოც დასჯილი ჩვენი უიღბლო სამშობლო...

მე მწერლის, ლიტერატორის თვალთახედვით შევაფასე დემიკო ლოლაძის ახალი ალბომი, მისი მამულიშვილური გარჯის კიდევ ერთი ნაყოფი. პროფესიონალი ბევრად მეტს და არსებითს დაინახავდა. კარგად ვიცი, იგი მხოლოდ ობიექტივის, „ხელოვნური თვალის“ იმედად არასოდეს რჩება და მუდამ ცდილობს, ყოველ კადრში რაღაც თავისი შეიტანოს. წლების გამოცდილებით აღჭურვილს, არავისგან ესწავლება, სურათის გადასაღებად რაოდენ მნიშვნელოვანია სწორი რაკურსი, ერთადერთი, ყველაზე მარჯვე წერტილის მოძებნა. არც ისაა სადავო, რომ ფოტოგრაფია, შემოქმედებითი მიდგომის გარეშე, მკვდარი, უსიცოცხლოა და იგი არამც და არამც არ არის სინამდვილის მექანიკური ასახვა; ოსტატურად გადაღებული სურათი ლექსივით, მხატვრის ქმნილებასავით უნდა აღძრავდეს ემოციას.





ფოტოსურათზე მარჯვნიდან: რეზო ინანიშვილი, კიმი ალიაშვილი, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, ემზარ კვიციანიშვილი, მურმან ლებანიძე.

გარეკანზე: კოკა იგნატოვი — სერიიდან „ქეები“

შურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ხელმოწერების გაფორმება მკითხველს შეუძლიათ სს „მაცნე“-ს კომპიუტერში, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

- ცენტრალური ოფისი, ქ. გამსახურდიას გამზირი 42. ტელ: 25-33-88, 37-47-49.
- ი. ჭავჭავაძის გამზირი 46. 22-64-58
- რ. თაბუკაშვილის ქ. 12. 93-12-94
- ივ. ჯავახიშვილის (კალინინის) ქ. 4. 95-87-37

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 3 ლ.                      2 თვით — 6 ლ.  
 3 თვით — 9 ლ.    6 თვით — 18 ლ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უბრუნველყოფა:  
 ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42  
 ტელ: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.  
 E-mail: vajao@posta.ge. Web: www.litandart.com.ge







კოკა იგნატოვი



სერიიდან „მოლოდინი“

17



სერიიდან „თამაში ვაშლებით“



